

ՄԼԿ

ԿԼԻ

Կ

სსსკ

7

ივლისი

1967

ლიბერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაქრაძე, ხატა ბერულავა, გურამ გვერდუჩიანი,
მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტ-
რეველი, ოტია ვაჟკორია (ვ.შ. მღვიმანი), გიორგი ციციშვილი, ნოდარ წულეისკირი,
ვახტანგ ვილიძე, სერგი ზილიაძე, თამაზ ვილაძე, ლეო ჯანაშია.

ჩვენთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის

ქართული პოეტური ლენინიანა

გამარჯვებათა ვხედავ მწვერვალებს

გამარჯვებათა ვხედავ მწვერვალებს,
 ვდგავართ უდიდეს დღეთა წინაშე.
 ჩვენს გულში შენი სახე ელვარებს,
 როგორც სანთელი სარკის მინაში.
 ო, რა სიცოცხლის დაეშვა ფარდა!
 ო, რა ბრწყინვალე დარჩა სახელი!
 არ გვინდა გულში ჩავუშვათ დარდად,
 რომ სამუდამოდ ჩვენგან წახველი.
 გვინდა ჩვენ შორის მუდამ ბრწყინავდე
 გმირი ცოცხალი, მხნე და უცვლელი,
 აყვავებული გრძნობის სინათლე,
 ჩვენი გულიდან ამოუსვლელი.
 როცა პარტიის გრგვინავს ბრძანება,
 შენი ხმა არის მასში ჩართული.
 ზეიმის ელვა ცას ეტანება —
 შენი სახეა ცად ამართული.
 მითქვამს და კიდევ ვიტყვი ასჯერაც,
 რომ ვართ ყოველ წუთს შენი მნახველი,
 რომ თვალს არა სწამს და გულს არ სჯერა,
 თუ სამუდამოდ ჩვენგან წახველი
 მაშ რკინის ძალა ჩვენს ჯარს ვინ მისცა,
 თუ ამ ბრძოლაში ჩვენთან არა ხარ?
 მაშ ვინ დაიხსნა მშობელი მიწა
 და მტრის საზღვარი ვინ გადალახა?
 ვინ შეასრულა შენი ანდერძი,
 ვინ შესძლო დიდი ფიცის შენახვა?
 წინ ვისი გვიძღვის შარავანდედი?
 დიდო ბელადო, ეს ხომ შენა ხარ!
 მიგვიძღვის შენი მტკიცე მარჯვენა
 და შენი დროშა, სხივების მფენი.
 ჩვენი სიცოცხლის ხარ გამარჯვება,
 შარად ცოცხალი, უკვდავო ლენინ!

ალექსანდრე აბაშელი

ՄԻՔՆ ԱՄԼՅՏՆՈՅԸ



ԱՅՄ
ՆՅՈՒՆ
ԵՆԸ

„არავითარი ეჭვი... ერთი წამითაც არ იფიქრებს, რომ მე ამ მანქანით შეიძლება ვინმე „ისეთი“ მელოდეს, — და შეძავდა თავი, — ტყავაძეს ვეტყვი, ყოველდღე იაროს, ყველას თვალწინ ჩამავადოს მანქანაში და მათიროს, რომ ქვეყანამ იცოდეს, მე უპატიოსნო ვარ და ნუ მოტყუვდებიან, ნუ იქნებიან თავზიანი და ნურავის ვეყვარები“.

„პობედამ“ უცებ გადაჭრა ქუჩა ისე, რომ ავტობუსის გაჩერებიდან გაჭირდებოდა მანქანაში მჯდარი მგზავრის ცნობა. გაუხვია, სადაც ორ ახალ ბინას აშენებდნენ და, გარდა მუშებისა, თითქმის არავინ ჩანდა. იქედან მარცხნივ, ფინურის სახლების რიგს ჩაუქროლა, დაბას გარედან შემოურბინა და, როცა დაბა უკან მოიტოვა, ისევ მთავარ გზაზე გამოძვრა და დიდი სისწრაფით აქანდა მიხვეულ-მოხვეულ, მდინარისპირა აღმართზე.

„შინ მაგვიანდება. ამ შუა გზაზე ვერ გააჩერებს მანქანას. თუ სადმე ჩასახვევია, ჩაუხვიოს, რომ ორი სიტყვა ვუთხრა, ასე, გზაში ვერ ვეტყვი, ვეტყვი, მაგრამ ვერ დავაჯერებ... მან უნდა დაიჯეროს, რასაც ვეტყვი, ისე უნდა გაკეთდეს, მორჩა და გათავდა... მორჩა და გათავდა“...

მანქანამ გზის პირას ჩარიგებულ თეთრ, დაბალ ბოძებს აუქროლა, ბოძებს მიღმა, ქვევით, მწვანე მდინარე ჩანდა. მდინარის ვალმა მარტო წითელ სახურავებს არჩევდა. ზოგან ჭგუფად, ზოგან თითო-ოროლად.

„იქ ყველგან ოჯახებია და პატიოსნად ცხოვრობენ. იქ, ალბათ, მანქანა

ვერც კი ავა, ურმით კი ქალს ვერ გაიტაცებ... ნეტავ გენოს სოფელში დავრჩენილიყავით, მისი ძმის გვერდით აველო სამოსახლო და იქვე, სკოლაში გვემუშავა“.

მანქანა მისდევდა თეთრი ბოძების რიგს და ისმოდა გამლღვალი, წებოიანი ასფალტის ხმაური. ზოგან, სადაც დაფქვილი ქვა იყო მოყრილი, კენჭები ტაკუნობდნენ.

ტყავაძეს ერთხელაც არ მოუხედავს. იგი იმდენად ბედნიერი იყო, ეშინოდა უკან მოხედვისა. დაეწია, გაუსწრო, დააყენა მანქანა, ქალი არ მოერიდა ვილაც, ალბათ, მეგობარს. ჩაუჯდა და დადგნენ წინასწარ მოფიქრებულ გზას, — ახლაც მიჰქრის და მიჰყავს მაკა.

ეს ასე არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ამის დაჯერება არ შეიძლება, მაგრამ იქნებ ხდება ადამიანის ცხოვრებაში რაღაც, რაც ისე ძალიან გინდა მოხდეს, რომ თუ მოხდა, ვიკვირს, თავს ურწმუნოდ იქნევ და ამბობ: „სულ ტყუილია, რა ვქნა, ვერ დაგიჯერებ...“

ტყავაძემ იცოდა, რომ ნელა უნდა ევლო. და ეს არ ხერხდებოდა. იგი ახლა შეცდომას არ დაუშვებდა, თუმცა რაღაც იყო მოსალოდნელი: უცბათ საბურავი არ გახეთქილიყო, საკვებ არ წაერთმია, ან ლილვზე არ მოწყვეტილიყო ბორბალი, გზაზე ლოდი არ ჩამოვარდნილიყო, ან... რამდენი რამაა მოსალოდნელი, როცა უსახვროდ გინდა სიცოცხლე...

ქალი დაბეჯითებით გრძნობდა, ეს კაცი იმდენად ბედნიერია, უკან მოხედვა არ უნდა, ეშინია არ გაეჭრო, — და საშინლად შურდა მისი... ყველაფერში, საკის უბრალო, ჩვეულებრივ მობ-

დასაწყისი იხ. „ციცკარი“ № 5, 6.

რუნებაშიც იგრძნობოდა ნამდვილი სიხარული. მას ისე ეკიდა ხელი საკის მოყვითალო პლასტმასის რგოლზე, თითქოს ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, ხელს უჭერდა ზომიერად და შემხვედრ მანქანებს, ჩამოჭრილ მთის კალთებს, სადაც გზა გაეყვანათ, და თეთრ ბოძებს უღიმოდა. ეს ღიმილი მაკას არ დაუნახავს. იგი ახლა იღიმებოდა და აწუხებდა, რომ ვიღაც ფეხით მიდგოდა ამ სიციხეში. მაკას შურდა მისი. მაკამ დაკარგა ის, რაც ახლა ტყავაძეს ჰქონდა. ეს კაცი ახლა ყველაზე ძლიერია, მას შეუძლია, მაკა წაართვას ქმარს და შეიღოს, წაართვას ყველას და დაისაკუთროს.

„ნუთუ ამოდენა გზაზე გადასახვევი არ არის? სადღაც ადგილი იცის, სადაც ადრე ჩემი იქ ყოფნა უნატრია და იქ მივყევარ; მე კი არ მივალ, სადაც მას ასე გულით უნდა. ნუთუ მან ყველაფერს უნდა მიადწიოს? არ ვიცი, რამდენს შევძლებ... მე ვგრძნობ, ყველაფერს წამართმევს ეს კაცი და მძულს. ერთად ერთი — სიძულვილია, რითაც მისგან თავს ვიცავ.“

გზის მარჯვნივ ვიწრო, ბალახიან ჩახსვევს ჩაუჭროლეს.

— გააჩერეთ! — ამოილაპარაკა მაკამ. იმის თქმას არ აპირებდა, რისთვისაც წამოჰყვია, მაგრამ არ შეეძლო უსიტყვოდ მიჰყოლოდა იქ, სადაც მას უნდოდა.

მანქანა გაჩერდა. ტყავაძემ საშურგეზე მკლავი ჩამოდო და მოიხედა. მის თვალებში მაკამ შეშფოთება დაინახა, რომელიც საოცარ მტაცებლურ ვნებას ფარავდა.

„ეს კაცი მე დღესაც დამიმორჩილებს, დღესაც და... ყოველთვის... იმიტომ მძულდა, რომ მას შეეძლო ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვეტარებინე. ამას ჩემი სული ვერ ეგუებოდა და მძულდა. მე იგი ახლაც მძულს, ისე, როგორც იმ დამეს. მე იგი დღესაც დამიმორჩილებს...“

— ნუ იხედები უკან, ისე იარე! — უთხრა ქალმა.

ერთი საათის შეღამებული იყო. გზაზე ღია ყავისფერი მანქანა მისრიალებდა. მიდიოდა თითქოს ნავარდით და უახლოვდებოდა დაბას. შემხვედრებს შორიდანვე ისე დაეინებით უჭრობდა და უნათებდა, თავზე ხელაღებული მძლოლებიც შექფარებს თიშავდნენ. მოახლოებისას კი თვითონ რთავდა მაღალ სინათლეს, რომ შემხვედრისათვის თვალი მოეჭრა და სიჩქარეს უმატებდა. სიფრთხილით, სწრაფად უქცევდა გვერდს მანქანებს. მაკას უნდა ეფიქრა, რომ არავის არ შეეძლო მისი ცნობა. მაგრამ მაკა ამაზე არ ფიქრობდა. საერთოდ; აღარ ფიქრობდა, რაღაცნაირად მოდუნდა. ამ კაცმა იგი დალაღა. ერთი რამ, რაც ბუნდოვნად უტრიალებდა თავში, ეს იყო: ზედ ჩემს ეზოსთან მიმიყვანოს, ყველამ დამინახოს, რომ საყვარლის მანქანით მოვედი...

— ჭიშკართან გამიჩერე! — თქვა ქალმა.

კაცმა თავი მოაბრუნა, ეგონა მოესმა.

— რა მითხარი?

— ჭიშკართან გამიჩერე-მეთქი!

— ვის ჭიშკართან?

— ჩემს ჭიშკართან!

კაცი ჩაფიქრდა. სვლას უკლო, თითქოს გუნება გაუფუქდა. მალე რაღაც იაზრა, ისეე კარგ ხასიათზე დადგა და მანქანამ კვლავ უმატა სიჩქარეს.

„ჰგონია, რომ განგებ მინდა ეზოს წინ გავაჩერებინო, დამინახონ, ქმარმა იეჰვიანოს, ქვეყანამ გაიგოს და ბოლოსდაბოლოს გავშორდე, რაკი ასე ხელაღებით უარი ვერ ვთქვი ყველაფერზე...“

— ჭიშკართან გამიჩერე და ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მუხრუჭებმა დაიჭრიალა. მოსახლეები ჯერ კიდევ არ ჩანდა.

— იარე! — ხმაძალდა თქვა ქალმა. შეეშინდა, ისეე უკან არ გადმოჟღერსო.

— იარე და გეტყვი, არ გაჩერდე თუ არა... ფეხით წავალ!..

მანქანა არ გაჩერებულა.

— როდის შეგიძლია შემხვდე? — იკითხა კაცმა.

„არ ამეყვა, ვერც კი გაიგონა, რაც ვუთხარი. ვერც ვერასოდეს გაიგონებს.“

— მე ყოველთვის მცალია, — თქვა ისევ კაცმა.

— ჩემთვის!? — ქალს სულითა და გულით უნდოდა ეს ძალზე დამცინავად ეთქვა.

კაცმა არ უპასუხა. ისევ უნდოდა რაღაც მწარე ეთქვა, მაგრამ იფიქრა, მანქანა არ გააჩეროსო და ერთხანს მდუმარედ იჯდა. როგორც კი პირველი მოსახლე გამოჩნდა, მაშინვე ხმა ამოიღო.

— არასოდეს!.. — თქვა რაც შეიძლება დამაჭერებლად და მაინც გაიფიქრა, არ მოისმენსო.

— სადაც შენთვის ჯობდეს...
— არსად!

— მითხარი, სად იქნები და ჩამოვალ. „მე უკვე დავკარგე ძალა, ჩემს სიტყვებს ჩაღის ფასი აქვს, მე მის ხელთ ვარ, ვალდებული ვარ, შეგხვდე — გაიფიქრა და თვალბეჭდით მწარე ცრემლის მოწოლა იგრძნო, მე, ალბათ, უარის თქმის უფლება უკვე აღარ მაქვს.“

— არასოდეს! — ხმას აუწია, — ვითხარი — არასოდეს!.. ჩემი ნება არაა? თუკი არ მინდა?! — ყელში რაღაცამ მოუხსწრო და სანამ სიტყვას მოიბრუნებდა, გაიფიქრა: „რა მემართება, ტყავაძესთან ისტერიკები...“

— რა მოგივიდა, მაკა! — იკითხა კაცმა წყნარად და მაინც შეშფოთებული ხმით.

— მე შვილი მყავს! — ქმარი რომ ჰყავდა, ვეღარ გაამხილა, ტყავაძეს სასაცილოდ არ ეყოფათ.

— ეს ხომ სამი წლის წინ, ოცდასამ მარტს გავიგე...

— ჰოდა, ხომ იცი, რომ შვილი მყავს...

— ვიცი.

— თავი, თავი დამანებე!..

— მაკა!

— ნუ ამბობ, სხვა რაიმე დამიძახე, მაკას ნუ მეძახი, მაკა არ მქვია!..

— მე არ შემიძლია სხვა სახელი დავიძახო.

„აღარაფერს მიჯერებს... ალბათ ასეა, ალბათ უფლება არა მაქვს. მაშინ რაღას ვუტევი, ბარემ ისიც ვუთხრა, სად შეგხვდე... დავუთქვა ადგილი და მოვიგონო ათასი სიტყუე, მოვატყუო ქმარი, დედამთილი, მეზობელი და ყველა. შვილი უნდა მოვატყუო და ხვალ ან ზევ ისევ ამასთან გამოვიქცე...“

— ვაიმე, სახლს ხომ არ გავეცი?

— ქიშკართან გავაჩერო?

— ხომ გითხარი! — გაანჩხლდა ქალი.

— კარგი, სადაც გინდა.

„გაუხარდა, რომ გავუჯავრდი, ამით შევეურიგდი. ღმერთო ჩემო, ხომ ვიცი, რომ ეს არ უნდა ვქნა. რა მომდის, რატომ ვერ ვერევი ჩემს თავს. მართლა ისე ხომ არ დავეცი, რომ ყველაფერს ჩემი სურვილის წინააღმდეგ გავაყეთებ? მერე სადამდე უნდა ვიყო, ან როგორ უნდა ვიყო ასე, რომ ჩემი არ ესმოდეთ და მაყეთებინონ ის, რაც მათ უნდათ?..“

— მეოთხე მოსახლის იქით გამიჩერე!

— ვიცი... როდის!

— არასოდეს!

— მაშინ...

— არა-მეთქი!

— მაკა!

— არა, არა, ხომ გითხარი!

„არ დამიჯერებს და ისევ მოვა. ასევე ვუმეორებ ერთსა და იგივეს და ყურად არ იღებს.“

— გააჩერე!

მანქანა გზიდან გადავიდა, არხის პირზე გაჩერდა. მაკა კარის სახელურს ეცა, მაგრამ ტყავაძის გადმოწვდილმა ხელმა დაასწრო და გრილ ნიკელზე ჩაფრენილი ქალის თითები ხელში მოიმწყვდია. მაკას იმდამინდელი სიზმარი მოაგონდა. შეაკანკალა — ჯერაც არ ამხდენიაო. ხელი გაინთავისუფლა, სახელური დასწია, კარი გააღო და ფეხი ძირს ჩადგა.

— არასოდეს!..



— მაკას... — სასოწარკვეთილი ეჩვენა მაკას ეს დაძახილი.

— არასოდეს! — გაიმეორა მერეც, როცა მანქანა წავიდა.

ქალი ჭიშკარს მიადგა, დაიხარა, რომ ლატანებში, სადაც ხელის შესაყოფი იყო გამოჭრილი, შეეხედა, ეზოში ხომ არავენი იდგა, ან სახლიდან დაინახეს თუ არა...

„ისე პატარა ვარ, რომ მოვინდომო, ამ ხელის გასაყოფში გავძვრებო...“ საკეტი უხმაუროდ ასწია და მთელი საღამო იმტვრევდა თავს: ვერ გაიხსენა, ოდესმე ასე ქურდულად შესულიყოს ვინმეს ეზოში.



ტყავაძე, რომ ეგონათ უძრავად გვიწევს პალატაშიო, მთელი დამე დიკარგა და მეორე დღის ბოლოს ისევე საწოლზე იპოვეს გონიმიხილი. ვერავინ გაიგო როგორ გაქრა და, როცა საავადმყოფო ფეხზე იდგა, საიდან დაბრუნდა. მეორე-მესამე დღეს ისე მოიკეთა, ეჭიმები ამითაც გააოცა და საავადმყოფოდან ძალზე მოკლე დროში გაეწერა.

ქარხანაში რევიზია ჩატარებული იყო. ტყავაძემ იცოდა: ქაღალდების ქექვით მასთან ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. რასაც ქაღალდზე დასწერ, კიდევაც უნდა უპასუხო. ტყავაძეს მაშინვე ჰქონდა იმისი პასუხი, რასაც სწერდა... თუ გულით მოინდომებ, მთელ ქარხანაში იმდენ დარღვევას ან უწესრიგობას კი იპოვი, დირექტორს სასაყვედურო მოუძებნო, მაგრამ რაკი ავადმყოფი მალე მომგობინდა, საყვედურის თქმის მსურველი აღარავინ იყო მაკასთან შეხვედრის მეორე დღეს ტყავაძე სამსახურს დაუბრუნდა. მალე მიჩუმდა ჭორებიც, რაც მისი თვითმკვლელობის განზრახვამ გამოიწვია. დაჭრისთანავე ითქვა ლეჟავას ქალზე, მაგრამ ითქვა კანტიკუნტად და, როგორც კი რევიზია გამოჩნდა, მაშინვე დაასკენეს: ტყავაძეს დიდი გაფლანგვა ჰქონია, მაგრამ ახალ ადგილზე ამდენს ვერ მოასწრებდა, ალბათ ძველი სამსახურიდან მოჰყვებო.

ქარხანაში გახურებული რევიზია იყო, როცა დაჭრილი დირექტორი საავადმყოფოში მთელი დამე დაეკარგათ. ვერც მეორე დღეს იპოვეს. იცის, რაც ელის და მანქანიანად გაიქცაო. მანქანა მილიციას მეზობელ რკინიგზის სადგურთან ეპოვა. სადგურის უფროსს ეთქვა: ნაცნობი კაცისაა, დამიტოვა და აღარ გამოჩენილაო. იფიქრეს, მატარებელს გაჰყვა და თავს უშველაო. მეორე დღეს კი, შებინდებისას, ტყავაძე თავის პალატაში გულადმა, უძრავად იწვა. ეს გაიგეს და, ავტონისპექტორმა გასაღები თხოვა: მანქანა მილიციის ეზოში გვიყენია ღია ცის ქვეშ, მზე საღებავს ააცლისო და შინ მიუყვანა.

რევიზიის დღეებში ცუცუნია რეზინის მილით ცარიელ კასრებს ცხელი წყლით ავსებდა, რომ არავის ეთქვა: დირექტორს შტატი თვითნებურად გადაუადგილებიაო. სარევიზიო დასკვნაში ბიჭი ლეჟავას უყაირათო და მოუქნელ მუშაობაზე იყო ლაპარაკი, თუმცა ამისათვის დირექტორს საყვედური ვერ კადრეს, რადგან საქმე სხვა მხრივ ვერ დაუწუნეს... რევიზიის მერე ეჭვი ლეჟავას ქალს დაატყდა თავზე: არავითარი სხვა რამ არ ყოფილა, ბიჭის ქორწილში შეხვდნენ ერთმანეთს; ტყავაძეს უთქვამს, მიატოვე ქმარშვილი და გამოიყევო; მაკა ბიჭიკოს დაა თუ არა მსავით თავქარიანი კი არაა; — ტყავაძე პასუხის ღირსადაც არ გაუხდია. ამდგარა ჭუმბერი, წაქულა შინ და ტყვია უკრავსო. ძალზე ჩუმად იმასაც ამბობდნენ: ამის შემდეგ მაკა ერთხელ ჩამოსულა დაჭრილის სანახავადო რაკი ვერავინ დაასახელეს ტყავაძის პალატაში მისი მნახველი და ნუცამაც პირზე ბოქლომი დიდიო, ეჭვი არ დადასტურდა. თქმით მაინც ამბობდნენ და იქვე დასძინდნენ: არ უნდა იყოს მართალიო. ვითომ ცუცუნიაზეც ცადეს ჭორის აშენება: ტყავაძეს საყვარლად უნდოდა, მაგრამ არ დათანხმებია, ცოლად შემირთეო... მაგრამ აქედან თვითმკვლელობის დასკვნა არ გამოვიდა და ისევე მაკა ლეჟავას გადაწვდნენ: ბავშვობაში ჭუმ-

ბერს ნამეტანი უყვარდაო და გაიხსენეს, რომ ტყავაძე მაშინ არც ისე ბავშვი იყო, ბავშვრ კი არა, საშუალო დამთავრებული ჰქონდა და სიყვარულით სწორედ მაშინ უყვართო. მას შემდეგ, რაც მაკა იმ სოფლიდან წავიდა, არავინ იცოდა, ისევ დასდევდა თუ არა. თუ დასდევდა, როგორ მოხდა, რომ ვიღაც ნიურაძეზე გათხოვდა, მერე შვილი ეყოლა და ახლა, ამდენი ხნის მერე, ტყვია იკრა გულში, გათხოვებისას კი ხმა არ ამოუღიაო. ისიც თქვეს: მაშინ, რაკი გათხოვდა, ეგონა, დაივიწყებდა. მაგრამ ახლა, ნახა და მიხვდა, რომ სხვა არავინ შეუყვარდებოდაო. ცუცუნია ც იმიტომ მოიყვანა, იქნებ მაკას სიყვარული დამავიწყოსო და... თითოც არ დაუკარებია, რაკი მისი ვული სამუდამოდ ლეეავას ქალს ეკუთვნოდაო...

სამსახურში დაბრუნებულმა ტყავაძემ პირველსავე დღეს ცუცუნიას წინადადება მისცა: ან დარჩენილიყო მარანში კასრების მრეცხავად, ან ქარხანა დაეტოვებია, რადგან დირექტორს პირადი მდივნის შტატი არ ჰქონდა. ცუცუნია მამოძცდელად შეხედა ლურჯი თვალებით და წამწამები ისეთი ნაზი თანხმობით დახარა, თითქმის ტყავაძეს ხელი ეთხოვოს.

— რას იზამ? — ჰკითხა ისევ დირექტორმა, რადგან ვერ გაიგო რაზე იყო ცუცუნია თანახმა.

— როგორც მეტყვიო... — ისევ გამოხედა ცუცუნია თანხმობის ნიშნად.

— მე ვითხარო...

— თანახმა ვარ... — თქვა ცუცუნია.

— რაზე ხარ თანახმა? — ტყავაძეს გულიც კი მოუვიდა. ეს სად ჭანდაბიდან მოიყვანე, კაცი რომ ვერაფერს გააგებინებსო, — რაზე ხარ თანახმა? — და როცა ცუცუნია დაბნეულ თვალებს წააწყდა, განავრძო, — მარანში კასრების რეცხვაზე ხარ თანახმა და აქედან წასვლაზე?

— არა.

— არაფერზე არა ხარ თანახმა?

— სხვაგან გადამიყვანეთ.

— სხვასთან გადაგიყვან, — ტყავაძეს

მოაგონდა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და მაშინვე დაურეკა. შეითანხმა, მემანქანედ მაინც მოვაწყობო. თუმცა ცუცუნია თავისი სახელისა და გვარის მეტი ჭერ არაფერი ჰქონდა დაბეჭდილი.

მეორე დღეს ცუცუნია აღარ გამოჩენილა. ბიჭიკო ლეეავას და ერთ მუშას დირექტორმა სამსახურის დროს ნასვამებს წაასწრო და სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

„აღარც ლეეავა დაზოგა“, — გაუკვირდათ, ვერ გაეგოთ, რისთვის იკლავდა ჭუმბერი თავს, ან ისევ რით ცოცხლობდა და მიჩუმდნენ.

ერთი კვირა არ გასულა, რაც დირექტორი დაბრუნდა და ქალაქიდან ვიღაც წარმომადგენელიც ჩამოვიდა, მაგრამ ტყავაძეს არც მისი სასტუმრო უძებნია და არც ის უკითხავს, საერთოდ ჰამდა ეს კაცი რაიმეს თუ არა. წასვლისას კი ბებებამდე გამოაცილა. იქვე ეყენა მისი ღია ყავისფერი „პობედა“. სტუმარი კი აკაციის ჩრდილში მთელი საათი ელოდა ავტობუსის გამოჩენას.

ტყავაძე ამ დროს კარგბმოღებულ კაბინეტში იჯდა და ფიქრობდა: მე უნდა ვიციკოვრო ისე, საყვარელმა ქალმა რომ მკითხოს ჩემს საქმიანობაზე, არაფრის დამალვა არ დამპირდესო.

● ხუთშაბათ საღამოს მარგო მოვიდა. ბავშვს ტკბილეულობა მოუტანა. ცრემლებით აევსო თვალები, როცა ძმისშვილი წუთითაც არ გაუჩერდა კალთაში. ეხვეწა და ემუღარა:

— მამიდა ვარ შენი, შენ შემოგვევლოს შენი მამიდა; მოდი ჩემთან შუბლზე გაკოცებ. რამოდენა ვაზრდილხარ და ჩემგან არაფერი იცი. ასე დაფეთებული თუ შემოვვარდები და გავვარდები, რა დაგამახსოვრდება. მოდი, მამიდა, მოდი, შენ გენაცვალე; მოდი ჩემთან.

— მარგო, შვილო, ვოჩამ რავარი შიში გვაჩვენა ვადალმა კვირაში!

— ღმერთო მომკალი, რა მოხდა. დღეილა?



— აქვსენტის მანქანიდან კინალამ გადმოგვივარდა, — მარგო სვეტთან ატუხულ გოჩას მიუბრუნდა, — მღუპავდი მაშიდა?

— მას მერე დედამისი ჭკუაზე არაა. — მაკას ვენაცვალე რას მეუბნები? შინ არის?

— შინაა, სადმე ეზოში იქნება. ნერისთან თუ იყავი, მამამისი რაგაა?

— სიმონი? ნამეტანი ტკბილი კაცია.

— უშველა ღმერთმა!

— ჩემი მერი ძალიან ემადლიერება, ღვიძლ მამას ასე არ ვეყვარებოდიო.

— მერედა, რაგაა?

— ისე, ვითომ დადის პატარ-პატარას, რაღაც საიოლო საქმეც უნდა გააკეთოს. მერი არ ანებებს, მერის ის არ ანებებს.

— ჰო, ორსულად რომაა...

— არა დეიდა, სხვა რომ ყოფილიყო, ეზოში არ ჩაუშვებდა შეცდენილ ქალს, მეტისმეტად კარგი ხალხია.

— უოპერაციოდ არ იქნებაო?

— უოპერაციოდ არა, ოპერაცია უნდა ალბათ, რეზინის მილი აქვს მუცელში.

— ჰო, ალბათ მაგის ჯავრი აქვს...

— მაკას?

— აბა, გოგო, რაც იქედან დაბრუნდა, ნამეტანი გამოიცვალა. ხან ამოიჩემებს საქმეს, მიდგება, არც დასვენება იცის, არც ჭამა-სმა. ასე გავა ორი-სამი დღე, მერე მიატოვებს ყველაფერს, ფიქრობს, ფიქრობს, გენოს აღარც კი ელაპარაკება.

— რა გული აქვს, რა ქალია... — ცრემლით აევსო თვალები მარგოს.

— აღარც უნდა იქეთ წასვლა.

— ვენაცვალე, რას გეუბნება?

— არ ამბობს, რა ვიცი, აბა რა უნდა იყოს!

— კი, რად გინდა თქმა, მე არ ვიცი, რა გულის პატრონია? მაგან გადამარჩინა, გადარჩა ყოველ გასაჭირს, თუ არა ჯაბა ღობრაძეს ახლა მეც მკვდარი ვეყოლებოდი, მისი დაც და მაკას ძმაც...

— რა ქნა იმ ბიჭმა, უფრო არ მოუბ-

რუნდა ოჯახზე გული? ალბათ იმასაც ჯავრობს, ერთად ერთი ძმია, ძნელია.

— კიო, ვითომ. მერი ცუდს არაფერს ამბობს.

— მერი არ იტყვის.

გოჩამ შემოირბინა აივანში და მაგდანს კალთაზე გადაუწვა, მარგოს იქედან შემოხედა, მერე ბებიას ყურში რაღაც ჩაულაპარაკა.

— ღმერთო, მომკალი, — შეშფოთდა მოხუცი.

— რაო, დეიდა, შენი ჭირიმე, ბავშვს აწუხებს რაიმე?

— არა გოგო, დედამისს... — ბიჭმა პირზე ააფარა ხელი. არ თქვაო, — კაი ბებია, არ ვიტყვი...

— მა-კა! — უხმოდ დამარცვლა მარგომ.

მაგდანამ თავი დაუქნია. ბავშვი ბებიას კალთაში მოკალათდა, მის მკერდს მიეყრდნო და ხელით საყინძეს დაუწყო წვალება, თან სტუმარ მამიდას ცალი თვალთ უტკეპრდა კუშტად და გულამღვრეულად.

— აა, რაგა.. — დაიწყო მაგდანამ, რომ ბავშვს არ გაეგო, ვისზე იყო ლაპარაკი, — მას მერე ნამეტანი ჯავრშია.

— მარგო ენაცვალა, მერე რა ვუყოთ ახლა, რატომ შვება ამას?..

— დღემდე ეს არ უქნია, — თვალეში ამოსივა ხელი. „ტირისო“.

— ღმერთო მომკალი, მაკას თვალეზე...

— ნუ ამბობ! — ბავშვმა ბებიას პირზე მიაფარა ხელი და გაიბერა.

— არა ბებია, სხვაზე ვამბობ, შეილო.

— ნუ ამბობ! — ამოიხიხინა გოჩამ და ცრემლით გავესო თვალები.

— არა მამიდა, არა, შენი ჭირიმე.

— არა ბებია, სხვაზე, ანეტა ბებიაზე, აგერ, ქვევით რომ ცხოვრობს, ილოს ბებიაზე, ილოს ხომ იცნობ შენ! შენ რომ ილომ... რა გაჩუქა შენ ილომ?

— გაჩუქდი!..

— კაი ბებია, არ ვიტყვი, არაფერს არ ვიტყვი. შენ ბებია, აქვსენტის ცაბუნისთან იყავი? რატომ არ მოიყვანე ჩვენთან, არ უთხარი მარგო მამიდა მო-

ვიდა და კამფეტები მომიტანა-თქვა? ხომ აჭამე, ბებია, ცაბუნის კამფეტი?

— არა!

— რავა შეიძლება, ბებია, ცაბუს შენთვის ყველაფერი მოაქვს და შენ...

— აწი აჭმევს, — ჩაუბრუნა მარგომ.

— აჭმევს, აბა არ აჭმევს! ჩადი ბებია, დიდი ხარ, დამლაღე. წადი ცაბუსთან, კამფეტი ხომ გაქვს ჯიბეში!

— არ წავალ!

— ჯიუტი ხარ, ბებია, ჯიუტი, შე გასაზრდელი!

მარგო დაბნეული და შეშფოთებული იყო. მას ატირებული მაკა ვერ წარმოედგინა და საწყალი სიმონი მკვდარიც კი ეგონა. უნდოდა, მაკასთვის ნუგეში ეცა. მაგრამ არ იცოდა, წასულიყო და მოეჭებნა, თუ დაეცადა, სანამ თვითონ მოვიდოდა.

— ორი ღლის წინ ვიყავი... გუშინწინ... სამშაბათს... ჭერჭერობით უკეთესობისკენაა და, ვნახოთ...

— მაკამ იცის... — ოძლის სახელი წამოცდა მაგდანას და ბავშვს შეხედა, — მაკამ ყველაფერი იცის...

— რა არ იცის, მისი ჭირიმე.

— მამა ნამეტანი უყვარს.

— ვინ უყვარს? — იკითხა ბავშვმა და წამოიწია.

— ბაბუაშენი, შვილო, შენი კარგი სიმონ ბაბუა, შენ ხომ იყავი ბაბუსთან?

— ბაბუა ავადაა.

— ჰო, ავადაა და კარგად იქნება.

— მაკას ყველა უყვარს... — მარგო მოუსვენრად ტრიალებდა სკამზე, — მივალ და ვეტყვი რამეს, მარა მეშინია, ამაყია ჩემი მაკა და არაფერი ვაწყენიო.

— არა, ნუ მიხვალ, თვითონ მოვა, თუ ჩამოგივდოს სიტყვა, თუ არა შენ არ უთხრა. ამ ბოლო დროს გენოც ერიდება, არაფერს არ ეუბნება...

მაკა მოგვიანებით გამოჩნდა, პალატში უკანა კარით შემოსულიყო. აივანზე გამოსვლისას, მარგო რომ დაინახა, გაიღიმა. გაიღიმა იმ ღიმილით, ძალზე მოწყენილობისას რომ ვინმე სასიამო-

ნოს დაინახავ, ერთი წამით გავიხარდება და გაგელიმება.

— მაკა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი...

— გამარჯობა, მარგო!

— ღმერთმა გამარჯვებული ამყოფოს ჩემი მაკა.

— როგორ ხარ? შენი ქალიშვილები...

— კარგად ვართ, შენი წყალობით.

მაკას ისევ წამიერად გაეღიმა.

— მე რას ვიკეთებთ. ჯაბა როგორაა?

— კარგად, ჩემო მაკა, კარგად; ეს სამი დღეა არ დამთვრალა და ახლა ამისთვის იღრინება.

— შენ დაუშალე?

— მე?! — გაუკვირდა მარგოს და მაკას თვალბში შეხედა, — შენ რომ არ იცი, ისეთი რაა...

— მე არაფერი არ ვიცი, მარგო.

— რაა, შენ რომ არ იცი და, მე რისი დამშლელი ვარ, ჩემგან დაიშლის?

— რავა, უარესს ხომ არ იზამს?

— არა, როგორც მას უნდა, ისე იზამს... ამდენხანს ხმა არ დაუძრავს ბიჭისა და მერის დაბატიებებზე; მე ხომ ვერ ვახსენებდი იმათ სახელს, სანამ თვითონ არ მოიგუნებებდა.

„ამ ქალს უყვარს ის კაცი, ისე უყვარს, რომ მასზე ცუდ ფიქრს გუნებაშია ცერ გაივლებს“. — გაიფიქრა მაკამ და ჩაჰკითხა:

— ვერც დედამისი?

— დედამ კი ჩაულაპარაკა, მაგრამ ჯაბამ წაუყრუა და მერე არც იმას უთქვამს.

„ესე იგი, შეუძლია თავი მოიყრუოს. არც ისე საშიშია ჯაბა, როგორც მარგოს ჰგონია, ან იქნებ უნდა კიდეც“.

— ახლა რაო?

— დასაბატიებლად მოვიდა, — ჩაუბრუნა დედამთილმა, — თქვენებთანაც ყოფილა.

— ჰოო, — მაკამ მეტი არაფერი თქვა, ისიც კი არ იკითხა, როგორ არიანო.

— ვიყავი, შენი ჭირიმე, ნამეტანი მერიდებოდა იმ ხალხის, ბიჭის... მამაშენი სიმონი... ღმერთმა კარგად ამყო-

ვის, როგორც მის შვილებს და მის გულს უნდოდეს, მერი პირდაპირ ლოცულობს ამ კაცზე.

— ბიჭი შინ იყო?

— არა, მე ადრე ვიყავი; სამსახურში იქნებოდა.

— სამსახურში... — გაიმეორა მაკამ და ისევ არაფერი თქვა. მარგო როგორღაც მიხვდა, აღარ უნდა გაეგრძელებინა სიტყვა მაკას თავის სახლზე, — ნამეტანი კი დაეგვიანეთ. შენს წინაშე დამნაშავე ვართ, მარა, ჯაბა, შენც ხომ იცი, ნაწყენი წამოვიდა და აქამდე არაფერი თქვა. ახლა, იმ შაბათ-კვირისთვის რაღაცას... შენ რომ გვეადრება ისე ვერა, მაგრამ არ შეგარცხვენთ... ჯაბამაც თქვა: მაკას რა ვუთხრა, თუ არაო... ხომ იცი... არა, ცუდად კი არაფერი უთქვამს ბიჭიკოზე, მაგრამ, ალბათ, ჯერ კიდევ არ დაუძახებდა.

„უყვარს, — გაიფიქრა მაკამ, — იქნებ ასეთი მამაკაცები გვჭირდება ქმრებად. იქნებ ქალები სულ რომ გავგათავისუფლონ ქმრების რიდისაგან, მართლაც არ გვეყოს ნებისყოფა, თავი დავივიროთ...“

მარგო დიდხანს არ გაჩერებულა, — ახლა მეტისმეტად ბევრი საქმე გვაქვსო და წავიდა. მაკამ იცოდა, მას რაღაც კიდევ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ გაბედა.

„ნეტავ რა უნდა ეთქვა, ნეტავ რა უნდა ეთქვა.“ — იმ საღამოს საფიქრალს ესეც დაემატა.



ის-ის იყო ეზოდან გადმოვიდა, რომ ავტობუსმა აიარა. სხვა დროს, მიბრუნდებოდა დეიდასთან და ერთხანს კიდევ ილაპარაკებდა, ახლა კი შინ მიეჩქარებოდა. ათასი საქმე უცდიდა და ორი ბავშვი, ავადმყოფი დედამთლის ამბრა მიტოვებული. ბევრი დროც რომ ჰქონოდა, უკან მიბრუნება ეუხერხულებოდა. მაკამ არც კი გამოაცილა. აივანზევე დარჩა. სანამ მარგო მათთან იყო, თითქოს უნდოდა, მალე წასულიყო, მერე კი, როცა გზას დაადგა, არ გამოაცილა. მარგოს მოეჩვენა, რომ რძალს მანაც

გული დაწყდა. ჭიშკართან მისულმა მარგო იხედა და მაკა აღარსად ჩანდა. აღარც დეიდასათვის უთქვამს რამე. რაზეც ილაპარაკეს, მარტო ის არ უნდა ყოფილიყო მაკას უხასიათობის და გულყრილობის მიზეზი, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი უთხრეს და მარგო ფეხით დაადგა გზას: ავტობუსის ხელახლა ჩამოვლამდე კოდის წყაროსკენ გადაეუხვევ, გზას მოვიმოკლებო. იქნებ სხვა დროს მაინც ავტობუსისათვის დაეცადა, მაგრამ დღეს ჩქარობდა. თუ აქამდე დეიდასთან მისვლას და იქ ყოფნას არაფერი ერჩია, ახლა რატომღაც უნდოდა იქაურობას ვასცლოდა. ვითომ უამრავი საქმე მაქვსო, რაც მერი წავიდა, მას აქეთ ყველასთან ასე ვარ, ერთი წუთით ვერ ვჩერდებით, მაგრამ რაღაც სხვა აწუხებდა, მაკა ედარდებოდა და მასზე ფიქრი არ შორდებოდა.

გზა ჯერ დაბლა მიყვებოდა ბილიკს, მერე გაივარა, მალე ისევ დაღმართი დაიწყო. გამოჩნდა რცხილნარი. ტყის დასაწყისში კოდის წყარო ეგულდებოდა. ერთ ღამეს იქედან ჯაბამ შუალამემდე არ გამოუშვა. შინ რომ მოვიდა, გენო ისევ დაუძინებელი დახვდა და საწყალ გოგოს სული კინალამ კოჭებში გაეპარა.

„იქნებ ცოლ-ქმარს შორის მოხდა რაღაც... იქნებ ჩემი ძმა ლალატობს, ან სხვა უყვარს... მაკას პატრონი სხვაგან უნდა იხედებოდეს? მაგრამ რას ვაივებ, კაცისას მაინც ვერაფერს ვაივებ... „მარგომ ახლაც არ იცის, ჯაბა როგორი კაცია. აჰ, ამ წყაროსთან რომ იდგნენ შუალამემდე, ეშინოდა მისი და იმიტომ ვერ გაეხედა შინ წასვლა.“

ჯაბასი გოგოებს ყველას ეშინოდა. მარგო ბიძასთან რომ იყო, პირველად იმ საღამოს შეხვდა. ბიძაშვილები ეხუმრებოდნენ, კინოში წავიდეთ, ლიბრაძეს გავაცნობთო. თამამი და მზიარული გოგოები ამით მარგოს მორიდებულობას და სისაწყლეს დასცინოდნენ. ჯერ ბიჭს არ დალაპარაკებია, ჯაბა აუხსნის სიყვარულსო. მარგოს ლიბრაძე შეეცოდა... ნუთუ მასთან ლაპარაკი არავის არ უნდოდა, ან რით იყო ასე საშიში. „შემ-



კამს?“ გულუბრყვილოდ იკითხა. გოგონებს გაეცინათ. „რას მიზამს?“ — ისევ იკითხა მარგომ. ბოლოსდაბოლოს რა უნდა ექნა, ვერცერთმა ვერ თქვა. — ამ საღამოს ნახავ და თვითონ მას ჰკითხეო, — უთხრეს.

მარგოს მართლა მოუნდა ერთხელ მაინც ენახა ეს ბიჭი. არაფერი ცუდი არ ეთქვა, არ ეწყენინებინა და რას ეტყობოდა, ან რას ჩაიდენდა?

საღამოს კლუბის ეზოში იდგნენ. ბევრი იყვნენ იქაურებიც. ჯერ ბილეთებსაც არ ჰყიდდნენ. რაზე არ ლაპარაკობდნენ, ვისზე არ ხუმრობდნენ. ღიბრაძე ყველამ დაივიწყა. მარგოს ძალიან უნდოდა, მასზეც ეთქვათ რაიმე, მაგრამ მალე ნიავეით გადაიარა: ღიბრაძე მოვიდა, თუ მთვრალია, ამაღამ კინოს ვერ ვნახავთო. გოგოები ნელ-ნელა სინათლისაკენ გაილაღნენ, ჩურჩული და სიცილი შეწყვიტეს.

— მთვრალია, — თქვა ვიღაცამ.

მარგომ კლუბის ეზოში მალალი, თვალზე ჭედნამოფხატული კაცი დაინახა. მაშინ მარგოს მისი ერთმანეთზე გადაბმული სქელი წარბები არ შეუნიშნავს.

— ჯაბას გაუმარჯოს! — მოაძახეს ბიჭებმა, მაგრამ ახლოს არავინ მისულა.

„ნუთუ ყველა ერიდება? — გაუკვირდა მარგოს, — ბიჭები მაინც რატომ არ მიდიან, ან ეს ბავშვები სად გარბიან, რომ არავის არაფერს ერჩის?“

ჯაბა შუა ეზოში დადგა და მიიხედ-მოიხედა. ყველა გაილურსა და მიაჩერდა, აბა რას იზამს, აბა რა მოხდებაო. მარგომ არ იცოდა, რა ექნა, თორემ საოცრად შეეცოდა ეს ბიჭი. ჯაბამ ჰაპირისს მოუყიდა. ჩაახველა. კლუბის კარებთან მივიდა, შიგ შეიხედა. გამობრუნდა. დადგა. გააბოლა.

„თუ ყველამ ასე უყურა, რაღაცას ჩაიდენს“, — ფიქრობდა მარგო.

ჯაბამ ჰაპიროსი გადააგდო და ერთბაშად წამოვიდა. გოგოებმა ისივლეს და გაიფანტნენ. მარგოს ყოველთვის და ყველაფრის ეშინოდა. ახლა კი უკვირდა, პირიქით. ღიბრაძისკენ მიუწვედა გული.

„მარტო რომ ვიყოთ, მე თვითონ მივალ“. ფიქრობდა და როცა ღიბრაძეს ყველა გაქეცა და ხელში ეს სუსტი, უცნობი, კრავივით გოგო შერჩა, რომელიც არსად წასვლაზე არ ფიქრობდა, დაიბნა. იხტიბარი წაუხდა. ხელები ასწი-დასწია. თვალეშიც ჩახედა. მარგომ მაშინ დაინახა მისი წარბები და ერთი კი გადაუქანდა გული, მაგრამ ღიბრაძემ მოუღრდნელად გაიცინა და ისევ გრძელი და უსწორმასწორო კბილები გამოაჩინა. მარგოსაც გაელიძინა: ამ კბილების პატრონს რა აცინებსო. ღიბრაძემ გაცილებული მარგო რომ დაინახა, მაშინვე კრიქა შეიკრა. ამ გალეულ, გაღიმებულ გოგოს ჩააჩერდა და მერე თავისთვის გაიღიმა. მარგო იდგა და უყურებდა, სულ არ ეშინოდა მისი და ელომებოდა. ბოლოდა, ყველა მას მისჩერებოდა, უკვირდით მისი გამბედაობა. ღიბრაძე არ მოსწონდა, მაგრამ სიამოვნებდა, იგი ასეთი რომ იყო. ის კი არა და კიდევ უნდოდა მისი უსწორმასწორო, გრძელი კბილები დაენახა.

— კინოში დაბატიყე!

— ბილეთი უყიდე!

— აჟოცე, ჯაბა! — დაუძახა ვიღაც ბიჭმა.

ახლა კი შეეშინდა მარგოს, ეგონა, მართლა რომ მაკოცოს, მეტი აღარ დავრჩებიო.

ჯაბამ თვალები გადააბრიალა. მარგომ მოიხედა და გვერდით ბიძაშვილი გოგოები დაინახა.

— კარგი ბიჭია! — თქვა მარგომ თავისი გულის სიმატლით.

— კინოში უნდა დაგბატიყო! -- ისევ გამოაჩინა კბილები ღიბრაძემ.

— ჩვენ კინოსთვის მოვედით, — ისევ გულწრფელად თქვა მარგომ.

— რა გქვია?

— მარგო მქვია.

— ამათი სტუმარი ხარ? — ღიბრაძემ თვალით ანიშნა აქეთ-იქით მდგარ ქალიშვილებზე.

— ჰო, ჩემი ბიძაშვილებია. მე დეიდასთან ვცხოვრობ, მან გამზარდა... კი-



დევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იქნებ ამდენი საჭირო არააო.

— ხშირად რატომ არ დადიოდი!

— რა ვიცი... აწი ვივლი.

მართლა დადიოდა მერე მარგო და ხედებოდა ჯაბას. ჯაბა კინოს მერე სახლამდე მიყვებოდა. ბიძაშვილებს გარეკავდა; როცა მარტო რჩებოდა, მარგო ხედავდა, ლიბრაძე ხელებს მუშტად კრავდა, კბილს კბილზე აჭერდა, ყბის კუნთი დაჭიმული ჰქონდა და ქალიშვილი გრძობდა, ვაქს კოცნა უნდოდა. მარგოს ამისი ეშინოდა და ჯაბაც ვერ კოცნიდა.

შინ მისულ მარგოს ბიძაშვილები მიესვლინენ, რა ვითხრა, ხომ არაფერი გაუბედიოაო. და, მარგო რომ იტყოდა, ახლოს არ გამკარებიაო, მის სიმართლეში ეჭვის შეტანა უჭირდათ, თუმცა არ სჯეროდათ.

გენოს რომ მაკა ითხოვა, ქორწილში მარგოს ბიძის და ბიძაშვილებსაც დაუძახა. თვითონ მარგო გამოგზავნეს დასაპატიებლად. შელაძეებისას, უკან მარტო მომავალს, სწორედ ამ კოდის წყაროსთან დახვდა ლიბრაძე. გაუხარდა კიდევ მისი დანახვა. მალე ჩამობნელდა და მარგომ თანდათან იგრძნო შიში. ვინ იყო ეს თავზეხელაღებული ბიჭი, რა საერთო ჰქონდა მასთან, იმ სიბნელეში წინ რომ უდგა და თითებს იმტერებდა. მარგოს უცებ მოუნდა გაქცეულიყო. იმ დღეს გაიგო ბიძაშვილებიდან: წინა კვირაში, დაბაში, სადაც ლიბრაძე მუშაობდა, უფროსთან უთანხმოება მოსვლია და დირექტორს დროზე რომ არ გაესწრო, მოკლავდაო. გაახსენდა ეს და ცახცახმა აიტანა. „შინ რომ არ გამიშვას, მე ამის ცოლად რა მინდა, ჩემიანები გაიგებენ, არ შეარჩენენ და ძმას მომიკლავს ეს არგასახარელიო. გენოს კოლი მოჰყავს, კარგი გოგოაო, აქებენ. ახლა უნდა იმას სიხარული და სიცოცხლე, რაღა ყველაფერი ჩაეაშხამე მე სამიწემ“.

ჯაბა წყაროს თავზე იჯდა და ეკითხებოდა: რატომ არ დაიცადე, რატომ კინოში არ წამოხვედიო. მარგო უხსნიდა:

ძმას ქორწილი აქვს, საქმეზე გამომგზავნეს, არ შემეძლო ვაჩერებო. ჯაბა თითქოს ეთანხმებოდა და მერე ისევ კითხულობდა, რატომ არ დაიცადეო. მარგო ისევ პასუხობდა და ლიბრაძეც ისევ იჯერებდა, მალე ისევ თავისას ამბობდა: შენმა ძმამ ვითხრა, არ მოიცადეო? მარგომ არ იცოდა რა ეპასუხა, მაგრამ გენოსთვის მაინც არ უნდოდა დაებრალებია. მე ქალი ვარ, კაცს, ვინ იცის, რას შეამთხვევს, ან არ ვაბრაზდეს და ამაღამ სულ არ გამიშვასო და, ყველაფერს თავს იდებდა: მე წამოვედი, მეგონა, ასე ჯობდაო.

უკვე გვიან იყო. ლიბრაძე ისევ ზიტად იჯდა წყაროს თავზე. მარგომ იფიქრა, მოდი მივალ, ვაკოცებ და ვეტყვი, შინ გამიშვას; ალბათ ამიტომ მაჩერებს და თვითონ რომ მომვარდეს, უარესიაო.

მიუახლოვდა, შეჩერდა, წინდაწინ მიიხედ-მოიხედა. — „რომ არ გამიშვას“. გასაქცევს დაუწყო ძებნა. „სახლისკენ არ, წავალ, თორემ შეიძლება სოფლამდე მომყვეს“. იცოდა, ვერსად ვერ წაუვიდოდა და მაინც გზას იფულებდა. იდგა მის წინ და ვერ გაეხედა, თორემ უნდოდა დაეჩქარებია ის, რაც უნდა მომხდარიყო. მიახლოება მაინც ვერ შეძლო. შებრუნდა. მერე კი გაიქცა, მაგრამ იგრძნო, არავინ მოსდევდა და გაჩერდა. მიხვდა, ვერაფრით ვერ გაექცეოდა. უკან მობრუნდა და ისევ წინ დაუდგა, აკანკალდა და დაიჯერა, — ამ კაცს იგი ვერ მოშორდებოდა, ეს შიში მას ყოველდღე უნდა ჰქონოდა. უამისოდ ველარ გაძლებდა.

იმ დამეს, როცა ლიბრაძემ ხელში ბავშვივით აიყვანა, გულზე მისისრისა და ქვედა ტუჩი და ყბა მოაჭამა, კინაღამ სული გაძვრა, მაგრამ ვადაწყვიტა, არავისთვის არაფერი გაემხილა და როგორმე მოეხერხებია, მალე ისევ უკაცრიელ ადგილას ჩავარდნოდა ხელში ლიბრაძეს.

●
ავტობუსის ორი გაჩერების შემდეგ ერთხანს ფეხით უნდა ევლოთ. მერე

მხრებგაშლილი ხეებით დაბურულ ორ-
ლობეში შეუხვევდნენ და სულ რაღაც
მეხუთე-მეექვსე მოსახლეში მასპინ-
ძლის ჭიშკარს მიადგებოდნენ.

ორლობეში გზა მოუხრეშავი იყო და
ავღრიანში ლიბრაძეების სტუმრობა
მართლაც ჭირდა. მარგო მთელი კვირა
ვევდრებოდა ზეცას, არ გაწვიმებული-
ყო, მაგრამ შაბათ საღამოს მაინც მოი-
ლრუბლა.

მაკამ იცოდა, წაუსვლელობა არ იქ-
ნებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, ბიჭი ცო-
ლოურობას ტყავადის გარეშე არ მივი-
დოდა. ჯუმბერი ამ შემთხვევას ხელი-
და არ გაუშვებდა; იქ გენოც უნდა ყო-
ფილიყო და ქალს, მათ ერთად დანახ-
ვას, სად იყო თუ არა, სიკვდილი ერ-
ჩია. წაუსვლელობა, მითუმეტეს, არ
შეიძლებოდა, გენო უკვე ყველაფერს
ანგარიშს უწევდა და, გარდა ამისა, მარ-
გოს და მერის, თუ მაკა სადმე ცოცხა-
ლი ეგულებოდათ, რა მოასვენებდათ
და უიმისოდ ლუკმა ყელში როგორ გა-
დაუვიდოდათ. სხვა გზა არ იყო, მაკას
ისევ უღვთოდ უნდა ეცრუა. უნდა ეც-
რუა მარტო ქმრის წინაშე კი არა, ყვე-
ლას: შვილისა და მამის, დედისა და დე-
დამთილის, ძმისა და რძლის, ყველას
წინაშე, — ვინც უყვარდა. ყველასთვის
თვალში ნაცარი უნდა მიეყარა, ვისაც ის
საფიქრად მიანდდა და მართლა რომ
თვალში ჩავარდნოდა, ხელს არ ამო-
ისვამდნენ, თანაც ცალ-ცალკე კი არა,
ერთად, ერთმანეთის თანდასწრებით.

ამას იქით აღარავინ რჩებოდა, რომ
მაკას მასზე ეფიქრა: ეს ჯერ თვალსა და
ხელს შუა არ გამოიტურებიაო...

წაუსვლელობა კი არაფრით არ იქნე-
ბოდა. წინა დღითვე ოცნებობდა, იქნებ
ხვალ ავად გავხდე და ვერ შევიძლოო.
ღამით ორჯერ გამოვიდა პერანგის ამა-
რა და კარგა ხანს იღვა გარეთ, მაგრამ
ისეთი თბილი და ჩახჩახა ღამე იყო,
ცხვირიც კი არ დაუცემინებია.

„წელს გენოს რომ ის წიგნი არ აეკ-
ვიატებია და ახალი კიბე გაეკეთებია,
ქვაზე დავჯდებოდი და გავცივდებო-
დი“, — ეს გაიფიქრა და მერე თავის

თავს დასცინა: „ქმარს ხომ არ გინდა და-
აბრალო?“ — და ოთახში თითის წვე-
რებზე შეიპარა.

ღილით უნდოდა რაღაც დაეღია ისე-
თი, რაც დიდ სიცხეს მისცემდა, მაგრამ
რა იყო ეს „რაღაც“, არ იცოდა. ვერ გა-
იხსენა, ასეთ რამეზე ოდესმე ეფიქროს,
ან სადმე წაეკითხოს.

წაუსვლელობა არ ხერხდებოდა.

მზე აიწია, აიწია, გაშუადლდა. ეგო-
ნა სიცხე მომცაო, გაისინჯა, არაფერიც!
მერე, როცა წასვლის დრო მოახლოვ-
და, ზევით-ქვევით აიტეხა სიარული. სა-
ხელდახელო ხის კიბის მეოთხე საფეხუ-
რი კარგა ხანია დანჯალედა. ზევიდან
ჩქარა ჩამორბოდა, პირველ საფეხურზე
მარცხენა ფეხს დგამდა, მერე მარჯვე-
ნას, მერე ისევ მარცხენას და მეოთხეს
მთელი სიმძიმით აწევებოდა, უფრო —
დახტომის მსგავსად. საფეხური დაიჭრი-
ალებდა, მაკა ქვევით ჩამორბოდა.

გენო აღრე მოვიდა.

„ღმერთო ჩემო, რა ეჩქარებოდა.
რომ იცოდეს, სად მიდის... მთელ ქვე-
ყანაზე ამაზე სასაცილო კაცი არაა“, —
გაიფიქრა, როცა ქმარი ეზოში შემოვი-
და. კიბის თავში ნაჯდები ფეხის საწმენ-
დი ჯვალო გასარეცხად წაიღო. „მე აღ-
ბათ არ ვიცი ჯავრი, — ტომრის ძველას
წყალში უშვებდა და გულდაგულ რეც-
ხდა, — მე, ალბათ, ვერ განვიციდო... დიდ
დარღზე და სატკივარზე გონება ეკარ-
გებათ, გული მისდით, ლოგინად ვარდე-
ბიან, მე ალბათ, ამ ამბავს ვეგუები, ალ-
ბათ მალე აღარც კი ვიწუხებ და ყვე-
ლას თვალს გავუსწორებ“, — ცრემლე-
ბი მოერია და უცებ მიიხედ-მოიხედა,
არავინ მიყურებდესო.

„ბოლოსდაბოლოს, რასაც მე მივალ-
წიე, ესაა, რომ შემიძლია ვიტყვო და
მერე ერთგვარი შვება ვიგრძნო. შვება
კი არა, დაღლა. ჩემთვის ტირილიც კი
იმდენად მძიმეა, რომ ვიღლები და მერე
ფიქრიც აღარ შემიძლია... ვტირი და მე-
ტი არაფერი... ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე
საცოდავი ვიყავი ყოველთვის და ამის
მეტი არ შემეძლო?“

წასვლისას ველარაფერს ვერ მიაგნო,

ვერც ტანსაცმელი შეარჩია, ვერც წინ-
ღები იპოვა. მარტო იმლაშინდელი კაბა
ახსოვდა, კარადის უკან რომ ჰქონდა
გადავადებული და არასოდეს მის ჩაცმას
არ აპირებდა. „იმ კაბაში გენომ არ უნ-
და მნახოს, „ეგონა, გულსაპირზე სისხ-
ლი აცხია და აღარ გამოცილდებაო.
როცა გზას დაადგენ, გენომ შენიშნა:
წინდას თვალი ჰქონდა გაქცეული, მაგ-
რამ მაკამ არ შეიშინია, ვითომ არ ვი-
ცოდო.

ავტობუსიდან ჩამოვიდინენ და ფეხით
გაუყვანენ. იღრუბლებოდა და გრილი,
ქვენა ქარი უბერავდა. გოჩა გენოს მი-
უძლოდა წინ და ახალი ფეხსაცმლით შა-
რაზე ქვებს მიაგორებდა, ხანდახან დე-
დას მოხედავდა: რატომ არ მიჯავრ-
დებაო.

მაკა დაჟინებით მიჩერებოდა მამის
წინ მიმავალ შვილს და უნდოდა გამო-
ეცნო, უდებოდ რომ დარჩეს, ძალიან
ხომ არ დამეჩავრებოდა. ნანობდა, ადრე
რომ უშლიდა ფეხით ქვების გორებს,
ვთუ თუ დაამახსოვრდესო.

მაგდანას ფეხის ცერთან დაგროვილი
მარილები სიარულს უშლიდა და მოშო-
რებით მოდიოდა. მაკას უცებ მოაგონ-
და, ბავშვს რომ მივმეტერებოდა, გენომ
რაიმე არ მკითხოსო და ჩამორჩა. მაგ-
რამ ვერც დედამთილის გვერდით იარა
და ისევ დაწინაურდა. როცა ღობრაძე-
ვისაკენ ორღობეში გადაუხვევს, იგრ-
ძნო, რომ დადაბლდა. მერე მიხვდა: მარ-
თალია, გზა მშრალი იყო, მაგრამ ფეხ-
საცმლის წვრილ ქუსლებს ვერ იმაგ-
რებდა ნაჩრდილავი, მოუხეშავი მიწა.
გენოს გოჩა აეყვანა ხელში და მიაბი-
ჯებდა. დედამთილს მხოლოდ იმ მარი-
ლების გამო უჭირდა სიარული, მაკას
ფეხსაცმლის ქუსლები კი ეფლობოდა.
მიწას ვემძიმებო, გაიფიქრა მაკამ. მო-
ავონდა: ეს გუშინაც იგრძნო, სკოლიდან
რომ ბრუნდებოდა. სად იგრძნო, ვერ გა-
იხსენა. ახლა ხედავდა: კარგა ხანია არ
უწყვიძია. ორღობე დაჩრდილულია და
მიწა გამომშრალი არააო, მაგრამ ვერ
იქნა და ვერ მოიცილა აზრი, მიწას ვემ-

ძიმები, ზედ რომ დავდივარო... მიწას
ვემძიმები და არ უნდა დავდიოდვარო.

გოჩა, გენოს თავს ზემოთ, გზაზე ჩა-
მოხურულ ტოტებს ეპოტინებოდა,
ფთობებს ბლუჯა-ბლუჯა გლეჯდა და
დედისაკენ ისროდა.

„უჩემოდ გასძლებს, არ დიჩავრება,
პირიქით, ჩემთან უფრო ცოდვა იქნე-
ბა, როცა ყველა გაიგებს, რა დედაც
ჰყავს და წამოძახებენ. მე თვითონ თუ
დავკარგე სიამაყე, თუ ჩემი ქმარი საბ-
რალო და შეგინებულა, შვილი მაინც
უნდა დაეინდო...“

გენო შეჩერდა და უკან მოიხედა.

— ჩამოდი! — უთხრა ბიჭს და ჰიშ-
კართან, ბოგირის შემადლებამზე დაუშ-
ვა.

„მივსულვართ“ — გაიფიქრა მაკამ და
მესერს გადაღმა, ეზოში გადაიხედა. ხე-
ხილით დაბურულ მწვანე კოინდარში
ღია ყავისფერი „პობედა“ იდგა სახლის
გვერდით, ჰიშკრისაკენ პირმოზრუნებუ-
ლი. „მე ვეტყვი ტყავაძეს, ჩამომეხსნას,
თორემ თავს მოვიკლავ...“

ჰიშკრისაკენ ხელნებავილი მარგო
გამორბოდა, ბედნიერი ღიმილით.

„ნეტავი შენ მარგო, ნეტავი შენ...
როგორ მშურს შენი...“

აივნის კუთხეში ვილაყეები ნარდს
თამაშობდნენ, მაგრამ მათ შორის ტყა-
ვაძე არ იყო. სანამ მარგო ჰიშკართან
მოვიდოდა, კიბეებზე მერიც გამოჩნდა.
ისიც უსაზღვროდ გახარებული.

„ესეც ბედნიერია, — ფიქრობდა მა-
კა, როცა ეზოში ჩავიდა, — ჩემზე უბე-
დური ამ ქვეყნად არავინ არაა, არა-
ვინ...“

●
ტყავაძე იმ საღამოს ღობრაძეების
სტუმარი არ ყოფილა. ამან მაკა პირვე-
ლად ჩააფიქრა მის დიდსულოვნებაზე.
იგი ერთხანს გახალისდა კიდევ, რომ
იმ ღამით მაინც აცილდა აუტანელ
სიცრუეს და თავისთავისადმი უპატიე-
ბელ ზიზღს. „ტყავაძე მარტო ვნებიანი
მანქანა არაა“, — ფიქრობდა და ოდნავ
შეებდას გრძნობდა.

მარგო და მერი იმდენს ზრუნავდნენ მკაცრად, რომ უნდოდათ, ყველაფერი მისი სიამოვნებისად გაეკეთებინათ. მარგოს ავადმყოფი დედაპილი, რომელიც დასიებული ფეხებს ძლივს დაათრევდა, როგორც კი ტყუპებს მიადინებდა, მაშინვე ოთახიდან გამობაჩუნდებოდა და მკაცს მოძებნიდა. მის ხელს აიღებდა, თავის ავადმყოფურად აფუცებულ ხელეში მოიქცევდა და ასე, დამსხვილებული თითებისათვის შეუფერებელი სინაზით ეალერსებოდა, რაკი მის სახლში მხიარულ სტუმრებს და მერსა და მარგოს კმაყოფილ სახეებს ხედავდა.

— ღმერთმა გიშველოს, შვილო, ღმერთმა გიშველოს, — ჩიფჩიფებდა თავისთვის.

ჯაბა ღიბრამეც მკაცს სადღეგრძელო ცალკე მოსთხოვა თამადას, ერთ ხელში სასმისი აიღო, მეორე მუშტად შეკრა და თქვა:

— ლევაგას ქალო, იცოდე, ჯაბა შენი ძმაა! — რატომღაც ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა მისცა. სუფრას გადახედა და დაუმატა: — მე დიდი ხათრი მაქვს შენი!

მკაც მიხედა, ჯაბა ამას ბიჭიკოს ვასაგონად ამბობდა: თუ ამ საქმემ ასე ჩაიარა, შენს დას უმადლეო, ბიჭიკომ ერთი კი გადაატრიალა თვალები და მერე თვითონაც თავშეკავებით და ერთგვარი ღირსებითაც კი ადღეგრძელა და.

„მერის მოუხდენია გავლენა, — მიხვდა მკაც — მაგრამ მერის ეს „გავლენის“ მიზნით კი არა, უბრალოდ, სიყვარულით და სიყვითით თავისთავად გამოუვიდოდაო“. ამის შემდეგ იგი გენოს თვალს წააწყდა: ყოველივე ამის ღირსი ხომ ხარ, ჩემო მკაცო? — ეს ამოიკითხა მის მზერაში და გუნება ერთბაშად მოეწამლა. მალე დალილობა მოიმიზეხა და უკანა ოთახში, სადაც ტყუპებს ეძინათ, საწოლზე გაუხდელად მიწვა.

„მე ყველას ვაყრი თვალში ნაცარს. არავინ არ იცის, რომ ვლალატობ... მართო ამით კი არა, ჩემს თავსაც ვატყუებ.

მე საყვარელი ვარ იმ კაცის, რომელიც მძულს... და არც ამას ვინანებდი, რომ ქმარიც მძულდეს. მე მიწას ვემძიმები...“

გარეთ ქვენა ქარმა მოუბერა და მალე ლაფაროში წვიმა აჰყაპუნდა. მკაცს თითქოს შეეშინდა, ნაწვიმარი მიწა სულაც ვერ გამძიდლებს და შიგ ჩავიძირებო. მალე შემფოთებული მარგო შემოვარდა: შენ შემოგველე, ხომ არაფერი გაწუხებსო. მკაცს ახლა მისი გულწრფელობა ძალზე მომაბეზრებელი ეჩვენა და ცოტა უხეშადაც კი უთხრა: მარტო დამტოვეო.

მარგო გულნატკენი წავიდა.

— ბავშვებმა არ გაიღვიძონ და არ შეგაწუხონ, — უთხრა გასვლის წინ.

ხუთ წუთს არ გაუვლია, მერი შემოვიდა. უხზოდ, თითის წვერებზე შემოიპარა და საწოლზე ჩამოჯდა. ხელი მკაცს ხელს დაადო.

— გაწვიმდა, — ჩურჩულით თქვა მერი.

მკაც მიხვდა, თუ ატალახდებოდა, ხვალ მანქანა ვერ გავიღოდა შარაგზამდე.

„ტყავაძემ მანქანა გამოატანა ბიჭიკოს, რომ დამენახა და მეფიქრა: შეეძლო მოსვლა და არა ჰქნა, არ ჩამაყენა უხერხულობაში. თუ ამაღამ იწვიმა, ხვალ ვერ მნახავს. ერთი დღე მაინც შემეტძლება ისე გავიარო, უკან მოხედვისა არ შემეშინდეს“.

— მამას გული წყდება, მკაც ჩამოსასვლელად ვერ მოიცალო, — თქვა მერიმ ნაზი ბოდიშით: იქნებ არც გინდა გელაპარაკო.

„მამაჩემო... — გაახსენდა მკაცს, — რამდენს ვწუხდი მამაჩემზე და ახლა აღარც კი მაგონდება“.

— საწყალი მამაჩემო! — ესლა თქვა და თვალეში სისველე იგრძნო, — „ბავშვივით ვტირი!“

— არდადეგები რომ დაიწყება...

— მერი, სინათლე ჩააქრე, არავინ შემოვიდეს.

— კი, — მერი ადგა, ღილაკი გადას-

წია და უკან მობრუნებულმა ისევ ის ადგილი მოძებნა, სადაც იჯდა.

— როგორაა?

— უკეთესადაა, მაკა, გენაცვალე...

„მაინც დამინახა, ან იგრძნო, რომ ვტირი, როგორმე უნდა გავმარტოდე.“ — გაიფიქრა, მაგრამ, რაკი ბნელოდა, ვერ ჰქნა, ცრემლი ვერ შეიკავა.

— არ ვიცი, მერი, არ ვიცი...

— ჰო, თუ დრო გექნეს...

— არ ვიცი...

იმ ღამეს წვიმა დიდხანს არ გავრძელებულა. ხვალ დილით ჯუმბერი მოვა, მანქანას მოაკითხავსო, — დაიჯერა და გვიან, როცა მარჯო ფერხითი შეუწყვა, ლოგინიდან წამოვარდა, ტყავაძე მოსულაო.



დილით უთენია დაადგა გზას. მივიდა სახლში და მთელი დღე გარეთ არ გამოსულა.

ორშაბათს სკოლაში წავიდა და ჯუმბერიც გამოჩნდა. იმის შიშით, წამიყვანს და დაღამებამდე აღარ გამომიშვებსო, აკანკალებულმა ესლა მოახერხა: — დღეს არა, იღონდ დღეს არაო, და მანქანაც მალე მიეფარა თვალს.

„დამიჯერა, — ელაპარაკებოდა ქუჩაში მარტო მიმავალი თავისთვის, — ალბათ, რაც ძალიან დაბეჯითებით მინდა, მიჯერებს და, ვაი თუ მის ჩამოშორებას გული მეც მიშლის და ამიტომაც, თავს რომ არ მანებებს“.

ორი დღის მერე, როცა კიშკრიდან გამოვიდა, დარწმუნდა: გაკვეთილზე თავბრუ დამეხვევა, ან გონს დავკარგავ, როცა გამოსვლის ზარი დაირეკებო და ეზოში შებრუნდა.

ოთახში ჩაიკეტა და თავს აუტყდა: გული არ წაგივიდოდა, მაგრამ რომ დამინახავდი, ხელს ჩაიქნევიდი: „ჩემზე ძლიერია, დღესაც დამიმორჩილებს“ და უარს არ ეტყობი. ჩაუჯდებოდი...

გენოს გამოჩენამდე საწოლიდან არ წამომდგარა. საღამოს ქმარს ექიმთან წაყოლა თხოვა. ექიმმა უგულოდ მოუსმინა — თავის ტკივილი და გულის ფრი-

ალი მაქვსო, ქალმა რომ იცრუა და გრძლად ჩამოხეულ ქალღღმზე რეცეტი დაწერა.

„ერთი ტყუილი კიდევ ვთქვი, ნეტავ სანამდე მივიყვან თავს?“ — ფიქრობდა გზაში, როცა გენოსთან ერთად შინ მიდიოდა. „გენო გრძნობს, რომ ვტყუი, მაგრამ არაფერს მეუბნება, ჩემი პატიოსნების იმედი აქვს, თუ საპატრებელია შენი სინდისი გაპატრებსო“... თუ საპატრებელია, შენმა სინდისმა გაპატროსო, — ვაიმეორა და მერე, იმდამინდელივით, „მიწას ვემძიმებო“, რომ ამოიჩემა, ახლა ამას არ მოეშვა: თუ საპატრებელია, ჩემმა სინდისმა უნდა მაპატროსო!

პარასკევს, დილიდანვე გადაწყვიტა: მალე არდადეგები დაიწყება, მამჩემს ვნახავ, იქიდან ნუცასთან გადავალ და თვალებს ამოვკაწრავ, როგორც ვადამკიდა, ისე ჩამომაშოროს, — თითქოს თავი დააიძედა და იმ დღისთვის ბედს შეურჩედა: ველარ გავეკაცევიო და დედამთილს დაუბარა: ჩვენს მასწავლებელს, — მერის მეგობარს, — ელიკოს თოთო ბავშვი ჰყავს ავად, გამოუღებელია საწყალი, ჭავრით არ იქნება და შეიძლება შემავგიანდესო.

გაკვეთილების შემდეგ, განგებ არავინ დაიმგზავრა და, როცა ტყავაძის მანქანა მოქნილად მიძვრებოდა დაბიდან, მაკა მიხვდა, რომ იგი გაეყო თავის თავს. გაემიჯნა და მტრად გაუხდა. შეძრწუნებულმა დაიჯერა, რომ მასში ვიღაც ტყავაძის მხარეზე გადავიდა და დღეიდან ეს „ვიღაც“ ეცდებოდა, კიდევ უფრო დაემძიმებია მისი სინდისი და გზებს ისე დაუხლართავდა, რომ ყოველგვარ გამოსავალს მოუსპობდა.

იმ საღამოს ტყავაძემ დაიჯერა, რომ ქალი მას საბოლოოდ დანებდა...



რედაქტორმა მბეჭდავი ქალი გააფრთხილა, ცოტა ხნით ჰრავინ შემოუშვაო. კარი ჩაქეტა და მაგიდისაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

„გარდა სამსახურებრივი საქმეებისა“

უფლებას არ მივცემ, სხვა რამეზე მე-
ლაპარაკოს“; — გაიფიქრა გენომ და
წარბი შეიკრა.

რედაქტორი ღია ფანჯარას მიაწყდა,
მაშინვე მობრუნდა და გენოს გვერდით
ზამბარებმოშლილ დივანზე ჩამოჯდა.

„რაკი მაგიდას მოსცილდა, ჩემს პი-
რად საქმეზე უნდა მელაპარაკოს... ვი-
თომ იცის რაიმე? ნეტავ რა იცის? ან
რა მოხდა?... ნებას არ მივცემ, მკაცრ ახ-
სენოს...“

— გენო პორფირიჩ!

— ბატონო ირაკლი, თქვენ რაღაც
საიდუმლოს გამხელას აპირებთ.

— არა, გენო, რა საიდუმლოა.

„რო, ყველამ იცის და საიდუმლო
არააო?“

— თუ ეს ჩემს სამსახურს არ შეეხე-
ბა...

— ახლავე... საიდუმლო სულაც არაა,
ჩემო მეგობარო, ის რომ, თქვენ ნიჭიერ
ჟურნალისტი... თქვენ ნიჭიერი კაცი
ხართ... მე ხომ მენდობით?..

გენომ არ უპასუხა.

„ამ კაცის ჭერ არაფერი მესმის, რა-
ტომ მაქვს, თუ ცუდის თქმას არ აპი-
რებს!“.

— მე მენდობიან ამხანაგები, — იგი
ღვივლიან წამოდგა და ისევ ჩქარა გა-
იარ-გამოიარა, — გენო პორფირიჩ, მე
ღიღიხანია პრესაში ვმუშაობ, მე ჟურ-
ნალისტიკა ვამეგება, მე „კომუნისტში-
აც“ ვაქვეყნებდი წერილებს...

„აჰა, — მიხვდა გენო, — ამ კვირაში
რომ ჩემი მამხილებელი წერილი გამო-
ქვეყნდა, იმაზეა ლაპარაკი, — გულს
მოეშვა, — ან კი რა უნდა სცოდნოდა...
რა მოხდა ისეთი, რომ სცოდნოდა?..“

— პირდაპირ მითხარით! — შეაჩერა
გენომ.

— პირდაპირ გითხრათ?

— დიახ!

— გენო, მე თქვენ პატივს გცემთ!

— ვიცი...

— და გეტყვით, თქვენ ჩვენთვის არ
გცალიათ. თქვენ სწერთ...

— გენო წამოდგა. რაღაცის თქმა და-
აპირა, მაგრამ გადაიფიქრა. „რაკი სხვა

არაფერი არ იცის, ამაზე არ უნდა ვე-
დავო, მე იმ დღის მერე მართლა ცოტას
ვწერ“...

— ჩემი საქმე არაა, თქვენ რას აეც-
თებთ შინ... — „არ თქვა, წიგნზე მუშა-
ობო. ამით ჩემზე წინ დავაყენებო“, —
შენ ჩვენი თანამშრომელი ხარ.

— გასაგებია, — თქვა გენომ და კა-
რებისაკენ წავიდა. ირაკლი დაეწია,
მკლავში ხელი გამოსდო, — აქ ჭერ მე
ვარ უფროსი, როცა თქვენ იქნებით...
ჩემი თანამშრომელი ჩემთან უნდა იყოს!

„გაუხარდა, რომ დავუთმე და არ ვე-
კამათე. რატომ დავუთმე?“

— რატომ დავუთმე? — თქვა, როცა
თავის მაგიდას მიუჯდა, — ის მართალი
არ იყო, შურიტაა ვასიებული, რაკი
ზოგჯერ რესპუბლიკურ გაზეთებში მი-
ბეჭდავენ...

შაქროს ვილაც, ბეჭებში მოხრილი,
ახმახი შემოჰყვა. გენომ იცნო, ეს კაცი
რამდენჯერმე იყო შაქროსთან. თავმ-
ჯდომარეს უჩივის. ცოლი კოლმეურნე-
ობის მოანგარიშედ მუშაობს და ეჭვი-
ანობს, ალბათ, ნამდვილი არ იცის, ეჭ-
ვი კი აქვს და ჩივის, ხან რის ამბავს
მოიტანს, ხან რისას... ვერც ერთს ვერ
ამტკიცებს, ან თუ მართლა არის ისეთი,
რაც შეიძლება დაუჭერო, ლაპარაკად
არ ღირს: ქალები უყვარსო, ამბობს,
მაგრამ ვინ ქალებიაო თუ ჩაპკითხავ,
ვერ დაასახელებს. შაქრომ უთხრა, და-
უმტკიცეო. გაიცინა. გენომ იმ სიცილში
უმწეო. შეურაცხყოფილი კაცის ტკივი-
ლი დაინახა და გაიფიქრა: იცის, რომ
მის ცოლზე და თავმჯდომარეზე ლაპა-
რაკობენ, ცოლი უყვარს და საბუთს
ეძებს, ვითომ ჭორებს არ ჰყვება, ეჭვი
კი გულს უჭამს.

ახლა რატომღაც კარგად ესმოდა გე-
ნოს ამ კაცისა და არ უნდოდა მისი
უბადრუკი, წვრილმანი საჩივრები მო-
ესმინა. შაქროს დაუბარა, სტამბაში
მივიღებო და გარეთ გამოვიდა.

— „ათასი ვინმე ჩივის, ათასი ვინმე
ეძებს სიმართლეს და ამ დღით რაღა
ეს ოჯახიორი შემოეხეტა“.

გარეთ მზიანი დარი იდგა, მაგრამ გე-

ნოს გაფუჭებულ გუნებას ვერ უშვე-
ლა.

„უყვარს და საბუთს ეძებს, ჭორებს
არ ჰყვება“.

რაიკომის შენობის წინ ავტობუსი
იღდა, მაგრამ არ ჩაჭდა, გზა გადაჭრა
და ცაცხვების ხეივანში ჩაუხვია.

„საბუთს ეძებს, მაგრამ არც საბუთი
უნდა. თავმჯდომარე უნდა მოიცილოს;
ჰგონია, მის ეჭვებს თან გაატანს. არ
იცის, რომ ეჭვი ეჭვად დარჩება; არ
იცის, რომ თავმჯდომარე იქაური კაცია,
არსად გადასახლება და არც კოლექ-
ტივს დატოვებენ უთავმჯდომარეოდ.
თუ ქალს უნდა, საყვარელს იშოვის...
იქნებ არასდროსაც არ ჰყვარებია ცო-
ლი, როგორც ახლა, ან არ იცოდა, თუ
ასე უყვარდა. ბავშვები... ორი შვილი
ჰყავს, გოგო და ბიჭი, ოჯახი აქვს, სახლ-
კარი, და ვერ ჰქნა; ამდენი ძალა არა
აქვს, ხელი ჰკრას და ყველაფერი ერ-
თად დაანგროს. საბუთებს უტეღის, რო-
მელიც, წინ რომ დაუწყუო, თვალებს
დახუჭავს, რადგან არ უნდა წაიკითხოს.
რადგან არ შეუძლია ყველაფერს წიხ-
ლი ჩააზილოს, რაც აქამდე აცოდვია
და აკოწიწა, რასაც მისი სიხარული და
ტკივილი ჰქვია. ადგება და რედაქციაში
მიდის საჩივრები, ალბათ, რაიკომში-
აც, ან უფრო ზევით, და თავს იტყუებს,
სამაგიეროს უხდით. რის სამაგიეროს,
ცოლის საყვარლობისას? შეიძლება ეს
რითიმე აზღვევინოს? ვერა, მაგრამ ეს
ჯერ ხომ არ იცის, ეს მხოლოდ აქვია,
ეჭვის სამაგიეროს უხდის...“

ცაცხვების ხეივანი მალე გათავდა.
შედმართზე აუხვია. ახალგაშენებულ
თხელ ნაძვანარში ფეხით მოსიარულეთა
მიერ გატყეპნილ ფართო ბილიკს გაჰ-
ყვა.

გენო ნამყოფია იმ კოლმეურნობაში.
თავმჯდომარესაც იცნობს. მაგრამ ის ქა-
ლი არ იცის, რომელია. მოანგარიშედ
მუშაობსო? ალბათ, ბევრჯერ დაუნახავს,
მაგრამ აქამდე არ გახსენებია ვილაც
შომჩივანის საეჭვო ცოლი...

...მაკას რა, რაღაც მატარებელში შე-
ემთხვა ვილაც გარეწრებთან. თანაც ორ-

ნი ყოფილან, ის ვიგინდარები, მესო-
ბელ კუბეში კი მთელი დამე ლაპარა-
კობდნენ... ერთი რომ დაერტყა ხელი
კედელზე, მთელი ვაგონი ფეხზე დად-
გებოდა... რა ჰქონდათ ამდენი სალაპა-
რაკო... ან რა უნდა ექნათ... მაკა ამაყია,
ალბათ რაღაც ღლაბუცი დაუწყეს, იუ-
კადრისა და ისინიც განგებ დამუქ-
რნენ ან... საერთოდ... მაინც რა მოხდა,
ან როგორ მოხდა; მაკა ნამდვილად შე-
შინებულა. თითქოს ამ დღეებში გატ-
ყდა, თითქოს სინდისი აწვალეს. თავის
თავთან არაა მართალი? მას მერე კი
არაფერი არ უთქვამს, თითქოს დაივიწყ-
ყა, თითქოს დაივიწყეს და ორივემ
იცის, რომ ახსოვთ. ერთმანეთს ერიდე-
ბიან. საქმეზე, აუცილებელ რაიმეზეც
ცოტას ლაპარაკობენ, ეშინიათ, სიტყვა
იქით არ გაექცეთ, საჭირო არ გახდეს
იმ ღამის გახსენება. მაკას ყველაფერი
რატომ არ უნდა ეთქვა გულახდილად?
ან გენოს რატომ არ უნდა ეკითხა? რა-
კი მაკამ ვერ თქვა, ესე იგი, არ შეეძლო
თქმა, რაც მოხდა.

იცოდა, რომ ქმარი ვერ აპატიებდა და
გაჩუმდა? გაჩუმდა, და იტანჯება. თვი-
თონაც ვერ უპატიებია თავისი თავის-
თვის და ახლა გენო მიდგეს, ყველაფე-
რი ათქმევინოს და ხელი ჰკრას? მაგრამ
ჯერ ხომ თვითონაც არ უმართლებია
თავი საკუთარ თავთან, ან იქნებ არც
აპატიოს, თუ საპატიებელი არაა. მაკამ
თუ იკადრა, შეუძლია სიმართლე არ
თქვას. გენოს უნდა, რომ თავი მოიტყუ-
ოს და თვალები დახუჭოს? ამას არ
სჯობს, მაკამ, რომელმაც ყველაფერი
იცის, თვითონ გადასწყვიტოს? თუ ქმა-
რი ვერ ენდობა, მაშინ ვერც იმაშიც
უნდა ენდოს, რასაც ეტყვის.

„მეც საბუთებს ხომ არ ვეძებ? —
ჰკითხა თავის თვის, — არა, არა, ეს სულ
სხვა ამბავია, ის რა მოსატანია. მერე და
მაკა... მაკა რა... არა, მაინც უნდა ვკი-
თხო, ყველაფერი უნდა ვიცოდე. გუშინ-
წინ კინოში მინდოდა წამყევანა და ათა-
სი რამე მომიზეზა, უარი თქვა...“

სტამბის საკორექტოროში მარტო
თებრო უჯდა გრძელ სვეტებად ამონა-

ბეჭდებს, გულდასმით ჩაჰკირკიტებდა, გენოს შესვლაც არ გაუგვია.

„ახლა თავს აიღებს და გაწითლდება“, — გაიფიქრა, მაგრამ როცა თებრომ დაინახა, აღარ მიუქცევია ყურადღება, მართლა ეცვალა ფერი თუ არა. მერე ცილა იკითხა.

— რედაქტორმა გამოუძახა. — თებროლ ამონაბეჭდის ყურს ჰმუქნიდა.

„გუშინდელი კორექტურული შეცდომის გამო, — გაახსენდა გენოს, — ჯერ მე მომელაპარაკა, ახლა ამით მიდგა, რეჟიმში გვაყენებს, ალბათ ცილა არ დაუთმობს, მე კი დაუთმე“.

— შეცდომა არ უნდა წავიდეს.

— ალბათ, მე გამეპარა.

— შენ რა, შენ გეპატიება?

— არა, — თებრომ თავი გააქნია, მაგრამ მისი თვალები ამბობდნენ: შენ გენო, შენ ხომ მაპატიებ?

— მე დღესა ვარ შორიგე.

— ვიცი.

— და არც მე გაპატიებ.

თებრომ თავი დახარა.

„მართლა ვუყვარვარ, — გაიფიქრა გენომ, — ეს მისთვის კარგია, ჩემზე იფიქრებს და ქუჩაში არ დაუწყებს ძებნას „სიყვარულს“. უნდა ვეცადო, ჩემშიაც არ იგრძნოს თავი მოტყუებულად, თორემ ისე ვწავ ხელიდან.“

— რედაქტორმა შენ არ დაგიძახა?

— ცილა ელაპარაკა.

„ამის შეცდომაც თავის თავზე აუღია,“ — ეწყინა გენოს.

— თებრო, მოგიკეთებია, — მოულოდნელად თქვა გენომ, რაკი იგრძნო ქალის გულისტკივილი, მისი შეცდომის გამო რომ სხვას უსაყვედურეს.

თებრომ თავი გაიქნია.

— შენ მართლა შეყვარებულს ჰგავხარ.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— რით?

— ყოველდღე ლამაზდები.

— ნუ მეუბნებით! — თებროს თვალებს რაღაც გაუმხელებელი წყენა დაეტყო. „ამის გუნებაზე არა ვარ, ხვდება და არ დამიჯერა.“

— არ გჯერა, მაგრამ შენ, ალბათ, ვინმეს უკვე ძალიან მოსწონხარ.

— ვინც ჩემი წარსული არ იცის...

— ხომ ვთქვი! — გენოს საღდაც მართლა გაუხარდა, რომ მისი ვარაუდი გამართლდა. — მაგრამ შენ უარზე ხარ. რადგან მე გიყვარვარ.

— მე არავინ არ მიყვარს.

— ეცადე შეიყვარო, ნამდვილად შეიყვარო.

თებრომ თავი ხელემაში ჩამალა.

— მერე კი ყველაფერი უთხარი, ყველაფერი... სიმართლისათვის მიინც ეყვარები.

„ჰქუას ვარიგებ“, — გაიფიქრა გენომ. ადგა თავის თავზე ნაწყენი და სტამბაში გავიდა. პირველი გვერდი უკვე აწყობილი უნდა ყოფილიყო.

„სხვის საქმეს ვალაგებ და არ ვიცი, თვითონ რა მჭირს. ამ გოგონზე მაკასთან არაფერი მითქვამს. იქნებ ისიც კი გაიგო, რომ დაბის გარეთ კლდე-ღრე დავყვებოდი და ერთი ღამე მასთან ვიქეიფეთ. იმ ღამეს, გამომშვიდობებისას, მთვრალი, სადარბაზო გამოსასვლელის კარებთან ვლომნიდი. რა იცი, დაბა პატარაა, ყველა მიცნობს, ვინმე დამინახავდა, იქნებ მაკას ერთიორად მიუტანეს“.

თავი მისამი

● გენოს უნდოდა დაწვრილებით ეამბაცოლისთვის თებროზე: როგორ გადაეყარა მას და ცილას მაკას აქ არყოფნაში, როგორ თხოვეს დახმარება ამ ხელიდან წასულ გოგონისთვის. უნდოდა

აეხსნა, რომ თებრო საღდაც გამორჩათ აღამიანებს, ან ცილასავით „მეგობრობდნენ“. ქეიფში რომ იყვნენ, არც იმის დაფარვას აპირებდა.

„ყველაფერს ვეტყვიო“, — ფიქრობდა. თუ მან მართლა რაიმე იცის, გულ-

ახილობა ჯობია, შემდეგ თვითონ მიხედება, რა უთხრეს და რა იყო სინამდვილეში.

მაკამ გულგრილად მოისმინა ვილაც უყურადღებოდ მიტოვებული, ჩაფუნთუშებულ გოგოზე ნათქვამი და გენო მიხვდა, რომ მას თვითონ უნდოდა ყოფილიყო მიზეზი ამ, ჯერ უთქმელი, დიდი უთანხმოებისა, მაგრამ ასე არ იყო, პირიქით, ყველაფერი რომ ბოლომდე ეთქვა, მაკას იქნებ კიდევ მოსწონებოდა გენოს საქციელი, ვარდა სადარბაზოში ზვევნი-კონცისა.

— ქმარს გაშორებულა? — ესლა იკითხა და როცა დადებითი პასუხი მიიღო, ამოიხზრა, — მითუმეტეს, უშვილიყო ყოფილა, — დასძინა და დანარჩენი არც კი მოუსმინა.

გენოს სისხლი აემღვრა: ესე იგი არაფერი სცოდნია, ეს არ ყოფილა ის, რაც მას სტანჯავს.

— მე ადამიანის ბედზე გელაპარაკები, შენ გაგონებაც არ გინდა, — წყენით თქვა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— მერე და, რაა აქ საინტერესო... — თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა, სრულიად ვერ მიხვდა ქმრის ნათქვამს.

— რა, იმისთვის მოგიყვები, რომ გამერთე?

ქალმა იგრძნო: რალაც სწორად ვერ გაიგო.

— ქმარს გაშორებულაო, ხომ მითხარი!

— ქმარგაშორებულ ქალზე არ ღირს ლაპარაკი?

— არა, გენო, ეს კი არ მინდოდა მე-თქვა... სანამ ქმარი ჰყავდა?

— სანამ ქმარი ჰყავდა, რა?

— რა და, ხომ პატიოსანი იყო.

— ალბათ.

— ხომ არ ატყუებდა?

— არ ვიცი, ალბათ, არა.

— ჰოდა, ახლა როგორც უნდა ისე იცხოვრებს.

გენომ ხელი ჩაიქნია. მაკა მიხვდა, აქ მთავარი არ იყო იმ გოგოს ბედი: ალბათ, გენოს დამოკიდებულება უნდა

განესაჯა მას, როგორც ცოლს. მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ისევ უნდა ეცრუა, თუ აღშფოთდებოდა და იეჭვიანებდა: დახმარება თუ უნდოდა, მოეწყო სამსახურში, იმ ღამით ერთად რად იხეტიალეს. ხელგადახვეული სიარული, ისიც ქალაქბარეთ, ვილაც ქუჩის გომბიოსთან!..

მაკას აღარაფერი უთქვამს. იაზრა: გენომ ეს აღსარება იმიტომ თქვა, ჩემგანაც უნდა მოისმინოსო და გადასწყვიტა: როგორც კი მოსწავლეებს დაითხოვენ, ბავშვს წავიყვან და მამაჩემთან წავალ... გენომ იქნებ მართლა იაროს იმ გოგოსთან... გაიფიქრა თუ არა, მაშინვე შეზარა ამ გადაწყვეტილებამ. ეს იყო ის, რაც პარასკევ დილით გაუჩნდა: თავის თავისადმი მტრობა და მაშინვე გადაიფიქრა, ჩემიანებისკენ პირს არასოდეს აღარ ვიზამო, მაგრამ გენო აღარაფერს სწერდა, თითქოს ყველაფერზე აიღო ხელი, მას უყვარდა ოჯახი, შვილი, საქმე და ასე ღიღხანს არ ვაგრძელებდოდა.

არდადეგები დაიწყო თუ არა, მაკა თავს აუხიბდა: „უნდა წახვიდე აქედან, უნდა გადაიხვეწო, უნდა გილალატოს შენგან ნალალატემა ქმარმა, შენც მოგატყუონ, თუმცა ეს შენს დანაშაულს ვერ შეამსუბუქებს, მაგრამ ასე საცოდავები ნუ იქნებიან შენზე მონდობილი ადამიანები. წადი აქედან, იქ ნაკლები ტყუილები დაჰქირდება, იქ ტყავაძესთან შეხვედრის შემდეგ მარტო მიინც დაიძინებ... ნურც ბავშვს წაიყვან. ბავშვი უნდა შეეჩვიოს უშენობას... წადი, წაეთრიე აქედან“. იცოდა სხვა გზა არ ჰქონდა, მაგრამ ფეხს ითრევდა. საბოლოოდ ხომ არ მიედივარო, ეკითხებოდა კედლებს და საკუთარი ხელით დარგულ ხეებს.

მაკამ ყური მოჰკრა: გენომ დედამისთან ბიჭიკოს დირექტორზე თქვა, კარგად ყოფილა, გუშინ დავინახეო.

„ჩემთან არ თქვა, ჩემთან არ ახსენა“, — აკანკალდა ქალი და იმავე დღეს

გაუდგა გზას; მამას მერე ოპერაცია უნდა გავუტეოთ, ბავშვმა რაც არ უნდა იჭირვეულოს. ყურს ნუ უგდებთ, აწი არც ისე პატარაა, რომ უღედლობა გაუჭირდესო. იგი უკვე ყოველნიარად მტრობდა თავს. მიდიოდა და ქმარს ვილაც; ხელიდან წასულ გოგოს უტოვებდა; გულიდან იგლეჯდა შვილს რომ მთელი ღამეები დარდით თვალი არ მოეხუჭა; ტოვებდა სახლ-კარს და მიდიოდა მმასთან, რომელიც ორი დღის მერე მთვრალი ან ფხიზელი წამოძახებდა: რას ჩამომიჭექი ოჯახშიო; ვითომ ნუცას ნახვა უნდოდა და რაღაც სასწაულს უპირებდა, მაგრამ როცა ჩაფიქრდებოდა, ვერ გავგო, რა უნდა ექნა ამ საცოდავ, ქმრისაგან და საყვარლისაგან მიტოვებულ, უშვილიძრო ქალისათვის. ნუცას თუ მართლა შურდა მაკას ბედი, განა ახლა მაკას არ შურს სინდისშეურცხვენელი ადამიანებისა? მაკამ იქნებ შათი გაუბედურება არ მოისურვოს, მაგრამ არც ნუცას უსმევია ბანგი მაკასთვის და მუხანათურად არ ჩაუგდია ტყავაძის ხელში. ტყავაძემ თხოვა, გამაგებინე სადააო და მანაც უთხრა. ასე, მაკასაც რომ ჰკითხოს ვინმემ ნუცას მისამართი, ვერ დაუშალავს...“

„არა, ნუცა მაინც უნდა ვნახო“, — იმეორებდა თავისთვის, იქნებ იმიტომ, რომ ნუცა ერთადერთი ქალი იყო, რომელმაც ყველაფერი იცოდა.. და უნდა ენახა მერი, რომელთანაც პატარა შვებას იგრძნობდა, როცა აქაურობას მოწყდებოდა. უქმროდ და უშვილოდ დაბრუნდებოდა იქ, საიდანაც ისე წმინდა და თავაწეული წამოვიდა. იმედოვნებდა, რომ იქ იყო მერი, რომელსაც უყვარდა და ადრე თუ გვიან, ყველაფერიც რომ გავგო, აპატიებდა. არ აპატიებდა მამა, თვითონაც ვერ აპატიებდა თავის თავს, ვერც ვერავინ, გარდა მერისა. მერი გახდა მისთვის რაღაც ძალზე მახლობელი, თითქოს მას ამ ჯოჯოხეთიდან მაკას დახსნაც კი შეეძლო. მერი რაღაცნიარად გამოსტაცებდა ტყავაძეს ხელიდან, ქმრის წინაშეც მორეცხდა ცოდვებს და დაუბრუნებდა ყველა-

ფერ იმას, რაც დაკარგა. უკვე აღარავინ აღარ უყვარდა მაკას. ახლა არავინ არ უნდოდა, გარდა მერისა.

— მერი, მერი! — ამ სახელს იმეორებდა გზაზე დამღვარი და ისე მისდლიდა სული მის ნახვაზე, დაბაში რომ ჩამოვიდა, ვილაც ხანში შესულმა, საკუთარი მანქანის შოფერმა რაც დაუფასა, მისცა და შეევედრა, ჩქარა ევლო, რომ მერის ნახვამდე გული არ გახეთქოდა...



მამას გადაწეული ბოძი ვერ წამოეყენებია, მაგრამ ჩამოვარდნილი ჭიშკარი მავთულით გარდი-გარდმო აება და გალეგისას მიწაზე არ ეთრეოდა. მაკამ ეზოში ფეხის შედგმისთანავე იგრძნო ის, რაც ლიბრაძეების კარზე — ფეხსაცმლის ქუსლები მიწაში ეფლობოდნენ, მაგრამ აღარ გაკვირვებია. მითუმეტეს. — ახლა. მისი ეზოს მიწას უფრო ემძიმებოდა იგი.

ჭიშკართან შეჩერდა და ხმადაბლა, მხოლოდ იქაურობის გასაგონად თქვა: — რა ბედნიერი ვიყავი...

როდის, რა დროს გულისხმობდა, არ უთქვამს. იგი ყოველთვის ბედნიერი იყო დღევანდელთან შედარებით, იმ დღიდან, რაც მახსოვრობა აქვს.

„არავინ ნახვა არ მინდა, არავინ არ მენატრება, მარტო მერი მინდა... მერი... მხოლოდ მისი იმედი მაქვს... ჩემი ეზოს იმედი არ მქონია. ვიცოდი, აქაურობა არ მაპატიებდა. ნეტავ, შინ მერის გარდა არავინ დამიხვდებოდეს!“

უკვე ფიქრის თავიც არ ჰქონდა. მთელი სიმძიმე ფეხის ტერფებზე გადაიტანა და სახლისაკენ აჩქარებული წავიდა, თითქოს ვილაცას ეპარებო. მაგრამ მსხლის ქვეშ მაინც გაახსენდა, რომ აქ მისი აკვანი იდგა და ურწყევდა ბებია. იცოდა, აკვანში წოლა არაფრით არ შეიძლებოდა ხსომებოდა, მაგრამ ახსოვდა, გუშინდელივით ახსოვდა.

კიბზე უხმაუროდ ავიდა. შუშაბანდის კარი მოეხურათ. შინ არავინ ჩანდა. „სადაღაც ახლო-მახლო არიან, —

გაიფიქრა. — მერი მინც სად წავიდო-
და“.

ჩანთა ტახტზე მიავლო და მაშინვე
ფეხსაცმელი წაიძრო. თუქის ფაჩუჩები
მოძებნა. უკვე ცერთან გამოხეულიყო.

„იმ ღამით, მარგომ მერი რომ მოიყ-
ვანა, ეს ფაჩუჩები მეცვა... გავდივების
წინ საშინელი სიზმარი ვნახე და ძალის-
ძალათი მინდოდა მაშინვე ამხდენოდა...
ის სიზმარი აქამდე გრძელდება... ნეტავ
მალე თუ ამიხდება...“

რძალ-მამამთილი მაკამ ბოსტანში და-
ინახა. ხარდანზე პამიდორს აკრავდნენ
ფერადი ნაჭრებით. მერის მუცელი აჩნ-
და. მამა ჩვეულებრივზე მეტად მოხრი-
ლი ეჩვენა. სიმონი დაბალ ხარდნის
წვერთან თავს უყრიდა გადაშლილ ღე-
როებს და მერი გრძელი ნაჭრით აკ-
რავდა. რალაცას ხმადაბლა პუტუნებდ-
ნენ და ძირიდან ძირზე ინაცვლებდნენ.
თუ მამამთილი გაასწორებდა, სანამ
რძალი ნაჭერს სვნიდა, იდგა და უც-
დიდა, რათა უმისოდ არ დაეწყო ტოტე-
ბის თავის მოყრა. მერის კი, რა ღმერთი
უწყრებოდა, რალა უნდოდა ზომიერი
ნაჭრების ჩანასკვას. ხელი ებორკებოდა,
ზოგჯერ მთლად გაეჭეცოდა რტოები და
მამამთილი ისევ უკან ბრუნდებოდა და
ეშველებოდა.

მაკამ ბოსტნის ალაგზე არ გადააბი-
ჯა. უკან დაიწია. მერი არ იყო ის, ვის-
თანაც მაკა გამორბოდა და შველას
ელოდა. რძალი და მამამთილი, ორივე-
ნი ერთად, იმდენად უმწეონი იყვნენ.
მაკას ოთხმოცწელს გადაცილებული ბე-
ბია გაახსენდა. მამა რომ ჭარში იყო,
იგი ტაბურეტზე შემდგარი, ტალავერს
სხლავდა და ვენახს ცერის სიმსხო ლერ-
წებს აჭრიდა. მამა რომ დაბრუნდა, მე-
რე და მერე ქარებმა გაუჟავა წელი და
ცეცხლის პირას მიაბა, თორავ მანამდე
იგი იყო მთელი ოჯახი, თოთო ბავშვი,
ბოსტანი და ეზო-გარემო... მამა არ ჰკავ-
და ბებიას. მამა და მერი ჰკავდნენ
ერთმანეთს, რომელთაც მარტო უთქმე-
ლი სიყვარული შეეძლოთ.

მაკა უკან გამობრუნდა მწყურვალი-

ვით, რომელსაც წყარო დამშრალი, დაჩა-
ვდა.

— მე გამოვიგონე მერი... — სასო-
წარკვეთით ჩაილაპარაკა და მსხლის
ქვეშ ფიარზე ჩამოჯდა, — მე გამოვი-
გონე ჩემს მხსენლად, როგორც მან
ჩემი ძმა გამოიგონა საყვარელ ქმრად.
მე ვეღარავინ მიშველის... აქ ჩემი აკვა-
ნი იდგა და ბებია მირწევდა... მერე, მე-
რის ქორწილის დღეს, ტყავამე იჯდა ძა-
ლიან მოწყენილი... ბებია მეგრული ნა-
ნა იცოდა. ბიჭიკოს უმღეროდა. მეგრუ-
ლი სხვა არაფერი იცოდა და ეს ნანა კი
ჰქონდა ამოჩემებული. ყველა ბატონე-
ბის სიმღერა-მობოდიშება იცოდა —
გულში ჩამწვდომი ლოცვა და ვედრე-
ბა. მაკას ბებიასაგან დიდხანს სწამდა
ღმერთი, სიზმრის ახსნაც ბებიასაგან
ისწავლა. ბებია მთვარეს უკავშირებდა
სიზმარს. მაკამ ამდენი არა, მაგრამ იცის.
თუ ახლა სიზმარი, როგორ ახდება.

მაკა იქნებ ბებიასთან მოიჩქაროდა,
მისი იმედი ჰქონდა და არა მერის? მე-
რი მან მოიგონა, რაკი ბებია აღარ იყო
და მის შველას ვეღარ მოიმინეზებდა.
ბებია ოდნავ მოხრილი იყო მხრებში,
ქარებმა ხერხემალი გაუჟავა, მაგრამ ვერ
მოტეხა. ქმარი და ოთხი შვილი ჰყავდა
მკვდარი. ისეთი მოთქმა და დატირება
იცოდა, ომიანობის დროს, როცა და-
ლუპვის დეგუშა მოვიდოდა და აწიოკე-
ბულ ეზოში ბებია ჩავილოდა, ჭირის-
უფალი ხმას გაიკმენდდა. ახვლედიანის
ქალი მოდის, აცალეთ, აბა, დატირებით
ის დაიტირებსო...

იქნებ ბებია მოენატრა მაკას, სევდიან
მეგრულ ნანას რომ უმღეროდა აქ, ამ
ხის ძირში, მიანცადამიანც მეგრული ნა-
ნა რომ ჰქონდა ამოჩემებული... ცა რომ
გაეხსნა... იქნებ მაკასაც გახსნოდა ცა
და დაებრუნებია ის, რაც ჰქონდა, მარ-
ტო ის—რაც ჰქონდა. მერი... მერი თუ
ბებია... რატომ არ უმღეროდა მაკა გო-
ჩას მეგრულ ნანას, როგორ მოხდა! მა-
კა ძმას კი უმღეროდა, როცა ბებია
ბავშვს დაუტოვებდა, მაგრამ იმიტომ კი
არ ახსოვდა, რომ ბიჭიკოს უმღეროდა!
არა, ის ახსოვდა, თვითონ მას რომ უმ-

ღეროდა ბებია... გოჩასაც დაამახსოვრ=
დებოდა, დედას რომ ემღერა...

„გოჩა რომ წამომეყვანა, საღამოს ჰა-
მაკში ჩავაწვენი, ვუმღერებდი და მთე-
ლი სიცოცხლე ემახსოვრებოდა... მერე,
ალბათ, ისიც უმღერებდა თავის შვი-
ლებს და არ მოკვდებოდა სიმღერა, რო-
მელიც, ვინ იცის, პირველად როდის
იმღერეს“.

„გოჩას ჩამოვიყვან ერთ საღამოს,
მარტო იმისათვის, რომ ეს ნანა ვუმღე-
რო. იქ ამას ვერ იმღერებ... იგი აქ, ამ
ეზოში უნდა იმღერო, რომ არ დაგა-
ვიწყდეს...“

რატომ არ უმღერა გოჩას, როცა იგი
აკვანში ეწვინა? იმიტომ ხომ არა, რომ
მაკა ბედნიერი იყო და არ მოაგონდა
სევდიანი მეგრული ნანა... ბებია, როცა
უფროსი შვილები უკვდებოდა, უმცრო-
სებს უმღეროდა, მერე, როცა მამა გა-
იწვიეს და ყოველდღე ელოდა მის და-
ლუპვას, როცა შიოდა და უძუძური ბავ-
შვი გადიჭაჭებოდა... იქნებ თავისთვის
მღეროდა ბებია და ამიტომ ვერ უმღე-
რა გოჩას მაკამ, რაკი ბედნიერი იყო...
მაკას გოჩასთვის უნდა ემღერა და ვერ
უმღერა... იქნებ ბებიაც იშვიათად აგონ-
დებოდა, როცა ბედნიერი იყო.

„გოჩას ჩამოვიყვან ამ დღეებში, ჩა-
მოვიყვან მარტო ერთი ღამით, ამ ხის
ქვეშ, ჰამაკში დავაძინებ, მე აქ, მიწაზე
დავკვდები და ვუმღერებ, როგორც ბე-
ბია მღეროდა... მერეც, როცა ის დაი-
ძინებს, მთელი ღამე ვუმღერებ“...



ოღლამ ეზოს ბოლოდან ინდაურის
ჭუკები შემოდენა.

— დედაჩემო! — მაკა აღვილიდან არ
წამომდგარა.

დედა ყოველ გაზაფხულზე აჩეკინებ-
და ინდაურებს, როგორც ბებიას დროს,
მაგრამ შემოდგომაზე ორი-სამი ჭუკის
მეტე არ ჰყავდა.

— უი, შვილო! — წამოიძახა, მსხლის
ძირას მაკა რომ შენიშნა. მივიდა, ხელე-
ბი მოხვია, — ხომ კარგად ხართ, ხომ
კარგი ამბავია.

— კარგმ:

— გოჩა რავე გყვავს?

— კარგადაა.

— გენომ ვერ მოიცალა?

— ვერა.

— ბიჭი უნდა წამოგეყვანა.

— არ წამომიყვანია.

— ჩვენც ვართ ისე... არავინაა? ახ-
ლა მოდი? მე კაი ხანია არა ვარ სახლ-
ში, ჭუკი დამეკარგა. ჯანდაბას მისი თა-
ვი, რა ვუყო ახლა.

„ბებია რომ ყოფილიყო ან ცოცხალს
იპოვიდა, ან მკვდარს“, — გაიფიქრა მა-
კამ.

— მერი! — დაიძახა ხმამალლა ოლ-
ლამ, — ეზოში იქნებიან სადმე, — მე-
რი!

— ბატონო!

— ე, ბოსტანში ყოფილან, აბა სად
წავილოდნენ.

„იცის, რომ მამაჩემიც მასთან იქნება.
მე მერის იმედი არ მქონდა, ბებიაჩემის
იმედად ჩამოვედი. მერის არავის შველა
არ შეუძლია, მას შეუძლია ბიჭიკოსთა-
ნაც კი შეცდეს და მერე მარგოსა და მა-
მაჩემის შეწვევით იცხოვროს. ახლა
მგონია, იგი ყოველთვის მეზრალეობდა.
მამა კი მიყვარდა და არ მინდოდა, შე-
ცოდებოდა, ისე, როგორც ჩემი თავი
მიყვარდა და ახლა ასეთი სიცოცხლე
ვერ ამიტანია“.

— ბოსტანისავე ხომ არ გაივლი, შვი-
ლო. მამაშენი... მამაშენი...

— არა, — თავი გაიქნია და ადგა.
მერის ხმა რომ მოესმა.

— მაკა მოსულა!

„როგორ გაუხარდა, ეტყობა ბიჭიკო
ურევს და ჩემი იმედი აქვს“. ცივად
აკოცა, ხელი გამოსდო და სახლისაკენ
წაიყვანა.

— მაკა, მამა...

— ჰო, მამა როგორაა?

— აგერ მოდის.

— მამა!

— მაკა, შვილო! — სიმონი ცრემლ-
მორეული მიუახლოვდა.

„მამაჩემს სჭირდებოდა ჩემი სიყვა-
რული. უკვე მეცოდება, ალბათ, აღარა-

ვის სიყვარული აღარ შემიძლია! აბა რატომბა, რომ ჩემს ირგვლივ ყველანი საცოდავ ადამიანებად მეჩვენებიან?”

მაკა ოთახში საწოლზე გულაღმა წამოწვა, მუთაქაზე თავქვეშ მკლავები დაიწყო. მერიმ თავისი ახალი საორსულო ჩითის ხალათი მოუტანა. მან, ჯერ თავისახლს, და ახლა აქაც, შენიშნა, რომ მაკა კაბით წვებოდა. და ადრე თუ ეგონა, მაკას ტომარა რომ ჩამოაცვა, მისი ტანი იმასაც დაიმშვენებსო, უკვე ასე აღარ უფიქრია.

— არ გამოიცვლი?

— არა, იყოს.

მერის ძალიან ეტყობოდა მუცელი. „აღბათ, ადრე იყარება, — შენიშნა მაკამ, — ცოდვილი დედები მუცლიდანვე სტანჯავენ შვილებს...“

მერი ისევ საწოლზე ჩამოჯდა, როგორც იმ დამეს ღებრძებთან, და ისევ მოძებნა მაკას ხელი მოსაფერებლად. მაკას გული დაწყდა, რომ მკლავები თავქვეშ ედო.

— დაღლილი ხარ. — სწუხდა მერი, — მე შენთან ყოფნა ქვეყანას მიჩვენებია, მაგრამ იქნებ დაძინება გინდა!

— არა.

— რა კარგი ჰქენი, მაკა, რა კარგი ჰქენი...

— შენ როგორ ხარ, — მაკამ თავქვეშ დან ხელი გამოიღო და მერის მუცელზე მიაღო. მერიმ ორივე ხელით დაიჭირა და მიუაღერსა. — კარგად ხარ?

— რა ვიცი...

— გეშინია?

მერიმ თავი დაუქნია.

„მე კი არ მეშინოდა, აღბათ, იმიტომ, რომ გენოს ვუყვარდი. მაშინ გენო სკოლაში მუშაობდა და დრო მეტი ჰქონდა, წუთით არ მშორდებოდა.“

— დიდი მუცელი მაქვს? — იკითხა მერიმ და გაწითლდა, — მამამისი ისე მერიდებდა, მიწა გამისკდეს მიჩვენებია.

„შენ რა გჭირს მოსარიდალი, — გაიფიქრა მაკამ, — სულაც რომ არ ეთხოვე ჩემს ძმას, მაინც...“

— გოგო გეყოლებათ, მეუბნებიან.

— გოგო?

— ჰო, დედაც ამბობს, მაკაზე ბევრად დიდი მუცელი მქონდა, ვიდრე ბიჭიო.

„ნეტავ სულ არ გავჩენოდი“, — მაკას ისევ ტირილი მოუნდა, მაგრამ მოახერხა თავის შეკავება.

— შენ უფრო გეცოდინება, მაკა.

— მე გოგო არ მყოლია.

მერის გაუკვირდა, რომ დედამთილმა იცოდა, სხვებმაც იცოდნენ და მაკამ კი — არა.

„შენ ბევრ რაიმეს გაიგებ კიდევ ისეთს, რაც გაგაკვირვებს კი არა, ჰკვირდნენ შეგშლის...“

— მე მინდა გოგო მეყოლოს.

„მე ბიჭი მინდოდა, იმიტომ რომ გენოს უნდოდა.“

— სულ ერთი არაა?

— არა, მე გოგო მინდა.

„რატომ ამბობს, — გაიფიქრა და მერის თვალბეჭდებში შეხედა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. — ქმარი ხომ არ ძულს?“

— რატომ, ჩემ ძმას რომ ბიჭი უნდა?

— არა...

„მერის სიძულვილი არ შეუძლია, მე ჩემს ჰკუაზე აღარ ვარ და ყველაფერი მეჩვენება“, აღარ უნდოდა ამაზე ფიქრი გაეგრძელებინა, მაგრამ მერი რაღაცას ელოდა მისგან.

— რატომ, — თქვა მაკამ ისე, რომ არც კი უკითხავს.

მერიმ ამოიჩურჩულა:

— მაკა მინდა დავარქვა.

— ჰო, — თქვა და გაჩუმდა, — „ჩემი გოჩა კი თავის შვილს ვერ დაარქმევს უნამუსო ბებიას სახელს...“ მერე ხელის გულთან საოცარი სითბო იგრძნო: „ამ ეზოში კიდევ იქნება მაკა, რომელიც შიშველა ფეხებით მჩატედ ირბენს ნაწვიმარზე და მიწას ვემძიმებო, არ შეეშინდება.“

რამდენი დღე იყო, არაფერი გახარებია. მერის მაინც ეს უთხრა:

— ბებიაჩემის სახელი დავარქმეო... — და თავისთვის დაუმატა, — ეჰ, მე რატომ არ მერქვა ბებიაჩემის სახელი...

მერი ისევ მანლობელი იყო მისთვის და მისგან რაღაცნაირ შველას ელოდა.



„ბიჭისაგან ვაიკებდა, რომ ჩამოვედი, — ფიქრობდა მკაც იმ ღამეს, როცა ძმამ სამსახურის შემდეგ შემოიბრინა: რაიონში მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები, ხალათი გამოიცვალა და წავიდა. — მაინც ეცოდინებოდა, რომ აქ ვარ, მაგრამ ამა სად ჯანდაბაში გადავიკარგო!.. რომ ავდგე და მართლა წავიდე, გავიქცე აქედან, სადაც არავინ მიცნობს, ვიმუშაო და ვიყო, ერთხანს ილაპარაკებს ქვეყანა, მერე მოწყინდებთ და დამივიწყებენ. მერედა, სახელი და გვარი გამოვიცვალო? მივატოვო შვილი, ქმარი, დედ-მამა, ჩემი ეზო, ქვეყანა და მკაცა ლეჟავა, მაშ რილასთვის ვიცოცხლო... ესე იგი, მკაცა ლეჟავა უნდა დაიკარგოს და, თუ სასიცოცხლო არა ვარ, მაშინ ერთ დიდ სიცრუეს კიდევ ჩავიდენ, თუ მაინც უნდა ვიარსებო...“

„უამრავი სისულელეებით გამეგოსო თავი. ზოგჯერ ისეთ რაღაცას ვბოდივ, ტვინის ტკივილს ვკრძნობ...“

„ტყავაძე აქ ვერ დამიწყებს დენას. იგი საკმაოდ დიდსულოვანი და თავდაპერილია — ამას არც მე მკადრებს და არც მამაჩემის ოჯახს. ბიჭიკო თუ მისი თანამშრომელი და ხელქვეითია, ეს — სამსახურში. ამ ოჯახში იგი კაცია და ჩემი ძმაა. არა, მე ვიცი, იგი არაფრით არ მაწყენინებს... აქედან კი არსად ფეხის გამდგმელი არა ვარ, არც ნუცას ვნახავ... მე მეშინია ჯუმბერთან შეხვედრის; ამ კაცს აქვს ძალა, რომელიც მიმორჩილებს და არ შემოძლია წინააღმდეგობის გაწევა. იმიტომ, რომ დიდი ხანია ვუყვარვარ, ან თანდათან მორევში ვიძირები, ფსკერზე მივდივარ... ყველაზე უფრო იმის მეშინია, თვითონ მე არ მომინდეს მისი ნახვა... არ უნდა შევხვედე, როცა რაიმეს თქმას დააპირებს, ასე მგონია უნდა მითხრას. „მე შენ შენის ნებით დამხედლი...“ იგი მართალია, მე ჩემი ცოდვების ტყვე ვარ... არ უნდა შეხვდეთ, თორემ ვიცი, მივიჩვევი ჩემს მდგომარეობას...“

„არ უნდა შეხვდეთ... დამანებოს თავი, ხომ მიღწია თავისას. დამანებოს ახლა თავი და ყველაფერი დაივიწყოს... მე თუ ვიცოცხლე, მეყოფა სატანჯველი და თავში ხელის საცემი. ვაჟკაცი ყოფილა, თავისი გაიტანა. კაცი რომ ვყოფილიყავი, მეც ასე მოვიქცეოდი. არავის შევარჩენდი იმას, რაც მე მისთვის შეურაცხყოფა მიმიყენებია. ახლა ისლა დამრჩენია, ვიამაყო, რომ ტყავაძე ფეხდაფეხ დამდევდა, მე კი აღარც მახსოვდა, მართლა არ მახსოვდა, როგორც უკან ადევნებული ფინია დაავიწყლება პატრონს.“

— ახლა მომეშვას... მომეშვას...

მაინც უფრო ადრე ჩაეძინა, ვიდრე სხვა დღეებში, ბიჭიკოს მოსვლა გაიგო. მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. დილით მანამ იწვა, სანამ ძმა შინ ეგულებოდა და რამდენიმეჯერ მასთან შემოსულ მერის „მძინარე“ დახვდა.

ადგა და შიში აჰყვა. გრძნობდა, რადაც უნდა მომხდარიყო, რადაც... იგი ისე ჰყავდა ბედს წინ გამოგდებული, არ ჯეროდა, რომ თუნდაც ერთი დღით მისცემდა მოსვენებას. ჯუმბერთან ყოველი მისი შეხვედრა პირველ შეხვედრას ჰგავდა, ძლიერი ენებით და დაუკმაყოფილებლობით. ის ვნება რომ ბოროტებად გადაქცეულიყო, გაუგონარ სიივეს მოახდენდა. ტყავაძე ახლა დაეტებდა მკაცს და, ღმერთმა არ იცის, რას ჩაიდენდა. მისი გაბოროტებაც არ იქნება, მას შეუძლია თავის მოკვლა, შეუძლია ის, რისი ძალაც მკაცს არა აქვს. ნეტავ მაშინ გულში არ აცდენოდა და მომკვდარიყო. თუნდაც გაეგოთ, ვისთვის ჩაიდინა. მერედა, მკაცს რა ექნა: პატროსანი ქალი იყო, ქმარ-შვილის პატრონი. ტყავაძეს არაფერი გაუვიდა და თავი მოიკლა... საღდაც სახელიც იყო.

ტყავაძე არ მოისვენებს... იგი ახლა თვალემაღლრეული დაპროლებს მანქანას და დაეტებს... დღეს რაღაც მოხდება...

●

კარგა ხნის გადაშუადღებული იქნებოდა, მაკამ რომ ჭიშკარზე მომდგარი ქალი დაინახა. მართალია, სახლიდან ცნობა ძნელი იყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ნუცა იქნებოდა.

„ჯერ ისევ უხმაურად აპირებს ჩემთან შეხვედრას და მოციქულს მიგზავნის. ნუცამ ხომ ისედაც ყველაფერი იცის და არ უნდა მეშინოდეს, რომ სხვაც გაიგებს. ნუცა კი ადრე ჩვენს ოჯახთანაც ახლო იყო. საავადმყოფოშიც ნახა მამაჩემი, ახლა გაიგო ჩემი ჩამოსვლა და, რა მოხდა, თუ საყვარელმა მეგობრებმა ერთმანეთი გაიხსენეს...“

მაკამ კიბიდან ფეხი არ ჩადგა. მერიმ დედამთილს პალატში ამბავი ჩაუტანა: ვილად უცხო სტუმარი უნდა იყოსო.

მაკამ დაინახა: ჭიშკარს მომდგარი ნუცა ოღლამ მანამ ვერ იცნო, სანამ სახელი და გვარი არ გამოჰკითხა.

მაკა არც მერე გასულა სახლიდან, ნუცა რომ შუა ეზომდე მოვიდა. „იმ დამეს მაგას რომ არ ეთქვა ჩემი წასვლა და სამი ბილეთი არ ეყიდა, ჯუმბერი ვერაფერს გახდებოდა. მას შურდა, რომ მე მყავდა ქმარშვილი და ტყავაზე ჩემთვის თავს იკლავდა. ახლა უკვე მე მშურს მისი...“

მერიმ ერთხანს უცადა მაკას, გაეგებება სტუმარს და მეც გავუკვიბო, მერე იფიქრა, ალბათ არც იცნობსო და, დედამთილთან უხერხული რომ არ ყოფილიყო, კიბეზე ჩავიდა.

ნუცას, სანამ მერი არ დაინახა, ეგონა — მაკას არ გაუგია ჩემი მოსვლაო, მერი კი ერთბაშად შეჩერდა.

მაკამ გაიგონა მისი შეწუხებული ხმა:

— ღმერთო მომკალი, გამასწორო?
— არა, შვილო, სახლშია, — დაამშვიდა ოღლამ.

— მობრძანდით, — შეეპატივა მერიც.
— თქვენი რძალია? — იკითხა ნუცამ.

— კი, დედა, ჩემი ბიჭიკოს ცოლია.
— კარგი გოგო ყოფილა, მაკა ცუდსარძლოს ამოირჩევდა? სიმონ ბიძია.

დღედა? უფრო მის სანახავად მოვედი და რავა გვიან ვიკითხე!

— ჰო, არის შვილო. მერი, ნახე, სახლის უკან ქათმის ბუდეც ვაწვწევინებ.

„დედაჩემს ბუდის მოწვნა არც გაახსენდებოდა, ეს, ალბათ, მამამ მოიგუნება, მაგრამ დედამ ასე იცის თქმა, სიამაყე დედაჩემსაც აქვს, — გაიფიქრა მაკამ და იავნანე გავიდა, — შინაურები რას იფიქრებენ, სულ რომ არ გავხედო“. ნუცას რაღაც შეხვეულები ჰქონდა გულზე მიკრული.

„ის უყიდა, რაკი „ავადმყოფის სანახავად“ გამოუშვა. უნდა მიხაროდეს, რომ ჩემთვის ამდენს აკეთებს. ნუცას, ალბათ, ისევ შურს ჩემი, მე კი ახლა მისი დანახვაც არ მინდა. ალბათ, მე უკვე აღარაფერი აღარ მინდა...“

— სიმონ ბიძია, შენი ჭირიმი! — ნუცამ მოსაკითხი ნაჩქარევად მიაჩეჩა მერის და სახლის ლფაროსაკენ წაიწია. — როგორ ვიკითხოთ, ბატონო, როგორ ბრძანდებით?

— რა ვიცი, ჩემს სიცოცხლეს თუ სიცოცხლე ჰქვია...

— რავა გეკადრებათ, ბატონო, რავა გეკადრებათ! საავადმყოფოში ვიყავი თქვენს სანახავად, მაგრამ ახალი ნაოპერაციევი ბრძანდებოდით, ჩემი თავი სად გქონდათ. მერეც მინდოდა მოსვლა, მაკასაც ვუთხარი, მაგრამ, დაიწვა ჩემი ბედი, არ მომიხერხდა. მაშინაც ხელცარიელი მოვედი.

— რას გემართლები, ბიძია!

— მოგიკვდათ ჩემი თავი, ჩვენი მაკას მამა, ჩვენი სიმონ ბიძია! გახსოვთ, აქ რომ დავდიოდი და გაწუხებდით?

— მაკა, დედა, გამოდი შვილო, შენი ამხანაგი მოვიდა!

მაკამ ამ დაძახებანზეც ვერ შეძლო შუშაბანდიდან გასვლა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ბიძია... — ნუცამ კიბეზე გამოსული მაკა დაინახა, — მაკა, შენი ჭირიმი, გეძინა გოგო? მოგიკვდა ჩემი თავი!

„მერის უკვირს,“ — გაიფიქრა მაკამ, როცა რძალს ჩაუარა და იქედან მომავალ ნუცას აეოცა.

— ჩემო მამა, რავე ხარ, შეცვლილი მეჩვენები. გოგო! მაშინ რომ ვნახე... რავე ღმერთი გამიწყრა და მერე ვერ ვნახე. შენთან მოსასულელი პირი მაქვს?
 „ალბათ ტყავაძეს არ დაჭირვებია, რომ მოეგზავნა,“ — სიძულვილით შეხედა მამამ, — ახლა მოუენდი და ნუცაც „შეაწუხა სინდისმა“, მამაჩემისთვის მოსაკითხი მოიტანა“.

— აიყვანეთ სტუმარი ზევით, რავე კიბესთან გაჩერდით! — თქვა ოლღამ.

„უკვე დედაჩემმა უკეთესად იცის, სად რა უნდა, ვინემ მე...“ — თავი გადააქნია მამამ და ნუცას კიბის საფეხურებზე აუძღვა.

ნუცა მალე აწრიალდა წასასვლელად. მურაბის წვეწმში გარეული არაყი მართო ერთხელ მოსვა და თავი მოიკლა, არაფერზე შეწუხდეთო.

— მამა, რა ვქნა, ნამეტანი გამოცვლილი მეჩვენები...

„ჭგონია, ტყავაძე მიყვარს და არც ოჯახი მეთმობა, ალბათ, ერთ დროს თვითონაც მერყეობდა, ქმარი არ ემეტებოდა...“

— არა, რამ შემეცვალა, — უგულოდ, უპასუხა, არც ის უნდოდა ეთქვა, არ შევცვლილვარო, მაგრამ იქნებ მერის გასაგონად დაასრულა, რა ვუყოთ მერე, ზაფხული დაიწყო, სიცხეები, უმადობა... — ჰო, ცხელია. ჩემთან რატომ არ შემოიარე, გოგო, ხომ იცი, როგორ გამეხარდებოდა, შენც მიმატოვე?

მამას უცებ ეწყინა ეს რატომ არ შემოიარეო, მაგრამ „შენც მიმატოვეო“, ნუცამ გულისტკივლით თქვა და იფიქრა: იქნებ ტყავაძე ნუცას გულკეთილობით სარგებლობს და არა შურიითო.

— არა, ნუცა...

— ეჰ, დასწყევლა ღმერთმა ჩემი თავი, ვერ წამივიდა საქმე კარგად... აღარავის ვუნდივარ...

— ნუცა, — მამა სკამზე გასწორდა, თვალეში ჩახედა და ტირილი მოერიო.

— აგერ, ამ უცხო ადამიანთან რა სა-

ლაპარაკოა, მარა მართო ჩემი ბრალიც არაა, ჩემს ქმართან რაც გავძელი, ისიც მიყვირს, კიდევ ასე მირჩვენია.

„და მაინც ნანობს. ფოსტის უფროსის მოადგილე კი უყვარდა და, მაინც ნანობს“, — მამას თვალეში ცრემლით აევსო: „აღარავის ვუნდივარო...“

— ჯანდაბას ჩემი თავი, მაგისტვის ტირი გოგო? მერი ადგა და აივანზე გამოვიდა.

„ჩემ რძალს ისევ უყვირს, — გაიფიქრა მამამ, — ნუცას ჯერ გარეთ არ გავხედე, ახლა კი ვტირი, იმეტომ რომ ოდესღაც ქმარს გაუყარა...“

— თავის მოკვლა მინდოდა, — ჩილაპარაკა ნუცამ, როცა მერი თვალს მიეფარა, — ვერ ვქენი...

„ალბათ, როცა საყვარელმაც მიატოვა“, — მამას არ უთქვამს, ეს რამ გაფიქრებინაო, მაგრამ მაინც გაუყვირდა: ნუცასაც თავის მოკვლაზე უფიქრიაო.

— წავალ, შენი ჭირიმე, მამა, გული გატკინე ჩემი უბედურებით...

„ყველაფერი რომ იცოდეს, ამაზე არ ილაპარაკებდა... ნუცა მე სხვა მეგობრებზე უფრო იმეტომ მიყვარდა, რომ კარგი გულის იყო... მე თვითონ ვარ უგულო და სხვებიც ბოროტი ჭგონია...“

— რაკი სიმონ ბიძია უკეთაა, გამოდი ხანდახან ჩემთან. მე ვილა დამრჩა დისა და მეგობრების მეტია...

„ტყავაძის გულისთვის არ უნდა რომ მივიღე? ქმარ-შვილი როგორ გყავსო, ხომ მკითხა... მერის გასაგონად მკითხა?...“

— თუ დავრჩი...

— ჰო, მართლა, სად გეცლება; დიდხანს არ მოიციდი, ასე არ იცი? შვილს როგორ მორჩები.

„არაფერი არ იცის.. ჯუმბერს არაფერი არ უთქვამს, მაგრამ იმ ღამეს ხომ ამან გამაცილა...“

— გაყვები ნუცა...

— როგორც ვინდა, შენი ჭირიმე.

მამამ კაბა გადაიცვა. ნუცა ყველას კიბესთან დაემშვიდობა. ჭიჭკარაძეც არავინ მიიყოლა.

ქუჩაში, ცხელასფალტიანი გზის იქით,

ლელის პირზე, ბაჯბაჯა ბატები მიმოლი-
ოდნენ.

— ჭუმბერი არ გინახავს? — მოუ-
ლოდნელად იკითხა მაკამ და ნუცას მი-
აჩერდა.

— კი გოგო, რავა არა, დღესაც ვნახე.

— რაო?

— რათ გოგო და, მართალი მითხრა,
მეგობრობა არ იცითო, შენი დაქალი
მეორე დღეა ჩამოსულა და არც კი გა-
ვაგებინაო.

— მე საიდან ვიციო.

— შენი ძმა მასთან არ მუშაობს?!

— ჰო, ჰო, — უცებ დაეთანხმა მაკა, —
„ნუცამ არაფერი არ იცის...“

— კარგი ბიჭია. გამოვუტყდი: რა
ეჭნა, რომ მივიღე, მაკასი კი არ მერი-
დებდა, მაგრამ მამამისთან, ასე ხელცარი-
ელი... ჩემი ხელფასით... შენ არც იცი
მაკა, ჩემს დისშვილებს... სიძე, გექნე-
ბა გავგონილი, დამინვალიდდა, ჩემი
და, ოთხი შვილის დედა, სად იმუშა-
ვებს... მე, შენი კი არ მერიდებდა, მაგ-
რამ აქ, თქვენებთან, ადრე, ჩვენს ქალი-
შვილობაში, ბევრჯერ ვაწუხებდით. ეპ.
რა დრო იყო... არაფერი კი ჩემგან არ
იციან, მართლა მერიდებოდნენ. ჭუმბერმა
მიყიდა, ღმერთმა მისცეს. გასესხეო მე-
ხუმრა. არ გამომართმევს ვიცი, მაგრამ
ხელფასზე მაინც უნდა შევადლოო. რა
ჩემი დედამიშვილია. რას ვევალები,
თუმც, ვიცი ყველას ესმარება...

— თავისი მანქანით მოგიყვანა?

— არა ჰქნა, გოგო... მეც რატომ არ
გამიხმა ენა, ვუთხარი: ახლა ესენი სად
ვათრიო, ბარემ უნდა მიმიყვანო-მეთქი.

— და არ წამოგიყვანა?!

— არაო, რას იტყვის ქვეყანაო,
ისევ დასდევს ლეკავას ქალსო.

— აბა თავს რისთვის ვიკლავდიო?

— არ ვუთხარი? მარტო მაგი არ იყო
მიზეზიო. მე რომ მითხრა-მეთქი? მე
ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს, მისი
ნახვა მიწოდდა. მომარჩენდა მეგონაო.
იმ დამით, მატარებელზე რომ გააცილე,
რატომ გამაგებინეო... შენ არ მითხარი-
მეთქი? უნდა მოგეტყუილებინე; აქაა,
შენს გამოკეთებას უცდისო და იმედი

მომეცემოდაო. მომაცვდავი ადამიანი...
იცი შენ რაა; იმ დამეს, როგორ მოხდა.
არც მახსოვს, საავადმყოფოდან გავი-
პარე და ტყეში ვეგდე, მიწოდდა მოვ-
მკვდარიყავიო, რადგან ჩემთვის ერთი
დამე არ მოიცადაო. კინაღამ მოვკალი,
ქალს ანგელოზივით ქმარ-შვილი ჰყავს-
მეთქი. ქმარი შენც გყავდაო. მე რომ
ქმარი მყავდა და მაკას ქმარი ერთია?
და შვილი—შვილია-მეთქი.

— კარგი ნუცა; შენი ჭირიმე, კარგი!
მაკა აკაციას მიეყრდნო, თვალები და-
ხუჭა და კარგა ხანს ლელის პირიდან ბა-
ტების ყოყინილა ესმოდა.

ავტობუსი რომ მოჩაყაყაყდა, გამომ-
შვიდობებისას ნუცას ისე გულწრფე-
ლად აკოცა, როგორც არავისთვის არ
უკოცნია; როცა მანქანა თვალს მიეფა-
რა და კარგა ხანს მერე სახლისაკენ წა-
ლასლასდა, საბოლოოდ დარწმუნდა,
რომ არარაობა იყო...

●
გათენებამდე აყრიამულდნენ ჩიტე-
ბი — ალბათ ტოროლა თუ იყო, მაღლა
ფრთების ტკაცუნით რომ იჭრებოდა და
მისი სმაც ამ გალობა-ჩხიფინ-ეიფეიში
ირეოდა. ღია ფანჯარასთან ერთმა ნა-
ცარა, კუდგრძელმა ჩიტმა ბლის ტოტი
ამოიჩემა და მონდომებით აელურტულ-
და. დაძაბული, მთელი ხმით უხმობდა
მზეს, ტოტებზე ხტოდა და ფრთებს
განზე სწევდა, კისერზე ბუმბული ეშ-
ლებოდა, მიფრინავდა და ისევე უკან
ბრუნდებოდა.

„მთელი დამე არ უძინია წუხელ
ტყავაძეს, — ფიქრობდა მაკა, — მთე-
ლი დამე მეძებდა და ვინ იცის, რამდენ-
ჯერ აუარ-ჩაუარა ჩვენს ჭიშკარს. ვხაზე
რომ გადავსულიყავი. ნახევარი საათი,
არ დამჭირდებოდა ლოდინი... რაკი გავ-
იგე, მიფრთხილდებდა და ნუცამაც კი
არაფერი იცის, ეგონა მეგობარს გავ-
ყვებოდი“ დაბამდე, ან სადმე შეგხვდე-
ბოდი... ნუცა დააჩერა, რომ ვუყვარ-
ვარ... ვუყვარვარ და მეტი არაფერი...
ნუცა ასე გულუბრყვილოდ არ დიჯე-
რებდა, რომ ჩემი იმედი არ ჰქონდეს...

„შენით ვამაყობო“, — მითხრა ერთხელ. ჩემით შურს ძიობს მამაკაცებზე: ერთზე, რომელთანაც ცხოვრება გაუჭირდა და მეორეზე, ვისაც ეგონა უყვარდა და მიატოვა. ვინც კი ამ ქვეყანაზე მიცნობს, ყველა მოტყუებული და თავლადსხმულია ჩემვან“...

ბიჭიკო ნახევარი საათის წასული იყო, რომ მერი ამოვარდა ატირებული და მულის გვერდით საწოლზე დაემხო. მაკა ბავშვივით მიეფარა, თითქოს სადღაც პატარა მაკას მიუღალვრსა.

— რა იყო მერი, შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

— შენი გადარჩენილი ვარ. მაკა, შენით ვარ ცოცხალი...

— ვთქვით. მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ლაპარაკია, აღარ დავიწყებ? — მაკას ეწყინა კიდევ ეს გაუთავებელი მადლობა. მერის იმაზე დიდი რაღა უნდა ექნა, რომ შვილს მულის სახელს არქმევდა. ეს მაშინ, როცა მაკასთვის ამას თუ შეეძლო ერთადერთი სიხარული მოეტანა.

— მაკა!

— რა მოხდა, გამაგებინე!

— წუხელ, — მერის ცრემლები უსწრებდა და ენა ებმოდა. — წუხელ, კინოს მერე, მეზობლის ელამ გოგოს. ჩვენს იქით. მოსახვევში რომ ცხოვრობს...

— ცაბუნია ჰქვია.

— ჰო, ცაბუნიას კინოს შემდეგ ვილაც ბიჭი გამოჰყოლია.

— მერე?

— მერე... დაბრუნებულ მეზობლის გოგო-ბიჭებს რომ გაუვლიათ. დედამისს შვილის ძებნა დაუწყია...

— მერე, რა მოხდა?

— გზაზე წაუსწრია, კოცნიდა თურმე.

— ვინ?

— არ ვიცი, ვილაც. წუხელი რაღაც ხმაური და ჩოჩქოლი არ გავიგია?

— ჰო, მგონი, მაგრამ შენ რა შუაში ხარ?

— ამ დღით დედა ამბობდა: ქვეყანა გაირყვნა, გათახსირდა. ახლანდელი ქალი სახლში არ შემოიშვება. აწი რომ

გოგო დაიბადება, აკვანში უნდა ჩააკლავ.

— ჩუ, მერი, — გაუწყრა მაკა, — მერე რა მოხდა, თქვას: აღარ უთხრა, დედაჩემს ყურს ნუ უგდებო.

— მამა... მამა შინ არ იყო, დედამ რომ ამბავი მოიტანა, ვენახს აკრავდა. დედას მოვერიდე, ვიცოდი, მარტო ცაბუნიაზე არ ლაპარაკობდა. მამასთან ვიქეცი, ვიფიქრე, თან მივეხმარებინეთქი. მე მამა... შენსავით მიყვარს... და ვუთხარი, ასე ყოფილა-მეთქი. მეგონა, გაეცინებოდა. ცაბუნიას თუ ვინმე აკოცებდა და ეს ქვეყნის დაქცევა იქნებოდა, რაღა მეგონა.

— მამასაც ეწყინა? — მაკამ ფანჯარაში გაიხედა, მერის თვალებს თვალი მორარდა.

— მამაძალიო, — აგინა სულ, ცეცხლი შემოენთო სახეზე, მოსაკლავია ეს ოხრის შვილიო, ქუჩა გალანძდა, მეზობლებს თავი მოგვჭრაო...

— კარგი მერი, კარგი.

— არ მამატივებდნენ, მაკა, არავინ არ მამატივებდა, შენ დაგდეს ამოდენა ხათრი. შენი სიყვარულისთვის დათმეს. მე, შენმა პატიოსნებამ გადაამარჩინა... ყოველთვის, მაგრამ ახლა ნამდვილად ვიცი. რა დანაშაულიც ჩავიდინე. მე არავარ ღირსო შენ თვალებში გიყურებდი...

— გაჩუმიდი, მერი! — უყვირა მაკამ.

მერიმ ხმა ვაკმინდა. მაგრამ ტირილი არ შეუწყვეტია.

„ჰო, მე რომ არა, მერის შინ არ შემოუშვებდნენ... — მაკა საწოლიდან აღვა, — არც იყო შემოსაშვები!“

ღალამდა, ბიჭი არ გამოჩენილა.

მაკამ მთელი ღამე ისე გაატარა. ვითომ აწი სულერთია, რაც მოხდებო. საღამოს მაინც აწრიალდა. გერ მერის ჰკითხა, ძველებურად ხშირად აგვიანდებო შენს ქმარს თუ არაო. მერიმ: ერთ შემოვლას მაინც შემოვივლიდაო.

„იქნებ ქმრის საყვედური არ უნდა მითხრას. დედაც ხელს დააფარებსო. და მამას ჩამოუღდო სიტყვა: ცოლის შერთ-

ვის მერე ცოტა ხომ მოშინაურდა შენი ვაჟიშვილიო?"

სიმონმა ხელი ჩაიჭნია.

— ვითომ, მარა... დროებითია, ხომ ზედვ, დღეს სულ არ ჩანს...

„დღეს ისევ დასჭირდა ტყავაძეს“, — გაიფიქრა მაკამ და გადაწყვიტა, უკანა ოთახში ჩაეკეტილიყო. ლამთაც კი არავინ შეეშვა დასაძინებლად. თითქოს ტყავაძეს ხედავდა, — ისე გრძნობდა, რომ იგი დღეს არაფერს მოერიდებოდა. გუშინ გააგებინა: ყველა ჩვენი შეზღვედრა, ჩემის მხრივ, კაციშვილს არ გაუგია, ნუცასაც კი ავუხვიე თვალები. უნდა შემხვდე, მე შეუძლებელი შევძელი და ამ ღამის მერე წინ რაღა დამიდგებო.

მერი არ ეშვებოდა: საფერხელში დაგიჯდები, სანამ არ დაგეძინება, არ მოგეწყინოსო.

— არა მერი, მარტო მირჩევნია... დედას და მამას არ ვუძახელ, თუ არა, ავად ვარ, გულის ფრიალი დამიწყო. არც გინომ იცის; არ მინდა დასნეულებული ვეგონო...

— ჰო, მაკა, ძველებურად აღარა ხარ. მე არ ვითხარი, თუ არა, ნუცა მართალი იყო.

— ნუცა მართალია, — დაეთანხმა მაკაც, — ნუცა მართალი გოგოა. შენ კი უნდა დამეხმარო, ჩემო მერი, ნურავის შემოუშვებ. უთხარი, რომ აქ არა ვარ, ან ძალიან ავად ვარ... გოჩა მინდოდა ჩამომეყვანა ერთი დღით მაინც, მერი, რაიმე წიგნი მომიტანე და წადი, მამაჩემს მიეხმარე, შენ უკვე უყვარხარ მამას და ვინც უყვართ, იმას, ალბათ, აპატიებენ...

— შენ გაპატიებს, მაკა, ჩემმა ძმამაც შენ გაპატია...

— კარგი! — ხმამალა თქვა მაკამ და ცოტა ხნის მერე დაუმატა, — არავინ მოუშვა ჩემამდე.

— კარებთან დაეწყები.

მაკამ ამ ბოლო დროს დაჩემებული სევდიანი ღმილით გაიღიმა.

— გოგო, კი არ ვკვდები... უბრალოდ, მარტო მინდა ყოფნა. ბიჭის ამხანაგები ხომ არ მოყვება თუ იცი?

— არ ვიცი, ჩემს აქ ყოფნაში მარტო ერთხელ ახლდა, მარნის გამგე ყოფილა, ვილაც უკლება, კოჭლი, ძალიან კარგად მღეროდა, და ვილაც მისი თბილისელი მეგობარი დოლიძე. ბიჭიმ თქვა, ქალაქში ერთად ვცხოვრობდითო. ახლა არ ვიცი.

„მე ისიც მწყინდა ჩემი ქმარივით რომ ვერ ვწერდი, შენ კი, ვერასოდეს ვერ გაიგებ შენი ქმრის ასავალ-დასავალს, მაგრამ მაინც ერთგული იქნები მისი, — თქვა თავისთვის, როცა მერი გავიდა. — ასეც ვერჩიოს, ახლა მთლად მივატოვე და ნეტავ ქუჩაში შემხვედრ ყველა ქალზე გამცვალოს...“

ასე, მაღალ ვახშობას რომ ეტყვიან, ის დრო იქნებოდა, ეზოდან ისეთი შეწყობილი სიმღერა მოისმა, მაკას სიცხე მისცა. სიმღერა ნელა უახლოვდებოდა სახლს. ის-ის იყო მთვარეც ამოვიდა — ასეთ ხმატკბილ სტუმრებს არც ერთი ოჯახი მასპინძლობაზე უარს არ ეტყოდა. მაკა ხმაზე მიხვდა, რომ მარტო ბიჭი, ტყავაძე და უკლება არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს სიმღერა სუფრაზე ნასწავლ სიმღერას არ ჰგავდა.

მომღერლები მსხალს აქეთ არ წამოსულან.

„ტყავაძე მემუქრება: თუ მაინც არ გამოხვალ, ამის მერე მანდ მოვალ და პერანგის ამარა წაგიყვანო. კი, ალბათ, ასეც უნდა მოხდეს, რადგან სიზმარი ბოლომდე ჯერაც არ ამხდენია“, — მაკამ თავზე ბალიში წაიფარა, მაგრამ სიმღერა ისევ ესმოდა, უფრო ხმადაბლა და საამოდ. „ხის სახლი ამიტომაც ცუდი. — წუხდა მაკა, — შამანურებს ხსნიან, ალბათ სადღეგრძელოებიც უნდათ გამაგონონ“.

მერი შემოძვრა შუა კარიდან.

— სინათლე არ აანთო.

— მაკა, შენ გულთამხილავი ხარ!

„მარგოსავით მეუბნება, — გაუღელვა მაკას და გაუკვირდა, — რას დავეძებ, როგორც მეუბნება.“

— რა იცოდი, რომ მოვიდოდნენ!

— არ ვიცოდი.

— მუსიკალური კომედიის თეატრის მომღერლები ახლავთ, ბიჭის ნაცნობები.

— თუ მიკითხონ, უთხარი, რომ ბიძაჩემთან ვარ.

— მალე წავლენ თუ რაიმე გავაკეთოთ?

— არა, მერი, შენგან არაფერი არ უნდა.

— მოვრალებია.

— ჰო, ასე იქნება.

მერმ გარედან გადაკეტა კარები.

„ალბათ სხვა გზა არა მაქვს, უნდა შევხვედ... ძალიან კარგად მღერიან.. ღმერთო, თითქოს დამავიწყდა ყველაფერი და ისევე ისა ვარ, რაც ვიყავი... უკან დახევა არ ხერხდება, მინდა არ მინდა, უნდა შევხვედ...“

— ღმერთო მიშველე! — დაიძახა დილით და ლოგინიდან წამოვარდა. „ახლა ჩემთან იყო და მე კისერზე ვეხვეოდი... თითქოს გული მწყდება, რომ ახლაც აქ არაა. თუ ეს მართალია, მე დღეს დავიღუპები“.

ღია ფანჯარაში გადაეყურდა, დილის ნოტიო ნიავს შეუშვია სახე და მკერდი. მერე დაწვა და ერთადერთი, რაზეც შეეძლო ეფიქრა, ეს იყო ბავშვი. „უნდა ჩამომეყვანა, იგი ამ დღეებში ჩემთან უნდა ყოფილიყო“. არეულად და ბუნდოვნად იხსენებდა ქმარს. ხან ეგონა, რაც თვითონ წამოვიდა, გენო ყოველდღე ღალატობდა და ყრუ ტკივილს გრძნობდა. რა უფლება მაქვსო — წყრებოდა, მაგრამ ტკივილით მაინც ტკიოდა. ხანაც, პირიქით, ფიქრობდა, სამსახურიდან პირდაპირ შინ ვარბის და დედაზე დაჭაგრიანებულ გოჩას ეფერებო, ამ შვიდებს: დედა მალე, მოვო. ზოგჯერ ეგონა: გენომ უკვე დაიჯერა, რომ მაკა მოლაღატეა და კარგს იზამს, სადაცაა თუ იქ დარჩება და ბავშვს დედის გახსენებაზე არ უჭაერდება, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს დააიწყოს; „ჩემს ამბავსაც აღარ კითხულობს. არც მაშინ მოთქვამს, როცა მოვდიოდი, ხეი-

რიანად არც იცოდა მამაჩემი უკვე საოპერაციო იყო თუ არა; ისე ჩამოვედი სანახავად, თუ საერთოდ მინდოდა წამოვსულიყავი. ამ ბოლო დღეებში იგი რალაცას მიხვდა, რაზეც აღრე არ უფიქრია... თუ საპატიებელია, შენმა სინდისმა გაპატიოსო... მას ჩემი იმედი ჰქონდა და მე, ალბათ, ამანაც დამღუპა. არც კი მეგონა, თუ ასე უსუსური ვიყავი, რომ მერის შევაფარებდი თავს, მისი მფარველობა დამპირდებოდა...“

მთელი დღე ელოდა ისევ რალაცას — დაღლილ-დაქანცული და იმდენად თავმობეზრებული, რომ უკვე ეჩქარებოდა. ჯერ, ნაშუადღევამდე, ოთახიდან არ გამოსულა, მერე გამოვიდა, მსხლის ძირას დაჯდა და შინ შესვლა არ უფიქრია. მერი შორიასლო უტრიალებდა, იქნებ რაიმე ვაამო. მერე ისიც ჰკითხა, ექიმთან ხომ არ წავსულიყავითო, მაგრამ მაკამ ისევ სევდიანი ღიმილი მოიშველია.

სიმონი დილიდანვე ცუდად გრძნობდა თავს. უფრო ხშირად წამოწოლილი იყო. მაკას არც კი უკითხავს, რა აწუხებდა.

— ბიჭის მოსვლის დრო არაა? — ერთადერთი, რაც მას აგონდებოდა, ეს იყო.

— ჯერ არა, მაკა, დღეს ალბათ აღარ დააგვიანებს... წუხელი კარგად მღეროდნენ...

— აპ?..

— წუხელი კარგად მღეროდნენ-მეტეი.

— ბებია უკეთესად მღეროდა.

— რას მეუბნები?!

— ბებია ყველაზე უკეთესად მღეროდა.

— ჩემთვის არავის არ უთქვამს.

— შენს შვილს ბებიას სახელი დაარქვი.

— მე მაკა მინდოდა დამერქმია.

— ბიჭის მოსვლის დრო არ გამოგეპაროს.

— არა, რა გამომაპარებს.

— გოჩა ხშირად ჩამოიყვანეთ, მერი, იქ პატარა ეზოა, აქ თავისუფლად ირბენს...

— შენი გონა?
 — ჰოდა, შენი ჭირიმე, მერი, ძალიან მოეფერე...
 — აბა, მაგრამ...
 — მე სულ ვერ მოვიცალო იქნებ ჩამოსასვლელად და იმიტომ გეუბნები...
 — დედაჩემი ისევ ჩაის საკრეფად დადის?
 — ხანდისხან. ამ დილით ბრიგადირი ნამეტანი შეეხვეწა, გეგმაზე გვახრჩობენო.
 — მთელი ოჯახი ბებიაჩემი იყო...
 — შენს მახსოვრობაში მოხუცი იქნებოდა.
 — ერთხელ ცა გაეხსნა ბებიაჩემს.
 — ალბათ მოეჩვენა.
 — არა, — მაკამ წყენით შეხედა.
 — მაკა, შენი ჭირიმე! — მერი სულ დაიბნა, — ბებიას, ალბათ, მართლა სჯეროდა, — ვერ უთხრა, შენ თუ მართლა გჯერაო.
 — მართლა გაეხსნა... ღმერთი, მერი, სჭირდება ადამიანს.
 — კი, მაგრამ...
 — იგი იმდენად საჭიროა, უნდა ყოფილიყო... მაგრამ... წადი ახლა, მერი, ბიჭის მოსვლის დრო არ გამოგეპაროს...
 მერი უხმოდ წავიდა უკან-უკან და რამდენი ნაბიჯითაც დაშორდა მსხლის ძირას ჩამომჯდარ მულს, იმდენი შიში და მტანჯველი სიბრალული იგრძნო. მერე უცებ შებრუნდა, მაღლა, წინა ოთახში ავიდა ატირებული და იქედან ბიჭის დაბრუნების დრომდე, მულისათვის არც თვალი მოუცილებია და არც ცრემლი შეშრობია.
 „რად უნდა ბიჭი, ამ დღეებში ორი სიტყვა არ უთქვამს მისთვის და დღეს რატომ ამოიჩემა. მალე მაინც მოვიდოდეს, იქნებ დამშვიდდეს... რატომ მითხრა, ვოჩა ჩამოიყვანეთ და ძალიან მოეფერეო. მე ხომ ვიცი, ბავშვს არ ანებივრებს და ზედმეტ მიაღერებებს ყველას უშლის. რა უჭირს, რატომ არ ვიცი, რატომ არ ამხელს, მე მაინც რატომ არ მეტყვის, მე მაინც... — მერის ისევ ახრჩობდა ცრემლები. — რა ხანია ახლა იქ ზის, ზის და თითქოს ვილაცას

უგდებს ყურს, ვილაცას ელოდებო. ჯერ გაოთთ არ გამოდიოდა, მერე ჩაცმული გამოვიდა და უკან აღარ შემოდის...“
 მერი რომ მიუახლოვდა, ბიჭის მოსვლის დრო ჯერ კიდევ არ იყო.
 — საცაა მოვა, მაკა.
 — ჰო, მოვიდეს, სად დადის...
 — ხომ იცი ბიჭის ამბავი.
 — ვიცი.
 — ჰოდა, რომ დაავიანდეს, მითუმეტეს შენ არ გაავიკირდება.
 — არა, არ უნდა დაავიანდეს.
 — მაკა...
 მაკას არ უპასუხია. ხელში ხელი მოკიდა და გვერდით მოისვა. მერამ კალთაში ჩაიღო მისი. ხელი და მიესათუთა.
 — რა კარგი თითები გაქვს, მაკა.
 — ჰოო, შენ მოგწონს?
 — ამ ბოლო დროს მოუვლელი მეჩვენება, თითქოს ბროწეული გაგეწუროს.
 — ჯერ რა დროს ბროწეულია, ჩემო გოგო.
 — არა, ეს სულ მალე გაივლის, ასეთი ხელები ცოდევა. ახლა რომ ჩამოდი, ბეჭედი არ გქონია, ამ თითს კი ეტყობა, რომ სულ ზედ გეკეთა.
 — დამჩნა, მერი.
 — მერე რა უშავს, შენს თითებს ოქრო არაფერს მატებს, პირიქით, მე ყოველთვის თვალში მხვდებოდა, არ ჭირდება-მეთქი.
 — ბიჭი რომ არ მოვიდეს?..
 — შეიძლება დაავიანდეს, თორემ როგორ არ მოვა!
 — ჰო, რომ დაავიანდეს?
 — ბიჭისგან ამას მეც მიგეჩვიე... სულ არ მაწუხებს, მაკა. მამა რომ ისევ ვერაა კარგად?
 — ჰო, არ არის კარგად...
 — ისევ საოპერაციო რომ შეიქნეს...
 — მერე რა?
 — მე თუ არ ვიქენი თოთო ბავშვიანი...
 — ბავშვი კარგია, მერი.
 — კი, მაგრამ მე უშენოდ... მე მინდოდა შენ ყოფილიყავი აქ, როცა...
 — გეშინია?

— მეშინია, მაკა, შენ რომ ყოფილი-
ყავი, არ შემეშინდებოდა.

— არაფერია, არაფერი არაა.

მერის ისევ მოუნდა ტირილი და, მა-
მას დაეხედაყო, მოიმიზეზა.

კარგად რომ შელამდა, მერიმ მაკა მა-
მამთილთან მიიყვანა. სიმონი პალატში
ტახტზე გაუხდელად იყო მიწოლილი და
ამ საღამოს თავს ცოტა უკეთ გრძნობ-
და. უკვე ვახშობას აპირებდნენ, მაგრამ
ბიჭის გამოჩენას ელოდნენ. მერი ქმარ-
ზე არაფერს ამბობდა, მაკას ისევ არ
მოვავგონო.

ასე, ნახევარი საათის შეღამებული
იქნებოდა, რომ ჭიშკართან მანქანა გა-
ჩერდა. შუქფარები არც კი ჩაუქვრიათ.
ვილაცამ დაიძახა.

დაძახილზე მაკა წამოვარდა, მაგრამ
ერთხანს იდგა და ისევ ჩამოჯდა. ცუ-
დად ვარო, ეს თქვა, მამისა და რძლის
გაკვირვებულ თვალებს რომ წააწყდა.
ოღლა კეცებიდან მჭადს იღებდა და ნე-
შოს აცლიდა.

— დედა, გახედე, ვილაც მოვიდა. —
თქვა მერიმ და კეცლთან თვითონ და-
იხარა, — ამას მე ავიღებ.

— ბიჭი იქნება.

— დაიძახეს.

ოღლა რომ გავიდა, მალე მისი ხმა
მოისმა.

— არიქა, გამოდით გარეთ!

ამას ბიჭის გინებაც მოჰყვა.

— გამოდით, თქვენნი!..

მერიმ სანახევროდ ნეშოვაცლილი
მჭადი ხელიდან ვაგდო და გაიქცა. სი-
მონმა ფეხები ტახტიდან ჩამოუშვა და
ქუსლებზეათელილ წალებს დაუწყო ძებ-
ნა.

მაკა არ განძრეულა.

სიმთვრალით ენაწართმეული ბიჭი
ვილაცას უშვერად აგინებდა.

— უჩხუბია, — ამოიკვნესა სიმონმა
და ფეხებიდან წალები წაპყარა.

— უჩხუბია? — იკითხა მაკამ, მაგრამ
ამ დროს მან თავისი სახელი გაიგონა.

— მაკა სადაა, ჩემი დაიე მაკა!

„ტყავაძეს გაულახავს!“ — მაკა აღ-
გა და ეზოში გასვლა დააპირა, რომ ბი-

ჭიმ, ეტყობა, თვალი მოჰკრა თანჯარაში
და პალატისაკენ წამოვიდა. აქეთ-იქით
მკლავებში ჩაფრენილი დედა და ცოლი
ჯიკავჯიკავით გამოიყოლა.

— მაკა სად ბრძანდებია! — ხმამაღლა
იკითხა, როცა კარებს მოადგა.

„ტყავაძემ უთხრა, შენი და ჩემი სა-
ყვარელიაო?“ — ესლა გაიფიქრა მა-
კამ.

— გიჟი, ვადარეული, — სიმონი ისევ
მიწვა და პირი კედლისაკენ იბრუნა.

მაკამ თავი ასწია და ძმას სახეში შე-
ხედა.

— ამაყად მიცქერის ჩემი დაიე...

„აი, ეს არის მაკა, — გაიფიქრა მე-
რიმ და ქმარს ხელი უშვა, — ამ ქალს
ვინ რას გაუბედავს!“

— რა ამბავია ბიჭო, რას გავხარ! —
ბიჭის მთლად ჩალურჯებული ჰქონდა
მარცხენა თვალი. ცხვირი ბუკივით გახ-
დომოდა.

— არ მოგწონვარ? გიხაროდეს, შენ-
მა მათხოვარმა ქმარმა გამლახა! — ილ-
რიალა ბიჭიმ.

— გენომ?! — ეს კი წამოცდა, მაგ-
რამ მაშინვე ენაზე იკბინა და ქვედა ტუ-
ჩი აუცახცახა.

— გენოია გაბღენძილმა... კაცს მაინც
გაველახე... ამ ქალადების ვერთხამ რა
მიქნა ეს... მეღნიან თითებს რომ იწოვს,
იმ ხელით რავა გამლახა!

— გენომ?! — შეიცხადა ოღლამ და
შვილს სახეში ჩააჩერდა, — ღმერთო,
სული ამომაძვრე, გენომ, ბიჭო, გე-
ნომ?!

სიმონი ვადმობრუნდა და მაკას შე-
ხედა: მართლა შეიძლებოდა ეს მომხ-
დარიყო?

— მაკა?! — მერი მელს მივარდა და
მოეხვია.

— გენოია ინტრიგანმა... — იღრიალა
ისევ და გაშლილი ხელი კედელს შე-
მოჰკრა.

— რას გერჩოდა, შვილო, რა დაუშა-
ვე, გენო რავა იზამდა მაკას!

— გენოია მათხოვარმა!..

— რა მინდაო, შვილო, სად ნახე, რა-
ტომ აქ არ მოიყვანე!

— რა უნდა ჩემსას... მე მაგის... რა უნდა ჩემსას!..

— რა მინდაო, რა მინდაო! — იყვირა ოლღამ.

— რა ვიცი მე... რა ვიცი, რა უნდა!..

— რატომ აქ არ მოვიდა, სად ნახე!

— სად ვნახე, როდის ვეძებდი მე მაგის გზა-კვალს! თვითონ დამირეკა, მერე იმ დაჭეჭილი „მოსკვიჩით“ მომაკითხა და წამიყვანა!

— სად, შვილო!

— პური ვჭამოთო. არიქა, ვუთხარი, იქნება კაცობას აპირებ-მეთქი. მაგ დედალი!.. მაგ დედალი!..

— მერე, სახლში ვერ წამოდიო?

— არ ქნა, სადმე კარგი პურის საჭმელი ადგილი გეცოდინებო. რავა არ ვიცი-მეთქი, მასავით ქალაქების ბუნავში კი არ მძინავს!..

— სახლში რატომ არ მიმიყვანო?

— არ ქნა, მერეო, — იძახა! სვა და სვა ამ მათხოვარმა!

— მერე, ლენინოში აწყენინებდი, შვილო, რატომ მიქენი, რატომ დამლუპე!..

— რა ვაწყენინე მაგ ღვთის გლახას, რა ეწყინა: შენი ღირქეტი თავს რატომ იკლავდა, მითხარიო! რა ვიცი მე, რატომ იკლავდა. ძაღლი მიაკვდა გენოია ინტრიგანს, რომ მცოდნოდა, მაინც არ ვეტყვოდი!

მაკას ცხლად გადაუარა და ქვედა ტუჩის ცახცახმა უმატა.

— ვერ უთხარი, შვილო?

— რა მეთქვა, რელაქციაში რატომ ამულშავებდნენ, რომ კარგი კაცი იყოს!..

— ხომ გამართლდა ის კაცი. რევიზია იყო-თქვა, ვერ უთხარი?

— საავადმყოფოში თუ ნახულობდიო. ვნახულობდი. მაგას ვინ კითხავს, მაგ ქალაქების მატლს! შენს გარდა, შენი ოჯახიდან ვინ ნახაო!..

მაკას ისევ ცხლად გადაუარა.

— მერე, შვილო, ვეტყვოდი არავინ-თქვა, მაგისთვის აწყენინე ისეთ კაცს!

— რა კაცია მაგ ინტრიგანი! არა-თქვა ვუთხარი. დაგიკრა? მართალი მითხარიო. თავი დაანებე მაგ ინტრიგანობას-მეთქი! სულელი ხარო. ბოთლს წამო-

ვავლე ხელი, მარა მაგ გაფუჭებულს შენ მოატყუებ! იცოდა, რომ დეპარტყამდი და ხელეზში მეცა! მაინცდამაინც დღეს არ მოეკიდა ღვინო მაგ დედალს! რომ გავქცეოდი, იცოდა მოვკლავდი და მანამ არ მომეშვა, სანამ ფეხზე დგომა შემძლო! სულერთია, აწი ხომ დავაყრევიწე წელები!.. სად წამივია!..

მაკამ ფრთხილად მოიშორა მერი, იქვე მამის წინ სკამზე დასვა, სადაც თვითონ იჯდა, დედას და ძმას გვერდი აუქცია და გარეთ გამოვიდა.



გარეთ ეჩინებოდა. გრილი, სველი ჰაერი იდგა. მაკამ კიბე აიარა. პალატში ბიჭიმ ხმას აუწია, მაგრამ ძმის ნათქვამი არ ესმოდა. მისთვის სულერთი იყო, რას იტყოდა იგი, გენოსთვისაც სულერთი იყო...

მაკა შუშბანდში შევიდა, იქიდან წინა ოთახში გაიარა, ყველა კარი ღია დატოვა.

„გენოსთვისაც სულერთი იყო, იგი თუ ელაპარაკებოდა ბიჭის, მე მელაპარაკებოდა. დღესაც ბიჭი არ გაულახავს, არც ერთი მისი მოქნეული ხელი ბიჭის არ მოხვედრია...“

ფეხსაცმელები გაიძრო, ხელში დაიჭირა და უკანა კარებიდან წინდების ამარა გავიდა. ბიჭი ისევ ხმამალა გაჰყვიროდა.

კიბე ცივი იყო. გაუკვირდა, რომ ფეხშიშველა გავლა მოუნდა. წინდების ამარამ ჩაიარა საფეხურები და ჰიშკრისკენ წავიდა. ფეხის გულებში ნეტარებით გრძნობდა ბალახს და მიწას, ისე, რომ მასზე არ ფიქრობდა. სველი ფეხები ეზოს გადაღმა ჩადგა ფეხსაცმელებში და გზას თავდახრილი დაადგა.

იშვიათად გაიქროლებდა მანქანა — ერთადერთი, რაც მას შეეძლო დაენახა. დანარჩენი ყველაფერი წვიმის თქორში იყო გახვეული. ფიქრები: დონდლო, შედედებულნი.

„ტყავაძე დამეწევა. ჩემი თავშესაფარი ახლა მისი მანქანის რკინის კედლებია...“

საცაა დამეწევა, ისე უნდა ვიარო, რომ მიცნოს... მალე წვიმას მოუმატებს და თავშესაფარი მინდა. რომ გავცივდე, საღ დავეწვე, ვინ მომივლის. ზოგჯერ გლანდებიც მაწუხებს, გაციებას უნდა მოვერიდო... დაბამდე მაინც არ ვაწვიმდებოდეს... იქ სადმე შევაფარებ თავს... ფეხით არც ისე ახლოა. რა მალე დავილაღე და დასვენება მომიწია! გზის დასაწყისშივე დავილაღე“...

უკან მომავალი მანქანის შუქფარებმა გაუნათეს გზა.

„ტყავაძე დამეწევა და ჩქარა წავალთ. ღამეა და მარტო სიარული არ შემიძლია“...

მანქანა მოახლოვდა და გაბმულმა სიგნალმა გაუწყვიტა ისედაც დუნე ფიქრი. სულ ახლოს ჩაუჭროლა.

„შუა გზაზე გავსულვარ, უფრო ფრთხილად უნდა მეველო... ჩემს გოჩას ახლა თბილად სძინავს... მე რომ წვიმაში ასე ვიარო, გავცივდები და გლანდები დამიჩირქდება... არ ვამხელდი, გლანდების ამოჭრა არაფრით არ მინდოდა, მეგონა, რაღაც დამაკლდება და თითქოს „მთლიანი“ აღარ ვიქნებოდი... ფოსტიდან დავეურეკავ“...

შორიდან ძლივს გამოკრთა ლამპიონების ბურუსიანი სინათლეები. წვიმამ უმატა. მაკამ ნაბიჯს აუჩქარა. დაბაში რომ შევიდა, თითქმის აღარავინ ჩანდა. საცხოვრებელი სახლები კი განათებული იყო.

„ერთი პატარა, ცისფრად შეღებილი რკინის საწოლი ეყოფა ადამიანს და ერთი ლეიბი, ორი ლეიბი არაა საჭირო...“

ფოსტის შენობასთან შეჩერდა. შესასვლელში ვილაცეები შენიშნა.

„ვაიძე, წვიმის გადაღებას ელოდებიან, სულ დავევლებულვარ, ნამდვილად გავცივდები, — და კიბეები სირბილთ აიარა, — ვაითუ, ხურდა არ მაქვს, ღმერთო, რა იქნება... ხურდა ფული! არის, კი არის. რა ბედნიერი ვარ... თანაც, ჯერ მარტო ბეჭები მაქვს სველი. კარგი ვქენი, რომ ჩქარა ვიარე. ახლა რომ გავჩერდე, შემცივდება... და-

ვეურეკავ და ახლავე მოვა... ოცდაოთხი ოცდაოთხი... რა ვქნა, რომ არავინ მპასუხობს... კიდევ დავეურეკავ, ალბათ სხვაგან მოგზავნი... ჩვენში ტელეფონებზე ცუდად არაფერი არ მუშაობს...“

— ჰალო, ჰო, ტყავაძის ბინაში ვრეკავ... დიხს! ჯუმბერი მინდა... არ ყოფილა ამ საღამოთი?... მალე მოვა თუ იცით?... მე ისევ დავეურეკავ...“

„ყოფილა და წასულა... მე დამეძებს... სანამდე ვიდგე ახლა ამ ჩიხურში... ისე კარგი კია, პატარა ოთახივითაა, აქ ერთი სკამი რომ იდგეს, შეიძლება ჩამოჯდე და დაიძინო, რომ გარეთ არ გაცივდე... მე და გენო სულ იმის ცდაში ვიყავით, დიდი ოთახები გექონოდა“.

„ვილაცა ფანჯარაზე აკაკუნებს. ვავალ და დარბაზში გაჩერდები. ეს ხალხი აქ მარტო წვიმის გადაღებას არ უცდის... ვილაცა ჰყავთ გამოძახებული სალაპარაკოდ... უნდათ გაიგონ, შვილი ხომ არ გაჰირვეულდა უდედოდ... ან მამა როგორაა... ეს ბიჭები ასე რატომ მიეუბრებიან? მიხვდნენ, რომ საყვარელს დავეურეკე? რატომაა, რომ სანამ პატიოსანია ქალი, ხმას უბატონოდ არავინ ვასცემს, როგორც კი ხელიდან წავა, თითქოს შუბლზე აწერიო... წავალ აქედან, გავივლი თუ არა, ის ცხვირდაგოზილი ისე მიეუბრებს, საცაა მოვა და რესტორანში დამპატიეებს... ბიჭიკოს სულ დაჩიჩქილი ჰქონდა ცხვირი... წავალ სადმე, რომელიმე სახლის სადარბაზოში შესასვლელში შევეფარები“...

„წვიმას მოუტოლა, მე დღეს ბედი მწყალობს... ნელა ვივლი და დრო ჩქარა გავა. ვივლი მანამ, სანამ ლამპიონები არ გათავდება, მერე მეორე მხარეს გადავალ და აქეთ გამოვცევი. ჯერ ადრეა, სახლები განათებულია, მერე კი ყველა დაწვება თავის საწოლში. მუთაქაზე ბალიშს დაიდებენ და დაიძინებენ. თითქოს მარტო მუთაქაზე ძილი არ შეიძლებოდეს. მე და გენომ თითო ბალიშში ოც-ოცი თუმანი მივეციით, დიდი ბალიშები ვიყიდეთ. როცა მე დაწოლილი მინდოდა წიგნის კითხვა, ბალიშებს ერთმანეთზე ვადებდი, რომ თავი მალ-

ლა მქონოდა... არასოდეს ასე გვიან ქალაქში მარტოს არ გამივლია... ალბათ ფენსაცმელები სულ დავისვარე... ზოგიერთი მაღაზია ღიაცაა. ჭუმბერი ამაღამ სულ რომ არ მოვიდეს!.. ნუცასთან მივიდე? ნუცას პატარა ჰგონია თავისი ოთახი, სამზარეულო და სათავსო არა მაქვსო. რად უნდა... ერთი ნავთქურა და საწოლი კი არა, რა არ დაეტევა!..

„მე მომყვება ვინმე თუ თავისთვის მიდის? ჩრდილებზე ეტყობათ, მე მომდევნენ... მეორე მხარეზე გადავალ — ჯერ ამ მანქანამ ჩაიაროს... რაო? ე, ბიჭო, რა კარგი ვინმეაო? ისევ ამდევნებიან? ფოსტაში წავალ და ხელახლა დავურეკავ... ისინიც გადმოვიდნენ. იარონ.. აგერ რომ ქოლგიანი კაცი მოდის, დავეწევი და ფოსტამდე გავყვები, თუ მანამდე არ გადაუხვია...“

„ის ცხვირდაგოზილი ბიჭი და მისი ამხანაგი წასულან, ისინი ხომ არ იყვნენ, ქუჩაში რომ დამდევდნენ?“

ოცდაოთხი... ოცდაოთხი...

— შენ ხარ? — „ვერ მიცნო“...— აბა ვინ უნდა ვიყო, ფოსტაში გელოდები... ახლავე, ახლავე...

„ამ პატარა ჯიხურში მართლა შეიძლება ღამის გათევა, სანამ მანქანას არ დავინახავ, გარეთ არ გავალ, თორემ მგონი ისევ წვიმს... ჭუმბერიმ კი არ დაიჯერა... რა იყო აქ დაუჯერებელი“...
●

გარეთ კოკისპირულად წვიმდა. სანამ მანქანა გამოჩნდებოდა, ფოსტის სადარბაზო გამოსასვლელში იდგა.

„მე ჯერ ხომ ძალიან ცოტა ვიცხოვრე? ძალიან ცოტა... ცოტა თავისთვის ვარგა — ღორია, მე ჩემთვისაც ვერ ვივარგე... ვერც პატიოსნად მოვახერხე ცხოვრება და ვერც უპატიოსნოდ... — ფიქრობდა და ამ ფიქრებში ისევ ორად გაიყო. — აქ რა მინდოდა, საიდან სად მოვედი, აქედან სად უნდა წავიდე“... საშინლად ეჩქარებოდა. ეჩქარებოდა მანქანა მოსულიყო, ისე მალე გატანჯა მარტოობამ და მიუსაფრობამ.

„მალე ტყავაძისთვისაც ზედმეტი გავ-

ხდები, გარებული ადამიანის ბედია ასეთია... რომ მოვა და მკითხოს, რატომ დამირეკეო?“

— ღმერთო! — ხმამალა აღმოხდა, ვილაცამ ყურადღებაც კი მიაქცია. ეგონა, სისხლი გამეყინაო და ისევ აუცანცანდა ქვედა ტუჩი.

„რომ მკითხოს, რატომ არ მასვენებ, რისთვის დამირეკეო? თავი რომ მალღამალა მიგქონდა, რა ჰქენი, უკან რომ ფინიასავით დაგდევდი, ახლა მე მდიერაო, ისწავლე ტელეფონის ნომერი? მე თუ დაგდევდი, ამ დღის იმედით დაგდევდი... მე შენზე თავმოყვარე ვარ და არ შემეძლო შენი დავიწყება, სანამ შენი ფეხით ჩემთან არ მოხვიდოდი. არ თქვა, სულელი ბიჭი იყავიო. ხომ ვითხარი, მას აქეთ არაფერი შეცვლილამეთქი...“

„არა, — უარობდა მაკა, — ამას ვერ მეტყვის, ამას ვერ გამიბედავს, მაგრამ ხომ იფიქრებს? თუ... ჯანდაბას ყველაფერია“...

მაკა წვიმაში გაგარდა და ტროტუარს გაჰყვა, რომ მანქანაც მოაწყდა, გაუსწრო და გაჩერდა. მაშინვე შემოურბინა ტყავაძემ მანქანას და მაკას ხელებგაშლილი შეეგება. ლამპონის სინათლეზე ქალმა კარგად დაინახა მისი თავშეუკავებელი ღიმილი და თვალებში ანთებული ნათურები.

„გამარჯვებულია“, — აღიარა მაკამ და მოღებულ კარში თავდახრილი შევიდა.

სახურავზე გულისწამლებად რახუნობდა წვიმის მსხვილი წვეთები.

— მაკა, — თქვა ტყავაძემ, როცა კარი მოხსურა.

„უკვირს და უხარია, ჯერ კიდევ არ სჯერა... იმდენხანს და იმდენს ნატრობდა ამ დღეს, ჯერ კიდევ ოცნება ჰგონია. გამოფხიზლდება, დაიჯერებს და მერე არც ამისთვის ვიქნები საჭირო. ან ძველ ანგარიშებს გამისწორებს... გამარჯვებული — კანონმდებელია... რაა, თავსხმაა თუ სეტყვა წამოვიდა?“

— წავიდეთ!

— კი, მაკა! — მანქანა დაიძრა, —

ნამეტანი წვიმს, საით მივდივარ არ ვიცი. არაფერი ჩანს.

— ჩქარა იარე! — უნდოდა სიცილით ეთქვა და ვერ თქვა.

— სად გეჩქარება?

— არსად, მაგრამ ჩქარა იარე!

— ვერაფერს ვერ ვხედავ, მაკა!

„აღბათ სარკვეში მიყურებს და გზას იმიტომ ვერ ხედავს.“

— ამ სინათლეებს მაინც გამაცილე.

წვიმა ისევ თავგამეტებით უშენდა. ლამპიონებს რომ ჩაუარეს, მანქანამ სელას უკლო. მაკა სადღაც კუნჭულში მიიყუწა, მუჭის სიმსხოდ დაბატარავებული, და თვალები დახუჭა.

— სველი ხომ არა ხარ, მაკა?

„გავათბობო, ამის თქმა უნდა, აბა რისთვის დამირეკე, ეს თუ არ გინდოდა.“

— აქ, მარცხნივ, ჩვენი სკოლის შენობაა.

„არაფერი არ ჩანსო, წუხდა წელან. მაგრამ სკოლის შენობა კი იცის სადაა“.

— არ გააჩერო!

— ცოტას გადაიკარებდა.

— არა, აქაურობას ვასცილდი, აქ არ გააჩერო!

ტყავამე ისევ გაუგებრად ჩურჩულებდა მაკას ყურთან. წვიმა ერთბაშად რომ შეწყდა, როგორც ეს კოკისპირულმა იცის ხოლმე, ქალის დახშულ გონებაში ახლა ჯუმბერის მობუტბუტე ლელის ხმაური შემოიჭრა.

კაცმა თავი ასწია, მიხედ-მოიხედა და ქნებით ყელამომხმარმა შურალად ეთქვა:

— ჰო, აქ იყო...

„რაზე თქვა?“ — გაუელვა მაკას, მაგრამ თვალებდახუჭული იმის ცდაში იყო, ჩქარა და ღრმად არ ესუნთქა და ხმას როგორ გაიღებდა.

იგი ისევ დაიხარა და ყურთან უთხრა:

— აქ იყო, მაკა, შენ რომ უკანასკნელად დაგინახე, სადაც ამ მანქანის თვლები დგას, სადაც ახლა მე და შენ თავი გვიდევს. აქ გაიარე და წახვედი.

მე ამ ლელის გაღმა, ტირიფების იქით, ვეგდე ჩამპალ ჯირკზე და წითელი ჰიანჭველები მკებენდნენ... ოჰ, როგორ მაწამეს... როგორ მაწამეს...

მაკამ სახეში ხელი ჰკრა და გულზე დამხობილი კაცი მოიცილა. მერე თვითონაც წამოიწია და მიიხედ-მოიხედა.

„მართლა გზაში ვდგევართ?“

ამ დროს მანქანაც გამოჩნდა.

„გზაზე ვართ... მალე სულ გამაშიშვლებს და ქუჩაში დამტოვებს. დაიწყო შურისძიება“.

— აქ რატომ მომიყვანე? — ამოიკენესა მაკამ, მაგრამ პასუხი აღარ მოუსმენია. მან იცოდა, რისთვისაც მოიყვანეს. ლელის გაღმა, ჯირკზე დამხობილს მიჰგვარეს. ახლა, ვინც მას ეხვეოდა, ღლეწანდელი, ბევრისთვის კაცურ კაცად მიჩნეული ჯუმბერი კი არ იყო, არამედ ის მუნიანი და ზინზლიანი ბიჭი, რომელიც ჰირის ღღესავით ძულდა. მაკას თვითონაც აოცებდა, რატომ ძულდა, იმისათვის, რომ მას უყვარდა? იმიტომ არა, არც იმიტომ, რომ ყბა და კისერი წითელი სურსულით ჰქონდა მოტყაული. არა, სძულდა, როგორც ავბედითობა, როგორც ბედისწერა, რომელიც ოდესმე თავისას გაიტანდა და აუხდა, აუხდა და საოცარი სიმწვავით იგრძნო იმ საკერებელადანებული ბლუზის მკავე ოვლის სუნი და სუნთქვა შეეკრა. თავბრუდახვეულმა სახელურს დაუწყუო ძებნა, რომ მინა ჩამოეწია, მაგრამ სანამ იპოვიდა მანამდე ჰაერი არ ეყო და იყვია:

— ვიხრჩვები, ფანჯარა გააღე!

ტყავამე მთლიანად მოალო კარები, მაგრამ ის მწვავე სუნი ახლა თვითონ მაკას ტანსაცმელს გადადებოდა, ტანსაცმელს კი არა, მთელ ტანს, და სული ეხუთებოდა. მინაც ჩამოწია, მაგრამ ის მუნიანი იქვე, ლელის გაღმა იწვა და გარედანაც მწარე სუნი შემოდიოდა.

— წამიყვანე... წამიყვანე აქედან... მომაშორე აქაურობას!..

მაკამ არ იცოდა, რამდენხანს იარეს. ან რა მხარეს. ღია ფანჯრიდან განუწ-

ყვეტლივ სცემდა სველი ქარი და სუნ-
თქვა აღარ უჭირდა. როცა გაჩერდნენ,
ეგონა, ისევ მუნიაანის სუნი დამახრ-
ხობსო, მაგრამ ქარი მაინც უბერავდა
და წყლის ბუბუნიც ისმოდა.

ისევ იქ ხომ არ მიმიყვანაო, წამოენ-
თო და ფანჯარაში გაიხედა. ბნელოდა,
საიდანაც წყლის ხმა აღწევდა, ახლო-
მახლო რომ ყოფილიყო, გაარჩევდა, მა-
გრამ არა, ბუბუნის ქვევიდან ისმოდა, ეს
თეთრი ბატების საბანაო ღელის ხმაუ-
რი არ იყო. ქვევით, შორს, სინათლეები
ბუტუტავდა და ღრმა ხევის მდინარის ოხვ-
რაც თითქოს ქვესკნელიდან ამოჰქონდა.
გზის პირზე, მანქანის ბორბლებთან ბე-
ტონის მოკლე, თეთრი ბოძები მისდევ-
და გზას, ახლო-მახლო ჩარიგებულნი.

— პაპიროსს ვიყიდი! — თქვა ჯემ-
ბერმა და დაიცადა, ხომ არაფერს მეტ-
ყვისო.

„არ ეგონა, თუ ამდენხანს გაჩერდე-
ბოდი. აქ ვინ მიჰყიდის პაპიროსს, ალ-
ბათ სადმე მოსახვევში სასადილოა მდი-
ნარის პირას“.

ტყავაძემ გაუბედავად გააღო კარი
და ჩავიდა.

„როცა დაბრუნდება, მკითხავს, საით
წავიდეთო; ჰგონია, შინ მაგვიანდება“.

ჯემბერს თვალს გააყოლა. უცქირა,
სანამ სიბნელეში არ დაიკარგა, მერე
ნელა, ქურდულად წამოიწია, წინა სა-
ვარძლის საზურგეს ვადაწვდა და ხე-
ლის ფათურით ასანთის კოლოფი მო-
ძებნა. ვერ იპოვა. გაჩერდა. დააყურა-
და: ქარის ქროლვა და მდინარის შფოთ-
ვა ისმოდა. უეცრად აჩქარდა, მანქანი-
დან ჩამოვიდა. თეთრი ბოძების მხარეზე
მაშინვე დაეფლო ქუსლებით. „ვიცი,
რომ მიწას ვემძიმები“, — ეს უთხრა
თავს და ყურადღება არ მიაქცია. ქარმა
კაბა აუფრიალა, წუთით ისევ იყუნა,
მერე წინა კარი გააღო და ნოხმოგებულ
იატაკზე რალაცას დაუწყო ძებნა. ვერც
ახლა იპოვა. ბოლოს მოაგონდა, საქეს-
თან სავარძლის შალითას ვიბე აქვსო.
მაშინვე მიავნო, თითქოს ხელი მიჩვეუ-
ლი ჰქონდეს. იქ კი იპოვა ასანთი, პა-
პიროსი მართლაც არ იყო. კარი ნაჩქა-

რეად მიხურა. ასანთის ღერი ამოიღო,
პირში დაასველა და შუაზე გატეხა, რომ
ნატეხები ერთმანეთს არ დაშორებოდა.
ბორბლებთან დაიხარა, სველ ტალახიან
თვალს ხელი შემოუსვია, საპაერო მილი
მოძებნა და ორად მოკეცილი ასანთის
ღერი ჩაურჭო. ასე დაუშვა ერთხელ გო-
ჩამ აქვსენტის უზარმაზარი თვითმკლე-
ლის ვეება ბორბალი, როგორ გაუქავ-
რდა მაკა მაშინ ბავშვს!..

მაკას დატუმბული ჰაერის თბილმა
ნაკადმა შემოუბერა და ასანთის ღერე-
ბი ამოჰყარა. ისევ ჩაურჭო და ერთხანს
ხელი არ გაუშვა, მერე მესამე ღერი მი-
უმატა და, როგორც იყო, გაეხიდა. მა-
შინვე თავი მიანება და უკანა საბურავს
მივარდა. იქედანაც რომ წულით წა-
მოვიდა ჰაერი, იქითა მხარეზე გადასვლა
უნდოდა, მაგრამ შეეშინდა, მომისწრებ-
სო და გზის კიდეზე, თეთრ ბოძებს შო-
რის დადგა. „რომ მოდიოდეს, დამინა-
ხავს და არ მოვა, სანამ მანქანაში არ
ჩავჯდები“.

ქვევით, ღრმა სიბნელიდან ისმოდა
აღრნელი მდინარის ბურტყუნი. ამ სი-
ბნელის მიღმა ჭიატებდა რამდენიმე
მპეტუტავი ნათურა...

ზევიდან ხრიგინით ჩამოდიოდა ცა-
რიელი საბარგო. მაკამ გზას ზურგი შე-
აქცია. შოფერმა სინათლეზე შორიდანვე
გააჩნია მსუბუქი მანქანა და ხევის პირ-
ზე მდგარი ქალი: ნაწვიმარზე დაღმართ-
ში ნელა მომავალმა, სვლას კიდევე უკ-
ლო და, როცა გაუსწორდა, გრძლად
დაუსტვინა, მერე ერთბაშად წაამუხრუ-
ჭა, ფანჯრიდან თავი გადმოკიდა და მა-
კამ გარკვევით გაიგონა:

— ნუ ვიუტობ, გენაცვალე. დედა მო-
მიკვდეს, ბიჭი იქნება... — და მანქანა
ადვილიდან მოწყვიტა.

მაკას, ამის მერე, აღარც ქარის სისი-
ნი ესმოდა და არც მდინარის ოხვრა-
ვაება. ესმოდა მხოლოდ საბურავებიდან
ამოსული დატუმბული ჰაერის შეილი
და როგორც კი წინა თვალში ამ ხმამ
იყლო, მივიდა, ასანთის ღერები ამოი-
ღო და ბოძებს იქით გადაყარა. „მომის-
წრებსო“, ისევ შეეშინდა და უკანა

თვალთან დადგა. „თუ გამოჩნდა, დამინახავს და არ მოვა“.

ტყავაძეს მერეც დააგვიანდა, როცა მაკა მანქანაში ჩაჯდა და თავი საზურგეზე გადაკიდა.

— გეძინა, მაკა, — თქვა ტყავაძემ და თავი ღია ფანჯარაში შემოჰყო.

„უკვე გვიანაა... ახლა ერთ ტყუილს კიდევ ვიტყვი, იგი მე მეტად აღარ დამაძინებს“.

— წავიდეთ! — თქვა მან ხმადაბლა.

„ისევ აქ, ჩემს გვერდით უნდა შემოვიდეს, მაგრამ ვერ ბედავს, დავაგვიანეო, ეშინია“.

— ნუცასთან მიმიყვანე... —

— ჰო, მართლა, ნუცასთან, მაკა.

რა დაიჩემა: ყოველ სიტყვას ჩემს სახელს ამატებს. თვითონ არ სჯერა, რომ მე ვარ, თუ მე მახსენებს ჩემს თავს... ვიცი, თვითონ რომ დაიჯერებს, მერე მეც მომაგონებს, ვინ ვიყავი და ვინ ვარ... აქამდე არ უნდა მივიყვანო საქმე“...

— არა, არა, წავიდეთ, უკვე ნუცასთანაც უხერხულია, არ მინდა, — თავი გაქნია, თითქოს გაჭირვებულა, — წამიყვანე, ახლავე წამიყვანე!

ტყავაძემ ნამწვი გადააგდო და ერთხანს ფეხს ითრევდა, მერე უეცრად დაჯდა და ძრწვა ჩართო...

„რა ვადაწყვიტა, ალბათ, ახლა სხვაგან უნდა მიმგვაროს მუნიანს, თუ ჩემს დევნაში. სადმე ჭიანჭველას უკბენია, ეკალი შესობია, ან ქვაზე ფეხი წამოუტრავს“.

მანქანა დაიძრა და მაშინვე გაჩერდა, ძრავა ჩაქრა.

— რა მოხდა?

ტყავაძემ ხმაამოუღებლად გადავიდა, წინიდან მოუარა და ჩაცუცქდა, მერე წამოიწია, წელში მოხრილი უკანა თვალს მიუახლოვდა და ჩაიყუნტა.

„უკვე ისე გვიანაა, რაც აქ ვდგევართ, მხოლოდ ერთმა საბარგომ გაიარა. იშოვის თუ არა? სათადარიგო თვალი ექნება, მაგრამ — ერთი. ასეა თუ ისე, მერე ძალიან დაგვიანდება და ვეღარც ნუცასთან მიმიყვანს...“

ჭუმბერი წამოდგა, ფანჯარასთან მი-

ვიდა. მაკამ ღრუბლიანი ცის ფონზე დაინახა, მხრები რომ აიწურა.

— მაკა...

— რატომ არ მივდივართ?

— იცი? ჯერ ვერ წავალთ. ვინმე გამოვიდეს, ერთს ახლავე გამოვუცვლი.

— ყველას დაუშვია?!

ტყავაძემ მეორე მხრიდანაც მოუარა მანქანას.

„ერთი კიდევ რომ დამეშვა, მოვასწრებდი, მაგრამ ორივე მხარეზე, ერთსა და იმავე დროს... დაეუკვებდა“.

ტყავაძემ პიჯაკი გაიხადა და საზურგეზე გადადო, მაგრამ საქმეს არ შედგომა, პაპიროსს მოუკიდა.

„ხომ არაფერს მიხვდა? თუმცა მიხვდეს, თუ მიხვდა...“



ღილის ბინდ-ბუნდში მაკა და ჯუმბერი ხევზე გადაკიდებული ლურჯი ფიცრული, სასაუზმის უკანა კარებიდან გამოძვრნენ, მალა წამოვიდნენ, სადაც საბურავებდაჩუტული „პობელა“ იდგა.

— ახლავე, მაკა, ახლავე, ჩემო მაკა... — ჯუმბერი მკლავში უჭერდა, ვითომ ხელს აშველებდა.

„რამდენი ვასვი და მაინც იჭერს თავს. მეც ამიტომ დავლოე, ახლაც გულზე მადგას, მაგრამ ასეთ გუნებაზე რომ ეყოფილიყავი წუხელი, იქ, ხევის პირზე, შოფრები რომ მისტვენდნენ, ერთნაბიჯს იოლად გადავდგამდი. იქედან ტალახისფერ მდინარემდე კარგა ხანს მოვუნდებოდი ფრენას, გაღმა კი, სახლების მარტო წითელი სახურავები ჩანს“...

„რა ექნა, გული მერევა, იმდენად, რომ სიცილი მინდა, რასიკვდილის სიცილი მომიხდა რომ არ ვიცი! იმდენად მეზინებდა ჩემი თავი, ეს კაცი, იღლიაში რომ მიჭერს და „ჩემო მაკას“ მეძახის, იმდენად მძულს, როგორც ის დახლიდარი, წუხელი რომ მთელი ღამე აღარ დაიძინა და თვალებით შემეპაშა. მინდოდა ჯუმბერისთვის მეთქვა, იმის ჯავრი მაინც აღარ წამოწყობოდა... ღვიწით თუ არა, ზიზღისაგან მერევა გული“

და ნეტავ ერთი გამაცინა, ისე ძალიან ხმამაღლა, აი იქ, ქვევით წითელ სახურავებიან სახლებში გაიგონონ. გამომშვიდობებისას დახლიდარმა მაინცაღამაინც ხელი ჩამომართვა, ჯუმბერის დასანახად ვერ გაბედა მოჭერა, მაგრამ ტუჩები ისე გაილოკა, გული მერევა და ნეტავი ისე არ მომკლა, ერთი ხმამაღლა გამაცინა“...

ჯუმბერმა მანქანასთანაც გაიმეორა ამ დილით აკვიატებული: „ახლავე, ჩემო მაკა, ახლავე“ და კარი რომ გაუღო, მანამ ქალი სავარძელზე არ დასვა, მკლავში ხელი არ გაუშვია, თითქოს აქაც ფეხი არ დაუტურდესო.

ტყავაძე დაჩუტული თვლის გამოცვლას შეუდგა.

მაკა თავდაღმა დაემხო. საშინლად ერეოდა გული. ფიქრობდა: „გადმოვალ, ხევისაკენ გადავეყუდები, მაგრამ იგი, ამავე მხარეზე ბორბალს აგებს და მაშინვე მომეშველება. ოჰ, რა საზიზღრობაა გულარეული ქალი, გულისრევა კი არა, ქალი მამაკაცთან არც უნდა ჭამდეს“...

ზემოდან ძველი „მოსკვიჩი“ ჩამობრვიანდა. საჭეს ვილაც პირდაუბანელი, თმაბურძენილი ბიჭი უჯდა. ჯუმბერი შუა გზაზე დადგა. ბიჭმა მანქანა გადასწია, გადაიწია ჯუმბერიც. საყვირი მისცა მძღოლმა, არავინ გაუგონა და გააჩერა, ტყავაძეს ახედა. ერთხანს ისაუბრეს. ბიჭი, ეტყობოდა, საღდაც მიიჩქაროდა.

„მაგასთან უარი არ გავივა“, — უთხრა მის გუნებაში მაკამ „მოსკვიჩის“ ძილგამოყოლილ პატრონს.

შოფერი ხელების შლით გადმოვიდა და უკანა საზურგე ბუზღუნით წამოაქცია. იქიდან მუნიანი ტყავაძის ბლუნასავით ერთმანეთზე საკერებელდადებულო „კამერა“ გამოათრია წამოიღეს და „პობედა“ ასწიეს, მერე კი ისმოდა ტუმბოზე დახრილი ტყავაძის ქშენა.

ბიჭი საჭესთან რომ დაჯდა, მაკამ დაინახა: თავი დააქნია და გზას კმაყოფილი გაუდგა. ჯუმბერი ხელებს ჩვარზე იწმენდდა, მერე ფანჯრის წინ შეჩერდა,

მაგრამ ახლა ქვევიდან მოდიოდა მძიმე საბარგო.

„რაღაც უნდოდა ეთქვა, — მიხედა მაკა, — ან აქ, ჩემთან დაჯდომას აპირებდა, მაგრამ უკვე მანქანები მიმოდის. წინ გადავჯდები და არ მოვეშვები, რაც შეიძლება, ჩქარა იაროს. უკვე აღარც გული მერევა, არც სიცილი მინდა, მაგრამ მინდა, მინდა რომ ძალიან ჩქარა იაროს...“

მალე ღია ყავისფერი „პობედა“ დაგორებულ ქვასავით მიჰქროდა დახვეულ, სველ გზაზე და მაკას თვალწინ ბეტონის თეთრი ბოძები ერთმანეთს გადაეხდა. გადაეხდა და ისე დაიკლავნენ, როგორც გრძელი, თეთრი თოკი, რომლის ბოლოში ხელი უკიდიათ და აქანავებენ.

„აი, არაფერი ამის მეტი ქვეყანაზე არ მინდა!“..

— ჩქარა ჯუმბერ, ხომ იცი, როგორ დავივიანე... ჩქარა! — იმეორებდა, მაგრამ ფანჯრებში შემოვარდნილი ქარი სიტყვებს პირიდან ართმევდა. ალბათ, ტყავაძეს არც კი ესმოდა. მაკა ეხლებოდა ახსოვდა და უკან, აწყდებოდა კარებს. აღარ ანსოვდა ვინ იყო იგი, ან ახლა ვინაა, სად მიდის, ვისთან მიეჩქარება. ხედავდა მარტო თეთრ თოკს, რომელიც ბოძების ადგილზე იყო გაბმული და ზოგჯერ ისე უახლოვდებოდნენ, რომ ეგონა, ეს ესაა ზედ გავივლითო.

„აი, ამ თოკზე უნდა გავიაროთ...“

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არ შეიძლება უფრო ჩქარა!

უხევედა მანქანა, კრიალეზდა თვლები, წიოდა ქარი და წინ მიმავალ მანქანას გამოჩენისთანავე ეწეოდნენ და გასწორებისას თეთრი თოკი ისე ახლოს იყო, შეიძლებოდა ხელით მიწვედნოდა, მაგრამ მალე ისევ შორდებოდნენ. ვილაც ძალზე ყინიანად აქანავებდა თეთრ თოკს, ძალიან მოსწონდა ეს გასართობი. სულ ახლოს მოჰქონდა, ზოგჯერ იქვე, ბორბლებთან, მაგრამ არ უნდოდა ზედ მანქანას გაველო და გაეწყვიტა.

მაკა გადაიწია, ჯუმბერს მხარზე ხელი დაადო, თავი ახლოს მიუტანა და შეეხვეწა:

— უფრო ჩქარა, შენი კირიძე, უფრო ჩქარა!

ტყავაძემ მისკენ მოიხედა და რაღაც გახმაურდა, მერე სვლას ერთბაშად უკლო და თეთრი ბაწარი დაწყდა, დანაწევრდა.

— რა ამბავია!

— ახლავე! — მანქანიდან გადაიხედა ისე, რომ არ ჩამოსულა.

— ვერ ვივლით?

— ბოძისთვის გამირტყამს...

— ჩქარა ვერ ივლი?...

— ვნახოთ... მაინც ჩქარა ვიაროთ?

— ჰო, — „რატომ მიყურებს?“ — შეჩქარება, ჯუმბერ.

მანქანა დაიძრა.

„რაღაცის თქმა უნდა. ღმერთო, ნუ-რაფერს მეტყვის, ახლა არაფერზე არ შემიძლია ლაპარაკი...“

— მაკა, — თქვა ტყავაძემ და ისევ დანაწევრდა ბაწარი.

— ჩქარა! — იწივლა ქალმა.

— მე მარტო რომ ვიყო. ვოვლიდი ისე, როგორც შენ გინდა.

— რას ამბობ, რა ვქნა, რომ ვერ გავიგე?

— უნდა მოგელაპარაკო, მაკა!

— იარე და ისე მელაპარაკე.

— არა! — ხმას აუწვია კაცმა — არა! — იყვირა ბოლოს.

— მე მიყვირის? — ვრღაცას ჰკითხა ქალმა.

— არა! — იყვირა ისევ ტყავაძემ, — შენ არა, მე აქ სადღაც დიდი ხიფათი მელოდება, მე მას თვალეზში ვუყურებ და ვუყვირი: არა-მეთქი!

წინიდან მომავალმა ორმა მანქანამ ზედისეფ ჩაიქროლა.

— ამ შუა გზაში რა დროს ლაპარაკია, სხვა დროს, თუ გინდა ხვალვე, ოღონდ ახლა ჩქარა!

— ხვალ უკვე გვიან იქნება!

— მაშინ ამ საღამოს.

— არა, სულ ცოტა ხნის მერეც გვიან იქნება... — მანქანამ კიდევ უკლო სვლას, მერე ერთბაშად მოუხვია, ბოძებს შორის გაძვრა და ციცაბო ხევის

პირას ვიწრო დაღმართს ჩაუყვა. ქვევით მდინარის პირი გაშლილიყო...

„ისევ არ მიჯერებს... ისევ არ მიჯერებს...“

მაკა სახელურს მიწვდა, მაგრამ მაშინვე იგრძნო ძლიერი ხელი, რომელმაც უკვე ღია კარებისაკენ კი არა, თავისკენ გადასვა და მანქანაც მოწყვეტიტ გაჩერდა.

„რატომ ვალებდი კარებს, რომ გავეშვი, გადავტებოდი? ნეტავ გავეშვი, როგორ მინდა ვიცოდე, გადავტებოდი?“

კაცი წინ ჩაჩერებოდა ვიწრო გზას. ქვევიდან ზუზუნით და ზრიალით ამოდიოდა დატვირთული თვითმცლელი.

ტყავაძემ უკუსვლა სცადა, მაგრამ ნაწვიმარ, უასფალტო გზაზე მანქანა ადგილზე აფართხალდა და ბოლო მოიქნია.

ქვევიდან მძიმედ მობობლავდა თვითმცლელი...

ტყავაძემ ხელით ანიშნა: უკან წადი. აქ გვერდს კვერ აუქცევით. მაგრამ ტვირთის ქვეშ წელგათრეულ, ხრეშით აპირთავებულ თვითმცლელს, წვალებით გამოვლილი ვიწრო, სახიფათო გზა შეენანა, სანამ არ მოახლოვდა, არ გაჩერდა.

ტყავაძემ ანიშნა, უკან ვერ ვიხეყო.

შოფერს კაბინაში მუშები უხსდნენ და გულზე იყო: თუ ვერ იხევდი, რას მოდიოდი, ან რატომ წინ არ იცქირები. გეცლია ამოსვლა, მაგ კახა სად გაგექცეოდაო.

— უკან წადი! — იყვირა ტყავაძემ. ცალ ხელში ისევ ქალის მკლავი ეჭირა. შოფერმა კაბინიდან თავი გაღმოკიდა და მაკას საშინლად აუცახცახდა ქვედა ყბა.

აქვსენტი, გენოს ბიძაშვილი, აქვსენტი იდგა მათ წინ. იდგა თვალეზგადმოცენილი ბიჭი და უხმოდ შეჩერებოდა მისთვის ასე ანცნობი, საყვარელი რძლის სახეს.

„ხომ არ გავიცინო? ისევ მერევა გული... ყბა მგონი სულ ჩამომენგრა. ამ მანქანაზე ჩამოუცდა ფეხი ჩემს გოჩას. კინაღამ დამემტვრა... როგორმე რომ

მეტქვა, ეზოში ნუ დააყენებს მავ და-
საწვავს...”

ტყავაძემ დაინახა მაკაზე მიშტერე-
ბული შოფრის თვალეზი და სისხლი
თავში აუვარდა. ქალს ხელი უშვა, მუხ-
რუჭი მაგრად ამოქაჩა და კარი გააღო.

თვითმცლელი ყურისწამლებად აზრი-
აღდა, ყალყზე აიწიჯ, მძლოლი ცალი
ფეხით საფეხურზე დადგა, ძარას ბოლო
ვაულო, ააყირავა და უკან ხრიალით წა-
ვიდა მდინარის სველი ხრეში და სანამ
ტყავაძე მიეპრებოდა, აქვსენტი დაიხა-
რა, კაბინიდან მსხვილი, დაგრეხილი სა-
ხელური გადმოიღო, მაგრამ მაღლა აღ-
მართვა არ მოუსწრია.

ღია ყავისფერი „პოზედა“ დაგორდა,
გადაუხვია, ტყავაძეს ფეხებთან გაუარა
და გზა გაათავისუფლა.

ვადავარდნისას მარჯვენა მხარე ლოდს
წამოჰკრა, პაერში გადატრიალდა და მა-
კამ დაინახა: მთები დაბლა დაიწია და
გაიხსნა ცა, ღია, კაშკაშა ცა... უკვე
ალარც ტუჩი უკანკალებდა, ხასიათიც
დაეწმინდა და გრძნობდა საოცარ სიმ-
სუბუქეს, თითქოს მაღლა მიდიოდა,
მაგრამ გული იქ, საიდანაც აფრინდა,
რალაცაზე ჰქონდა მიბმული და მაღლა
არ მოჰყვებოდა. გული დარჩა ქვევით.
თორემ ის მტანჯველი ფიქრი — მიწას
ვემძიმებო, აღარ აწუხებდა...



მედეა კახიძე

ქ ე თ ე ვ ა ნ ი

სიმწრისგან ვიკვნეტდი ფრჩხილებს,
 კოცონი ღვიოდა წითლად;
 — დათმეო, რამეთუ მცირე
 არისო ქართული მიწა.
 და როცა ცეცხლის წინ შევდექე,
 მანდილზე მიტაცეს ხელი,
 ცხელ შანთებს მადებენ მკერდზე —
 დაფარონ სიშიშველე ჩემი.
 კოცონში მაგდებენ უძღურს,
 როგორც ღვთის საწირავ ზვარაკს,
 მე მტკივა მოჭრილი ძუძუ,
 უფრო კი სირცხვილი მზარავს.
 მე ვითმენ წამებას დიდხანს
 და ყელში მობჯენილ კივილს,
 რამეთუ ნაშენი ვიყავ
 ქართული მიწით და კირით!
 ქოქოლას მაყრიან მძევალს,
 ვიწვი და მაინც არ ვგმინავ.
 ასევე სჭედავდნენ ძველად
 ცეცხლში ხალიბები რკინას.
 მე ჩემს სიზვიადეს ვენდე,
 ტანთ აბჯრად სიმშვიდე შეცვა,
 ეგრე, დედოფალო, ეგრე —
 ცოტაც და... იწყება ზეცა!..

* * *

არის წუთები — ძალ-ღონე შეგწვევს,
 დღეები ზანტად მიიზღაზნება,
 საკუთარ თავის თვითონ ხარ შემწე,
 უსიყვარულოდ გიჭირს გაძლება.
 არის წუთები — გიმტყუნებს რიხი,
 გაუსაძლისი თმენით მწარდები;
 იმის მიხედვით, გიჭირს თუ გილხინს,
 მინელაობენ წელიწადები!

შაღვა ამისუღაშვილი

თოვლი

შვილმა გულში გაიარა
შვალინვილმა გულისგულში.
ხ ა ლ ხ უ რ ა

უთოვლოდ გავიდა
დეკემბერი,
უთოვლოდ გავიდა
იანვარიც.
ბულულა ქოჩორზე
გეფერები
და
მკლავზე გაძინებ
იავნანით.

შენ მაინც არ იძინებ,
პაწია ლელა—ქალო,
„დოვლი“ სად არისო,
ჩუშად შემომჩივი.
რა ვკადრო
საქართველოს
ცეცხლოვან დედაქალაქს,
რომ არ გეცხადება
თოვლით შემოსილი?..

მე ასე მაგონდებით
შენა და თბილისი
შორეულ მხარეში,
თოვლიან მხარეში...
სარკმელთან ვიდექი
ამ ორი კვირის წინ,
ეზოში ბავშვები
დაპქროდნენ თარემით.

მაშინაც ასევე
თბილისზე ვფიქრობდი —
და გულში შენი ხმა
ზარივით რეკავდა.
ო, ჩემი ბარათის
სულ ბოლო სტრიქონი
სამრეკლოს თოკივით
თითქოს შენ გეკავა...

ეზოში თოვლის პაპა
ზღაპარსა ჰყვებოდა,
სმენით კი არავინ
უსმენდა ნამდვილად —
და როგორც სენიას
და როგორც მეგობარს,
ეგონა:
მხოლოდ მე
გუსმენდი მალლიდან...

ახლა, ჩემო კარგო,
მზიანი დარია,
აღბათ გახშირდება
დარები ამგვარი.
დიდსა და პატარას,
ყველას უხარია,
მარტოდენ პაპა ჩანს
ცრემლებათ დამდნარი.

დღიას, ჩემო კარგო,
 მზიანი დარია,
 დარი დარს მოჰყვება —
 აგრეა დაცდილი...
 აქედან მე ახლა
 მანდ მომიხარია, —
 არ გავჭრე უშენოთ
 იმ თოვლის კაცივით.

ბაბთებს რომ დაიმშვენებ,
 ამ ლექსს, ლელა — ქალო,
 მაშინ წაგიკითხავ,
 ან წაგიკითხავენ —
 და ძლიერ გეხვეწები,
 უთოვლოდ დედაქალაქს
 ნუღარ გადაჰხედავ
 ფანჯრიდან მრისხანედ...

უჯარმის გაზაფხული


დარღვეული კედლები, ფარღალალა ფანჯრები,
 ქვაც დამსკდარა ჟამთასვლის უხილავი მარჯვენით.
 ლარებივით ბზარები დისტყობიათ თაღებსაც,
 ამღვრევიათ თვალები, როგორც მარტის მთვარესა...
 სად არ ჩასაფრებულა ხავსიანი სიჩუმე,
 ჟამი საჭრიაშულო დარჩენიათ ჩიტუნებს.
 უხვად ეშიდებიან

თიხასა თუ აყალოს,
 თითქოს უნდა სიძველეს თორაბჯარი აპყარონ.
 თითქოს მიტომ ახარებთ გარჯა დაუზარელი,
 რომ უჯარმის თაღებმა გაიმთელონ ბზარები,
 რომ უჯარმის კედლებმა მკერდი ლაღად გაშალონ,
 მომავალი იხილონ უხმლოდ და უჯაემანოდ...
 სათოფურში ჯაგია

მწვანეთ ამობუჩქელი,
 თითქოს გარინდებულა ჩიტუნების ჭღურტულით.
 თითქოს მათი გულისთვის ამოსულა დაბლიდან...
 ზედ კი უხსენებელი თოკად შემოგრაგნილა.
 თოკად შემოგრაგნილა, აულესავეს ნესტარი,
 რომ არ დარჩეს კუნჭული არსად დაუგესლავი...
 დარღვეული კედლები,

ფარღალალა ფანჯრები,
 ქვაც დამსკდარა ჟამთასვლის უხილავი მარჯვენით...
 მაგრამ კუდმაკრატელა ჩიტუნების წყალობით
 ჩუხჩუხებენ სიცოცხლის საუჯარმო წყარონი!..





მ ე ზ ვ რ ე

მოთხრობა

გიორგიმ გაფურჩხული მწკრივი ჩაიარა. ერთგან გამოშვერილი ყლორტი შეატეხა ვაზს. აქა-იქ ნამხრევიც გამოაცალა. მერე ვენახს ბოლოდან შემოუარა და ქოხისკენ გასწია.

სალამოვდებოდა. შემოდგომის უღიმღამო დღე ილეოდა. მზე ხერხივით დაკბილული მთების გადაღმა ეშვებოდა.

გიორგიმ ქოხიდან თოფი გამოიტანა, მხარიღლივ გაიღო, კარი საიშედოდ გადაარაზა, ვენახს თვალი გადაავლო და სოფლის შარავზას დაადგა.

„ახლა, შეთვალეზულ ვენახს ასი ყური და ასი თვალი უნდა. კარგი პირი უჩანს, ამ დალოცვილს!..“

ე, რა შამაიდეს კაცო?! ამბობენ, ერთად ვიქნებითო?! ერთად ვჭამთო?! მაგათი საგლაზაო რა გამჭირვებია? ჩემი დღე და მოსწრება მარტოდ ვეწევი ჭაპანსა, ახლაც მარტოდ გავწევი! არ მინდა მაგათი არც კოლექტივი და, ნურც შემადონებენ...“

გუშინ საღამოს კანტორასთან ნალბანდაანთ გიგოლამ ურჩხულივით რაცა მარაზრაზა. ხალხი გაიძახოდა, ტრაქტორიო, ზარ-ზეიმით შეხვდნენ:

„პირველ ტრაქტორს გაუმარჯოსო!“ გაუმარჯოს რა! განა რამეს ვამბობ, მაგრამ, მე თავი დამანებონ! თურმე ჩემ

ბიჭს ყურში აწვეთებენ, მამაშენი კულაკიო! რა უნდათ, კაცო? ი ბიჭი ხო გამიგიჟეს, პირველი კოლექტივის, პირველი თავმჯდომარე იქნებო. მეტი რაღა უნდათ?!

იქნება ჩემი ვენახი ეკიდებათ გულსა? ჰაა? გიორგი... შორიდან ხომ არ გივლიან? ფრთხილად იყავ, ცუდი ხმები დადის, მაგრამ ვაი, რომ საკუთარ ნაწევანდაგს გიორგა აგრე რიგად ვერავის დაუთმობს; ტყუილი იმედი ნურავის ექნება!“

გიორგიმ შარავზა აათავა და სოფლის ორღობეს გაჰყვა. ძაღლები ღვეღავით მიაცილებდნენ.

— გამარჯობა, ძია გიორგი?— მოესმა ფიქრებში წასულ გიორგოს, ხრინწიანი ხმა.

გიორგიმ უკმაყოფილოდ გაჰხედა მგზავრს:

— გაგიმარჯოს!

იცნო ლექსოს ბიჭი. „ღმერთმა დაგწყევლოს შენცა და შენი გამარჯობაც!“ გაიფიქრა და გვერდზე გადააპურჭყა.

არ უყვარს გიორგოს ეს კაცი და მოჰკალი თუ გინდა. უსარგებლო და უქნარა რა საყვარელია, სხვების გაქილიკე-

ბასა და დაბეზლებასში რომ ამოსდის სული...

— რა გინდა? — დაარღვია სიჩუმე გიორგიმ, — რა სულთამხუთავივით დამადექი?

— რატომ გამგეობის კრებაზე არ იყავი? — გაიღრიჭა ლექსოს ბიჭი.

— რა გამგეობაო, რის გამგეობა? რეებს ლაპარაკობ?...

— ისე ილაპარაკა შენმა ბიჭმა, ტაშით კედლები დავხეთქეთ!..

— რაო, რა მინდაო? — გიორგიმ თვალეში მოწყურა და ცერად გადახედა ლექსოს ბიჭს.

— რაო და, გიორგის ვენახი უნდა ჩამოერთვასო!

— კიდევ რაო?

— ეგ იყო და ეგა!

— მას ვენახი უნდა ჩამოვართვათო, პა?

— ასე თქვეს!

გიორგიმ უცნაურად ჩაიხიბოთია. მერე თოფი მხარზე კომბალივით გაიღო, ხელეში ზედ დააწყო და ისე ჩაილაპარაკა, გეგონებოდა, საკუთარ თავს ეუბნებოდა:

— მერედა, ეგრე გინდათ, კოლექტივი ააშენოთ? მანამ დაწეკით და იკვინესეთ, სანამ გიორგიმ ვენახი ჩაგაბართო!

— ხალხის ძალა დიდია, ძია გიორგი, იტყვის და შეასრულებს კიდევაც!

— თუ ეგეთი დიდი ძალა გაქვთ, ცოტაა ყამირი, აიღეთ და იძალეთ!

— მე კი მიყვილია, ახლა გინდა გათენდეს და გინდა არა!

— ჰმ! რა ამოსაძრობი ენა გაქვს, ბიჭო! ვინ არი პატრონი, თორემა...

— რაზე კაცო?

— აქედან გამეცალე, მანამ გუნება არ შემცვლია!..

... საკუთარი ეზოს კიშკართან, გიორგი უცხოსავით შეჩერდა. ისე აწრიალდა, გეგონებოდა, მასპინძლის შეწუხებას ერიდებოდა. ლექსოს ბიჭმა გუნება წაუხდინა. სული აუფორიაქა, გააბოლდა...

კარგა ხანს კიშკრის წინ იდგა და ბუზღუნებდა. მერე ნაბდის ქუდი მოიძრო, ოფლიან შუბლზე ხელის ზურგი მძიმედ გადაისვა და კიშკარი შეაღო.

სალომე ეზოში ტრიალებდა. ბომბორა ძალლი ფეხქვეშ გაუგორდა გიორგის და გაულაქუცა.

— გასწი, რა ფეხქვეშ მეზლანდები! — დაუყვირა გიორგიმ და წიხლი წაპკრა. ძალლი წავეწყავით წამოხტა და ლობის ძირას დაყუდებული, პირმოტეხილი ქვევრის გვერდით მოიკეცა.

სალომე მიხვდა, ქმარი უგუნებოდ იყო:

— რა მოგდის კაცო, ძალღმა რა დაგიშავა?

გიორგის ხმა არ გაუღია. თუთის ქვეშ ჩამოვდა, ნაბდის ქუდი მუხლზე ჩამოიღო, ოფლიან თავ-კისერზე ხელი გადაისვა და ცოლს გასძახა:

— დედაკაცო! ერთი, დოქით ღვინო გამამიტანე?!

სალომე უხმოდ შებრუნდა მარანში. მალე გამობრუნდა, ცივი ღვინით სავსე დოქი ფეხებთან დაუდგა ქმარს:

— რატომ ზემოთ არ ახვალ, აქ რას უზიხარ?

გიორგიმ უხმოდ ჩამოართვა დოქი და მიიყუდა.

— რა დაგემართა, ქრისტიანო, აღარ იტყვი?

გიორგიმ ცოლს ისე აპხედა თითქოს პირველად ხედავსო:

— ბიჭი არ მოსულა?

— არა.

— სად იქნება?

— არ იცი? დღეს კოლმეურნეობის გამგეობის კრება ყოფილა!

გიორგის გულზე გაპკრა. არაფერი უთქვამს, დოქს ხელი დაავლო და კიდევ მიიყუდა:

— ჰმ, გამგეობააო? — გარუჯულ სახეზე მძიმედ ჩამოისვა ხელი. მერე დაბუთებული ფეხები გაშალა და თქვა:

— მერედა, რატომ არ იკითხავ, რას ბკობდნენ იმ გამგეობის კრებაზე?

— რა ვიცი? სალაპარაკო ცოტაა?
— დედაკაცო, ქვეყანაში ურევინარ და ქვეყნისა არა გაგებება რა!
— რატო კაცო, რატო მეუბნები ამასა?

— შენი ვაჟიშვილი, თურმე ხმამალ-
ლა კვებულობდა, მამაჩემს ვენახი უნდა
წავართვია!

— აბა, რას ამბობ? ასე იცნობ ზურა-
ბასა?

— ჰაიიი, ძია გიორგი? — გაისმა ლო-
ბის გადაღმა.

— გახედე, ვინ არი, რა უნდა?
სალომემ ჭიშკარი გამოაღო და ბიჭი
შინ შემოიპატიოა.

— ვინ არი, ქალო?
— ლევანანთ ბაღლია, გიგლა!

— აქეთ მოდი, ბიჭო! — გასძახა
გიორგიმ.

— გამარჯობათ! — დამორცხვა ბიჭ-
მა.

— გაიზარდე! ე, რამხელა ბიჭი გაზრ-
დილხარ? რაო, რა მინდაო?

— თქვენმა ზურაბმა დამაბარა:
რაიონში გამოიძახეს და ცოტა შემა-
გვიანდებო!

გიორგიმ ბიჭი შეათვალევია:
— დედაკაცო, ბაღლი ისე არ გაუშვა,
ვაშლი დაუკრიფე!

„ეჰ, რა ვუთხრა ჩემ ზურაბასა? —
გაიფიქრა გიორგიმ. — ახლა მაგხელა
შვილიშვილი უნდა მყავდეს. არ მოყავს
ქალი მგ მუდრეგსა. ვინ არ უქე, არა
და არაო. ასე უშვილოდ როგორ უნდა
გადაბერდეს? არადა, რა თავში ვიხლი
ამ სახლ-კარსა, თუ ნაშიერი არ მეყო-
ლება, წყალსაც წაუღია აქაურობა.“

ეიჰ, კაცს ყველაფერში ბედი გინდა!“
შემოდგომის უსიამოვნო ნიავმა დაუ-
ბერა... გარინდებული ხეები ააშრიალა,
აფორიაქა. ყუნწმოსუსტებული ფოთ-
ლები ფარფატით მოეფინა დაწკრიალე-
ბულ ეზო-ყურეს და ათასფრად ააფე-
რალა.

ორლობეში ნახირი აბღაველდა.
სალომემ ჭიშკარზე მომდგარ ძროხას

კარი გაუღო. მარგილზე გამოაბა. მარ-
ნიდან ოეთრი ვედრო და სამფეხა სკამი

გამოიტანა: გამგელებული ხზო ძროხას
მიუგერა და წველას შეუღდა.

გიორგი კარგა ხანს თვალმოუშორებ-
ლივ შეჰყურებდა ცოლს. მერე ეზოს
მიმოავლო თვლი. ღობესთან გამხმარ
თუთას შეაჩერდა:

„რამდენჯერ ვთქვი, ამ თუთას მოვკ-
რი-მეთქი; დღემდის ისევ ისე დგას.
ნამდვილად სხვა ხესაც ვამიფუტებს...“

თავხედან ცული ჩამოიღო, ცერა
თითით ფხა მოუსინჯა და ხეს მიადგა...

გიორგიმ წაქცეული ხე გულდაგულ
აჩნხა. მორი ღობესთან მიავგორა, ტო-
ტები ზედ მიაყარა და გამობრუნდა.
ცული ისევ თავზე შემოდო და კიბეს
ტივითმოკიდებული კაცივით აუყვია.

შუა აივანზე ღუმელი გუგუნებდა.
აივნის ბოლოს, სუფრაგადაფარებულ

მაგიდაზე ახლად დაკრეფილი კიტრი
და შუა-შუა დატეხილი შოთის პური
ელავა. გიორგიმ კიტრი გაკბინა, პური
დააყოლა. მერე ქალამნები შეიფოლხვა
და იქვე ტახტზე წამოწვა.

სალომემ საქონელი დააბინავა. რძია-
ნი ვედრო აივანზე აიტანა, გადაწურა
და ღუმელზე დაადგა. ღუმელს ცეცხლი
მოუჩნრიკა. შუა მიუმატა და ქმარს
მიუბრუნდა:

— გიორგი, რძეზე გეჭიროს თვალი.
ბარემ მოვათავებ საქმეს და ამოვბრუნ-
დები!

გიორგის ხმა არ ამოუღია.
— არ გესმის ადამიანო?

— დამეხსენ ქალო, შენი რძის დარდი
მაქვს? — გაუტია გიორგიმ და გვერდო
იცვალა.

— რა მოგივიდა ქრისტეანო? საცაა
ი, ბიჭი მოვა, ვახშამი არ დაეუშხადო?!
სალომემ რძე გადმოდგა და კიბეზე
ბუზღუნით დაეყვია.

●
ზურაბი შინ რომ დაბრუნდა, გიორ-
გის ეძინა. მამა-არ განძრეულა, თავი ხე-
ლებში ჩაერგო და გარინდებულიყო.
ზურაბმა ხელები გადაიბანა და მაგიდას
მიუჯდა.

— დედი, მამაჩემს რამე დაახტურე, არ გაცივდეს!

— ვანა სძინავს, რო?

სალომემ ღვინო შემოდგა მაგიდაზე. კიტრი დათალა, ძმარი მოასხა. ღუმელზე ტაფა დაადგა და რამდენიმე კევრცხი ჩაახალა.

— მამი, არ გძინავს?

გიორგი არ განძრეულა.

— არ გესმის, კაცო, ბიჭი რომ გეუბნება?

გიორგი წამოდგა. ბიჭისთვის არც კი შეუხედავს, ისე შევიდა ოთახში.

— რა მოუვიდა მამაჩემს? — იკითხა ზურაბმა.

— რა ვიცი, შვილო, გაიგებ მაგის ამბავს, ბუზღუნით ამიკლო, წელან გიკითხა, სად არიო...

— რა მინდაო?

— აბა რა ვიცი, მაგ უბედურს ი ვენახი შეიკლავს. ხომ იცი მაგის გულის ამბავი. ზედ გადაჰყვა. დღეღალამ იმაზე ჯავრობს, ეშინია, წამართმევენო!

— ჰმ! — ჩაიღიმა ზურაბმა და თავი გადააქნია. — რა უქნა, რა ვუყო? დღეს სწორედ მაგ ვენახზე დამიბარეს. მდინანმა, ამხელა კაცი, ბალღივით გამაწითლა: კულაკობას გწამებენო, ასე გადმოძახა ტრიბუნდანი.

ოთახიდან გიორგი გამოვიდა. სამფეხა სკამი მონახა და ღუმელთან ჩამოჯდა:

— რაო, როგორა თქვა?

— რაო და, მამაშენი კულაკიაო!

— არა მგონია. ჩემს ხელში გაზრდილი ბალღი ამას ვერ იტყოდა. კარგად იცის ჩემი ხასიათი, სხვის კისერზე არ უყვარს ჯდომა.

— არჩილმა თუ იცის, ხალხმა არ იცის! ჩვენს სოფელში შენზე დიდი ნაკვეთი აღარავის აქვს. რა წითელი კოჭიაო, ასე გაიძახიან. მიდი და გააჩუმე.

— ბიჭო, შეილობიდან ვადამიდექ?

— რაზე მეუბნები?

— რაზე და რალაც ველარ გცნობ? სხვანაირი ლაპარაკი გისწავლია.

— მამი, გაიგე, ასეა საჭირო!

— ჩემს საკუთრებასთან ვის რა ხელი აქვს?

— რას ლაპარაკობ, კაცო, რას? არ ვიცი, ან მე ვერ გამოიგე, ან არა და შენი არა გამოგება რა!

— კარგად იცი, ეგ ვენახი მე და დედამენის ხელებმა გააშენა. თითო ვაზზე სისხლი, და ოფლია ჩაღვრილი. ახლა გინდათ ქვეყანას ფეხქვეშ გაათელინოთ და გააპარტახოთ? რა გინდა, რატომ არ დამეხსნებით?

— რა უნდა უნდოდეს შეილს კარგის მეტი? — ჩაერია სალომე, — თუ ასეა, ადექ და ჯანდაბას, ეგეც ვენახი, წაიღონ!

— შენ გაჩუმიდი, ქალო!

— რაზე აჩუმებ! ქვეყანას შენი ვენახი აკერია პირზე. თუ რამეს ვიტყვი, მაშინვე მომახლიან, ჯერ მამაშენს მოუარე და მერე სხვასო.

— მაშ, ჩემს მეტი სალაპარაკო აღარაფერი გაქვით?

— რა ჩიუტი კაცი ხარ, მამი? აიღე და მიეცი ეგ ვენახიც, კაცო. შენი ნორმა დაგრჩება. შენც მოისვენებ და მეც დავმშვიდდები!

— არა, რატომ მაშინ არ ლაპარაკობდი ეგრე ჰკვიანურად, როცა იმ ადგილას ქვალორღი და ეკალბარდები იყო, ჰა? რატომ მაშინ არ მობრძანდით და არ მითხარით, ხელები დაგეგლიჯა, ცოტას წაგეხმარებოთ! არა შეილოსა, იმ ვენახს ცოცხალი თავით არავის დევთომბო! კოლექტივს პირუტყვი სჭირდებაო, გამააცხადეთ და უკან როდნი დავიხიე! აკი მოგართვით უღელი კამეჩი. ტაში დამიკართ. რაში მჭირდებოდა თქვენი ტაში? ვიფიქრე, ჩამომეხსნებიან-მეთქი. გაგიგონია? მერე მეწველი საქონელი მოინდომეთ, მაგაზედაც არ მითქვამს უარი. — ძროხა მოგართვით! ეზლა ვენახი მოისურვეთ. როგორც ვატყობ, ამ სიბერის ხანს სახლსაც წამართმევთ და გლახასავით სიარულს დამაწყებინებთ!

— აბა, რას ლაპარაკობ, მამი? როდის იყო, სიკეთეს ივიწყებდნენ? მაგაზე დიდი მადლობა!

— შენი მადლობა გაახვიე და მაგრად შეინახე, არ დაგეკარგოს!..

გიორგი წამოვდგა, ნაბადი წამოიხუ-
რა და ბუზღუნით დაეშვა კიბეზე.

— სად მიხვალ, ადამიანო, ამ კუნაპეტ
ლამეში? — წამოეწია ქმარს სალომე,
იდაყვეში მოკიდა ხელი და მოქაჩა.

— დამეხსენ, დედაკაცო, რას მეჭი-
ლები!

სალომემ შეიღს გადახედა, იქნებ შენ
მინც მოაბრუნოო. ზურაბი უხმოდ შე-
პყურებდა.

გიორგიმ ძალღს დაუსტვინა და კიშ-
კარში გავარდა.

— მამი, ვენახში არ ჩახვიდე, არ
შეგომევენ! — მიუხვდა ზურაბი.

გიორგი ისე შედგა, გეგონებოდა, რა-
ღაცა წაეჭახაო. კარგა ხანს მონუსხუ-
ლივით იდგა.

— რაო, შეილო, გაიმეორე?!

— გამგეობამ შენს ვენახს ყარაული
დაუყენა!

გიორგიმ უცნაურად ჩაიხითხითა,
მერე უღვაწეზე ხელი გადაისვა და თქვა:

— რა უკბილო ხუმრობა გისწავლია!

— შენს თავს გეფიცები, მამი!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ერთ ადგი-
ლას გაყინული გიორგი თვალმოუშო-
რებლივ შეპყურებდა აივანზე გად-
მომდგარ შეილს. გული ამოვარდნაზე
ჰქონდა:

— ბიჭო, რაღაცა წერას აუტანია ის
უბედური!

გიორგიმ თოფი ამოიღლია, კიშკა-
რი ყურთამდე გააღო და სოფლის შა-
რაგზას დაადგა.

— მამი! — კარგახანს მისდევდა ზუ-
რაბის ხმა.

სოფელს ეძინა. ირგვლივ ისეთი სი-
ჩუმე გამეფებულიყო, გეგონებოდა,
ქვეყანა აყრილა და სადღაც გადაკარ-
გულაო. ძაღლები ღობეებს აწყდებოდ-
ნენ და ყფით და ღრენით აცილებდნენ
ბნელში ჩაკარგული ადამიანის ფეხის
ხმას.

გიორგი ბაღებს გასცდა. თავის ვენახს
ზემოდან შემოუარა. ღობის იქით, ჯერ
თოფი გადააყუდა, მერე მარგილს ჩაე-
ჭიდა და ოცი წლის ბიჭივით ისკუპა.

— ეპეი! ვინ არი!

გიორგიმ გაიფიქრა, მომეჩვენაო.
თოფი კომბალივით გაიდო და გამოზო-
მილი ნაბიჯით წავიდა ქობისაკენ.

— ვინ არის-მეთქი! — ნიავმა მკა-
ფიოდ მოიტანა ვიღაცის უსიამოვნო
ხმა.

გიორგი შედგა. მთვარის მკრთალ
შუქზე ძლივს გაარჩია უცნობის ჩი-
ლანდი.

— ვინ უნდა იყოს ეს უბედური? —
ჩაილაპარაკა გიორგიმ და ნაბიჯს მოუ-
მატა.

— აა! შენა ხარ გიორგი? — შეეგება
ბნელიდან გამოსული უცნობი. გიორ-
გიმ იცნო ლექსოს ბიჭი, ყურა.

„მამ ამას ჩააბარეს ჩემი ვენახი?“
და ყურას მოღრეცილი სახე შეათვა-
ლიერა. ყურას მუჭაში კარგა მოზრდი-
ლი ყურძნის მტევანი ედო, დინჯად შე-
ექცეოდა და თან გამომწვევად ქირქი-
ლებდა:

— ეგრე რატომ მიყურებ, ძია გიორ-
გი?

გიორგის სახე აელეწა, ტანში გასცრა
და გააკანკალა.

„ამას უყურე, ამ ჰიას! მასხარადაც
რომ მიგდებს?!“ მერე ჩაახველა და ხმა-
მალა თქვა:

— შენ აქ საიდან გაჩნდი, ბიჭო?

— ჰი, ჰი! — ჩაიხითხითა ყურამ, —
შენ რა? მართლა არაფერი გაგიგია?

— რა უნდა გამეგო?

— ეს ვენახი ვისია?

— ვისია და ჩემია.

— ნურას უკაცრავად, ახლა ჩემიცაა.

— რაო, რა თქვი?

— ჩემიცაა-მეთქი! საერთო, კო-
ლექტიური! აი, შეხედე, ეს უკვე მეხუ-
თე მტევანია. მინდა — ვჭამ, მინდა —
არა!

— მერე და, ამ შუალამეს რამ მოგიყ-
ვანა, დღისით ვერ მოხვედი?

— ყარაული გახლავართ, მაღლობა
უნდა მითხრა, აქ რომ შემოგიშვი.
მამა!..

გაბრაზებულმა გიორგიმ ორივე ხელი

მარად ჩავლო საყელოში და ღონივრად მოქაჩა.

— აბა, გაიმეორე რა თქვი?

— გამიშვი-მეთქი! იცოდე, ვიჩივლებ!

— გაიმეორე, შე ძაღლისშვილო, რა თქვი! თორემ, ლეკვივით წაგახრჩობ!

— მაშ, არ უნდა მითხრა მადლობა, სხვის ვენახში რომ შემოხვედი?

— მტევანი დადე!

ყურა გოგნებული შეჰყურებდა გიორგის.

— ხომ გაიგე, რაც გითხარი!

ყურამ ისე შეასრულა გიორგის ნება, რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია. მერე წელში გასწორდა და თოქოს თავისთვის წაილაპარაკა:

— მაპატიე, აგრ არ უნდა მეთქვა...

გიორგიმ მარჯვენა ხელი დანდობილად მოიქნია და ყურის ძირში ღონივრად გაართყა:

— შენი დედა ვატირე!

ყურა უკან-უკან წაბარბაცდა და ღობის ძირას ტომარასავით გაგორდა.

— ხალხო, მიშველეთ მკლავენ! —

ღრიალებდა ყურა. მერე წამოხტა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა. გიორგიმ თოფი ჰაერში შემართა და ზედიზედ ისროლა:

— ჰაი, შე ქურდბაცაცა!

— რას ჩადი, მამი, არ მოკლა! — ქოშინით მივიარდა ზურაბი, — რა ჰქენი, კაცო, მოჰკალი?

— დამეხსენ! — შეუბღვირა გიორგიმ.

— ეს სულ შენი ოინებია, ვაეზბატონო! მეც ვიტყვი შეილი გავზარდემეთქი!

გიორგი შინ მოგვიანებით დაბრუნდა. სალომე შიშით შეჰყურებდა სახეშეშლილ ქმარს: ხმა არ გაუცია. გიორგიმ მარნიდან წალდი გამოიტანა. ქმარში გაიჩუკო. ჰაერში რამდენჯერმე მუშტი დაიქნია და ჭიშკარში გავიდა...

ვენახში ჩიქურ შევიდა, წამით შედგა. მიმოიხედა... მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა: ვენახის ბოლოს ვაზს თხები შესეოდნენ.

გიორგი აღვილიდან მოწყდა. ამხელა კაცი ბალღივით მიხტოდა:

— ჩიე, თქვე გასაწყვეტლებო!

თხები ღობეს გადაეგლენენ და მოჰკურცხლეს. გიორგიმ ჩატეხილ ღობეს ჯაგი ჩაამატა, მერე ნელა შემობრუნდა. გაკორტნილ ვაზებთან დამნაშავე ბავშვივით შეჩერდა. დაბლა ყურძნის მარცვლები მარგალიტის თვლებივით ეყარნენ. ჩაიმუხლა. სათითაოდ აკრიფა... მერე წამოდგა, ქამრიდან წალდი ამოიძრო, მოიქნია და ღობის იქით ისროლა:

— შენი ოხრობაც არ იყოს!

კანტორის წინ ხალხს მოეყარა თავი.

— შეხედეთ! — დაიძახა ვილაცამ, — ცანკაანთ გიორგა მოდის!

გიორგი ყველას მიესალმა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ჩემი ბიჭი ხომ არ გინახავთ?

— აქ არი, ძია გიორგი, კაბინეტშია.

გიორგიმ დინჯად გადადგა ნაბიჯი, ოთანის კარი გაუბედავად შეაღო და შევიდა.

ზურაბი ფეხზე წამოდგა. ერთხანს მღუმარედ შეჰყურებდა დამუნჯებულ მამას. მერე შეჰხედა:

— რას დაღუმებულხარ, კაცო? თქვი რამე, მოდი, ჩამოჯექი!

— დასაჯლომად არ მცალია, სათხოვარი მაქვს შენთან!

გიორგიმ ისე ამოიოხრა, გეგონებოდა, ქვეყნის დარდი ამოაყოლაო. მერე შეილი შეათვალიერა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ბიჭო, ჩემს ვენახში მეველედ მაინც გამიშვი...

ზურაბს სახე გაეზადრა, მამას მხარზე შემოხვია ხელი:

— ეგრე, შე დალოცვილო!





ანზორ აბულაშვილი

მთასვლელი

ცა ულურჯესი და ბრდღვილა მზე
 ადგას — ცადასულ თოვლიან მწვერვალს,
 მთამსვლელის თოკზე დაკიდებულ ბედს...
 შუა მინდორზე გულადმა ვწევარ.
 თეთრი პეპლები და გვირილები
 და ყაყაჩონი დიდრონ-დიდრონი;
 ზუსტად — მაისის ფერით და გრიძით,
 წვიმით ნაბანი მიდის მინდორი.
 და სცემს მაისი ბუკსა და დაფდაფს...
 მთები კი... მთები თეთრ აფრებს ჰგებანს,
 და ბეწვის ხიდი მიდის მწვერვალთან,
 და ბეწვის ხიდზე უშიშრად დგანან...
 ვინ, ვინ მოხიბლა პირველად უშბით
 და ვის ჩააცვა წრიაპი ღმერთმა.
 და ჩაუსახლა სხეულში, სულში —
 ანგელოზი და ეშმაკი ერთად.
 ჩემს გუმანს რითმე ანიშნე მაინც
 განგებავ, მათათა თილისმა, ჯადო;
 კლდეზე ყინვაში, ზვავსა თუ ქარში
 არც ბეწვის ხიდი არ არის სანდო!
 და მაინც მიდის, ვერაფერს უშლის —
 ნისლი თუ თოვა და კარგად იცის;
 ისიც — რა თესლი ვარდება ხნულში
 და რა ამოვა იქიდან — ისიც.
 ზვავი კი მოდის და წყდება თოკი
 და სდუმან მთები ძალიან დიდხანს,
 რომელი ნერგი იზრდება — ცოდვის
 ამგვარ კალოზე — გკითხავ და მითხარ!
 მაგრამ ვერ მეტყვი,
 მწვერვალმა იცის,
 თუ რამემ იცის ნამდვილი დაღლა;
 კლდეზე ცოცვით თუ სიკვდილის შიშით...

და, აი, უცებ ვიგონებ ახლა,
როგორ მბრძანებლობს მუსიკის ნოტი
და პირდაღებულ ლომის წინ რისხვით
შემკრთალი მწვრთნელის ტყლაშუნობს
შოლტი

და ვყინება ძარღვებში სისხლი,
აგად ბუხუნებს ლომი...

და ვფიქრობ,
და პასუხს ვეძებ... ვეძებ და მიკვირს...
მთამსვლელის თოკზე ჰკიდია თითქოს
კულისებიც და არენაც ცირკის.
მაინც შურს — ნება დამპყრობის მათა
ხანჯლების წვერზე გამართულ სპექტაკლს...
თუ ალპინისტი ჰგავს ვინმეს — ალბათ
ლომების მწვრთნელს ჰგავს ყველაზე მეტად.
შუა მინდორში ვწევარ და მთაში
დარჩენილ ძვირფას სახელებს ვითვლი...
და უჭირთ მინდვრებს ნამდვილი ფასი
გაიგონ — მათი აწეულ ტვირთის,
რომ ზვავში, თოვლში დამარხულთ —
ყველას

მართლა ეკუთვნით, მართლა ერგებათ
მთელი მსოფლიოს მთები უკლებლად
მათ სამარეზე იდგნენ ძეგლებად...
ალაზნის ველზე მზე მადგას მწველი,
რომელიც თბილ ხელს აფარებს შორით
ბრჭყვიალა თოვლით დაფარულ მწვერვალს —
და სულ ეგ არის მწვერვალის ფონიც...
ქვემოთ კი თეთრი ცხენების რემა
და ყაყაჩონი დიდრონ-დიდრონი
და გახვეული მზეში ნებივრად
მაისს მკლავებზე უწევს მინდორი...
მაგრამ მწვერვალი ბრჭყვიალებს ახლა
და თითქოს ციდან დაჰყურებს მინდორს,
მწვერვალი — თეთრად გაშლილი აფრა
და ბეწვის ხიდზე შემდგართა ჯილდო.



მე რაზეც ვზიქრობ

და აი ახლა, როცა მე ვიცი,
რომ ქარის წარსულს ნიავი ვრქვა,
როცა მრავალი სახე და რიცხვი
აჩნია სულის უნაზეს მერქანს,
ახლა გახსენებ, და შენი ფერით,
კეთილი ფერით მევსება სახლი,
როგორც მაღალი ხეების ჩერო,
შემიფარებ და იქნები ახლოს...

არის რაღაცა ძვირფასი მეტად,
როცა მიდიხარ ქუჩაში მარტო
და სიხარულად გადაგედება
სხვისი ღიმილი, უმისამართო.
არის რაღაცა ძალიან მწარე,
როცა სოფელი ხარშავს კოლიოს,
როცა ღიაა ყოველი კარი
და დაკეტილი ყველა ფანჯარა.
და სიტყვებს, თითქოს საოცრად ცხადებს,
მაინც სჭირდება ხშირად სქოლიო.
როცა ფოთოლზე წვიმის ცახცახი
მგონია შენი ხელის შეხება,
როცა დუმილი უდრის დაძახილს
და აღარაეინ არ იხედება...
შენ თუ გიგრძენია სხვისი ტკივილი,
ჩემი ტკივილის მონათესავე,
თუ გინატრია ოდესმე შეილი,
და გყვარებია ვინმე მზესავეთ,
გიფიქრია და მიმხვდარხარ იქნებ,
სილის მარცვალი სხივს რად იკრებდა,
ან ნიჟარათა საოცარ მითებს
რატომ დაარქვეს მარგალიტები.

მაშინ რაც იყო, ნულარ გადათვლი,
მე ვცდილობ, ვცდილობ მთელი შეძლებით...
დღესაც დავკვიდე ჭერში კალათით
ჩამონგრეული ბუდე მერცხლების.

მ ე მ ი ნ დ ა

მე მინდა იგრძნო სიმწიფის ფერი,
ჩამოცვენილი მაქალოს ფერი,
და ყველაფერი, —
რასაც აქ ახლა
რალაც მეტყველი სიჩუმე ახლავს,
აი, ეს დეღეც, დამშრალი ადრე,
თითქოს იმ დიდი მდინარის ხათრით...
(მე ხშირად ვადრი
კომშის მუქ ყუნწებს —
შენს გამხდარ ხელებს,
გაზრდილებს უცებ).
მე მინდა იგრძნო, რად იწვის კუნძი
ბუხარში დიდხანს, და ბოლავს ძუნწად,
ან კაცს რად უმძიმს
გზა ნახოს სწორი
და მზეს თამამად
თვალი უსწოროს.
მე მინდა მკითხო,
რად ხდება ასე:
როდესაც ფეხით შედგები მთაზე —
ცა გაიქცევა,
გაიტყორცნება
და მერე დიდხანს
რჩება ოცნებად...
ან მუდამ მწვანე რადაა ნაძვი,
ან როგორც ქუხდა,
ისე რად არ წვიმს,
ან ზვიად არწივს
რას დააკლებდა,
რომ ყვარებოდა სისხლი ნაკლებად;
მე მინდა მკითხო:
მიწა ფხვიერი,
ცაზე ძლიერი და სახიერი,
როგორ უძლებდა დროთა ჭენებას,
ამდენ ნგრევას და ამდენ შენებას.
მე მინდა მკითხო:
სხივანანთები
შენსავით ტკბილი რადაა მთები.
მე მინდა შენთვის

ყველა სიძნელე, —
როცა კარგავენ,
როცა იძენენ;
და, თუმცა გველი
ძველ სამოსს იხდის,
იგივე რჩება, —
მინდა რომ მისვდე...

მე მინდა... თუმცა გზებს თვითონ ვირჩევთ,
თვითონ ვეცემით
და თვითონ ვდგებით;
და კიდევ ერთხელ
ვამოწმებთ ნიჩბებს,
როცა გველიან უცნობი ზღვებო...

მთაწმინდა

რა კარგად მოჩანს აქედან გზები
და ცხელ მიწაზე ცხელი ქალაქი!
აქ უცებ წყდება, აქ უცებ წყდება
წამოწყებული იქ ლაპარაკი...

და არ მგონია, რომ მშვიდად იტანს
ამ ფოთოლცვენას შემოსვლა ქართა.
და ვერ ვპოულობ მე ვერც ერთ სიტყვას
აქ, შესაფერისს, დუმილის გარდა.

და უზივარ, როგორც ბედის მჩხიბავი,
რომელიც ხშირად ამაოდ წვალობს...
და გაცივებულ სხივებს თიბავენ
ხეთა წვერები, ჩრდილი და თვალი.

და ვუსმენ დიდხანს, როგორ გრძელდება
წამოწყებული იქ ლაპარაკი...
და საკუთარი, დაღლილი გზებით
ნელა ამოდის მთაზე ქალაქი.



მუკან ჯგუზი

ს ი მ შ ვ ი ღ ე

მიწა გაღვივდა...
 ქალიშვილი — აპრილის ტოტი —
 ირხევა ნელა
 და იპნევა მზის ნამცეცები —
 მწიფე, მწიფე მარცვლები ხორბლის.
 გრძელდება თესვა...
 მზე აცხუნებს
 და ღვივის მიწა...
 მოღებულია ცარგვალის კარი.
 მივლინება მდინარე თავქვე.
 თვალშეუდგამი მწვერვალები ელავენ შორით.
 ქარის ნაწყვეტი ჩასდგომია რტოებში მუხას.
 ირხევა ჩერო
 და ეძახის პაწაწა ბილიკს;
 მერე მუხის ქვეშ გროვდება ხალხი
 და საუბრობენ მხოლოდ ამინდზე.
 და ღვივის მიწა...

ს ი ზ მ რ ე ვ ი

დასვირნობენ ტყეში უჩუმრად...
 ხოლო როდესაც
 მწუსრი დაფარავს ტყისპირა სოფლებს —
 დაუყვებიან ბილიკს ჩურჩულით,
 აფრინდებიან მაღალ ღობესთან
 და... ეწვევიან მთვლემარე ოდებს...

 ჭამთენიისას ისევ ტყისკენ
 მიფარფატებენ...

* * *

თხა დაკარგა თუ ჟღარუნი ეჭვნის? —
დახეტილობს ობოლი ტყეში,
ქარი ჩამდგარა ლერწამის ყელში
და უსასრულოდ ტირის და ტირის.

თვალებს აწუხებს ნამცეცა ნისლი,
შორია ცეცხლი და ქოხი ისლის,
გაიტკაცუნებს ჟამი-ჟამ ფიჩხი
და კვლავ იღვიძებს იმედი მცირე...

მახსოვს: მიყვარდა ლამაზი ცირა,
ცირას ზღვისფერი თვალები ჰქონდა,
გზის პირას მედგა მეგრული ოდა
და სახურავზე წვეთავდა წვიმა.

ოდას ემოსა დღე-ღამის კაბა
და მიყვებოდა ბაბუა ზღაპარს, —
როგორ დაჰკარგა ობოლმა თხა და
როგორ წავიდა ობოლი ტყეში...

თხა დაკარგა თუ ჟღარუნი ეჭვნის —
არცკი იცოდა ობოლმა მაშინ,
როს ვარსკვლავებით აღსავსე პეშვით
ატირებული დაბრუნდა სახლში.

თვალებს აწუხებს ნამცეცა ნისლი,
და მახსენდება სისინი ისლის,
და ჩემი ოდა, რომელსაც გზისპირ
დღე-ღამე ეცვა და ჩუმად იდგა.
და მახსენდება: წვეთავდა წვიმა
და მიყვებოდა ბაბუა ზღაპარს...
„წაღარ ვიცი, სადაა იგი
და ოდას მწუხრი აცვია კაბად..."

* * *

თოვლი!.. და ისევ დღე უცნაური
და დარხეული კვამლის ფათური;
მიზოზინებენ და უხმაუროდ
მიაქვთ ურმებით თივა — ზაფხული.
ურმებით მიაქვთ ზაფხული ცხელი
და თოვლი უსმენს სიჩუმეს თვისას...
მიზოზინებენ ხარები ნელა
და უსასრულოდ გრძელდება სივრცე...



თავისუფლება

დაქვეყნდა 1925 წელს

ჯ ა ლ ო

— ნუთუ არ მოგწყინდათ, აქამდე ერთი და იმავე კითხვით რომ არ მასვენებთ? და კიდევ მიმტკიცებთ, რომ ჩემი ერთგული მეგობარი ხართ?... განა ერთგული მეგობრები ისე მოურიდებლები არიან, რომ ჰკითხონ ქალს, ვინ უყვარდა? რას ამბობთ? ეპკვიანობა? ოო, როგორ არა გრცხვენიათ! განა არ გახსოვთ ჩვენი პირობა? როგორც კი ნახ გრძნობაზე სიტყვას წარმოთქვამთ, მე გლჩებს გავიწვევ და ომს გამოგიცნადებთ.

თუმცა... საეცევი აიღეთ და ბუხარში ნაკვერჩხალი გააღვიეთ. რაკი საქმე აქამდე მივიდა, ჩემი პირველი გატაცების ტრადიციული ამბავს მოგიყვებით. ოღონდ, წინდაწინ სიტყვა უნდა მომცეთ, რომ არ დამცინებთ... იცოდეთ, ძალზე მეწყინება.

ამ ამბის დასაწყისი მეტისმეტად რომანტიულია. წარმოიდგინეთ, მაღალი წრის მეჯლისი, სინათლით გაჩაჩხაბებული სალონი. ერთმანეთში არეული მთელი წყება მკერდმოშიშველებული ქალებისა და მოჭარბულმუნდირიანი და ბრწყინვალეფრაკიანი მამაკაცებისა. და აი, სულ ერთიანად მწვანეთი შემოღობილ ესტრადაზე, ხალხის თავებს მიღმა გამოჩნდა „ის“. მას მხრებზე შავი კუ-

ლულები აყრია, გიშრისფერი, ხავერდოვანი, ზებუნებრივი თვალები ცივი სიდიადით იცქირებოდა. სათუთად მოვლილი გრძელი და მშვენიერი ხელი მსახიობისა ცხვირსახოცით გულგრილად ასუფთავებს ვიოლინოს თავფიცარს და ასევე გულგრილად აგდებს როიალზე აბრეშუმის ნაჭერს. სიჩუმე... პრელუდიის გაუბედავი აკორდები... პირველი სათუთი, დაყინებული ჰანგების შემოჭრისას გული რაღაცნაირ ტკბილ შიშში ირინდება. უკვე აღარ არსებობს ბრწყინვალე დარბაზი, არც დამრიგებელი დედიკო, არც გაჯგიმული მეზობლები, რჩებიან მხოლოდ ჰანგები და შთაგონებული — ხან ვნებიანი, ხან მოლუშული, ხან კი მოზიემე თვალები.

შემდეგ წარმოიდგინეთ მიაშიტი, საზოგადოებაში ახლახან გამოსული სტუდენტი ქალიშვილი, რომელსაც თავი რომანტიული სისულელეებით აქვს გამოტენილი და არაჩვეულებრივისა და ამბულეტულის წყურვილი ახრჩობს... ერთი სიტყვით, კვანძი თქვენთვის გახსნილია. ხომ სწორია?

ჩემი რჩეული მეგობრინე, მაღალ საზოგადოებაში, ასე ხარბად რომ ეძალედა ყველაფერ ახალს, ფართოდ იყო ცნობილი; მას „მეორე პავანინი“ და



„მეორე სარასატე“ შეარქვეს. საღამოებზე მის მოპატივებაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ. მის წინაშე პირმოთენობდნენ; ქალები მასში რაღაც დემონურს ხედავდნენ.

ესტრადიდან რომ ჩამოვიდოდა, თავი უზადო ღირსებით ეჭირა. ფიქრიანი და ამაყი პროფილის შემყურეს რამდენჯერ მის ინტიმურ ცხოვრებაზე, მის გარშემო შემოკრებილ ადამიანებზე, ქალთა გულზე მრავალრიცხოვან გამარჯვებებზე ფიქრსა და აუტანელ ცნობის-მოწყარობას დავუტანავიყარ. წიგნებიდან ამოკითხული მქონდა, რომ ხმაურიან სამყაროში დიდი ადამიანის მსჯავრი სამარადისო მარტობაა... და მე ვოცნებობდი. თუმცა მერე რა, რამდენ სისულელეზე შეუძლია იოცნებოს ქალწულის ახირებულმა თავმა!

ერთხელ გადავწყვიტე მისთვის წერილი მიმეწერა (რასაკვირველია, შეთხზული სახელითა და თხოვნით, ებანუხა ჩემთვის „მოკითხვამდე“) — უცნაური-ალეგზნებული. აღტაცებული წერილი. მან მიპასუხა და ჩვენს შორის მიმოწერა გაიმართა, რამაც წიგნებში ამოკითხული აფორიზმების ქეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა. ჩემი მსახიობი ცხოვრებას მოქანცული კაცის თვლით და ექვით უყურებდა; ვერ ურიგდებოდა ადამიანთა უხამსობას, წერილმანობას, შემოქმედებითი სულის სწრაფვის გაუგებრობასა და მოშურნეობას. ამასთანავე ის უსაზღვრო მადლობას უხდოდა ქალის მგრძნობიარე გულს. რომელიც ასე აფასებდა მას. რასაკვირველია, ლაპარაკი ჩემს გულზე იყო.

ზაფხულზე ჩვენს შორის მიმოწერა შეწყდა. ვინაიდან მე დედიკოსთან ერთად აგარაკზე გავემგზავრე. დედიკომ სააგარაკო ადგილი ვანგებ ქალაქიდან მოშორებით შეარჩია. მას მიაჩნდა, რომ ზამთრის მომქანცველი სეზონის შემდეგ ჩემთვის აუცილებელი იყო სოფლის სუფთა ჰაერით ძალა მომეკრიბა. თუმცა, ვფიქრობ, ეს ეკონომიური ინტერესებით უფრო იყო გამოწვეული.

ჩვენი ყოველდღიური სტუმარი და ბრწყინვალე მომავლის მქონე კავალერიის გენერალი, ასე ორმოცი წლის უცოლო, წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცი. ის ძალზე მზიარული და თავაზიანი იყო. ოღონდაც ვამჩნევდი, რომ თმები და წვერი იისფრად ულპალპებდა.

გენერალს ჩემთვის ყვაილები და კონფეტები მოჰქონდა. დედიკოს არა ერთხელ, ძალზე აშკარა ეშმაკობით ჩამოუგდია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მშვენიერი საქმროა გენერალი არც თუ ისეთი დიდი მზითვეის მქონე ქალიშვილისათვის. გენერალი ლაპარაკში თავის თავს ხუმრობით ბებერს რომ უწოდებდა ხოლმე. ამაზე განაწყენებული დედიკო ენერგიულ პროტესტს უცხადებდა.

მაგრამ ჩემი გული დემონურ მსახიობს ჰქონდა დაპყრობილი. „ან ის, ან არაინ“, გადავწყვიტე იმ სიმტკიცით. ჩვილმეტი წლის რომანტიული გვირის უპირატესობას რომ წარმოადგენს. და ალბათ ჩემს გადაწყვეტილებას არ შეეცვლიდი, ერთი პატარა უსიამოვნება რომ არ მომხდარიყო.

ერთხელ ტყეში სეირნობისა და ახლად მოწველილი რძის დაღვევის შემდეგ მე, დედიკო და გენერალი აგარაკზე ვბრუნდებოდით. მე მათ ისე ჩამოვრჩი, რომ არც დედიკოსა და არც გენერალს ეს არ შეუშინებიათ — ისინი გატაცებით არკვევდნენ, რა ნათესაური კავშირი იყო გენერლის ბიძაშვილსა და დედიკოს სიძეს შორის.

მწვანე აკაციებში ჩაფლული აგარაკის წინ რომ ვავიარე, ამაღლელებელი და ნაცნობი ხმა შემომესმა. ცნობის-მოყვარეობა იმდენად ძლიერი იყო, რომ (თუმცა ჩემი სინდისი ამის წინააღმდეგი წავიდა). გავჩერდი, მწვანე ტოტებს ამოფარებულმა ყურთასმენა გავამახვილე და ეზო მოვათვალიერე.

ღმერთო ჩემო! უპირველესად მე „ის“ დავინახე. ჩემი კერაბი, ჩემი დემონი, ჩემი ამაყი გენია, ჩემი „პაგანი“ და „სა-

რასატე“ — ორივე ერთად. ის აივნის წინ, მწვანე, მრგვალ მაგიდასთან იჯდა. ხელში ეჭირა სულელური სახის, პირდაპირი სამი-ოთხი თვის თოთო ბავშვი. მის პირდაპირ მსუქანი, უკორსეტო, ნაცრისფერკაბიანი და გულმკერდჩამოთხოხნილი ქალი გადასატან ღუმელზე მურაბას ხარშავდა. ბავშვები — სამი გოგონა და ერთი ვაჟი — იქვე, აკვამლებულ ტაშტთან ტრიალებდნენ და დროდადრო მალულად სიროფიან კოვზს ლოკავდნენ. ამ სურათს კიდევ ორი ქალი აესებდა, რომლებიც იმავე მწვანე, მრგვალ მაგიდას უსხდნენ: ასე ოთხმოცი წლის მოხუცი, რომელიც წინდას ქსოვდა და კუზიანი, ჩიტისსახიანი ქალი, უფრო ქალიშვილი, რომელიც ძალზე ჰგავდა ჩემს „პაგანინს“. კუზიანი ქალიშვილი ჩვილს ბროლის ბრჭყვილა კიქას ხან ცხვირთან მიუტანდა, ხან უკან წაიღებდა. ამაზე ბალლი წიოდა, პირიდან ბუშტებს უშვებდა და ხელებს წინ იშვერდა. ამ უბრალო გართობის შემყურე მსუქან ქალს, წინდის მქსოველ

მოხუცს და თვით „პაგანინს“ სახეზე ნეტარი ღიმილი ეფინებოდათ — ბედნიერი მამის, კმაყოფილი დედის და ოჯახში დამსახურებული პატივისცემით მიღებული ბებუის ღიმილი. ამასთანავე ჩემი დემონური ბუნების მუსიკოსი რალაც ბინძური ჩერით ბავშვს სველ ტუჩებს და წვინტილიან ცხვირს უწმენდა მზრუნველად.

უცებ დაქინებული მზერის მიმზიდველ ძალას დამორჩილებულმა მუსიკოსმა თავი ჩემსკენ მოაბრუნა. მე მხოლოდ დადინახე, როგორ აელუნა სახე. მერე ბავშვი ინსტიქტურად კუზიან ქალიშვილს გაუწოდა. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, არ მახსოვს... მე მოვკურცხლე, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვირბინე და თან სირცხვილი, აუტანელი ტკივილი, სიბრალული და სიბრაზე მახრჩობდა.

დასასრული თქვენ, რა თქმა უნდა, იცით: ნახევარი წლის შემდეგ მე კავალერიის წარმოსადეგი გენერლის ცოლი გავხდი.

პირველი გამვლელი

მოწყალეო ქალბატონო!

გვკა არ შეპარება, რომ თქვენ ეს წერილი ან გაგაოცებთ ან გაგანაწყენებთ. რასაკვირველია, ხელს არაფერი გიშლით ანთებულ ბუხარში შეგადლოთ წაუკითხავად. მაგრამ სანამ ამას გააკეთებდეთ, გთხოვთ, ყოველ შემთხვევისათვის, უპირველესად, კონვერტზე დასმულ გამოგზავნის აღმნიშვნელ საფოსტო ბეჭედს დახედოთ, გაგიკვირდებათ, რომ მას თქვენგან ორი ათასი კოლომეტრა აშორებს. ის გარემოება, რომ მე ჩემს გვარსა და სახელს აშკარად ვაწერ, შეიძლება იმის თავდებად გამოდგეს, რომ თქვენ ამ შემთხვევაში არ გახედებით არც მისტიფიკაციის, არც შანტაჟის, არც ინტრიგის და, მათ უმეტეს, ჩემი მხრიდან არც რაიმე სულელურა იმედის საგანი.

...ეს მოხდა პეტერბურგში. ზუსტად ოთხი წლის წინ, 18... წლის 22 აგვისტოს. ო, მომაკვდავიც კი გავიხსენებ არცხვს! იმ გაუმძღარ, ნესტიან და ცეცსალამოს. ჰაერში ხშირი ნისლი ეკიდა და ოც ნაბიჯზე კაცი ვერაფერს გაარჩევდა. ელექტროფარნის სინათლეები შორიდან დიდ, ნაირფერ ლაქებად მოჩანდა. ყოველი მხრიდან — მარჯვნიდან და მარცხნიდან — ეტლებში შემბული ულაცების ფრუტუნე ისმოდა. დროდადრო ეტლის გავლისას ნაცრისფერ ბურუსს სწრაფად კვეთდა ორი მწვანე ცეცხლოვანი ლაქა: სადღაც, განუწყვეტელი წყარუნით კონკა მიხრიგინობდა. მე ქუნაში უაზროდ დავუვილობდი. ხანდახან განათებული ფანჯრების წინ ვჩერდებოდი. ზოგიერთ ფანჯარასთან მეოცნების უცნაური ცნობისმოყვარეობით შე-



პურობილი ათ წუთზე მეტ ხანს ვიდექი. განსაკუთრებით მიზიდავდა მდიდრულად მორთული ბინები: ქალებიანი, ხალიჩებიანი. სარკებიანი, ყვავილებითა და აბრეშუმგადაკრული ავეჯით მორთული ოთახები. მე მაშინ ღარიბი და მარტოხელა ვიყავი (თუმცა ახლაც ისე ვარ), გაკვეთილებზე წანწალმა, ნესტიან ოთახში ცხოვრებამ და იაფფასიანმა სადილებმა ჩემი ჯანმრთელობა შეარყია. ხოლო სამარადისო მარტოობამ ველური და მიუყარებელი მეოცნებე გამხადა. სწორედ ამ ოცნების საოცარი ძალის გავლენას უნდა ვუმაღლოდე იმ განცხრომას, დედაქალაქის გულგრილ ღამესა და ნისლში დაკარგული, უცნობი სახლის განათებული ფანჯრის წინ მდგარი რომ განვიცდიდი. მე ორი სიცოცხლით ვცხოვრობდი. დღისით — მხდალი, მოუხეშავი, ჩემთვისვე აუტანელი სახით, მუყაოს გულისპირითა და თავმინებულ საპუდრესავით ფოჩებდაკიდებული შარვლით. დღისით კარისკაცების წინაშე ვპირმოთნეობდი; გულმოდგინედ ემაღავდი სოფლურ ფეხსაცმელებს იმ სკამქვეშ, რომელზედაც ვიჯექი. დარდი მიპურობდა, ხელს რომ არ გამომიწოდებდნენ და, ხალხმრავალ ქუჩებს დარცხვენილი გავუბრბოდი. სამაგიეროდ, საღამოს, ჩემი საყვარელი ფანჯრების წინ... ო! საღამოს მარჯვეც ვიყავი, ღამაზიც და ჭკვიანიც. ვიმარჯვებდი ქალთა გულებზე და ბირჟაზეც გავლენა მქონდა. რა მშვენიერი ცხენები მყავდა და რა შესანიშნავი სუფრის გაშლა შემეძლო... მცენარეების ნაზი სუნით გაელენითილ, შანდლებით განათებულ თბილ ოთახებში შევდიოდი: ეს ოთახები მე მეკუთვნოდა. აი, იმ სამ არისტოკრატ მოხუცთან კარტს ვთამაშობდი და აუჩქარებლად, დარბაისლურად და სერიოზულად ვსაუბრობდით. აი, იმ ღია როიალთან მდგარი, საზოგადოებას სიმღერით ვხიზლავდი და მაქმანებით მორთულ, უცნაურად დაგრეხილ დივანებზე ნახევრადწამოწოლილი დინჯი და თავშეკავებული ყველა ამ ღამაზი ქალის ხან ქმარი, ხან საქმრო და

ხანაც საყვარელი ვიყავი. ქალები განსაკუთრებული სიძლიერით მხოლოდ ასეთ საღამოს ეუფლებოდნენ ჩემს წარმოდგენას. დღისით ჭურჭლის უბრალო მრეცხავს ქათინაურსაც კი ვერ ვეტყოდი.

თუმცა, მე ცოტა გადავუხვიე, გთხოვთ მაპატიოთ. განვავარდობ: ლიტენისა და ნევის ქუჩის კუთხეში, ფარანთან, ბურუსში რომელიღაც გაურკვეველი ფიგურა უძრავად იდგა. მე მას მივუახლოვდი და გაოცებული შევდექი. განვიმან გამაოცა, რომ ის ქალი იყო — ვინ არ იცის ამ დროს პეტერბურგის ქუჩებში რამდენ და რანაირ ქალებს არ ერეკება დაუფიქრებლობა, მოტყუება და სილატაკე. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ასეთი ქალი, შემოდგომის ასეთ ბინძურ საღამოს მდგარიყო ქალაქის ხალხმრავალ გზაჯვარედინზე, მარტო, სრულიად მარტო, უთანამგზავროდ. — გამცილებლის ან ლაქის გარეშე? ეს ჩემთვის ისევე გასაოცარი და გაუგებარი იყო, როგორც ზამთარში დათოვლილ მინდორზე წითელი ვარდის დანახვა. მისი მალალი ტანი, იერი, მუქი ფერის კაბის ყოველი ნაოჭი ვაგრძნობინებდა, რომ მალალ წრეს ეკუთვნოდა — ის იყო ერთ-ერთი იმ ქალთაგანი, რომელსაც ასეთ საღამოს მხოლოდ მაშინ დაინახავთ. ეტლიდან გადმოსული ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით იატაკზე წითელ მაუღდაფენილ, სინათლით გადაჟღავებულ სადარბაზო შესასველელში მწვანე ნარგავებს შუა რომ მიაბიჯებს, თან სუნამოს ოდნავ შესამჩნევ საამო სურნელებას ტოვებს. ამას მარტო მე არ ვრგძნობდი. უცნობს პირში პაპიროს-გაჩრილმა ქუჩის რამდენიმე ავარამ ჩაუარა, მაგრამ მისვლა ვერ გაბედეს. არც ერთს არ ყოფნიდა გამბედაობა, ამ ქალს დალაპარაკებოდა.

ეტყობოდა, უცნობი რალაციით იყო აღელვებული. თავს აქეთ-იქით მოუთმენლად ატრიალებდა და დროდადრო ქვაფენილის ჭუჭყიან ფილებს ქოლგას ნერვიულად უჟაკუნებდა. თავდაპირველად კიდევ ვიფიქრე, რომ ის ვილაცას

ელოდა — რა თქმა უნდა, შეყვარებულს, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყავი, როცა ჩემს მიერ შთანთქმული აუარებელი ფრანგული რომანებიდან გავიხსენე ადიულტერის პირობები. იქ, ჩვეულებრივად, პატარა ქალბატონი დეკუსი, როდესაც თავის რაიონდს პაემანს უნიშნავს ქალაქის შორეულ უბანში, საკუთარი ეტლით მიდის, მერე ეტლს უკან ისტუმრებს. ქიარაობს ფიაკრს და მხოლოდ ასეთი გზით ხვდება მიჯნურს თავიანთ პატარა ბუდეში, რომელიც ასე გემოვნებით მოაწყო მომხიბვლელმა რაიონდმა. მით უმეტეს, თუ უცნობი ქალი ვინმეს ელოდა, აუცილებლად წამდაუწყუმ საათს დაუწყებდა ცქერას, მაგრამ შეიძლება რაიმე აწუხებს? რაიმე უჭირს?

უცებ რაღაც იღუმალმა ძალამ უცნობთან მიმაგლო. შლაპა მოვიხადე. საკუთარი ქცევით შეშინებულმა ვიგრძენი, როგორ გამიშრა პირი და გული საშინლად ამიძგერდა, მაგრამ მე ჩემში ვიპოვე იმდენი ძალა, რომ ლულულულით მეთქვა:

— ქალბატონო, მაპატიეთ გამბედაობა, მაგრამ მე ვგონებ, თქვენ გასაჭირში უნდა იყოთ... იქნებ გზა აგებნათ?... იქნებ შემიძლია, რითიმე გემსახუროთ... მან შემომხედა... არა, კი არ შემომხედდა, როგორც რომანებში ამბობენ — „თავით ფეხებამდე გამზომა“, დიდხანს მდუმარედ მიცქერდა და უცებ მტკიცე კილოთი, რომლის გადმოცემაც შეუძლებელია, მითხრა:

— თქვენ თუ სხვა... სულერთია!.. — მან სწრაფად გამოკეთა ხელმკლავი და თითქმის ბრძანებით დაუმატა, — წავიდეთ!

სწორედ იმ ადგილის მახლობლად, კუთხეში, სადაც ვსაუბრობდით, ცარიელი ეტლი იდგა. გამახსენდა, რომ ჯიბეში ორი მანეთი და ხურდა მეყარა, რომლითაც ბინის ქირის ნაწილი უნდა გამეტუმრებინა.

— უფრო მოხერხებული ხომ არ იქნებოდა, ეტლით წავსულიყავით? — ვკითხე მე.

უცნობი, ისე რომ ჩემთვის პასუხი არ გაუცია, სწრაფად შეხტა ეტლის კიბეზე. მე დაბნეული ადგილზე ვიდექი. მან მარცხენა ხელით კაბა აიკეცა და მოუთმენლად მომახალა:

— დაჯექით რალა!

მაშინვე დავემორჩილე.

— საით მიბრძანებთ? — გადმოიწია ჩემსკენ მეეტლე.

— საით მიბრძანებთ? — ექოსავით გავიმეორე და უცნობს ვადავხედე.

ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი და მრისხანე სახე მოაბრუნა ჩემსკენ.

— განა ჩემთვის სულერთი არ არის?.. სად დაგყავთ აი ისინი... — მას ენა დაეზა და განსაკუთრებული ზიზღით განაგრო, — ისინი, აი, ისეთი ქალები.

მეეტლეს ვუბრძანე, პირდაპირ წასულიყო. ჩვენ ლიტეინის და კიდევ რომელიღაც ქუჩა ავიარეთ. ის დუმდა. მე კი მასთან ლაპარაკით დაშინებული, საგონებელში ჩავვარდი: ვინ არის ჩემი უცნაური თანამგზავრი? მორფინისტი, გიჟი, ვინმესგან გაძარცული, საიდანღაც ჩამოსული ადამიანი, ქალაქს რომ არ იცნობს? შეიძლება რაიმე, ძალზე ძლიერი მწუხარებთაა შეპყრობილი? იქნებ რითიმე ითხოვოს დახმარება? მაგრამ — ვფიცავარ ღმერთს — გულში არავითარი ცული ზრახვა არ გამივლია. უცნობმა რამდენჯერმე ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომ კაცი იმ წუთსავე მიხვდებოდა, ის მოუთმენლობას შეეპყრო.

უცებ მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად იკითხა:

— მალე მივალთ?

— მაპატიეთ... მე... მე არ ვიცი მართლა... მე საგნებით ვერ გამოიგეთ... მე ხომ არ ვიცი. თქვენ სად გასურთ?

მან ქოლგას ბრაზით დაჰკრა ხელი.

— ოჰ, ღმერთო!... მე უკვე გითხარით, რომ არ ვიცი, ის თქვენი გარყვნილების ბინძური ბუდე... —

ამ დროს ეტლიდან აბრას მოვკარი თვალი. ფარანის შუქზე გარკვევით შეიძლებოდა წაკითხვა: „ზანზიბარის ნომრები ქირავდება თვიურად და დღიურად“.

— აი სასტუმრო, — გაუბედავად წარმოეთქვი მე.

უცნობმა მღუმარედ დახარა თავი და მე მეეტლეს ვუბრძანე, გაჩერებულიყო.

სასტუმროს ჭოჭონაქიანი კარი ჭრიალით გაიღო. ჩვენს წინ დახვეული, ჭუჭყიანტილოდაფენილი, ვიწრო კიბე ადიოდა. კიბის მარცხნივ, კედელზე სოფლის პეიზაჟის თითქმის ერთნაირი სურათები ეკიდა. ირგვლივ შჩის და ნავთის სუნი იდგა. მე მთელი ძალით დავიყვირე — „მორიგე!“ მაგრამ ჩემს დაძახილზე არავინ გამოჩენილა, მხოლოდ ეღრიალა ეჭო გამომეხმაურა. უცნობი შევათვალიერე: ის მე არ მიცქეროდა და მომეჩვენა, რომ ცახცახებდა. მაშინ უფრო ხმამაღლა დავიყვირე — „კარისკაცო!“

ამჯერად კიბეზე ფეხშიშველა, ნამძინარევი და თვალბედასიებული ბიჭი გამოჩნდა. მას წითელი პერანგი შარვლიდან ამოჩეჩოდა. ბიჭი უგულოდ, ზანტად ჩამოვიდა შუა კიბემდე, შეჩერდა, ფეხის ცერა თითით მეორე ფეხი მოიფხანა, ქოჩორი მოიქექა და ისე, რომ მობლიტებული თვალები არც გაუხელია, ხმამაღლა გვითხრა:

— რა გნებავთ?

— თავისუფალი ნომერი გაქვთ?

— ჰო, რომელი გნებავთ პატარა თუ დიდი?

— სულერთია, ოღონდ ჩქარა!

ბიჭი შეტრიალდა და ზანტად წარმოსთქვა. „მობრძანდით!“ მე ერთხელ კიდევ გადავხედე უცნობ ქალს. მან თითქოს ამ შეხედვის საპასუხოდ რაღაც გამომწვევი გამბედაობით კიბის საფეხურს ჩქიქურ აჰყვა. უკან გავეყვი. ის უკალნებოდ იყო და ქუჩის ტალახისაგან ლაქის ვიწრო ფეხსაცმელი, შავი ქვედატანის ბოლო და ნაჭვრეტებიანი წინდები დასვროდა. საოცრება ის იყო, რომ ამ უმნიშვნელო დაკვირვებამ გული გამოუთქმელი სიბრაღულით ამივსო.

ბიჭს ლამფა ეჭირა ხელში და ოთახის კარებთან გველოდა. ოთახში შევედი. ახლა ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ჩემს წინ ულმობელი სიციხადით აღსდგა იმ

„ნომრის“ უხეირო მოწყობილობა (როგორც მახსოვს, მეათე ნომერი იყო).

კარის მოპირდაპირე კედელზე დაბარილად, ბრინჯაოს აქერცლილჩარჩოვანი მრგვალი სარკე ეკიდა. მის ქვეშ მუქი, წითელყვავილებიანი კრეტონით გადაკრული დივანი და ორი სავარძელი იდგა; მათ შუა — მრგვალი მაგიდა; მარჯვნივ, კომოლზე — მტვრიანი გრაფინი და ჭიქა; მარცხნივ — სქელზეწარგადაფარებული რკინის დასაყეცი საწოლი. ფანჯრებზე ჩითის თალხი ფარდები ეკიდა. შპალერაც კი მახსოვს — ჭუჭყიან, მწვანე ფონზე ქადრაკულად განლაგებული იყო ერთი და იგივე ნახატები: კოშკი, მდინარე და მდინარეზე გადასასვლელი ასაწევი ხიდი. ხილზე ხელჩაკიდებულნი დგანან ლუდოვიკო XIV-ის დროინდელ კოსტუმებში გამოწყობილი ქალი და მამაკაცი.

სასტუმროს მსახური ფეხდაფეხ მოგვეყვა. მას ხელში ბალიში ეჭირა რომელზედაც ზეწარი და თივთიკის წითელარშივებიანი ნაცრისფერი საბანი იდო. მან ნივთები საწოლზე დაავლო, მერე ხელის გულით ცხვირი მოიხოცა და უხეში ხმით იკითხა:

— ნომერი მთელი ღამით გინდათ თუ დროებით?

მე მას ხელით ვანიშნე, გაჩუმებულიყო, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა.

— იმიტომ, რომ თუ მთელი ღამით... პოლიცია ბაშფორტს მოითხოვს. ჩვენც მკაცრად გვთხოვენ...

— გალით აქედან! — წარმოსთქვა უცებ უცნობმა. ეს სიტყვები სრულიად წყნარად, გაულიზიანებლად, ყოველგვარი ეფექტის და გაზვიადებული ზიზღის გარეშე იყო წარმოთქმული, ისეთი ადამიანის უბრალო ტონით, რომელსაც აზრად არასდროს მოუვა, რომ მისი თხოვნა შეიძლება დაუკმაყოფილებელი დარჩეს. და შეუცნობი თვითდარწმუნების ძალა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავხედი ბიჭი დაბნეული სახით ოთახიდან გავარდა. ჩვენ მარტონი დავრჩით. აქამდე ჩემი უცნობი ქალი კომოდთან, ოთახის კარისკენ ზურგშექ-

ცევით იღვა. როგორც ჩანდა, მას არაფრით არ შეეძლო შეგუებოდა იმ სისაძაგლეს, მასში ამ სწინელმა ოთახმა რომ გამოიწვია. დაძაბული დუმილი ორ-სამ წუთს გაგრძელდა.

უცებ მან მსუბუქი მოძრაობით ამაყი თავი ჩემსკენ მოაბრუნა და ცივი ხმით ისე, რომ ჩემთვის თვალიც არ შეუვლია, მკითხა:

— თქვენ ალბათ იცით, თქვენთან ერთად აქ რატომ მოვედი!

— ღვთის გულისთვის, მამატიეთ... — წამოვიღულღულე მე, — მაგრამ მე... მართალი ვითხრათ, ვერ ვხვდები...

ის სწრაფად, ნერვიული ნაბიჯით მომიახლოვდა. მისმა ცეცხლოვანმა, მუქმა თვალებმა და თხელმა წარბებმა — შუბლზე მრისხანე ნაოკებს რომ აჩენდა — უნებურად მაიძულა უკან დამეხია.

— როგორ? არ იცით? — გაგუღული ხმით წარმოსთქვა, — თქვენ არ იცით... თქვენ, მამაკაცმა?! სტყუით!...

ამ ღვარძლიან და იმავე დროს ვენებიან კითხვებზე გასაცემი პასუხი ვერ მომეძებნა და ენაგდაყლაპულოვით ვღვუმი. უცნობმა უცებ შლაპა მოიხადა, ქოლგასთან ერთად დივანზე მიაგდო და აკანკალებული ხელით კოფეთის სადაფის ღილებს დაუწყო შესხნა.

— თქვენ არ იცით?... მით უკეთესი! — მესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმული ღვარძლიანი სიტყვები, — მით უკეთესი. მაშ იცოდეთ! მე პირველი გამვლელი მჭირდებოდა, გესმით? პირველი გამვლელი... ესე იგი თქვენ, სწორედ თქვენ!... — აღმოხდა მის ათრთოლებულ ბაგეებს, — იმისათვის მჭირდებოდა... იმისათვის... ჰა, ჰა, ჰა, იმისათვის... ჰა, ჰა, ჰა...

და მას უცნაური სიცილი აუვარდა, რომელიც თავიდან წყნარი, ფაქიზი და წმინდა იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან გაძლიერდა და ჩემზე საშინლად იმოქმედა. მასში ხარხარიც, ქვითინიც, კენესაც და ოხვრაც ერთად იყო არეული. ამ სიცილისაგან ქალის მოხდენილა ტა-

ნი ირყეოდა, კანკალებდა და ნერვიულად აქეთ-იქით ირწყეოდა.

დაბნეული, შეშინებული და მასზე არანაკლებ შეძრწუნებული მაინც მივხვდი, მისთვის წელზე მსუბუქად მომეკიდა ხელი და სავარძელთან მიმეყვანა. იგი სავარძელში მოწყვეტილი ჩაეშვა. თავი უკან გადაჰკიდა და სახეზე ხელები აიფარა. ფანჯარა გამოვალე. ოთახში ნოტიო, ცივი ჰაერი შემოიჭრა. როცა დაეინახე, რომ ამან ცოტათი დაამშვიდა ქალი, ქიქა წყლით ავაესე, ვავუწლოდე, თან რაღაც უთავბოლო. დამამშვიდებელ სიტყვებს ვეუბნებოდი. მან უარის ნიშნად თავი გაიქნია და ყვირით ხელთათმანიანი პატარა თათით ქიქიანი ხელი განზე გამიწია. თანდათანობით დაწყნარდა, ქვითინი თითქმის შეწყდა და ხელაფარებულ სახიდან მხოლოდ გულამოძვარი ოხვრალა ისმოდა. შემდეგ იგი სულ ჩაჩუმდა, თითქოს ძალ-ღონეს იკრებდა. უცებ ჩემი უცნობი ქალი სავარძლიდან მკვირცხლად წამოხტა.

— წავიდეთ, — თქვა მან მშრალად და მის სახეს უწინდებური სიამაყე დაუბრუნდა.

ქუჩაში რომ გამოვედი და ათიოდე ნაბიჯი გავიარეთ, ის მოულოდნელად შეჩერდა და ცივად მითხრა:

— ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობთ ამ შემთხვევაზე... ზუსტად ისევე, როგორც ჩემთვის, თქვენთვისაც საჭირო არ არის სიტყვის ჩამორთმევა, იმის თაობაზე რომ არავის არაფერს მოუყვებით. მაგრამ მე მოვიტხოვ, არ გამააცილოთ და არასდროს არ შეეცადოთ გაიგოთ ჩემი ვინაობა, გესმით!

ამ სიტყვების თქმისთანავე ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე მოწყდა ადგილიდან და სწრაფი ნაბიჯით ქვაფენილს გაჰყვა. წუთით მის მაღალ ტანს ვხედავდი, ნელა და ამაყად რომ ირწყეოდა. შემდეგ კი ქალი ნისლმა დაფარა.

ალბათ, აღწერილი ამბავი სხვისთვის მხოლოდ საინტერესო შემთხვევა და უცნაური შეხვედრა იქნებოდა — მე-



ტი არაფერი. ჩემთვის კი უდიდეს მოვლენად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ მე უმნიშვნელო, დავიწყებული არსება, ჰია და გლახა ვარ, მაინც წარმოსახვის და ავადმყოფური ოცნების დიდი უნარი შემწევს. მშვენიერა და იღუმალმა ქალმა მთლიანად და სამუდამოდ დამიპყრო. პირველ დღეებში ჰკუთხე შეშლილივით დავდიოდი. მე არ შემეძლო, გავრკვეულიყავი, რა მოხდა და ხანდახან ვეჭვობდი: ჩემს უაზრო სიზმრებიდან რომელიმე მათგანი სინამდვილედ ხომ არ მივიჩნიე-მეთქი. მე განგებ გავედი იმ ქუჩაზე, რათა ნამდვილად დავრწმუნებულყოფიყავი აქამდე უცნობი „ზანზიბარის“ არსებობაში. დღითიღღ უფრო მიპყრობდა მოგონებანი. იმ ეინჟელიანი საღამოს უმცირესი წვრილმანის გახსენებაც კი ჩემთვის განცხრომად და მოთხოვნილებად იქცა. მე მასზე ვფიქრობდი დღისით და ღამით, დილასა და საღამოს, სადილზე, სიარულის და მუშაობის დროს. მაგრამ ყველაზე ძლიერ და ნათლად მე იგი ღამით მეზმანებოდა. მე რეალურად არ მიგემია სიყვარული თავის სიხარულთან ერთად, მაგრამ მესმოდა და წამიკითხავს, რა მოუთმენლობა იპყრობთ შეყვარებულებს პაემანის მოლოდინში. გარწმუნებით, რომ ასეთივე მოუთმენლობით ველოდი იმ წუთს, დაწოლის დრო რომ მოაღწევდა და სიბნელეში, რომლის მყუდროებას მხოლოდ კედლის იქით საათის ხმა არღვევდა, ოცნებას და მოგონებებს მივეცემოდი. არ იფიქროთ, რომ ეს ღამეები შცირე ჯაფას მოითხოვდა, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ვერაფრით ვერ მოვიგონე ქალის სახე. სხვა ათასი სახე დაქროდა ჩემ თვალწინ, რომელნიც ჩემთვის სანატრელ ამ მშვენიერ სახეს სიბნელით მოსაკვდნენ.

მე კი დაეინებით ვუხმობდი სწორედ ამ სახეს და გონებას იმდენ ძალას ვატანდი, რომ შემდეგ თავის ტკივილისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჩემსას მივალწვი. ახლა მე ვიცი ამ სახის ყოველი ხაზი, ყოველი უმცირესი ნაკეცი და

ჩემს მახსოვრობას ვერცერთი ფოტოსურათი ვერ გაუტოლდება. ზოგჯერ თითქმის ვეხები კიდეც მას, ხანდახან მგონია, რომ ამ ქალის ტანისამოსის შეხების შემდეგ ხელებზე შემორჩენილ ნატიფ და ნაზ სურნელებას ვგრძნობ. შემდეგ შემთხვევის თანმიმდევრობით გახსენებას ვიწყებ. კირკიტით, გამუდმებით ფეხდაფეხ მივყავები მომხდარ ამბავს და გონებაში წვრილმანების გახსენებით ყოველ ექსტს, ყოველ სიტყვას, თავის ყოველ მოძრაობას აღვადგენ. ეს ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. შეიძლება ვახსოვებ მოპასანის „სიცოცხლე“. რომანის მთავარი გმირი ქალი თავისი ცხოვრების ყოველი დღის შესაბამისად ქალაღზე უჯრედებს ხაზავს და თანდათანობით იხსენებს მათ.

ზუსტად ასეთივე გულმოდგინებით ვაცოცხლებ გონებაში 22 აგვისტოს საღამოს. ასე რომ, აქ აღწერილი ამბავი სრული ჰეშმარიტებაა. შემდეგ ვეცდობ შემთხვევის სიღრმეში შევიჭრა, ჩაიხიელო უცნობი ქალის აღშფოთებულ სულში და ამ ბნელ უფსკრულს სინათლე მოვფინო. მაგრამ ყველაზე რთული ისაა, რომ საეჭვო გზით მიხედვა სიარული. რომ მკითხონ, როგორ მოიქცევა ასეთი და ასეთი ასაკის, შეძლებისა და აღზრდის კაცი ასეთ მდგომარეობაშიო, მე მტკიცე პასუხს ვერ გავცემ. მხოლოდ ქცევათა ფაქტები გამაჩნია და საშინელი ცნობისმოყვარეობა მტანჯავს, გავიგო, საამისოდ რა სულიერმა ქარიშხალმა აიძულა ეს ადამიანი?

ვიცი, რომ ჩემი უცნობი ქალი ამაყი, ენინანი, ფიცხი და გამბედავია. რა ელდამ გამოავლო შემოდგომის ამ ბინძურ საღამოს ეს არისტოკრატიული იერისა და მბრძანებლური ხმის მქონე ქალი? უღაოა, ეს ელდა თვით სიკვდილზე უფრო ძლიერი იყო, ვინაიდან ასეთი ამაყი ბუნების ადამიანები შერცხვენას სიკვდილს ამჯობინებენ. მაშასადამე, სწორედ შერცხვენა იყო მისთვის აუცილებელი... ო! მე უკვე გავიგე ჩემს მართ ნათქვამი ფრაზის მწარე და საშინელი მნიშვნელობა — „პირველი გამე-

ლელი“ — თავისი თავის შერცხვენიტ სხვისი შეურაცყოფა...

აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება იმ დასკვნამდე, რომ მთელი მისი ახირებული საქციელი აუტანელმა ეპქემა, განუხორციელებელმა შურისძიებამ გამოიწვია. „სისხლის სისხლის წილ, კბილი კბილის წილ!“ — მას უნდოდა სამაგიერო იმითი გადაეხადა. რითაც შეურაცხოფილ იქნა, მაგრამ უფრო სრულყოფილად, უფრო შემზარავად. შემდეგ ოცნებას ვეძღვოდი. ჩემი ფანტაზია ჩხრიალა შადრევნიან, საუცხოო ბაღს, ავაზაკების ბანდას, მშვენიერი, უცნობი ქალის მოტაცებას. მოულოდნელ მხსნელს, ციდან გადმოცევილ სიმდიდრეს ხატავდა... თუმცა ღირს, განა, ამაზე ლაპარაკი? ორი წლის გამავლობაში წმინდად ვასრულებდი უცნობი ქალის თხოვნას, თუმცა საიდან შემძლო მისი მისამართის, ვინაობის გაგება? მაგრამ თვით ბედმა სრულიად მოულოდნელად მიმაგნებინა. ერთხელ, ზამთარში ინგლისის სანაპიროზე მივსეირნობდი. მშვენიერი სახლის ალაყაფის კარიდან ეტლი გამოვიდა, რომელშიაც ორი შავი არაბული ცხენი ება და სადარბაზო შესასვლელთან დადგა. ამ ღროს სადარბაზოდან ქალი გამოვიდა, მის დანახვაზე საფეთქელმა საშინლად დამიწყო ცემა და რომ არ წავექცეულიყავი, შენობის კედელს მივეყრდენი.

...თქვენ, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქციეთ გაქუცულ პალტიიან, საბრალო კაცს, დაკმუჭული შლაპა რომ ეხურა თავზე. მე კი... მე თქვენ აუცილებლად გამოვიცნობდით მარტო იმ მღელვარებითაც კი, რომელმაც მთელს სხეულში ელექტრონივით დამიარა. თქვენს კარეტაზე გამოსახული ღერბიდან უნებურად ამოვიკითხე თქვენი გვარი და ის დიდი მდგომარეობა, თქვენ ქმარს რომ უკავია.

ყველაფერი ეს ჩემს უნებლიეთ მოხდა. ისე, რომ სრულებითაც არ მსურდა სხვის საიდუმლოებას ჩავწვდომოდი.

ამის შემდეგ სულ მოკლე ხანში პეტერბურგიდან იმ ადგილზე გადამიყვანეს, საიდანაც ახლა გწერთ. უკვე ოთხი წელი მაშორებს ავვისტოს იმ ნისლიან საღამოს, მაგრამ ამ უჩვეულო შემთხვევის ყოველი ხაზი, ყოველი წერილმანი ისევე მტკიცედ და ისევე ნათლად ცოცხლობენ ჩემს სულში; ნუ დამკინებთ და ნურც გაჯავრდებით, თუ ბოლოსდაბოლოს გავბედავ და გადაჭრით გეტყვი, რომ მიყვარხართ. ჩემს სიყვარულს მარტოდენ საიგივე უწოდეთ, ვინაიდან მე ჩემებურად ბედნიერი ვარ და ჩემი სიცოცხლის იმ ოთხი წლისათვის, გულისდამღევი და ნეტარი მწუხარების წლებისათვის, რომელიც თქვენ მე მომეცით, გლოცავთ და გლოცავთ.

სიყვარულში ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ იმედი და სურვილია. დაკმაყოფილებული სიყვარული იზრიტება, ხოლო დაშრეტული გულს გიტხავს და სულს მხოლოდ მწარე ლექსს უტოვებს... მე კი უიმედოდ მიყვარხართ. მაგრამ იმავე მგზნებარებით. იმავე სინაზით, იმავე გატაცებით. მე ბეჩავი პარაა ვარ, რომელსაც დედოფალი შეუყვარდა. განა ასეთი სიყვარული დედოფლისათვის საწყენი უნდა იყოს? და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ ჩემი სულელური წერილი ერთი მიზეზითაც მაპატიოთ: მე საავადმყოფოდან გწერთ და დღეს ექიმმა (განსვენებული მამაჩემის ძველმა მეგობარმა) მითხრა, რომ ერთი თვის სიცოცხლედა დამჩჩა. მომაკვდავზე განაწყენება ხომ ძნელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის ამ ცივი და შავი უფსკრულის პირას მდგარი, სამარადისო ლოცვაკურთხევისა და მადლობას გიგზავნი.

გვარი და სახელი.

თარგმანა ვახტანგ ჟღერძანა.



საბუნებისმეტყველო

ბიოგრაფიული კალენდარი

მძროს ფრინველი

პოეტური სიტყვის ხელოვანი ოქროს მაძიებელს ჰგავს. ეს აზრი შესანიშნავად არის გამოთქმული გიორგი ლეონიძის უფროსი თანამოკალმისა და სახელოვანი მეგობრის პაოლო იაშვილის ცნობილ ლექსში „პოეზია“. სიტყვის რამდენი მადანია საჭირო ერთი ახალი, ძვირად ღირებული პოეტური სახის შესაქმნელად? აჲ, ცხადია, გადამწყვეტ როლს თამაშობს მაძიებლის ნიჭი და ტალანტი, მისი შემოქმედებითი მოწოდება, ურომლისოდაც ხანგრძლივი და მომქანცველი შრომიდანაც არა გამოვარა. პოეტი, რომელიც თავის ახალ სათქმელს ვერ მიაგნებს და მას მხატვრული წარმოსახვის შესაფერ საშუალებებს ვერ მოუნახავს, ეპიგონად რჩება, რადგან სხვის მიერ გაკაფული გზით იწყებს სიარულს, სხვის ნათქვამს იმეორებს. ნოვატორული ძიებანი და აღმოჩენანი პოეზიაში რჩეულთა ხვედრია. გიორგი ლეონიძე იმ რჩეულთა რიგებში დგას, რომლებმაც თავიანთი კვალი გაავლეს მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თავიანთი სათქმელი თქვეს, თავიანთი ხმა მონახეს.

გიორგი ლეონიძე ძიებისა და დაუცხრომლობის პოეტია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართული სიტყვის მადანში

პოეტური აღმასის, ოქროსა და მარგალიტების ახალ-ახალ აღმოჩენათა მძაფრი წყურვილი, შემოქმედებითი სიჭაბუკიდან მოყოლებული, მას პოეტური სიმწიფისა და ხანდაზმულობის ქამსაც არ სტოვებს. „პირველი სიტყვის პოვნაში“ მოჭერებული ფიქრი, შანთივით რომ ჩაუტოვებია პოეტის მეხსიერებაში პატარძელის იეზა და მშობლიური სოფლის „ღმერთმოჩვენებულ დილას“, მას არასოდეს არ აძლევს მოსვენებას:

ო, მას აქეთ ვარ მსურველი,
მტანჯოს, დამფერფლოს ძიებამ;
მაფრქვიონ შუქი-სურნელი
პატარძელის იეზმა.

(„პატარძელის იეზი“).

გიორგი ლეონიძემ ადრევე, თავისი შემოქმედების გარიყრაყზე იგრძნო, რომ პოეზიაში გატყეპნილი გზით შორს ვერ წახვალ, რომ მისი მწვერვალებისაკენ ჯერ გაუკვლეველი ბილიკების გაკვლევაც საჭირო. ეს არის გზა ახლის დაუცხრომელი ძიებისა, შემოქმედებითი წვისა და დაფერფვისა, და რომ ჭეშმარიტი პოეტის სახელი არა იოლად, არამედ „ნაოჭების ბილიკით“ მოდის. ძნელია ამ გზით სიარული, მაგრამ „სიძნელე გზისა“ ადვილდება ახლის მიგნების მძაფრი სურვილითა და საკუთარა

პოეტური მოწოდებისადმი მაღალი რწმენით.

თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით, იანვარშიც აღარ გავიყინებით...

ლეონიძემ ადრევე იწაბა, რომ პოეტს „ლექსის მკაზბადი“ აცოცხლებს, ხოლო პოეტის გულს ნიადაგ „ბერტყვა უნდა, როგორც ხურჯინს“. მხოლოდ დიდი პოეზია და დროის გამძლე ლექსი უნდა გახდეს იდეალი პოეტისა:

ღე, ჩემი ლექსი დარჩენილიყვეს,
ვით ხმლის ნატეხი დაძველებული,
ვით წყალიდობის ქაფი შემხმარო
დიდი მდინარის ნაპირებისა.

(„მცხეთის მთებში“).

სად არის საწყისები „ლექსის მკაზბადის“ ძიებისა, მყარი ნიადაგი, საიდანაც უნდა ამოიზარდოს დროის მოპასუხე, ახალი, ჭეშმარიტად ეროვნული პოეზია? ხანგრძლივმა პოეტურმა ექსპერიმენტებმა — ჯერ უაილდის ესთეტიზმით გატაცებამ, ხოლო შემდეგ ქართული სიმბოლისტიკის ჯგუფთან დაახლოვებამ გიორგი ლეონიძე დაარწმუნა, რომ ეს ნიადაგი, უპირველეს ყოვლისა, მშობელი ქვეყნის შიგნით, მშობლიური ხალხის მდიდარ ისტორიულ, ლიტერატურულსა და კულტურულ ტრადიციებში, მის აწმყოსა და მომავალშია. უქცნობი სიყვარული დედა ენისა, რწმენა ქართული სიტყვის ყოვლისშემძლეობისა, მისი აღმასისა და მარგალიტების მიგნებისა, — არის თავიდათავი პირობა ახალი პოეზიის დიდ გზაზე გასასვლელად. გიორგი ლეონიძე ქართული სიტყვის ნამდვილი ტრფიალია, მისთვის თავდადებული რაინდი. მან არა ერთი და ორი შთაგონებული ქება უძღვნა რუსთაველისა და გურამიშვილის, ბართაშვილისა და აკაკი წერეთლის ვაჟაკურ „ტკბილქართულ“ სიტყვას.

ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა
შე გამაცოცხლებს ყოველგვარ დრო-ვამს.

(„ქართული სიტყვა“).

გარდა ლიტერატურული ტრადიციების ახლებური თავისებური აღქმისა, გი-

ორგი ლეონიძის პოეტური ყნოსვა ქართული მხატვრული სიტყვის სურნელს ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებს:

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ჭუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

(„გაზაფხული“).

ლეონიძის ბევრი ლექსი ხალხურ კილოზეა აგებული, მაგრამ არც ერთ მათგანში პოეტი არ ექცევა ხალხური პოეზიის სტილისტურ ტყვეობაში, ყველგან საკუთარ ხმას ინარჩუნებს.

„აღმასის სიტყვათა“ ძიების პროცესში, ქართული სიტყვათწარმოების პრინციპებზე დაყრდნობით, გიორგი ლეონიძე ქმნის თავისებურ პოეტურ ლექსიკას, ნეოლოგიზმებს. ახალ სიტყვათა წარმოქმნით ზედმეტმა გატაცებამ შეიძლება დაარღვიოს ნაწარმოების მხატვრული ზომიერება და პოეტურ ფრაზას ხელოვნურობის ელფერი მისცეს. ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, თუ პოეტის მიერ ახლებურად წარმოებული ესა თუ ის სიტყვა რამდენად ბუნებრივად დამკვიდრდება მშობლიურ ენაში. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ხალხის სამეტყველო ენამ ბევრი მათგანი არ მიიღოს, მაგრამ იგი მაინც ბუნებრივად დარჩეს იმ მხატვრულ კონტექსტში, რომელშიაც, თავის დროზე, პოეტის მიერ ლამაზად და მოხდენილად იყო ნათქვამი. ამას დრო გაარკვევს. ჩვენ კი გვინდა მხოლოდ მივეუთითოთ ამ საყურადღებო მოვლენაზე, რაც გიორგი ლეონიძეს დიდად განასხვავებს ყველა მისი თანამედროვე ქართველი პოეტისაგან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს არსებითი სახელების გაზმნურებანი — არსებითი სახელიდან ზმნის წარმოება, რითაც პოეტი ცდილობს გაამდიდროს ენა, მეტი სინატიფე და ძარღვიანობა მისცეს მას.

მნათობი-გამმნათობებს („დავწერე წიგნი, წიგნმა თავი გამმნათობა“);

მტევანი-გამომტევნებს („ეს ლექსი შენ არ გამოამტევნე“?);

ნაცარი-დანაცრავს, ამონაცრავს („ღამ-



ნაცროს ელვამ შენი ტანისა, „გული დიდ სევდას ამოენაცრა“);
 კავშირი-გაიკავშირებს („ფრთავატყორცნილი არწივი ფრენაში გაიკავშირე“);
 სისხამი-გაასისხამებს („მე შენთვის ღამე გავასისხამე“);
 რითმა-გადერითმება („შენს მწუხარ აჩრდილს გადავერითმე“);
 მშუქარება-დამშუქარებს („და უკრანა, გმირული ლექსით რომ დაამშუქარე“);
 ბურუსი-დაებურუსება („შენს თვალებს უკვე სიკვდილი ცივტბილად დაებურუსა“);
 კალამი-გამოაკალმავს („მივყევარ, რაც გამოგიკალმავთ, დავეიმო ლექსის აფრები“);
 ღიმი-გაღიმდება („მოაწმინდის ცეცხლით გაღიმდა გარემო გადაბუგული“);
 ქარწვიმა—დაუქარწვიმებს („შუა გაპკვეთენ განწირვით, ვინც მის გზას დაუქარწვიმებს“);
 ჩუქურთმა-შეჩუქურთმება („შეეჩუქურთმა სული შენს სულსა“);
 კოცნა-გაეკოცნება („ახალ დღეს, ახალ ვარდს და გაზაფხულს ახალი ხმები გაეკოცნება“);
 ალერსი-გაუალერსებს („შეიფრთხილა ბულბულმა და გული გამიალერსა“);
 პწკარი-დაეპწკარება („სულ ჩემი გულის მინაწერია, რაც დაეპწკარა ქალალს ლექსებში“);
 ვარსკვლავი-ივარსკვლებს („რაც ივარსკვლავს, მათ გაგვახარეს“);
 მარგალიტი-ჰმარგალიტავს („ჰმარგალიტავდი თვითულ წერტილს);
 ნიაღვარი-ანიღვრებს („წავა, ის ტალღაც ვაშრება, გუშინ რომ განიაღვარა“);
 მტკაველი-გაიმტკავლავს („სისხლით გზა გაგიმტკავლია“);
 ემბაზი-დაიემბაზებს („მე მათ ცრემლთა ღვარს დაიემბაზებს“);
 ფოთოლი-გაფოთლავს („გამფოთლე შენი ძუძუს წყაროთი“);
 ბარძიმი-გაიბარძიმებს („საქართველოს მზე გაიბარძიმოთ“);

კიშკარი-დაიკიშკრება („თუ გარდასული დღე დაიკიშკრა“);
 „მენადიმება“, „შეანამქერა“, „დატრამალდა“, „ეიადონა“, „დამიბადავოს“, „დამზევდა“ და მისთანანი.
არსებითი სახელისაგან ზედსართავის წარმოება:
 ფუტკარი-მოფუტკრებული („გულია თუ მინდორი, დილას მოფუტკრებული!“);
 ცხედარი-დაცხედრებული („აღსდექ, მდინარეც დაცხედრებული!“);
 მერცხალი - გულდამერცხლებული („ლხენით გულდამერცხლებული“);
 ბუტკო-გამომბუტკარი („ვაშლის რტო გამომბუტკარი“);
 წაკვერცხალი-მომწაკვერცხლები („მამა-პაპური კერისა ყოველდღე მომწაკვერცხლები“);
 ტაშე-დამტაშებელი („დამტაშებელი ტაშეები სავლავში გამომპალიყო“);
 მტევანი-დამტევნებული („დამტევნებულ ძირტბილ ვაზის საწნახელში ჩადგეს ღვარი“);
 ჰანდარი-შემოჰანდრული („აი, ქალაქი შემოჰანდრული“);
 ბროლი-დასაბროლი („სიტყვა გულში დასაბროლი“);
 ღმერთი-გადაღმერთილი („დიდი მთაწმინდის სიწმინდევ, გადაღმერთილო, უღრუბლოვ!“);
 ღვარი-აღვარებული („თუ ვარ ზღვასავით აღვარებული“);
 წარღვნა-გადამწვარღვნელი („თვით წარღვნის წყალი გადამწვარღვნელი“);
 ყურძენი-დაყურძნებული („დაყურძნებული შენ ხარ ვენახი“);
 ნიჩაბი-გამონიჩბული („ჩემი გულიდან გამონიჩბული“);
 კვართი-გამოკვართული; მარჯანი-გადამარჯნული; შეინდი-გადაშეინდული; ნარგიზი-მონარგიზებული და სხვ.
ზედსართავის გაწმუნებანი:
 ელვარე-დაუელვარებს („დამიელვარე ფრთამარგალიტი, თავს დამნათოდე, თეთრო თოლია“);
 ვარგისი-შეივარგისებს („ვიცი ოცნებით სადღაც ვინმე შემივარგისებს“);

ტბილი-მიეტბილება („რაც ჩემს ხალხს უყვარს და უხარია, მივეტბილები, მივეფერები“);

თეთრი-ამოთეთრებს („ამოთეთრა კავკასიონმა“);

სავსე-ისავსევებს („რომ ისავსეთს ჩვენმა სიტყვამაც“);

წინავითარების მაჩვენებელი სიტყვის წარმოქმნა:

ნამქერი-ნანამქერალი; მისი-ნამისარი („გაფიცებული ვნების ძახილი, ნანამქერალი, ნამისარი“...);

ქერი-ნაქერალი („სავსე თოფი მომეცით და ცენი ნაქერალი“);

თავისი-ნათავისარი („მზემ შეიერთა ნათავისარი“ — რუსთველის შესახებ ამბობს. გ. კ.);

პეშანი-ნაპეშნარი („თბილისის ყველა ფანჯარასთან ნაპეშნარი“);

ციმიციმი-ნაციმიციმარი („ცრემლი თვალს ნაციმიციმარი“);

სინდისი-ნასინდისარი („რათა ყოველწლივ დაჰკვებებოდა გმირობა შენით ნასინდისარსა“)...

ნაკალმახარი, ნასატრფოლავი, ნატბორალი, ნამიწისძვრალი, ნათამაძარი და სხვ.

კომპოზიტები:

მზესხიურობა („მზესხიურობის იყო მთოველი“);

ლიმნაციისკრევი („ხოზბისფერი, ვარდისფერი ეფინება კროთობით ციავს, ლიმნაციისკრევს, უცისკროვნესს“. აქ გარდა რთული შედგენილობის სიტყვის — ლიმნაციისკრევისა — საინტერესოა არსებითი სახელიდან აღმატებითი ხარისხის წარმოება: ცისკარი-უცისკროვნესი. ამ ხერხს, რომელიც ქართული კლასიკური პოეზიისათვის უცხო არაა, გიორგი ლეონიძე მხატვრულ პროზაშიაც მიმართავს: „რა დემართა ჩიკოტელას? წოაწობა ქუდი პირზე მიეფარა და ტიროდა — ვი, ძმაზე ძმებულოო!“ გავიხსენოთ რუსთაველი — „დისგანმცა უფრო დესი“);

მზისთანდარი — („ამდგარი და მხარგაშლილი, მზისთანდარი საქართველო“);

სისხლ-ცვარი („სამშობლოსათვის დავთხიე სისხლ-ცვარი სიჭაბუკური“);

თვალსამოთხენი („ჰყვავიან ჩვენ წინ თვალსამოთხენი“);

ცხენჭენება („შორს ცხენჭენებით დაჰქროდნენ ყაბახის მობურთალები“); ფერწყალი („შენი იების ლურჯი ფერწყალი“);

ცივტბილი („ქართლის ცივტბილი წყარონი“);

წყალღვარი („ჩვენსავით არვის რევავდა ქარფიცხელი და წყალღვარი“);

გარექართველი („მოჭირნახულე, გარექართველი, დიდი მოზარე ქართლის კირისა“);

„ღვარნამი“, „ძვალძივი“, „ელღვარი“, „ვაზფურცელი“, „მტევან-დიდი“, „ლექსქართულობა“, „წელნაზი“, „მაქარტუა“, „მზეთვალა“, „ფეხბუმბულა“, „მირონმომდინარე“ და სხვ.

გიორგი ლეონიძე ხშირად მიმართავს ხალხური მეტყველების ლექსიკურ ფონდს, ეძიებს მასში ლიტერატურისათვის სრულიად ახალს ან იშვიათად ხმარებულ სიტყვებს და გაბედულად შემოაქვს ისინი ლექსში: „აბეჩხარი“ („ბერო და აბეჩხარო, თელავის ნაკერჩხალო...“), „ლიღარი“ („და წამოვიდა ლექსის ლიღარი“...), „ნატისუსალი“ („თემურის ხანძართ ნატისუსალი“...), „აოუსავალი“ („საით წახვედი, მოუსავალო...“), „ნუყარა“ („თუ შენს სხივში გადავადნე ჩემი სიტყვის ნუყარა...“), „კარჩხი“ („ყინვის კარჩხი თვალს გიკაწრავს...“) და სხვ.

მდიდარი ლექსიკური ფონდი, სახელთა გაზმნურებანი, ახალი კომპოზიტები, რომლებსაც თავისთავადი ენობრივი მნიშვნელობა აქვს, მხატვრული ზემოქმედების ძალას პოეტურ სამკაულებში იძენს. ამიტომ ლექსიკური სიახლე და მრავალფეროვნება ამ სამკაულთა ნოვატორულ ძიებასაც მოითხოვს. სპეციალური კვლევის საგანია გიორგი ლეონიძის პოეტიკა: ახალი, ორიგინალური მეტაფორები, ეპითეტები, შედარებანი, ჰიპერბოლები, რითმა, რიტმი, ინტონა-

ცია, — რაც მთლიანობაში ქმნის პოეტურ სტილს.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზია მეტაფორული მეტყველების განვითარების გზით წარიმართა. გიორგი ლეონიძე ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომლებმაც ამ მხრივ ქართული ლექსის მთელი რეფორმა მოახდინეს. მეტაფორა ლეონიძის ლექსის უპირველესი პოეტური სამკაულია. პოეტი არაიშვიათად მიმართავს კლასიკურ მეტაფორებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი ახალ ორიგინალურ სახეთა მიმკვლევეა, რითაც თავისებური სიახლე შეაქვს თანამედროვე პოეტურ მეტყველებაში, ლეონიძის მეტაფორა ღრმა შინაარსობლივი ტევადობით ხასიათდება. აი, ერთი შესანიშნავი ნიმუში — დასაწყისი სტრიქონი ლექსისა „მყვირალობა“:

„ჩამაპრდა კახეთს ჰაერი“.

ეს მეტაფორა თვალწინ გვიყენებს კახური შემოდგომის მიმზიდველ სურათს; კახეთის ბალ-ვენახებში გაჩაღებულ რთვლობას. სტრიქონს კახური ქურმარნებიდან ავარდნილი ამბოხი მაჭრის სურნელი ასდის.

ლეონიძისეული მეტაფორული გააზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ დედის მზითვეია და მამა-პაპის ფარ-ხმალი; ივრის სანაპიროსი ლექსების ჯიქნებად დაღაგებულან, იორი მირონს აჩქევებს, სანანდარი ღამეს აცახცახებს, ცას რაც ნამი ჩამოუყრია, წინაპართა ცრემლი ყოფილა, ლურჯი ყანები ბედლებში სთვლემენ, ალაზნის ველი ოქროს ბრწყინვალე ამოსახედია, ქართული სიტყვა — უკვდავების ჩამონადენი...

ასევე მდიდარია და ტევადი ლეონიძისეული ეპითეტები და შედარებები: დანაბინდარი შვენება, გადამარჯნული ბაღები, მოფუტკრებული მინდორი, დამტევებული ვაზი, გადამწარღნელი წყალი, დაყურძნებული ვენახი და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა გავსვას ხაზი პოეტურ დაეჭვებაზე აგებულ რთულ მეტაფორულ შედარებებს, რომელთა საწყისებიც, ვფიქრობთ, ვეა-ფშაველას

პოეზიაში უნდა ვეძიოთ. „ვარსკვლავთა“ ოთახებში ჩათვლემილ „მტრედებს“ მიმინომ დაუქროლა, დააფეთა და წამოშალა. ვხედავთ ქარში გაფრენილ მტრედების ფრთების ფარფატს — ეს თოვლის ფანტელებია. მეტაფორული სახე პოეტურ დაეჭვებაზეა აგებული: „ეს თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები?“ („სიმღერა პირველი თოვლისა“). ამავე ლექსში მოცემულია აღნიშნული სახის ვარიაციები:

— ეს ცრემლია, თუ გულმა დასძრა ლექსის მტრედები?

— ეს ლექსია, თუ მღერის განვილ დღეთა კრებული? გულია თუ მინდორი, დილას მოფუტკრებული?

მომდევნო სტრიქონში პოეტურ დაეჭვებას პოეტური უარყოფა ცვლის:

არა, ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა...

დაბოლოს — კვლავ უარყოფა, რითაც პოეტი ლექსის დასაწყისში სტრიქონებით შექმნილ რთულსა და ლამაზ მეტაფორულ სახეს უბრუნდება:

— არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!

პოეტურ უარყოფაზე აგებული მეტაფორული შედარებების ნიმუშია „ვეფხისტყაოსანზე“ თქმული სტრიქონები:

წივნი კი არა, — ვრჯოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წივნი კი არა, — ბალი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი.
წივნი კი არა, — დილა ხარ,
ქართული ხალხის ნათელი.

ამგვარ მოჩვენებითს დაეჭვებაზე ან უარყოფაზე აგებული მეტაფორული შედარებები დღევანდელ ქართულ პოეზიაში თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ სამახევეარი ათეული წლის წინათ, როცა „სიმღერა პირველი თოვლისა“ იწერებოდა, პოეტური მეტყველების ეს ხერხი უდაოდ ნოვატორული მოვლენა იყო. ეს იყო ახალ ვითარებაში შემოქმედებითი გაცოცხლება და გავრ-

მელება ვაჟა-ფშაველას პოეტური ტრადიციისა.

გიორგი ლეონიძის პოეტურ განცდათა თავისებურება, სიღრმე და პათოსი ნათლად ვლინდება აგრეთვე მისი ლექსის ინტონაციურ მრავალფეროვნებაში. პოეტური ინტონაციის მრავალი ფორმიდან ლეონიძის ლექსისათვის უმთავრესად დამახასიათებელია თხრობითი, სასიმღერო და კითხვა-ძახილის ინტონაციები. თხრობითს ინტონაციაზე აგებულ მრავალ ლექსთაგან დამახასიათებელ ნიმუშად გამოდგება ლექსი „მცხეთის მთებში“. ამაღლებული პოეტური თხრობა, რომელსაც მხოლოდ ერთ სტრიქონში ენაცვლება პოეტური შეძახილი, თავიდან ბოლომდე ვასდევს ამ ლექსს. ზემოთ მოტანილი მეტაფორული შედარებების ნიმუშები ლექსში „სიმღერა პირველი თოვლისა“ კითხვა-ძახილის ინტონაციებს ქმნის, ხოლო მთლიანად ლექსი აგებულია კითხვა-ძახილისა და თხრობითი ინტონაციების სწრაფმონაცვლეობაზე. კითხვა-ძახილის ინტონაციებით არის გამართული ლექსი „მზე მარჯანისფერად ისევ ბღღვრიალებს“. მასში ოცდაოთხი სტრიქონიდან ოცი სტრიქონი პოეტურ შეკითხვა-შეძახილებს წარმოადგენს. ეს გარემოება აღრმავებს და ამაღლებს ლექსის ემოციურ მხარეს. სხვა შემთხვევაში და სხვა პოეტთან, შესაძლოა, პირუტყვ მომხდარიყო: პოეტური შეკითხვა-შეძახილები ხელოვნურ რიტორიკაში გადაზრდილიყო და მათს სიჭარბეს შეესუსტებინა ლექსის მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება. ამით ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ კითხვა-ძახილის ინტონაციები ორგანულად ეგუება გიორგი ლეონიძის პოეტურ ბუნებას.

გ. ლეონიძის ბევრი ლექსი სიმღერის კილოზეა დაწერილი. ასეთ ლექსებში პოეტი სასიმღერო ინტონაციებით ქმნის მელოდიას, რომელიც ძლიერ ახლოა ხალხურთან, მაგრამ განსხვავდება მისგან ორიგინალური ბეჭეფით. ტიპურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „არ დაიდარდო, დედაო“.

გ. ლეონიძე არა იშვიათად მიმართავს აგრეთვე პოეტური მეტყველების ორატორულ-დეკლამაციურ ხერხს. ეს უმთავრესად ჩანს მოწოდებითი ხასიათის ლექსებში, რომლებშიც ავტორი ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც პოეტი-ტრიბუნი.

რამდენიმე სიტყვა გიორგი ლეონიძის რითმის შესახებ. რითმა ლეონიძის ლექსის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მისი ბუნება გამომდინარეობს ლეონიძის პროზიის საერთო ბუნებიდან. პოეტი შეგნებულად გაურბის მრავალგზის ხმარებულ, გაცვეთილ სარიტომო სიტყვებს და ახალსა და ძარღვიანს, ვაჟაკური ელერადობის სიტყვებს მიმართავს. ლეონიძის რითმა, ისე როგორც მთლიანად ლექსი, ზოგჯერ ხორკლიანია და ნაკლებ მუსიკალური, მაგრამ მასში მუდამ იგრძნობა სიახლე და დიდი შინაგანი პოეტური ძალა. რვაშარცვლიანი სტრიქონებით ხალხურ კილოზე დაწერილ ლექსებში პოეტი მეტწილად ცალფა რითმებს ხმარობს. ცალფა რითმებითაა დაწერილი ქართული სატრფიალო ლირიკის ისეთი მარგალიტი, როგორიცაა „მყვირალობა“. ათშარცვლიან ლექსშიც ლეონიძე ზოგჯერ ცალფა რითმით კმაყოფილდება. ერთი შეხედვით, ეს უტანურადაც გვეჩვენება: ცალფა რითმა თანამედროვე მაღალი პოეტური კულტურით შესრულებულ ათშარცვლიან ლექსში. მაგრამ, აბა, ყივჩაღის პაემანი გავისენოთ: მისი მდიდარი, კოლორიტული ლექსიკა, შინაგანი პათოსი, მღელვარე, ძარღვიანი პოეტური ფრაზა, რომელსაც თან ახლავს სინედლე და სინოყიერე მშობლიური მიწისა. ყოველი სიტყვა ბუნებრივად თავის ადგილას ზის და იქმნება ილუზია, რომ ჭვარედინი რითმა ლექსის სადავე-მიშვებულ ლალ მდინარეებს არამც თუ დამშვენებდა, არამედ პირიქით — შესუსტებდა, შეზღუდავდა, გრანტიტის კალაპოტში ჩააყენებდა. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექსი მთლიანად ჭვარედინი რითმებითაა გაწყობილი, მაგრამ ეს წყობა აქა-იქ ირღვევა



— ჯვარდინს ცალფა რითმი ცვლის. ლირიკულ შედეგში — „ნინა ჭავჭავაძეს“ — პირველი სტროფი ცალფა რითმიანია, სამი მომდევნო კი — ჯვარდინი, მსგავს მოვლენებთან გვაქვს საქმე ლექსებში: „მზე მარჯნისფერად ისევ ბღღვრიალებს“, „სიკაბუჯე და ლექსი ერთია“, „ანგელოზის ფრესკა“ და სხვა. ასეთი დარღვევები ლექსის რითმული წყობისა კი არ ასუსტებს ლეონიძის პოეტური სიტყვის ძალას, პირიქით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი სათქმელმა თითქოს ბუნებრივად მოითხოვა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ავტორის რწმენით, რითმას შეუძლია ზოგჯერ შებოროტოს პოეტური აზრი, შეანელოს ლექსის სილადე, შეზღუდოს პოეტური ფრაზა, მხარგამოიღობა. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, შეიძლება გავიხსენოთ სრულიად ურითმო, მაგრამ დიდი პოეტური აღმაფრენით დაწერილი ლექსები: „მცხეთის მთებში“, „მხარე ვაზებში გამოხვეული“, „გომბორიდან“ და სხვები. მაგრამ ეს მოსაზრება არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ლეონიძე გულგრილია რითმისადმი. პირიქით, იგი რითმის ნოვატორია, ახალი, ხალასი სარიტმო სიტყვების მიძიებელი და მიმკვლევი. განა მას არ ეკუთვნის ისეთი რითმები, ნაწარმოებთა სათაურების დაუსახელებლადაც რომ გვახსოვს, სად, რომელ ლექსში და რომელ ადგილას არის ნახმარი: „გასტოპა-ახალგაზრდობა“, „გადიყირმიზა ირმისა“, „დამჯახებია — კალმახებია“, „მეფეთა — შემომეფეთა“, „თავთუხებისა — დადუღებისას“, „თოლია — მითრთოლია“, „პური-ბური“, „ავეანდიოთა — მკავბადითა“, „არწივებს — დაუქარწვიმებს“, „მერცხლები — მომნაკვერცხლები“, „მეზატა-ვადამეზადა“ და სხვ. რად გვახსოვს ამ რითმების მისამართი? მართო მათი მუსიკალური ქღერადობისა და ბგერწერული სიახლის გამო ხომ არა? ამ საიდუმლოების გასაღები ლეონიძის „ლექსის მკავბადში“ უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ეს რითმები

ლექსებში ბუნებრივ ადგილას სხედან; განამტკიცებენ და ფრთებს ასხამენ პოეტურ აღმაფრენას, დამარწმუნებლობის ძალას ჰმატებენ ლექსის აზრობრივ მხარეს, ნათქვამს დასამახსოვრებელს ჰხდიან.

ლექსის პოეტური სამკაულები ჰგავს ჩუქურთმებს, რომლებიც სილამაზის განსაკუთრებულ ძალას შენობის ბუნებრივად განლაგებულ არქიტექტურულ ანსამბლში იძენენ. გიორგი ლეონიძის ლირიკულ შედეგებში ყურადღებას იპყრობს პოეტური ჩუქურთმების მაღალი გემოვნებით შერჩევა და მათი ბუნებრივი განლაგება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში იგრძნობა ლამაზი პოეტური სამკაულებითა და ფერწერული ორნამენტებით გატაცება. ზოგჯერ შესუსტებულია ლექსის კომპოზიციის გრძნობა.

ქეშმარიტი პოეზია ხალხის სულიერი საზრდოა, მისი აღმზრდელი და ჰკუის მასწავლებელი. პოეტური სიტყვის ყოველი დიდი ხელოვანი მხატვრულ ქმნილებებში მალალ ემოციებსა და ესთეტიკურ განცდებთან ერთად, ავლენს დიდ ინტელექტსაც. გვინდა ხაზი გავუსვათ გიორგი ლეონიძის პოეტური ხელოვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას — აფორიზმის ძალის მომცველ მხატვრულ თქმებს, ფრთიან ფრაზებს. ასეთი თქმები არაიშვითად გვხვდება ლეონიძის ლექსებსა და პოემებში. ასეთ გამოთქმებად მიგვაჩნია სამშობლოზე, მასთან ორგანულ, სისხლხორცეულ კავშირზე გმირულ წარსულზე ნათქვამი სტრიქონები:

მშობელ მიწაში მიღვას ფესვები,
როგორც წყალში ღვას წნორის ძირები.

(„კუმდერ სამშობლოს“).

„პატარა ნაპერწკალი ვარ
სამშობლოს დიდი ცეცხლისა;

(„ჩარგალში“).

„ჩემო სამშობლოვ, ჩემო მთაველო,
რა იქნებოდი ურუსთაველო?

(„ნეტავ რა ძარღვი გიტევდა“) და სხვა.

ილიას, ბარათაშვილის, აკაკის, ვეჯასა და რუსთაველის სურათებზე ლეონიძე წააწერს:

ილია — შუბლი საქართველოსი,
ბარათაშვილი — აზრთა მფლობელი,
აკაკი — გედი და ორთოსი,
ვეჯა — ხმაჩანჩქერდაუშრობელი
და დიდი შოთა — მათი მშობელი.

(„წარწერა ქართველ მწერალთა სურათებზე“).

და ასე მიმართავს სახელოვან წინაპრებს:

სულხან-საბას —

შენ სამკურნალო ბალახებით
შეგვირეფია სიტყვა ქართული;

ილიას —

შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით
და მთასავით წამოდექი;

აკაკის —

შენ მოგვიზომე სამშობლო
შენი ჩანგურის სიმებით;

საიათნოვას —

ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლბე ლექსის მკვებადითა.

„ვეფხისტყაოსანზე“ იტყვის —

შენ, დედაჩემის მზითვეო,
ფარ-ხმალო მამაპაპისა!

მოძალადეობაზე —

მაგრამ უთუოდ დაიღწევა
დაბადებულა ვინც კი ყვიჩადად.

სიყვარულზე —

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამყაბებია!

პოეზიაზე, სიჭაბუკეზე —

სიჭაბუკე და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურთმამში გამოყვანილი.

სომეხ-ქართველთა ურთიერთმეგობრობაზე —

როგორც ერთ ვაზზე გაშენებულ
ორი ვენახი ერთი ძირისა...

პოეტური სიტყვის მხატვრულ სამკაულთა დაუცხრომელმა ძიებამ, „ბელურას პატარა ფრთაში დაკვესებულ

ცეცხლის!“ დანახვის ნიჭმა გაიყვანა გიორგი ლეონიძე დიდი პოეზიის შარაგზაზე, სადაც მახვილ პოეტურ თვალს განუყრელად ახლავს თან მახვილი პოეტური სმენა. პოეტურ სარბიელზე გამოსვლის დღიდან გიორგი ლეონიძეს შემოქმედებითად აწვალებდა ახალი ჰანგის, ახალი მელოდიის მიგნების მძაფრი სურვილი. უამისოდ წარმოუდგენელიც იყო საკუთარი პოეტური ხმის შექმნა, დროის გამძლე დიდი სიმღერის თქმა. ოცნება კი იმათავითვე მაღალი და მიმზიდველი იყო:

მეც მსურდა მეტევა სიტყვა სარდლური,
მინდოდა მაღლა შემერტყა ხმალი.
სახლი ამეგო სართულ-სართული,
შიგ მშიერ-მწყურვალთ პური და წყალი!
ქართულ ვარსკვლავად სული დამეწვა,
მედიდებინა სამშობლოს ვარდი;
შვილიშვილთათვის მეც ვადამეცა
ჩემი ნათქვამი, ვით მცხეთის კვართი!
(„ჩემი ბაღი“ — კამარა პოემიდან).

ქართულ ხალხურ ლექსში, მდიდარ ხალხურ პოეზიაში, სადაც „ყველა ხევსური დანტეა“ გაზაფხულის ცის „პირველ ნამეხარებში“, წყალვარდნილთა ჩანჩქრევი“, ბაზალეთის ლერწმოვანთა ხმოვანებაში, მშობლიური ხალხის გმირულ წარსულსა და მისი დღევანდელი დღის მშფოთვარე რიტმში იჭერს პოეტი ახალი სიმღერის ჭანსად, სასიცოცხლო ბგერებს და სწამს თავისი მაღალი მოწოდებისა და შესაძლებლობისა.

მე მომღერალი დიდ ნახმევების,
ძველ ნახმლევების მწველი სიმღერის,
მომავალ დღეებს ვესახელები,
დღეის ვრუანტლის დენის მიმღები.
(„ახალი ლექსი, მოველი კვართი“).

„ოლესა“ და „პირველი თოვლის სიმღერის“, „მყვირალობისა“ და „კახეთის განთიადების“, „ყვიჩადის პეიმანისა“ და „ნინოწმინდის ღამის“ ავტორს უფლებდა ჰქონდა ეთქვა:

მივადგი კიბე, ვარსკვლავი ვკრიბე,
რომ არ ჰქონოდა ლექსს სიღარიბე...

ვამღერე წყალნი, მთანი მაღალნი,
ნაჭიხვარი და ნაკალმახარი

მიუხედავად თავისი მაღალი პოეტური მოწოდების ამ მტკიცე რწმენისა, ლეონიძის შემოქმედებითს ბუნებას მუდამ თან სდევს მიღწეულით დაუქმყოფილებლობის გრძნობა, რაც ზოგჯერ ერთგვარ სკეპსისშიაც გადადის. ადრეულ გაზაფხულზე ცაში პირველი მენის ხმა გაისმის, ზეცა „ლურჯ მუცელს იგლეჯს“, ჰქუხს და ამბობს „თავის სათქმელს“. ბუნების ეს გრანდიოზული მოვლენა ჩააფიქრებს, საკუთარ თავში დააეჭვებს შემოქმედებითს ვაეკაცობაში შესულ პოეტს, რომელსაც სურს საკუთარი ხმის სიძლიერე მენის ხმას გაუტოლოს:

მე სად დავჰქე, სადა ვმღეროდი,
სად ამოვიღე ლექსების ჭარი?
ვერც ფალანგობის, ვერც მომღერალის
ვერ დავუტოვე ხალხს იადგარი.

(„ცაში პირველი ნაშენარია“).

ეს სტრიქონები სამნახევარი ათეული წლის წინათ დაიწერა, როდესაც ლეონიძის პოეტური ხმა თავის ზენიტს უკვე იყო მიღწეული, როდესაც მუხა უკვე პარნასზე ფრთებგაშლილი დაჰქროდა, მაგრამ მარად ახლის ძიებით გატაცებული, კვლავ ახალ-ახალ, ჭერ უთქმელ პანგებს ეძიებდა, სიკაბუჯის გაზაფხულზე პოეტის ოცნებად დასახულ ლექსის იდეალს მიჰკიოდა. მის შემდეგ შემოქმედებითი წვის საკმაოდ დიდმა დრომ განვლო. პოეტის მიერ ბევრი მქუხარე სიმღერა ითქვა, ახალი ლექსები და პოემები დაიწერა. გიორგი ლეონიძის პოეზია მიიღო და შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. მაგრამ ხანდაზმულობის ეპოსაც, როდესაც „პალარის ყვავილი თმაში დაფაცურდა“, პოეტს არ სტოვებდა შემოქმედებითი დაუცხრომლობის გრძნობა, ახლის ძიების დაუსრულებელი სურვილი:

ნეტავი მეც დამამღერა
იმ ხმოვანებით.

ბაზალეთში რომ მღერიან
ლერწმევანები,
იმ სიმღერის წმინდა ხმათა
ვერცხოვანებით,
ვაი, ვერ ვთქვი სიკაბუჯით,
ვერც მხცოვანებით.
ბაზალეთში რომ მღეროდნენ
ლერწმევანები...

საქართველოს იალქნების
ქარო დამძარი,
გაღვიძებულ იმედების
ციცხლოვანებით!

(„ბაზალეთის ლერწმევანები“).

დასასრულ ყურადღებას შევაჩერებთ ერთ პატარა ლექსზე, რომლის სათაურიც ვუწოდებ ჩვენს წერილს — „ოქროს ფრინველი“. ამ ლექსში, სულ რვა სტრიქონისაგან რომ შედგება, განსნილია ლეონიძის პოეტური ბუნება — დიდი პოეზიის საიდუმლო გასაღების მარადიული ძიება, პოეტური იდეალი-საკენ შეუნელებელი ლტოლვა:

მე ოქროს ქნარის სიმების ეღერა
პაერში მესმის გაურკვეველი,
მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა!
ვერც გაუხდი მისი მიმაცვლაველი.

თითქოს ფრინველმა, ოქროს ფრთიანმა,
უეტრეს ყურთან გამიტყაშუნა,
ვერ დავიჭირე!
დახე ტიალმა
რა უფრო შორი-შორ მიამურა.

რაც უფრო ვუახლოვდებით ამ უცნაურ ფრინველს, იგი კვლავ და კვლავ მით უფრო შორს განილტვის ჩვენგან. პოეტური სიტყვის ვერცერთი დიდი ხელოვანი ვერ დაიჭერს მას. გიორგი ლეონიძეს ადრევე, ყრმობიდანვე სანუკვარ ოცნებად გადაქცევია ამ უცნაური ფრინველის დაჭერა. ავი თვითონვე ამბობს ყრმობის მოგონებათა წიგნში: „ვაშლის ნაფეჭვენს არ ვადავყრიდი. დედამ მასწავლა: ვაშლის ქერქი უთუოდ ცეცხლში უნდა ჩაყარო, ერთი ჩიტის მაგისი სურნელით ცხოვრობსო! ეს ის ჩიტია, დღემდის რომ არ მაძლევს მოსვენებას, მივდეგ და ვერ დამიჭერია.“



მხატვრული ფერისცვალება

ლიტერატურის უნივერსალობას, ღრმა და მასშტაბურ გამომსახველობით თავისებურებას სიტყვის ბუნება განაპირობებს. სიტყვა ადამიანურ აზრთა და გრძობათა ადექვატურად გამოხატვის ყველაზე ეფექტური, ცოცხალი და მოძრავი ფენომენია. მასთან შედარებით შეზღუდული და ცალმხრივია მუსიკისა და ფერწერის პირველადი გამომსახველობითი საშუალებანი: ბგერა, ფერი და ხაზი. სიტყვას ძალუძს მრავალმხრივ, სრულად და შთამბეჭდავად გადმოგვცეს საგნის თუ მოვლენის შინაარსი და ფორმა, მათი განვითარებისა და სახეცვლილების პროცესი.

ობიექტური სახითაც კი ყოველი სიტყვა გარკვეული შინაარსისა და ფორმის მთლიანობაა, რომელიც საგანზე ან მოვლენაზე მიგვითითებს, განმარტავს თუ გვანიშნებს. ს. მარშაკი ამბობს: «На всех словах события печать»

რა თქმა უნდა, ცალკე აღებულ სიტყვას არ ძალუძს საგანთა თუ მოვლენათა არსის ადექვატურობა, სრულად გამოხატვა, მაგრამ მათი დასახელებით, ერთმანეთისაგან გარჩევა-გამოყოფით, კონკრეტულ თვისებათა განზოგადებისაკენ სწრაფვითაც დიდ შემეცნებით როლს ასრულებს. გარჩევა და განსხვა-

ვება ხომ შემეცნების გარკვეული პროცესია. ვ. ბრიუსოვი ლამაზად განმარტავს: «Назвать значит — узнать и следовательно, познать».

მუსიკისა თუ ფერწერის პირველადი გამომსახველობითი საშუალებანი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. ფერი და ხაზი ღუმან და ვერაფერს ამბობენ. შეიძლება მათ ინსტინქტურად შეგვძრან, გააღიზიანონ ჩვენი გონება თუ გრძობა, მაგრამ გარკვეულად, ცხადად და კონკრეტულად ვერაფერს გვეტყვიან.

მხატვრულ ნაწარმოებში ყოველი სიტყვა (პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისასაც კი) ახალ უღერადობას, ახალ აზრობრივ-ემოციურ სახეს იძენს. მხატვრული სიტყვა ღრმად იჭრება ჩვენს სულიერ სამყაროში, ალგვიძრავს სახეობრივ ასოციაციებს, შთაგვაგონებს მხატვრულად ამაღლებულ აზრსა და გრძობას, ახალი ორიენტირებისაკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას და ესთეტიკურად გვატკობს.

ფერწერულ სახეს, პირველადი გამომსახველობითი საშუალებების (ფერი და ხაზი) შეზღუდულობის გამო, სიტყვიერ სახესთან შედარებით ნაკლები მრავალმხრიობის, მასშტაბურობის შე-



საძლებლობა აქვს; მუსიკალურ სახეს კი ნაკლები საგნობრიობა, სიცხადე და შინაარსობრივი შთამაგონებლობა ახასიათებს.

დავუშვათ, რომ მუსიკალური ნაწარმოები აგებულია იმავე შინაარსზე, იმავე იდეაზე და განწყობილებაზე, რაზეც ედგარ პოს „ელდორადო“. ლექსის შინაარსი, იდეა ხომ დამაჯერებლადაა გაცხადებული. ხალისიანი და მამაცი რაინდი სიმღერ-სიმღერით ეძებს „ელდორადოს“ — ოქროს საბადოს, (ელდორადო მარადისობის, უკვდავების, სიღიადისა და აღზევების სიმბოლოა). ვაჭლარავე და, დაბერდა და ელდორადოს კვლასაც ვერ მიაგნო. აღშფოთებული, გაოგნებული შეპლალადებს აჩრდილს: მითხარი სად არის ელდორადო?! და გაისმის აჩრდილის (ედგარ პოს) თავზარდამცემი პასუხი: ელდორადო ასე იოლად არ იპოვება, მისთვის დიდი გზა უნდა განელო, სამოთხე გაიარო და ჯოჯოხეთი გადალახო.

ამავე ქარგის მუსიკალური ნაწარმოები მოახდენს დიდ ემოციურ ზეგავლენას, შეძრავს ჩვენს გრძნობას, მაგრამ გონებას, ინტელექტს ასე უშუალოდ, კონკრეტულად არ შეეხებოდა და პირობითად ანიშნებს იდეას, შინაარსს.

მეცნიერებაც სიტყვის საშუალებით დამოგვეცემს ცნებებს, მაგრამ ცნებისა და მხატვრული სახის ენა აბსოლუტურად სხვადასხვა პოლუსებია. მეცნიერებას არ აინტერესებს სიტყვის ესთეტიკური მნიშვნელობა, ხატოვანება, ემოციური შთამაგონებლობა და მხატვრული რეაგირება.

განსაკუთრებით პოეზიაში, კერძოდ ლირიკაში (კომპაქტურობის, სუბიექტურობის, გრძნობის დაძაბულობის, ემოციის ინტენსიურობისა და სიღრმის გამო) იძენს სიტყვა დიდ ემოციურ ენერჯიას და ღრმა მხატვრული მიმოქცევის უნარს. მართალია, ეს პროცესი მეტაფორულ, საერთოდ ტროპულ კონტექსტში უფრო თვალსაჩინოდ ჩანს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, სიტყვა ჩვეულებრივ კონტექსტშიც

(პირდაპირი მნიშვნელობით ხმარების დროსაც) სახეობრივია. ასეთ შემთხვევაში მის მხატვრულობას მთლიანად ლექსის სახეობრიობა განაპირობებს.

სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ხმარება პოეზიაში და საერთოდ ლიტერატურაში ენობრივი ნატურალიზმის, არამხატვრულობის საშიშროებას არ ქმნის. ამ გზით შეიძლება პოეტმა განასახიეროს ღრმა მხატვრული იდეები, დიდი ემოციური მღელვარებით გამოგვეცეს მასალა. ესე იგი, შესაძლოა, ლექსი ნაკლებად ან სულ არ მოიცავდეს ცალკეულ მეტაფორებს, საერთოდ ტროპულ ეპიზოდებს და მიინც სახეობრივი იყოს. მასალის ესთეტიკური აღქმის, მხატვრული გაზრებისა და გადაწყვეტის პრინციპი, შინაგანი ემოციური, რიტმულ-მელოდიური გამა, სიმბოლურ-ასოციაციური რკალი მთლიანად ლექსს მხატვრულ-სახეობრივ იერს უქმნის და ყოველი სიტყვა (ლექსის მთლიანი სახის ორგანული ელემენტი), ლოგიკურად იძენს მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას.

ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მეტაფორული და არამეტაფორული (ტროპული და არატროპული) სიტყვების, ფრაზების და საერთოდ კონტექსტების ურთიერთშეხამება, მხატვრული ორგანიზაცია. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“... არა ერთი და ორი პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი, არასახეობრივი სიტყვა და ფრაზაა, რომლებიც სახეობრივ სიტყვებთან შეწყობა-შეხამებით, ჰარმონიული ურთიერთობით კარგავენ ჩვეულებრივ, პირველად იერს და ამალელებული პოეტური სიცოცხლით სხვაგვარდებიან, მრავალმხრივ მხატვრულ-ემოციურ ასოციაციას აღგვიძრავენ.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეოა რივის, ხეოა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

„ქარი“, „მიჰქრიან“, „ფოთლები“, „ქარი ჰქრის“, „ფოთლები მიჰქრიან“,

„სადა ხარ“ და სხვ. ერთი მხრივ ჩვეულებრივი, მიწიერი მნიშვნელობითაც ქლერენ და მეორე მხრივ ტროპულ ეპიზოდებთან („ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ“, „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის“...) ურთიერთობაში სახეობრივ ელფერსაც იძენენ და მხატვრული ასოციაციებით ახალი სამყაროსაკენ მიმართავენ ჩვენს გრძნობას და გონებას.

რატაციონის მანქანის გრგვინვა — ცხრაას ჩვიდმეტ წელს მე მომავლენებს: ხან ალტაცებით მეცხება ვული, ხან უცნაური ხმა დამალონებს, ხან ისმის მარში სამგლოვიარო, თვალწინ დროშების შრიალი კრთება, ხან გაქროლებს სიხარულის ხმა, რომ მოაგონოს ხალხს გამარჯვება.

(გალაპტიონ ტაბიძე)

პირველი სტრიქონის სიტყვები: „რატაციონი“, „მანქანა“, „გრგვინვა“, საერთოდ მთელი ფრაზა — „რატაციონის მანქანის გრგვინვა“ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მანქანის სახელწოდებას — უნდა იყოს საროტაციო ან როტაციული მანქანა), კონტექსტის გარეშე პირველადი, ემპირიული მნიშვნელობით შემოდის ჩვენს შეგრძნება-შემეცნებაში.

მიყვებთ ლექსის დინებას: გულის ავსება ამ ალტაცებით, უცნაური ხმით დალონება, სამგლოვიარო მარშის ხმამ, დროშების შრიალმა და სიხარულის ხმის გაქროლებამ, სიტყვებს: „რატაციონი“, „მანქანა“, „გრგვინვა“, მთლიანად ფრაზას — „რატაციონის მანქანის გრგვინვა“ წაართვა ემპირიული მიმართება და ახალი მნიშვნელობა მისცა, ახალი შინაარსობრივი, მხატვრულ-ემოციური სული ჩაუდგა და პოეტურ-სახეობრივი ენერგიით აამოძრავა.

რა მოხდა?

პოეტური ასოციაციების კომპლექსმა, სახეობრივმა კონტექსტმა თავის ხარისხსა და ხასიათში შეიერთა უბრალო გამოთქმა და მხატვრული შთამავგონებლობის უნარი მისცა. მეტაფორაში და საერთოდ ტროპულ კონტექსტში უფრო უშუალოდ, ცხადად და რელიეფურად

იგრძნობა სიტყვის მხატვრული მეტაფორა, მისი პირველადი სამყაროს სახეცვლილება.

ნისლი ფიქრია მთებისა
იმათ კაცობის გვირგვინი.

(მანა-ფშაველა)

დიამეტრალურად სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების თვისებათა ერთმანეთში მიმოქცევით, „ნისლი“, „ფიქრი“, „მთები“ თუ „გვირგვინი“ ერთიანად კარგავენ ბუნებრივ-ემპირიულ პულსს და სახეობრივ მიმართებას იძენენ. ვაჟა-ფშაველას ვიზიონერულმა გრძნობამ უბრალო სიტყვებს მეტაფორული აქტიურობის, მხატვრულ-ესთეტიკური სუნთქვის, ემოციური შთამავგონებლობის უნარი მისცა.

გავიხსენოთ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული კონტექსტები, რომლებშიც ეს სიტყვები გვეხილავს ან გავგიგონია; უფრო მეტიც: თუ გნებავთ პროზაულ კონტექსტებს გადავავლოთ თვალი. პირველ შემთხვევაში ისინი ემპირიული ბუნების, პირდაპირი მიმართებისა და მიწიერი სახემოსილების გამო, შედარებით პასიურად შეძრავენ ჩვენს ფანტაზიას, გრძნობას და გონებას, გაცილებით ნაკლებ ესთეტიკურ სიამოვნებას განგვადღევიანებენ.

ესე იგი, სიტყვა თავისთავად, პირველადი ფორმითა და შინაარსით, აბსოლუტურად მოკლებული არ არის მხატვრულ-ემოციური ზემოქმედების უნარს, მაგრამ პოეტური, სახეობრივ-მეტაფორული კონსტრუქცია მას მაგიურ მხატვრულ უნარს, მასშტაბური ასოციაციების აღძვრის, მწვავე ემოციური ზემოქმედების შესაძლებლობას ანიჭებს.

პროზაული კონტექსტი პოეტური ფერიცვალების დონემდე ვერ მალღდება. მასში სიტყვა ვერ პოუვებს ისეთ მხატვრულ-ემოციურ ენერგიას, ასოციაციური გაქანების უნარს, როგორსაც პოეტურ კონტექსტში. პროზაული ტექსტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო ლიბერალურად ებრძვის სიტყვის პირვე-

ლად სახემოსილებას, მისი პოეტური დაძლევა-გარდაქმნის ხარისხისაკენ მიიღწევის, რასაც ვერ აღწევს და პოეტური ხარისხისა და ემპირიული სახის შუა მერყეობს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვის პოეტური და საერთოდ მხატვრული სახეცვლილება მისი პირველადი ბუნების აბსოლუტურ უარყოფას არ ნიშნავს. სიტყვის მხატვრული მეტაფორაზა ობიექტურ-სუბიექტური ნიშნებისა და თვისებების ორგანულ შეგუებას, პარამონიულ სიცოცხლეს გულისხმობს. ეს პროცესი შეიძლება ისევე განვიხილოთ, როგორც ობიექტისა და სუბიექტის ერთმანეთთან მიმართება საერთოდ ხელოვნებაში. როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილი, უშუალო სახეობრიობა პოეზიაში მართო მეტაფორული, ტროპული აღქმით არ ხორციელდება. მეტაფორა და საერთოდ ტროპი სახეობრიობის ერთ-ერთი საშუალებაა და არა ერთადერთი.

მეტაფორული პლანი ხშირად ეწინააღმდეგება, უპირისპირდება განწყობილებას, ლექსის შინაგანი დინების ხასიათს, პოეტური აღქმის პრინციპს, მთლიან პოეტურ კონტექსტს. ასეთ შემთხვევაში იგი (მეტაფორა), როგორც იტყვიან, უადგილოა და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელოვნური მეტაფორიზაციის დროს სიტყვები «ნлестят, сверкают, но не жарко и не светло» (ლ. ტოლსტოი). მეტაფორულ თუ არამეტაფორულ პრინციპს უშუალო მხატვრული შთაგონება, გარე სამყაროსთან წრფელი პოეტური დამოკიდებულება განაპირობებს.

თუ ერთი მხრივ სახე და სიტყვა განუყოფელი მთლიანობაა („სიტყვა და სახე ერთმანეთს ეძებენ და ერთმანეთს პოულობენ“ — გოეთე), მეორე მხრივ, მათი ვაივივებაც არ შეიძლება. სიტყვა ყოველთვის კონკრეტულ-საგნობრივ ორიენტირზეა მიჯაჭვული, სახე კი რამდენადმე კარგავს ამ თვისებას. მხატვრული სახე გაცილებით იმაზე მეტს გვანიშნებს, რაც უშუალოდაა მასში მო-

ცემული. სიტყვა აფორმებს შემოქმედლის მხატვრულ ხილებსა და განცდებს. ამიტომ მხატვრული სახის სპეციფიკა და სიტყვიერი გაფორმების ხასიათი ერთმანეთის დიდენტური არ არის. როგორც ვ. ბრიუსოვი იტყოდა: «Поэт объясняет неизвестное через известное».

სიტყვა სახეს ემორჩილება და მისი გაცხადების, აზრისა და განცდის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს.

ცნობილმა მკვლევარმა ბ. ეიხენბაუმა წამოაყენა მხატვრულ ნაწარმოებში სიტყვისა და აზრის გათიშვის იმპრესიონისტული თეორია და მექანიკურად მიუსადავა იგი ლერმონტოვის პოეზიას. ბ. ეიხენბაუმი ამტკიცებს, რომ ლერმონტოვის შემოქმედებაში სიტყვა და აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა, პოეტი ამბობს ერთს და გულისხმობს მეორეს. მისი თეორიის მიხედვით ლერმონტოვის პოეტური სული, მხატვრული აზრები და განცდები სიტყვების მიღმა იმალებიან.

რა თქმა უნდა, სიტყვა ამომწურავად და პირდაპირ არ გამოხატავს პოეტურ ჩანაფიქრს, მხატვრულ სახეში (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე უშუალოდაა ნათქვამი, მაგრამ სიტყვისა და პოეტური „საიდუმლოების“ ასე დიამეტრალურად გათიშვა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულად ქლერს.

ეიხენბაუმმა ამ დებულებით ხარკი გაუღო ა. პოტებნიას მოსაზრებას, რომ აზრი «доязычен и внеязычен, мысль существует и до слова». რომ ენაში მიმდინარეობს «непрерывная борьба мысли со словом».

სიტყვის ექსპრესიულობა, ემოციური ფერადოვნება, მხატვრული ეფექტი დამოკიდებულია არა მართო იმაზე, თუ რას აღნიშნავს იგი, არამედ მის სტილისტურ მოტივირებასა და კონტექსტთან შერწყმის აუცილებლობაზე. ა. ფადაევმა ეს რთული პროცესი ასე დაახასიათა: „ჩვენს წინ ხომ ძველი და ახალი სიტყვების უზარმაზარი ოკეანეა, მაგრამ ამ ოკეანიდან სიტყვის ამორჩევისას

აუცილებელია ზომიერების გრძობა და გემოვნება. თავის ადგილზე ყოველი სიტყვა კარგია; აი, სწორედ ამ ადგილის პოვნაა საქმე“.

უადგილოდ ნახმარ სიტყვას დისონანსი შეაქვს სახის სტრუქტურაში, არღვევს კონტექსტის განწყობილების თანმიმდევრობასა და ერთიანობას. აზრის სიცხადესა და ემოციურ შთამბეჭობენლობას უშუალოდ სიტყვიერი გაფორმების მძალი ტექნიკა, სტილის სისხარტე და ლაკონიურობა განაპირობებს. ყოველი სიტყვა სუბიექტური მხატვრული მიმოქცევის დაუღვეველ შესაძლებლობას მოიცავს, მისი მხატვრული გამომსახველობითი ხარისხი პირდაპირ მიმართებაშია ინდივიდის სტილისტურ თავისებურებასთან, მის შემოქმედებით პოტენციასა და მხატვრულ ალღოსთან. ესე იგი, სიტყვა ლიტერატურულ ნაწარმოებში მხატვრული სტილის ინდივიდუალური სიცოცხლით ცოცხლობს. ამიტომაც, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარი ემოციურ-ასოციაციური სახით წარმოგვიდგება სხვადასხვა შემოქმედთან.

И тебе, царица роза
Брачный гимн поет пчела.
(Фет).
Я послал тебе черную розу
в бокале
Золотого, как небо, ай.
(Блок).

ფეტმა «როზა»-ს უშუალოდ ადამიანური სული ჩაუდგა, ბლოკმა სილამაზის, სიყვარულის სიმბოლოდ, დახვეწილი, ნატიფი გემოვნების განსახიერებად აქცია (რაც, რა თქმა უნდა, არ გამოორცხავს საგნის გადამიანურების პრინციპს).

ასე მიიღო ერთიდაიგივე სიტყვამ სხვადასხვაგვარი ემოციურ-ასოციაციური, სუბიექტურ-მხატვრული გააზრება და ორგანულად შეუერთდა კონტექსტის რიტმულ-ემოციურ დინებას.

მწუხარება როგორც გველი
ხშირად გულში გამოიარ...

(ბალატიონ ტაბიძე).

ეხლაც სიმშვიდე არ შეკარება
მე აქაც ბევრი ღამე ვათიე,
ო, ქუთაისო, ეს მწუხარება,
და ეს ტირილი შენ მაპატიე.

(ტარანტი ბრანაული).

„მწუხარება“ ორივე შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ასოციაციებს აღვიძრავს, სხვადასხვა მიმართულებით წარმართავს ჩვენს გრძობასა და გონებას.

ი. ტინიანოვმა სწორედ ამ სუბიექტური სახეცვლილების დაუღვეველი შესაძლებლობის გამო უწოდა მას (სიტყვას) ფიგურალურად „ქამელონი“.

კონტექსტში ოსტატურად ჩასმული სიტყვა თავისთავადაც ლამაზად ეღერს და მასთან ურთიერთობაშიც. გოეთემ ეკერმანს უთხრა: კარგად ნათქვამ სიტყვას კარგი აზრის ფასი აქვსო.

თუ პროზაში ყოველი სიტყვა გმირის ხასიათთან, მის შინაგან სამყაროსთან ორგანულ მიმართებაში უნდა აღიქმებოდეს, პოეზიაში, განსაკუთრებით ლირიკაში განცდის, განწყობილების, ემოციური მღელვარების ხასიათს უნდა ერწყმოდეს და გამოხატავდეს.

მხატვრული შემოქმედების პრაქტიკა ცხადად მოწმობს, რომ სიტყვასა და შემოქმედს შორის მუდამ დაძაბული კიბილია. შემოქმედი ცდილობს მაქსიმალური სუბიექტური მხატვრული ეფერადობა მისცეს პირველად, ობიექტურ საშუალებას, თავის მხატვრულ მიზანს, შემოქმედებით აღტყინებას დაუმორჩილოს იგი.

მაგალითისათვის ავიღოთ გალაკტიონ ტაბიძის „მერი“.

I ვარიანტი: ელავდა ტაძრის გუმბათი, კალთა.

II ვარიანტი: იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა.

„იწოდა“ გააძლიერა და დაძაბა განწყობილება. კონტექსტის ემოციურმა ლოგიკამ, განწყობილების ხასიათმა „ელავდასთან“ შედარებით გაცილებით უფრო მოიხდინა და შეიფერა ეს სიტყვა.

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსის — „ფიჭვი მტკვრის პირას“ —

პირველ სტრიქონს ერთ-ერთ ვარიანტში ასეთი სახე ჰქონდა:

„ლურჯად მოღლეავს და დუდუნებს მტკვარი ანკარა“. საბოლოო ვარიანტი კი ასეთია: „ნელად მოღლეავს მოდუნუნე მტკვარი ანკარა“. პირველი მათგანი ვაცილებით ნაკლები მხატვრული ხარისხისაა; პოეტური აზრიც შედარებით არაზუსტია. ალიტერაციულმა („მოდუნუნე“, „მოღლეავს“), აზრობრივ-განწყობილებითი სიზუსტისაგან (ნელად მოღლეავს) გამიზნულმა სახეცვლილებამ სიტყვა ორგანულად ჩასვა მხატვრულ უჯრედში, სტრიქონი პოეტურად მოქნილი, სხარტი და აქტიური გახდა. აზრი გამოიკვეთა, სურათი დაიხატა და პოეტურმა განწყობილებამ შთამაგონებლობისა და ზემოქმედების მეტი უნარი შეიძინა.

განწყობილების შესაბამისად სიტყვის შერჩევის გარდაუვალ აუცილებლობაზე მეტყველებს მაიაკოვსკის ანალიზი თავისივე ლექსისა — „სერგეი ესენინს“. პოეტ არჩევს ერთ-ერთი სტრიქონის სამ ვარიანტს (I. «Вы ушли Сережа. в мир в иной», II. «Вы ушли бесповоротно в мир в иной», III. «Вы ушли, Есенин в мир в иной»). და ასევე, რომ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს ზუსტად ავტორის დამოკიდებულებას (პოეტური განწყობილება) ესენინთან. მაიაკოვსკის აზრით: პირველ სტრიქონს აყალბებს სიტყვა «Сережа». «Я никогда так амикошонски не обращался к Есенину, и это слово недопустимо и сейчас». მეორე სტრიქონში, როგორც მაიაკოვსკი ამბობს, ზედმეტია სიტყვა «бесповоротно», არ იგრძნობა მისი აზრობრივ-ემოციური აუცილებლობა. «Вставлено только для размера... разве кто-нибудь умирал поворотом? Разве есть смерть со срочным возвратом?» მესამე სტრიქონი პოეტს არ მოსწონს ზედმეტი სერიოზულობის, აკადემიურობის გამო «Эта серьезность делает стих просто погребальным, а не тенденциозным — затемняет це-

ловую установку». ასე ოსტატურად არჩევს პოეტი ამ სტრიქონების მხატვრულ უზუსტობას, მათ მიერ განწყობილების გამართლების მიზეზებს და წერს: «Поэтому я ввожу слова «как говорится». «Вы ушли, как говорится, в мир иной». Строка сделана». პოეტმა განცდას ლოგიკური, თანმიმდევრული, ზუსტი სახე აღუდგინა და განწყობილება ობიექტთან შესაბამისი გახადა.

სიტყვიერი მასალის ადექვატურობა, კონტექსტის მხატვრული ორგანიზაცია, განცდის უშუალობასა და პოეტური აღქმის ბუნებრიობაზეა დამოკიდებული. კატონი ამიტომ ამბობდა: შეისისლხორცე საქმე და თავისით მოვლენ სიტყვები.

სიტყვების ესთეტიკურ-ემოციური მოტივირება უპირველესად ლირიკაში (უშუალოდ გრძნობის აქტიური მოქმედების გამო), უკავშირდება ღრმა, ავონიურ შემოქმედებით მღელვარებას. აქ იმდენად ძლიერი და ენერგიულია ემოციური ტალღა, რომ შემოქმედი მთელი არსებით ნებდება მას. ამიტომაც იძენს ლირიკაში სიტყვა უმაღლეს ემოციურ ძაბვას.

პროზაიკოსს, ვონების აქტიური მოქმედების წყალობით, საშუალება აქვს შემოქმედებით პროცესშივე სკრუპულოზურად დააკვირდეს სიტყვის ადგილს, იფიქროს სიტყვიერი გაფორმების უკეთეს ვარიანტზე.

ლირიკული კონტექსტის ბგერითი (რითმა, ალიტერაცია, ასონანსი, კოსონანსი...), რიტმული, ინტონაციურ-მელოდიური და მძაფრი ემოციური ორგანიზაცია ლირიკულ აზრსა და გრძნობას მღელვარე პულსით წარმოგვიდგენს.

სიმართლეს უსწორებენ თვალს პუშკინის მიერ, თითქოსდა, ნახევრად ხუმრობით ნათქვამი სიტყვები:

О чем, прозаик. ты хлопчешь?
Давай мне мысль, какую хочешь—
Ее с канца я завастрю,
Легучей рифмой оперю.

ის უნც გიგლეკოდა, საქართველო!

(იანკა კუპალას დაბადებიდან 85 წლისთავის ბაშო)

საქართველო. მზისა და ზღაპრული მთების, პოეტებისა და საოცარი ლეგენდების მხარე. შენ ერთ-ერთი ნათელი ფურცელი ხარ ბელორუსული მიწის მომღერლის, სახალხო პოეტის იანკა კუპალას შემოქმედებაში. ახლაც მთის გამჭირვალე, ცოცხალი ნაკადულებივით წკრიალებენ იანკა კუპალას ლექსთა სტრიქონები, რომლებიც შენ მოგიძღვნა, საქართველო!

იანკა კუპალას უყვარდა საქართველო, არაერთხელ ყოფილა თბილისში, სოხუმში, წყალტუბოში, ქუთაისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში, არაერთხელ დამტკბარა აყვავებული ქვეყნის ბუნებით. იგი ამბობდა: „მზიური საქართველო თითქოს ჩემი მეორე სამშობლოა. მე ისევე მიყვარს მისი დიდებული და ალერსიანი მიწა, როგორც ჩემი სამშობლო“.

მაგრამ ყველაზე მეტად პოეტს მაინც იმ ქვეყნის ხალხი, ხელოვნება და ლიტერატურა უყვარდა. იგი აღტაცებული იყო შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილებით, სიყვარულით თარგმნიდა ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის მგზნებარე ლექსებს და აცნობდა მათ შემოქმედებას ბელორუს ხალხს. მათ ლექსებს ისეთივე პა-

ტივისცემით, ისეთივე გულითადობით ეპყრობოდა, როგორც პუშკინისა და ლერმონტოვის, შევჩენკოსა და მიცკევიჩის, რაინისისა და მიაიკოვსკის პოეზიას.

იანკა კუპალას ყოველი მოგზაურობა საქართველოში კეთილ კვალს ტოვებდა მწერლის შემოქმედებაში. ამაზე მეტყველებს მისი მრავალი მშვენიერი ლექსის მინაწერი: „საქართველო, წყალტუბო.“ ესენია „საქართველოს“, „შოთა რუსთაველი“, „ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ“. ასეთივე მინაწერი აქვს ლექსს „გენაცვალე“. იგი პოეტს 1938 წლის იანვარში, წყალტუბოში ყოფნისას დაუწერია. მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ „გენაცვალე“ დღესაც ცოცხლობს. ეს ლექსი ხალხმა აიტაცა სიმღერად და დღეს სად არ გაიგონებთ, ესტრადაზე თუ სოფლად.

ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეუძლია იანკა კუპალაზე მის მკურნალ ექიმს ვლადიმერ კიკნაძეს. ვ. კიკნაძეს უყვარდა ლიტერატურა და მეგობრობდა ნოვიკოვ-პრიბოის, ვილის ლაცის, იაკუბ კოლასს, გიორგი ლეონიძეს.

არც ისე დიდი ხნის წინათ მე შეგზავდი ვლადიმერ კიკნაძეს და მან მოიგო-

ნა იანკა კუპალასთან გატარებული დღეები.

„თითქოს გუშინ იყო, — იხსენებს ხანდაზმული ექიმი, — თბილისიდან დამირეკეს წყალტუბოში სამკურნალოდ ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა ჩამოდისო. მთხოვეს, შეხვდით პოეტს და შეძლებისდაგვარად შეუქმენით სათანადო პირობები არა მარტო დასვენებისა და მკურნალობისათვის, არამედ მუშაობისთვისაცო. იანკა კუპალას ლექსებს ცენტრალური პრესის მშვეობით ვიცნობდი და მოუთმენლად ველოდი მასთან შეხვედრას.

იგი მოვათავსეთ პირველ სანატორიუმში, მეთოთხმეტე ოთახში (ახლა პირველი პანსიონატი, ოცდამეცამეტე ოთახი). რაც შეიძლებოდა კონტად მოვრთეთ ოთახი, მაგრამ როგორ გავეცოდით, როცა იანკა კუპალამ გამოგვიცხადა: არაფითარი ზედმეტი ყურადღება არაა საჭირო, მეც ისე მომექეცით, როგორც სხვა ავადმყოფებსო. იგი მეტად უბრალო ადამიანი გამოდგა, ყველას ერთნაირად ექცეოდა — ექიმებს, ექთანს, სანიტრებს. თავიდანვე მისდამი ყველა კეთილად განეწყო.

ამ დროს წყალტუბოში იხსენებდა ცნობილი რუსი მწერალი ნოვიკოვ-პრიბოი. ის და იანკა კუპალა კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და მთელ თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ, ხშირად სეირნობდნენ, ტყეებოდნენ ბუნების სილამაზით.

მაგრამ მარტო წყალტუბოს სანახები როდი ხიბლავდა იანკა კუპალას. ერთხელ, შემოვლის დროს, მის ოთახში დავყოვნიდი, გამოველაპარაკე. მან მთხოვა, როგორმე მოგვეხერხებინა მახლობელ სოფლებში გასვლა, სურდა გაცნობოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის ადათვისებს.

მალე ჩვენ სოფელ გვიშტიბში წავედით. იანკა კუპალა განსაკუთრებულად მხიარულობდა, — ესაუბრებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, იმასსოვრებდა კეთილხმოვან ქართულ სიტყვებს და გვთხოვდა, მითარგმნეთო. მას

აინტერესებდა კოლმეურნეთა ცხოვრება. მათი შრომა ჩაის პლანტაციებსა და ვენახებში.

სოფელში რამდენიმე ოჯახს ვეწვიეთ. პოეტი განსაკუთრებით მოხიბლა ქართული ორნამენტით შემკულმა საოჯახო ნივთებმა: ხისა და ძვლის ჩუქურთმამ, ტანსაცმელმა, სვანი ოსტატების ინკრუსტაციამ.

სოფლებში კუპალა ხშირად ჩერდებოდა, უსმენდა ხალხურ სიმღერებს; შემდეგ გვთხოვდა ავეხსნა, რაზე მღერიაინო.

მეორედ იანკა კუპალა, ქართველი მწერალი ალ. შანიძე და მე სოფელ ჩუენეშა და ხომულს ვეწვიეთ. პოეტი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო — ნახა სახალხო დღესასწაული, მოისმინა მრავალი ქართული სიმღერა და ზურნის გულშიჩააწვდომი მელოდია“.

კიდევ ერთი ექსკურსია დაამასსოვრდა ვ. კიკნაძეს. წყალტუბოდან 80 კილომეტრზე მდებარეობს ქართული ხეროთმოძღვრების უძველესი ძეგლი — გელათის მონასტერი. გადმოცემის თანახმად, მონასტერში სასულიერო აკადემია იყო, სადაც სწავლობდა ქართველი ხალხის გენია შოთა რუსთაველი. იანკა კუპალას სწორედ ეს იზიდავდა ამ მონასტრისკენ, სურდა ენახა ადგილი, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ფენი დაუდგამს. ვ. კიკნაძე იგონებს:

„მონასტერში ურმით წავედით. ნელა მივდიოდით. მდინარე რიონის პირას შევისვენეთ. პოეტმა ნახა რიონჰესი, რომელსაც სიცოცხლის სინათლე მიჰქონდა მაღალმთიან სოფლებში. დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებდა იანკა კუპალა VI საუკუნის საოცარ ქმნილებას — გელათის მონასტერს, მის მშვენიერ ფრესკებს. მხოლოდ ნიჰიერ ხალხს შეეძლო იმ დროს შეექმნა ასეთი ხელთქმნილი საოცრება, — თქვა მან. გაციანით მონასტრის მცველი ნიკოლოზ ჩანგოვაძე. მან მოგვითხრო მრავალი ლეგენდა გელათის შესახებ. მოხუცის ნაამბობს მე ვთარგმნიდი, სტუმარი ხარბად მისმენდა.

შემდეგ ყოფილი აკადემიის შენობას ვეწვიეთ. მოხუცი ჩანგოვაძე ისე გვარწმუნებდა, აქ შოთა რუსთველი სწავლობდაო, რომ აუცილებლად უნდა დაგვეჩერებინათ. იქნებ მისმა მონათბრობმა აათრთოლა პოეტის გული და მალე წავეიკითხეთ მისი „მზიურ შოთა რუსთაველს“.

ვლადიმერ კიკნაძესთან ერთად მეც მომხიბა გელათის ნახვა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ზეიმზე. მეც შევხვდი ახლა უკვე 96 წლის ნიკოლოზ ჩანგოვაძეს. როცა ვაივო, რომ მე იანკა კუპალას ნათესავი ვარ, მითხრა, „გავიგე ცოცხალი აღარ ყოფილა იანკა კუპალა. კარგი ადამიანი იყო, კარგად დაწერა ჩვენს შოთაზე. თავყვანი ეცით ჩემს მაგივრად მის საფლავს, მე მუდამ მახსოვს იგი.“

სანატორიუმის თანამშრომლებს შორის ბევრი იყო პოეზიის მოყვარული: ვლადიმერ კიკნაძე, ექთანი თამარ ტაბიძე, ექიმები თინა ჯავახიშვილი, ელიკო მეტეხელი და სხვები. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ნოვიკოვ-პრიბოის, იაკობ კოლასსა და ალ. შანიძესთან ერთად იანკა კუპალას ოთახში და საუბრობდნენ რუსულ, ბელორუსულ, ქართულ, უკრაინულ ლიტერატურაზე.

მოახლოვდა იანკა კუპალას წასვლის დრო. ერთ საღამოს მან თავისთან მიიწვია მეგობრები. გამოჩანსალეული პოეტი აღტაცებას გამოთქვამდა საქართველოსა და მისი შეილებიან მიმართ, მადლობას უხდოდა მათ ყურადღებისა და გულითადობისათვის. შემდეგ მაგიდიდან ფურცელი აიღო და გვითხრა, ეს თქვენ გქონდეთ სახსოვრად.

ვ. კიკნაძე იგონებს:

„პატარა ოთახში ამღერდნენ სტრიქონები, თითქოს ამღერდნენ გულის სიმები:

შორით მოსჩანან კლდეები, მთები,
თოვლით დაფარულს ვხედავ მწვერვალებს,
ჩემო ყვავილო, შენთვის ვენთები
შენ ჩემი მზე ხარ, შენ გენაცავლე.

ასე ამღერდა პირველად მეგობართა წრეში იანკა კუპალას ერთ-ერთი უბრწყინველესი ლექსი, ქართულ მიწაზე დაწერილი. უფრო მოგვიანებით იგი პოეტის ყველა კრებულში შევიდა, დაიბეჭდა ქართულადაც. ლექსის ორიგინალი პოეტმა იქ მყოფთ აჩუქა, მათ კი იგი თბილისის სახელმწიფო არქივს ჩააბარეს, სადაც იგი დღესაც ინახება.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ თბილისშიც და წყალტუბოშიც, ქუთაისშიც და გელათშიც, ყველგან, მთელს საქართველოში, უყვართ იანკა კუპალას შემოქმედება, აფასებენ მის ნიჭიერებას, მის სიყვარულს საქართველოსადმი. მის მეგობრობას. რამდენიმე წლის წინათ თბილისში გამოვიდა იანკა კუპალას რჩეული ლექსთა კრებული; წყალტუბოს ვაზეთმა „დროშამ“ სათაურით „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომდერალი“ — მთელი გვერდი უძღვნა მის შემოქმედებას. რელიკვიასავით ვინახავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს, რომლითაც დააჯილდოვეს პოეტი ქართველ პოეტთა ნაწარმოებების ბელორუსულ ენაზე ამტყველებების გამო.

ასე, წლიდან წლამდე კიდევ უფრო უკეთ ვეცნობით ხალხთა ძმობის მომდერლის, საბჭოთა ბელორუსიის დიდი პოეტის იანკა კუპალას ცხოვრებასა და შემოქმედებას.





გუკამ გუკარნოთელი

მიხეილ ჯავახიშვილი

(ლიბერატორული კორბრამტი)

4.

მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურისათვის, ენარების განვითარების თვალსაზრისით, დამახასიათებელია მხატვრული პროზის, განსაკუთრებით კი რომანის საოცარი აღზევება. თუმცა ნატურალისტური, განსაკუთრებით, დეკადენტური მწერლობა ბევრს ეცადა რეალისტური რომანის კლასიკური ტრადიციები დამეცირებინა, უფრო მეტიც, საერთოდ უარეყო ამ ენარის მნიშვნელობა თანამედროვე ლიტერატურაში, ეს მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. რომანი ტევადი და დიდი შესაძლებლობის მქონე ყალიბია სოციალური, მორალური, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული წამოჭრისა და გადაწყვეტისათვის. ამდენად, მისდამი მწერლობისა და საზოგადოების ინტერესი არამცთუ შენედა გასულ საუკუნესთან შედარებით, არამედ საოცრად გაიზარდა.

ქართულ მწერლობას, რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან შედარებით, არ ვაჩნია ამ ენარის დიდი ტრადიციები (ძველ მწერლობაზე არას ვლაპარაკობთ). თავისთავად, რა თქმა უნდა, საინტერესოა ქართული რომანისტიკის ის კონკრეტული ნიმუშები, რომლებიც გვიჩვენებენ რეალურად, ევანტე ნინოშვილმა, ანასტასია ერისთავ-ზოზუარამ თუ სხვებმა შექმნეს. მაგრამ თუ მათ ნაწარმოებებს მხოლოდ ეროვნული ჩარჩოებით არ შემოვლედდეთ და უფრო ფართო მნიშვნელობით შევხედოთ, ამ რომანების არც პრობლემები და მასშტაბები, მით უმეტეს, არც მხატვრული ღირსებები ისე თვალსაჩინო აღარ იქნება. მეცხრამეტე საუკუნის ქართული

პოეზია, უპირატესად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედება, საკვებით დამსახურებულად დგას იმ ეპოქის მსოფლიო პოეზიის დონეზე. ქართული მოთხრობაც, პირველ რიგში, ილიას, ვაჟას, დავით კლდიაშვილის, შემდეგ კი შიო არაგვისპირელის, კოლა ლომთათიძის და ნიკო ლორთქიფანიძის, საკვებით შეეფერება ცივილიზებულ, მსოფლიო კულტურის დონეზე მდგომ ერს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გასული საუკუნის და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ რომანისტიკაზე. ამ მასშტაბების მიხედვით ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები, თუმცა ზოგნი მას მოთხრობებად მიიჩნევენ და არა რომანებად. მიუხედავად ამისა, ქართული რეალისტური რომანის ეროვნული ტრადიციები თუ სათავეები ისე და ისე ყაზბეგის პროზაში უნდა ეეჭოთ. გარდა ამისა, უთუოდ მნიშვნელოვანია ვასილ ბარნოვის შემოქმედების როლი ქართული ისტორიული რომანის შექმნასა და განვითარებაში.

ასეთია ვითარება მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რუსეთის მეშვეობით თუ უშუალოდ, ეხიარა იმ დროს ევროპულ კულტურას და შეეცადა აეთვისებინა ახალი, მეტწილად დეკადენტური განწყობილებები. ევროპული დეკადენტური მწერლობა ცდილობდა უარეყო ლიტერატურის კლასიკური მეთოდებიცა და ენარებიც. პირველ რიგში რეალისტური რომანი, სადაც ყველაზე უკეთ ჩანდა ამ ახალი მწერლობისათვის უცხო, სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ღრმა ინტერესი. ასევე მოიჭინენ ქართული დეკადენტური მწერლობის მიმდევრებიც, მათ შორის სიმბო-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ესიკარი“ № 6.

ლიტერატურა. მაგრამ, თუ ევროპაში ძნელი იყო რომანის ტრადიციების შერყევა და მისი შემდგომი განვითარების შეფერხება, ქართული სიმბოლანტების მიერ რომანის უარყოფას საფუძვლიანი ზიანის მოტანა შეეძლო, რადგან ეს ეპოქის ჩვენში თავისთავად არც იყო ჯერ მომძლავრებული. ამდენად ნათელია მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც რომანისტი, დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე. მან უკვე ოციანი წლების დასაწყისში დაწერა და გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე რომანი (მათ შორის „კვაკვი კვაპანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“) და კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლეო ქიჩიელთან და დემნე შვენგელიასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მეოცე საუკუნის, და საერთოდ, ქართულ რომანისტიკას. ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პირველივე რომანები, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, მთლიანად რეალიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული, იმ დროს, როდესაც სხვა ქართველმა რომანისტებმა მეტ-ნაკლებად მოუხადეს ბარკი ფორმალისტურ ძიებებს და ერთგვარ დაქადენტურ განწყობილებებს.

ევროპაში მეცხრამეტე საუკუნეში, უფრო კი მეოცეში, რომანმა ერთგვარი დიდგერენიცირება განიცადა. იგი შედარებით ეფრო ეპიკურად დაიკო. გაჩნდა ისტორიული, ფსიქოლოგიური, სოციალური, სათავგადასავლო ფილოსოფიური თუ სხვა რომანები. ქართულ რომანს, რომელსაც ევროპულივით არ გაუვლია საუკუნოვანი გზა, არ შეეძლო ანალოგიური ისტორიული პროცესის მისულიყო ამ დიდგერენიცირებამდე. მით უფრო საინტერესოა ის ვარაუგება, რომ ჩვენში, დიდი ტრადიციებისა და ისტორიული გამოცდილების ვარაუგს, ერთბაშად შეიქმნა ამ სხვადასხვაგვარი რომანების ნიმუშები და ეს იმათავითვე შეძლეს კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ ჯავახიშვილმა და მათი თაობისა თუ დროის ქართველმა მწერლებმა.

ახალგაზრდა რომანისტებისათვის ამ დიდი შემოქმედებითი ტვირთის ზიდვა დამოუკიდებლად უთუოდ შეუძლებელი იქნებოდა. მათ სჭირდებოდათ ტრადიცია, გამოცდილება, საფუძველი. მაგრამ მწერლობისათვის მხოლოდ ეროვნულ ტრადიცია (თუმცა ეს ძირითადია) არ არის მნიშვნელოვანი. თუ რომელიმე ეპოქის, ან მთლიანად მეთოდის, ეროვნულ ლიტერატურაში არა აქვს ტრადიცია, საესებით სავარაუდოა (და არც არაფერია ამაში დასაძახი), მწერალმა სხვა ქვეყნების ლიტერატურის გამოცდილება გამოიყენოს ახალი გზის გასაკაფავად მშობლიურ ლიტერატურაში. მიხეილ ჯავახიშვილის თუ კონსტანტინე გამსახურდიას რომანისტებმა სხვა ჩამოყალიბებამი უთუოდ დიდი როლი შეასრულა ევროპულმა კულტურამ და ლიტერატურამ, რომელთაც ეს მწერლები ახალგაზრდობაშივე საფუძვლიანად იცნობდნენ.

რომანის მრავალსახეობის ერთ-ერთი პირვე-

ლი გამომხატველი და დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში მიხეილ ჯავახიშვილი გახდა. მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ავანტიურისტული („კვაკვი კვაპანტირაძე“), სოციალური („ჯაყოს ხიზნები“), სათავგადასავლო („გივი შადური“), ისტორიული („არსენა მარაბდელი“), ისტორიულ-რეველუციური („ქალის ტვირთი“), ფილოსოფიური („თეთრი საყელო“) რომანების მაღალმახატველი ნიმუშები.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანების სახეობებზე დაყოფას ერთგვარი პირობითობა უთუოდ სდევს თან. როდესაც „კვაკვი კვაპანტირაძე“ ავანტიურისტულ რომანს ვუწოდებთ, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის მას არა აქვს ისტორიული რომანისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ან „თეთრი საყელო“ ფილოსოფიურ რომანად იმიტომ კი არ მივიჩნევთ, რომ აქ მწერლის მსოფლმხედველობის მხატვრულად გამოხატულ განყენებულ მსჯელობასა თუ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. მთავარი ისაა, თუ რა არის განმსაზღვრელი, ძირითადი რომანში, არსებითად როგორ აქვს მხატვრულად გადაწყვეტილი ამოცანა მწერალს, სწორედ ამის მიხედვით ხდება მწერლის კონკრეტული ნაწარმოებების „დახარისხება“ ეპოქებზე, ან სახეობებზე თვით ეპოქის ფარგლებში. მიხეილ ჯავახიშვილმა რომანებში ბევრ საინტერესო პრობლემას აფიქრებს მკითხველს, მაგრამ ყოველ მათგანს გააჩნია თავისი ძირითადი, განმსაზღვრელი პრობლემა და ამ პრობლემის გამოხატვის მხატვრული ფორმები და საშუალებები.

მიუხედავად ამ თემატურ-პრობლემური თუ სახეობრივი მრავალფეროვნებისა, მიხეილ ჯავახიშვილის რომანებს ერთი საერთო მიზანდასახულობა და მწერლის ერთი საერთო ინტერესი გასდევს. მწერალს განსაკუთრებით იზიდავს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნების რთული ეპოქები. ამასთანავე, მისი ყურადღება უფრო მეტად მიმართულია საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც რევოლუციამ ფხვქვეშ დასაყრდენი ნიადაგი გამოაოცალა.

„კვაკვი კვაპანტირაძე“ მიხეილ ჯავახიშვილის პირველი რომანია. მწერალს თავიდან მოთხრობების ციკლს დაწერა ჰქონდა განსრახული (ასეთი სახით გამოაქვეყნა 1924 წელს ლიტერატურულ პერიოდიკაში), მაგრამ შემდეგ ელექტული სათავგადასავლო-ავანტიურისტული ეპიზოდები ერთ სიუჟეტურ ღერძზე ასხა და მთლიანი რომანის იერი მისცა. ასე იხილა ცალკე წიგნად გამოცემულმა „კვაკვი კვაპანტირაძემ“ მზის სინათლე 1925 წელს.

მწერალმა კვაკვი კვაპანტირაძით შექმნა განზოგადებული სახე გაიქვერა და ფილიდი აღამიანისა, რომელსაც პირადი კარიერისა და წარმა-

ტებისათვის ყველას და ყველაფრის გაყიდვა შეუძლია ოდნავი სინდისის ტენჯნის გარეშე. მწერალი 1925 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ვებდევ და ამ წიგნს წრფელი გულით მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წრილფეხა კვაკისა და კვაკიკობებს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“. კვაკი კვაკანტირაძის მხატვრული სახე თავისი დიდი მამხილებელი ძალით სცილდება ერთგულ ჩარჩოებს და ვაჭნილი, გაიძვება, მდროთვე ადამიანის ზოგადტიპურ სახედ იქცევა.

„კვაკი კვაკანტირაძის“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებების გამო (მაგალითად, რომანი „ჯაყოს ხიზნები“) ზოგიერთი კრიტიკოსი შეაკრად საყვედურობდა მ. ჯავახიშვილს ერთგული გრანობის მოღუნებას. საზოგადოების ერთ ნაწილს კვაკი კვაკანტირაძე და თემიურაზ ხევისთავი მიაჩნდა ერთგული ღირსების შემოღებულ ხელოვნურად შექმნილ მხატვრულ სახეებად, რომელთაც არ მოეძებნებოდათ რეალური პროტოტიპები. მიხეილ ჯავახიშვილმა თითქმის ერთგვარად გაიზიარა ილია ჭავჭავაძის ბედი. მასაც ხომ ასევე აღმზედრდა კონსერვატიული ნაწილი საზოგადოებისა ღერასამ თათქარბიძის აბატკვის შემდეგ. ეს საყვედურები მხატვრული ნაწარმოებისადმი მეშინაური ცრუპროტოტიპის პოზიციებიდან მიდგომის გამოხატულებაა და არა დინეი, სერიოზული ანალიზის შედეგი. ამ პოზიციიდან ბევრი რამ აკრძალბოდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკაში, ბევრი ჰუმარტიად ლირგალიტივით ძვირფასი და ელვარე ნაწარმოები გამოცხადდებოდა კანონდარშეშეშვრალს არ შეიძლება აეკრძალოს, თუნდაც ოდნავ მსაყვედურის საზოგადოებისათვის ადამიანთა ენაყვედურების მხატვრული გამოშვლება და მხილება. სხვა საკითხია, რამდენად რეალურია მწერლის მიერ მინიშნებული მანკერება. მიხეილ ჯავახიშვილის „კვაკი კვაკანტირაძის“ მთელი ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერლის მამხილებელ პათოსს მისამართი აქვს და რეალური სიმამხიჯის წინააღმდეგ არის მიმართული.

კვაკი კვაკანტირაძე უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, მაგრამ ამით ოდნავადაც არ იჩქმალება მისი რეალისტური ბუნება. მიხეილ ჯავახიშვილი თავისი გმირებისათვის ყოველთვის ირჩევდა რეალურ პროტოტიპებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ცოცხალ მხატვრული სახის შექმნაში. მწერალი თითქმის ასახელებს მრავალი გმირის რეალურ პროტოტიპს. კვაკის შესახებ კი შეინიშნავს, იგი „ნარევი ტიპია“. მართლაც, შეუძლებელია კვაკის ზუსტი პროტოტიპის პოვნა, იმდენად კონცენტრირებულია მასში თვალთმაქცი და გაძივება ადამიანის სულის უკიდურესად მამხიჯი მხარეები, იმდენად გვიხსნის ყველა „მსხვილფეხა წერილფეხა“ კვაკის ვარგულული ბრწყინვა-

ლებით შენიღბულ სულიერ სიმამხიჯესა და ზნედაცემულობას.

მწერალი გვიყვება კვაკი კვაკანტირაძის ფანტასტიკურ თავგადასავალს, ამ ანტიურსტი ადამიანის მაქინაციებს, კვაკი იშვით მოსახრებულობას და გამოშვლებულ ნიჭს ამკლავებას, როდესაც საქმე ეხება ძარცვას, წაგლეჯას, მოთვივებას, კარგერის ვაკეთებას. მკითხველის თვალწინ გაიბრუნეს კვაკის ცხოვრება დაბადებიდან უკანასკნელ დღეებამდე და ჩვენ მოწამენი ვხდებით იმისა, რომ კვაკის ბუნება კი არ იცვლება, არამედ იცვლება მხოლოდ მასშტაბები გაიძვებობისა და აფორისა. კვაკის ამ ქვეყანად მოსვლის პირველსავე დღეს მამამისმა განაცხადა: „ბავშვის ასეთ ტირილს ჯერ არ გამოგია. სულ „მე-მეს“ იძახის. ეტყობა, სხვას არაფერს შევარჩენს და ამ ქვეყანას დაიჩემებს“. მართლაც, კვაკის ცხოვრება მხოლოდ სხვისი განძისა და ფულის, სხვისი დიდებისა და პატივის მიიღობა და მითვისების განსახიერებაა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გამოშვლებავა კვაკიმ ამ ნიჭის ძალა. შემდეგ კი მიეცა მისი ცხოვრება ბრწყინვალე ფეიერვერკია უსაზღვრო აფიორებისა და მაქინაციებისა. მისი აფიორების მასშტაბი რამდენიმე მანეთიდან რამდენიმე მილიონამდე იზრდება და ქუთაისის ეიწრო ქუჩებიდან პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის ფეშენებულ კვარტალებს სწვდება. რომანი უთუოდ საინტერესოდ იკითხება, იგი სასვეს მახვილგონივრულად შექმნილი რეული და დაძაბული სიტუაციებით, თუმცა კვაკის გაუთუთავებელი აფიორები, რომლებიც ხშირად კინემატოგრაფიის სისწრაფით იცვლებიან ჩვენს თვალწინ, ერთგვარად უკარგავენ რომანს სიუჟეტურ მილონიობას და აფერხებენ მოქმედების დინამიურობას. ამ თვალსაზრისით რომანს ბევრს არაფერს მატებს კვაკის თავგადასავალი პარიზსა და ლონდონში.

კვაკი ნაპირალებიან და რეციდივისტიებისაგან შემდგარი ამალი დთარეშობს რუსეთის იმპერიაში თუ მის საზღვრებს გარეშე. ამ ბანდას ემსხვერპლება ბევრი პატიოსანი ადამიანი. ძნელია კვაკის მსხვერპლთა ჩამოთვლა და რომანის ბოლოს თითქმის არავითარმა ბინძურმა საქმემ არ უნდა გაგვევიწყროს, რადგან ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, ყოველდღიური ყოფაა. ურომლისოდაც მისი ცხოვრება წარმოუდგენელია თითქმის ყველა საშუალება ამოსწრა მწერალმა კვაკის ბუნების გასახსნელად და ბოლოს უკანასკნელ ხერხსა მიმართავს, ერთმანეთს უპირისპირებს კვაკის და მის ერთგულ მონასა და მსახურს, კაცისყველად ჯალოლას. ამ უკანასკნელის ფონზეც კი საშინელ ბოროტებად წარმოგვედგება კვაკი, ჯალოლა და კვაკი ციხეში ისხდნენ, ხსნის იმედღარგულები ღმერთს გულამოქდარნი ევედრებოდნენ უკანასკნელად შეენდო მათთვის. მოულოდნელად მათ მშველელად მოველენება პატიოსანი მოხუცი ალექ-

სი ირემადე, რომელიც ტყელსაც ეი ეკადრებს მათ დასასწავლად. კვაკო ციხიდან გამოსვლისთანავე მის პატრონებში ღრმად დარწმუნებულ ალექსი ირემამეს სახლს გააყიდვინებს და ფულს უსირცხვილოდ მიითყისებს, თან და აწინებს, თუ არ გასწმდები, ჩემთან ერთად შენც დაგვლუბავ სასამართლოში ტყუილის თქმისთვის. ჭალიას კი, თუშეა კვაკის ერთგული მონაა და ყველა მისი ბნელი საქმის თანამონაწილე, ერთხელ მაინც აღმოჩნდება სინდისისა და ნაშუსის გრძობა. ჩვი მადლობის ნიშნად მოხუც ალექსის ხალიას მარათმევს. კვაკის კი არასოდეს, თვით შუშობლების მიმართაც არ უგარძენია სინდისის ქეჩენა.

კვაკისთვის არ არსებობს არავინ და არაფერი წინადა თუ არა, ანვარიშგასაფრეი მინიც, ეს გამოც, ან რის გამოც შეიძლება ბნელ, მაგრამ სარწიან კომბინაციაზე ხელის აღება. მან არ დაინდო ისიც კი, ვინც ხელი ვაუწოდა გაჭირვების ან ხიფათის ეამს; უსინდისოდ გაყვილიდა და მოატოვა ყველა ქალი, პატრონისანი თუ უპატრონო, რომელიც თავისი ცხოვრების გზაზე შეხვდა; არ დაინდო საკუთარი მამაც და გარდაცვლილად გამოაცხადა, რომ ამით ცოტაოდენი ფული ეშოვა; მამა-პაპისეული სახლი, სადაც დაიბადა და პირველად ეზიარა (მშობლის დარცხვინების სახით) ავანტიურისტული ცხოვრების ანბანს, ცეცხლს მისცა, რათა დაზღვევის ფული აეღო. მისთვის თვით სამშობლოს ცნებაც კი არაფრისმთქმელია და იგი თუნდ იროიდეც გართობს სიამოვნებით ყიდის მის სახელს ცხოვრების ყოველ გაჯარვრდინზე. „სადა გემორიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოც იქ არის“ — უსირცხვილოდ აცხადებს ეს კოსმოპოლიტი ავანტიურისტი და მკინირობი.

ეს ავანტიურისტი თავგადასავალი ნაშუსზე ზელაღებული კაცისა მხოლოდ გასართობად საკითხავ წიგნად გამოდგებოდა და, მიუხედავად კვაკის ზოგადერონული, მალამხატვრული სახისა, მაინც ვანყენებულ, კონკრეტულ მისამართსმოკლებულ სატირულ ნაწარმოებად დარჩებოდა, რომ მწერალი ემოქის რეალისტურ სურათს არ იძლეოდა, რომ კვაკისთან ერთად არ ამხედდეს ის იმოციალურ წყობას, რომელშიც მის ვიზის უხდება ცხოვრება და მოქმედება. მიხეილ ჭავჭავაძის ამ რომანის დირსების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი არის, რომ მწერალი დიდი მხატვრული დამჯერებლობით გვიხატავს რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების ზნეობრივ დაცემას, უმეცრებას, დეგენერაციას.

კვაკისათვის აღრეცე გახდა ნათელი, რომ საქართველო მისი აფიორების შესაფერი მასშტაბებით არ ვანიზომებოდა, ამიტომაც მიაშურა რუსეთს. იგი მწარედ დასციინს საქართველოს თავისი პოზიციებიდან: ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომ თავი მისდო დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიიბჯინო;

სოხუმში რომ ცხვირი დაეკმინო, სიღნაღიდან გეძახიან „ხვირობა“. ქუთაისში ლითაქსთან ან ერემოსთან დანიელა ურია მ რომ მრავალკამიერი დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თელავიდან მადლობელს შემოსამხებენ; ბორჯომში რომ პაპროსი ამოღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგვეწვდება — ჩვენც მოგვეწვივნო; მყარალი ხელსახოცი რომ იპოვო, მთელი საქართველო მობრბის ყვირილით „ჩემი! ჩემი!“

კვაკისათვის სულ სხვაა რუსეთის იმპერიის თვალწინდელი სივრცეები. მან იმდენი მოახერხა თავისი გაიძვერობით, ვერაგობით, მხაკერობით, მკვლელობებით, სივრუთ, მლიქვნელობით, შანტაჟით, მოსყიდვით, ერთი სიტყვით ყველა ქვენა გრძობისა თუ ბოროტების ყველა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით, ისე გაშალა ფრთები, რომ „მისი მარჯვენა ფრთა მალე არხანგელსს მისწვდა, ხოლო მარცხენა — თბილისს მიეჭრის“. მისი ნისკარტი ვისლას სწვდებოდა, ბოლო ელადივოსტოკში ჰქინდა“.

და მაინც მთავარი სარბიელი, თავისი ბნელი საქმეების „გაიმასქნების“ შტაბი კვაკიმ მდვის სასახლის კარის ახლოს გაიჩინა. ნელ-ნელა შექმრა, მომგარდა. შემდეგ კი მოკვლათდა ამ მისთვის მყდრო ადგილას, სადაც ყველა ეროვნების კვაკის შეეძლო თბილი ბუნავის პოვნა. კვაკის გრიშკა რასპუტინის სახით ავი დახვდა კიდევ თავისი ისტორიული ორეული სასახლის კარზე. სწორედ რასპუტინი გამოიყენა კვაკიმ თავისი უმეგალითი აღზეუების მიზნით. კვაკის გაიძვერობისა და მოხერხების მასშტაბებს ისიც ცხადად გვაგრძობინებს, რომ თვით გრიშკა რასპუტინი, ეს საყოველთაოდ ცნობილი „კვაკი“ კი ვაიყურა და თავისი მხაკერული გემგების განსახორციელებლად გამოიყენა.

მიხეილ ჭავჭავაძის შუქმნა გრიშკა რასპუტინის მხატვრულად საინტერესო სახე. ხორც-შესხმულად წარმოვიდგინა ეს გარყვნილი, დესპოტი, ზნედაცემული, ლოთი, დიდი მასშტაბების ავანტიურისტი კაცი, რომელიც აქამდე მხოლოდ ისტორიულად იყო ქართველი მკითხველისათვის ცნობილი. მწერალი, ბუნებრივია, თავისი ფანტაზიის ნაყოფს უხვდა სათავაზობს მკითხველს ამ რომანში (მთელი ეპოზოდები კვაკისა და რასპუტინის ურთიერთობისა), ზოგჯერ ისტორიულ ფაქტებსაც დალატობს (რასპუტინის მკვლელობის ისტორია), მაგრამ, რაც მთავარია, იგი ქმნის ისტორიულად მართალ მხატვრულ სახეს, ზედმოწვევით სიუჟეტით გვიხსნის რასპუტინის ბუნებასა და მის როლს რუსეთის იმპერატორის სასახლის კარის დაცემასა და გარყვენაში.

კვაკისა და „კვაკების“ მოღვაწეობა ამ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში რასპუტინის მფარველობითა და ხელშეწყობით შეიძლება, ასეცა ამ რომანში, ამდენად, კვაკის ავანტიურისტიზმან ერთად, მწერალი ამომვლენს და ამ-



ხელს იმ საზოგადოებას, რომელიც კვაპისთან ტიპებს არა მარტო წარმოშობს, არამედ ხელსაც უწყობს მათ მოძღვრებას.

არც მენშევიკური მთავრობის დროს გრძნობს კვაპი თავს შეზღუდულად. იგი ყოველთვის დროის შესაფერ ლოზუნგებს ისერის, კვაპის მმართველის უდიდესი ნიჭიცა აქვს თანდაყოლილი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი ბოლშევიკად ინიღბება, მაგრამ ახალი საზოგადოება კვაპისთვის უპაერო სიერცვა და თავის გადარჩენის მიზნით ბურჟუაზიული საზოგადოების ეს რაინდი მიიბრის საზღვარგარეთ, სადაც დიდი კომბინატორი პატარა საროსკიპოს ცხოვრებით ცხოვრობს.

ეს ისტორიული სიმართლე და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამა მიხედვით ჯავახიშვილის „კვაპი კვაპანტირაძემ“ კიდევ უფრო მატებს შემეცნებითსა და მხატვრულ ღირსებებს.

5.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რომანს „ჯაყოს ხიზნებში“, რომელიც მწერალმა 1924 წელს დაასრულა. შეიქმნა ითქვას, „ჯაყოს ხიზნებში“ ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ერთი ყველაზე საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია და თავისი დიდი მხატვრული და შემეცნებითი ღირსებების გამო ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება.

„ჯაყოს ხიზნებში“ თავის დროზე დიდი ლიტერატურული კამათი გამოიწვია, ყველამ ვერ შეძლო ღირსეულად შეფასებინა რომანი. თვით მიხეილ ჯავახიშვილი საერთოდ და, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი მეტად მომთხოვნი პიროვნება, წერდა: „მე ცხოვრებით უმადური არა ვარ. ჩემს გზაზე ჰიერიც მინახავს და ბედნიერიც მკაცრლვარ. მაგრამ იშვიათად მიგრძენია ისეთი მძაფრი სიხარული, რომელიც ვიგრძენია ზოგი ჩემი მოთხრობისა და რომანის დასრულების გამო („ხანურა“, „თაღდავიწყება“, „მეჩენქმე ვაბო“, „ჩაისი კაცი“, „აბდულაპ“, „თეთრი საყელი“, „ახსენა მირაბდელი“). უცნაურია: ყველაზე მეტი დავა ჯაყოს ხიზნებმა გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა, ამ დღეს ნამდვილ ბაღდად გადავქმეცი, რომელსაც გოცმლინი ბედნიერება დაატყდა. ვეღარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ვეღარც ჩემი ცოლშვილი მცნობდა“ (მ. ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“, „მწათობი“, № 10, 1933 წ., გვ. 195). მწერლის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ყველაზე მეტ მნიშვნელობას „ჯაყოს ხიზნებს“ ანიჭებდა.

რომანის კრიტიკოსები თავის შენიშვნებში უმთავრესად ორ ამოსავალ საფუძველს ეყრდნობოდნენ. ერთში ფიქრობდნენ, რომ მწერალი მეტისმეტად მკაცრად მოვიცა ქართულ

ინტელიგენციას და ერთგვარი შეურაცხყოფა მიყენა მას თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახით. მეორეთა აზრით კი, მწერალი მეტისმეტად გაიტაცა უარყოფითი მოვლენებისა და ტიპების მხატვრულმა განზოგადებამ, რამაც მას ზომიერების გრძნობა დააქარგვინა და, ამდენად, სწამდელივით ცალმხრივად, ნეგატიურად წარმოასახვინა.

პირველი მოსაზრება უთუოდ ეროვნული გრძნობის მეშინაური გაგებიდან მოდის. ამას თუ აყუევებით, მაშინ თითქმის უნდა წავშალოთ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურა. მწერლისათვის არავის წართმევია მხატვრული განზვიადების, პიებრძოლის უფლება და გროტესკული სახეები ჯერ არავის უარყვია.

არამცთუ საზოგადოების ერთი რომელიმე ფენის ამ ნაწილს, არამედ საერთოდ ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათისა ან ბუნების საჩოთითრო მხარის მხატვრული გამოშვურება მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რადგან საკუთარი ნაკლის დაუნახავად და შეუცნობლად არ არსებობს პროგრესი. რამდენადაც ილერიია ერი, იმდენად უდრტიკინველად და გაუღიზიანებლად იღებს თავისი მწერლის თუნდაც განზვიადებულ, მხატვრულად პიებრძოლიზებულ ნეგატიურ განსჯა-შედარებებს და, პირიქით, რამდენადაც მეტად ახასიათებს მას სუსტი და უარყოფითი მხარეები, იმდენად ნაკლებ იწყნარებს და ეგუება მწერლის მართალ სიტყვას.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ცხოვრების ნეგატიური მხარეების წარმოსახვა არც საბჭოთა ლიტერატურისათვის არის დასაძრახისი. მთავარია გარკვეული იყოს მწერლის პოზიცია, რომელიც ამკარას ვახდის, თუ რომელ ტენდენციას უჭერს იგი მხარს, საზოგადოების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით რამდენად სწორად აზროვნებს იგი მხატვრულად. ამ თვალსაზრისით სადავო არსებობს შეიძლება და ვგვინოდეს ამიერი წავახიშვილთან, რადგან მწერლის პოზიცია ნათელიცაა და სწორიც.

ამასთანავე, არც ის უნდა დაგვაიწყოდეს, რომ ოციანი წლების დასაწყისში ქართულ მხატვრულ პროზას საერთოდ ახასიათებდა უპირატესად წარმავალი, დრომოქმული, ისტორიულად განწირული საზოგადოებრივი ფენების თუ კლასების უანასკნელი ავონის წარმოსახვა. ამ წლებში პირველი რომანები, კონსტანტინე გამსახურდაის „დიონისოს ღიმილი“, დემნა შენგელაის „სანაგარლო“, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაპი კვაპანტირაძემ“, „ჯაყოს ხიზნები“, — გვარწმუნებენ ამაში. საინტერესო ფაქტია, რომ ლეო ქიაჩელიც კი, რომელმაც 1917 წლის რევოლუციამდე დაწერა „ტარიელ გოლუა“, ეს ამადლევებელი ნაწარმოები 905-იანი წლების რევოლუციურ ცხოვრებაზე, ამ წლებში „თავადის ქალი მიას“ თემას იებრძრნდა. ეს შემ-

თხვეუთი ამბავი არ იყო. პროზულ ნაწარმოებს, მით უმეტეს რომანს, მწერლის დიდი გამოცდილება, ცხოვრების მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნა, მისი განვითარების ტენდენციების კონკრეტული გააზრება, ახალი ადამიანის ფიქრის, მისწრაფების, განცდის, ერთი სიტყვით, მთელი მისი ბუნების, შინაგანი სამყაროს ღრმა წვდომა და გაგება სჭირდება. როგორც ჩანს, ოციანი წლების დასაწყისის ქართულ მწერლობას ყველაფერ ამზე არა ჰქონდა ისეთი სრული წარმოდგენა, რომ ეპიურ ქანრი წარმოესახა ახალი დრო და ახალი ადამიანები. მისთვის უფრო ნაცნობი და საზოგადოებრივად თუ ფსიქოლოგიურად უფრო ნათელი, ხორცშესხმული იყო ისტორიულად დაბეჭდილი და მიხრწნილი საზოგადოება, რომელიც სტოეზება ასპარეზს და, ამიტომაც მხატვრული წარმოსახვის ობიექტად სწორედ ეს არჩია.

ამ პრობლემისა თუ თემისადმი ინტერესი ჭერ კიდევ არა ნიშნავდა მწერლობის პასიურ, ან თუნდაც ნეოტრალურ დამოკიდებულებას ახალი ცხოვრებისადმი. თუ საზოგადოების განსაღი, შხარდი, მომავლისმქონე ძალები პოზიტიურად, ხორცშესხმულად ვერ წარმოვიდგინებთ იმ წლების საუკეთესო ნაწარმოებებში, სამაგიეროდ ის ძალები, რომლებიც უბირისპირდებოდნენ ახალ ცხოვრებას, მხატვრულად მძაფრად, დამაჭერებლად ვაშიშვლა და ამხილა ქართულმა მწერლობამ და თვალნათლივი გახადა მათი დაცემის, დამარცხების, საზოგადოებრივი სიკვდილის ვარდუელობა.

ასეთი მიზანდასახულება ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებსაც». ოციან წლებში ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში გამჭდარი რწმენა, რომ რევოლუცია უხეში ძალაა, რომელიც თავის გზაზე არავის და არაფერს ინლობს, მათ სიმპათიებს უფრო მოლიბერალო პოლიტიკანებისადმი მიმართავდა. მიხეილ ჯავახიშვილმა შესანიშნავად დავიხატა ამგვარი მოლიბერალო, უხერხემლო, უნიათო, უბირი, უმპქნისი ადამიანის, თეიმურაზ ხევისთავის სახე, რითაც დიდი მხატვრული განზოგადების ტიპური სახე შექმნა, კეთიხველისათვის კი თვალნათლივი გახადა. თუ ლიბერალობის ამ პოხაში ჩამდგარი ადამიანების უკან რა ცოცხალი ლემი ინიღბებოდა და რამდენად აუცილებელი იყო ისტორიულად ამ ნიღბის ჩამოგლეჯად და ამ ცოცხალი ლემის ცხოვრების მდინარეებიდან გარიყავც. ამით მწერალმა დიდი საზოგადოებრივი საქმე გააკეთა და მეგვიდერეოც დაგვიტოვა კლასიკური რომანი, რომელიც სცოდნება ამ მნიშვნელოვან, მაგრამ ისტორიულად კონკრეტულ მიზანდასახულებას და ყოველი დროის ადამიანებისათვის წარმოადგენს აქტიუობის, მოქმედების, შრომის, მოღვაწეობის აუცილებლობის მხატვრულად მქადაგებელ ნაწარმოებს.

საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის მოგონება, თუ როგორ შეიქმნა «ჯაყოს ხიზნები», რა ცოცხალმა შთაბეჭდილებამ მისცა ბიძგი მწერალს ამ რომანის დასაწერად და ჯაყოს სახის გამოსაყვეთად:

«ჯაყო სულ სხვანაირად წარმოიშვა. 30 წლის წინათ ჯაყის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა — ბრგე, ბანჯველიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინეინერმა ფილო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო: ნაყემემა თავის კენინას ძღვენი მიართვა:

- გამარჯობა, ჯაყო!
- კენინას ვახლავარ.
- რასა იქმ, როგორა ხარ?
- ძალიან კარვად ბრძანდები, შენი ჰირიმი.
- ცოლშვილი როგორა გყავს?
- სულ კარგათა ხარ, გენაცვალე.
- რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?
- თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.
- როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
- მამ, მამა! აგრე იცის ჯაყომამ მიუფო ნაყემემა.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პიღბილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერ სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კენშუტულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, ვაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. ო, ზოგჯერ რა უცნაურად იხადაბა ტიპი» (მ. ჯავახიშვილი, «როგორ ვმუშაობ»).

ასე ვაუცოცხლდა მწერალს მეხსიერებაში ჩარჩენილი სახე, როდესაც მოუმიფიდა საზოგადოებრივად და მხატვრულად მნიშვნელოვანი სათქმელი. ვიღაც ჯაველი ოსის გარეგნულმა იერმა და ერთმა უბრალო ანეკდოტმა გამოსცა ის ნაპერწკალი, რომელმაც დაანთო ადამიანური ენების დიდი ხანძარი «ჯაყოს ხიზნებში». ხოლო ამ ხანძარმა კი დაფერფლა ის ფიტული, რომელსაც თეიმურაზ ხევისთავი ჰქვია.

რომანში თეიმურაზ ხევისთავის და ჯაყო გიჯავილის სახეებია მოთავარი, სწორედ ისინი განასახიერებენ ორ ბორბელ საწყისს, რომელიც თანდა სრულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ, დიმიტრი ბენაშვილის თქმით, თანაბრად საშიში წყლულია ერის სხეულზე და ერთნაირად დაუნდობლად სჭირდება მოყვეთა. აი ამ წყლულების ხასიათსა და მათი მოყვეთის ისტორიული აუცილებლობას გვიხსნის მწერალი. არის კიდევ ერთი მთავარი გმირი, მარგო, რომელიც რომანის ტრადიციულ სამკუთხედს კრავს ნაწარმოებში, მაგრამ ეს გმირი მწერალს თეიმურაზისა და ჯაყოს სახეთა ვახსინისათვის სჭირდება. ამდენად, თუმცა ეს სახე მგრად

ხორცასევა და ცოცხალი ფერებითაცაა დახატული, მას, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი ფუნქცია აქ არ აკისრია.

მიხეილ ჭავჭავიძელის „ჩაყოს ხიზნები“, თუმცა ქართული რომანის ისტორიის ერთ-ერთი თავფურცელია და მწერლის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფია, მრავალი პარალელის გაეშლის უფლებასა და საშუალებას გვაძლევს მხოლოდ კლასიკურ ნაწარმოებებთან და თვით ქართულ მხატვრულ სახეებთან. პირველ რიგში საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელი მხარე, რომელშიც ნათლად ჩანს მწერლის შემოქმედებითი დამოუკიდებლობა ქართულ კულტურულ ტრადიციებთან.

ერთხელ ბედოვლათი ქმრის უმოქმედობით მოთმინებიდან გამოსული მარგო თეიმურაზს პირში მიახლის: „ნაცარქექია“ მართლაც არის ერთგვარი მსგავსება ნაცარქექიასა და თეიმურაზს შორის—ხალხის მხატვრული გენიით შექმნილი გმირი თუ ნაცრის ქექვაში კლავდა დროს, თეიმურაზი უფრო ცივილიზებული ეპოქის შვილია და დროის უნაყოფოდ მოსაკლავად მტერთი დაფარული დაფურცელი წიგნების ქექვა აღჩნევია. მაგრამ მათ შორის დიდი და პრინციპული სხვაობაცაა. ნაცარქექია სიზარმაცესთან ერთად საზრიანობის, მოჩვენებულობის, ენამსხვილობის განსახიერებაცაა, უბადრუკი თეიმურაზი კი ყოველ ნიჭს მოკლებული აღმიაჩნა. ამიტომაც, თუ ნაცარქექია ათასგვარი განსაცდელიდან ახერხებს თავის დაძვრენას და მისი ცხოვრების ფინალი ბედნიერია, თეიმურაზს ზვეისთავი მხოლოდ დასაღუპავადაა განწირული, იგი თავისი ოდესღაც ძლიერი გვარის უკანასკნელი, თანაც დაგლაზებული და დაჩაჩაყავებული მოპოვანია.

ამის გამო, თეიმურაზი უფრო ლუარსაბ თათქარიძის ხვედრს იზიარებს, მათი ბედ-იბაღი ბევრწილად მსგავსია. ეს გარემოება სწორად შეინიშნა დიმიტრი ბენაშვილმა, როდესაც თავის მრავალხრივ საყურადღებო წიგნში — „მიხეილ ჭავჭავიძელის ცხოვრება და შემოქმედება“—გაკვიცხდა: „არის რაღაც სულიერი ნათესაობა ლუარსაბ თათქარიძესა და თეიმურაზ ზვეისთავს შორის“ (გვ. 79). და იქვე დასძინა: „რა თქმა უნდა, მათ შორის განსაკუთრებული დიდი და სწორედ ეს გარემოება მივეითითების მიხედვით ჭავჭავიძელის ორიგინალობაზე, თვითმყოფობაზე, საშუალო თემის სხვაობაზე, მაგრამ ყოველივე ამასი მხოლოდ მწერლის პირადი თვისებები კი არ თამაშობენ გადაწყვეტელ როლს, არამედ დროცა და პირობებიც, რომლებმაც მიმართება მისცეს არა მარტო გმირთა ხასიათებს, არამედ მწერლის ესთეტიკურ კონცეფციასაც“.

ერთი შეხედვით თითქოს მწელია პარალელის გაკლება ილია ჭავჭავაძის ამ რაბლესებურ, ცხოვრებას მოწყურებულ ლოყა-აქლქა ლუარსაბსა და დაჩაყავებულ, გამოფიტულ თეიმურაზს

შორის, მაგრამ მათი უფრო ღრმად მდებარე, სულიერი ნათესაობის საწინდარი ისაა, რომ ცხოვრებისათვის შედმეტი პარტი გამზადიან, მათ არაფრის შექმნა აღარ შეუძლიათ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ულმოხელი ლოგისი ძალით განწირულთა ხედვრი რგებიათ და ისინი უცვლოდ უნდა წაეიდნენ არა მარტო ასპარეზიდან, თვით ცხოვრებამდეც. ამიტომ გამოუტანეს ილია ჭავჭავაძე და მიხეილ ჭავჭავიძელმა მკაცრი, მაგრამ ისტორიულად სამართლიანი და მრავლისმეტყველი განაჩენი, როდესაც არც ლუარსაბსა და არც თეიმურაზს ღებ არ მისცეს და ამით სიმბოლურად მიგვანიშნენ მათი გადაშენების აუცილებლობაზე. ესაა უპირველესი მსგავსება მათი, ხოლო თუ ერთბაშად მათი მიმსგავსება არ ხერხდება, ეს იმიტომ, რომ ლუარსაბი თავისი ეპოქის შვილია და ბატონყმობის სასიკვდილო ავიანს გამოხატავს, ხოლო თეიმურაზი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშეირის, მოინტელექტუო ხორცმეტის, მეოცე საუკუნის, რევოლუციების ეპოქის მიერ გარყიული და განწირული ცოცხალი ლემის განსახიერებაა.

თეიმურაზ ზვეისთავი გროტესკული სახეა მეოცეზე, უბრინციბო, უპროგრამო აღმიაჩნის, რომელიც რაღაც განყენებულ ცნებებს აფეტრებს და მოქმედებს. მონაწირობის, ისტორიულ ვითარებაში გარკვევის, უბრალოდ არსებობის უნარაც კი არა აქვს. შეიძლება ზვეისთავთა ამ ნაშეირის უბადრუკ ცხოვრებას ერთი შეხედვით არ ესადაგებოდეს ტერმინი „გროტესკული“, მაგრამ თეიმურაზის განყენებულ მისთვისვე გაუგებარ იდეალებსა და პრაქტიკულ ცხოვრებას შორის ისეთი საოცარი სხვაობაა, რაც მას უთოოდ კომიკურ პიროვნებად აქცევს, თუმცა შემხარზნის სურათების მონაწილე ხედვებით რომანის მანძილზე, თანაც, მხატვრულად იმდენად ვაზვიადებულა, უჩვეულოა, ვამაფრებულა ეს გათიშვა თეიმურაზის ნათქვამსა და ნამოქმედარს შორის, იმდენად უკიდურესობამდეა გამოშვებული გმირი ჩვენს წინაშე, რომ, ვფიქრობ, საესებით სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ საუკეთესო გროტესკულ სახედ ქართულ ლიტერატურაში.

მწერლის პოზიცია ამ გმირის მიმართ ჩვენთვის თავიდანვე ნათელია, მაგრამ მოქმედების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერად იჩენს თავს არამხოლოდ შეუბრალებლობა, არამედ განუხლებელი ზიზღიც აეტორისა ამ სულიერად და ხორციელად დიკემული აღმიაჩნის მიმართ. დიახ, ზიზღი, რადგან ამ დიკემული არსების წამოყენება აღარ შეიძლება, იგი უიმედოდაა გადაგვარებული.

მწერალი გზადაგზა გვიჩატავს თავისი გმირის გარეგნულ პორტრეტს, რომელიც საესებით შეესაბამება მისსავე შინაგან სამყაროს და ასე თანდათანობით წარმოვიკვდივება თვალწინ ეს უბადრუკი, თავის თავზე შეეყარებული, სინამ-

დვილში კი არაფრის მაქნისი, ყველაფრისაგან დაცლილი და გამოფიტული ადამიანი, რომანის პირველსავე გვერდზე ვხვდებით ჩვენ ბეცსა და ვენახს, „ბუმბულზე გაზრდილი და წიგნებით შექმულ თეიმურაზ ხევისთავს“, რომელსაც „დამდნარი, დონდლო, უძვლო ხელები“ ჩერებინათა ჰქონდა და თავიდანვე გვექმნება შთაბეჭდილება გმირზე და მისდამი ავტორის დამოკიდებულებაზეც. სულ მალე მწერალი უფრო მეტეფრად აგვიწერს და გვიხასიათებს თავის უნდოდ გმირს:

„თეიმურაზი უძვეო ყვავილივით ნახი და ლამაზი იყო, ნატყფად ასხმული და ნაწანდაკევი, მაგრამ გამბდარი და გაძაღლებული, მხრებდაყრილი და მკერდჩაფარდნილი. ბეცი და მელორტი, გაფუფქულ ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დღლილი, დაშრეტლი, გამოწურული და დამდნარი ნაკაყრი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შუკი ნისლი ჰქონდა აფარებული, ზოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გაანდა, წარსულში ჰქონდა დაჩრენილი: ტყბილი მოგონებანი, საერთო პატავი, მეგობართა სიყვარული, მუდმივი მოლოდინი უცნაური მომავლისა და მარადელი დევნა ბუნდოვან ლანდებისა“.

ამით ჩვენთვის თავიდანვე ცხადი ხდება, რომ „ნათაფადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნაექქორაი“ თეიმურაზისათვის ყველაფერი იმედინი მხოლოდ წარსულში ყოფილა, მომავალი კი მას აღარა აქვს. მაგრამ მაინც რა წარსული ჰქონდა ასეთი ხევისთავს? ეს კითხვა უთუოდ აწებებს ჩვენს გაღვიძებულ ცნობისმოყვარეობას, როგორც ირკვევა, მოლას ანაგზარდობისა არ იყოს, არც წარსული ჰქონია თეიმურაზ ხევისთავს დიდად გასასხენებელი, ხევისთავეების უკანასკნელმა ჩამომავალმა მამაბაბათა მიერ სიუქუნენის მანიჩრე მიტაცებული მამულები და სიმდიდრე ჯაყო ჯივაშვილს გაანიავებინა და მიათვისებინა, ვლუხების ქიმაგობა იმით ამოსწურა, რომ მგლისა და სახარების არ იყოს, მაღალფარდოვანი ფრანგებით კვებვდა თავის შეუსმენელ მოურავს, თვითონ კი ათასი წერილმანი საქმით იყო გართული, რომელთაგან ვერც ერთს თავს ვერ აბამდა.

თეიმურაზის — ამ „წიგნის ჩრჩილის“, „მარლევები სისხლის მიჯივრად თითქო გაზეთების ნავლევებით რომ მჭიდვდა გატენილი“ და გული კი „მჩატე გაზეთივით დაქმუქნული და გაჩვარებული“ — ხასიათი, ბუნება, ადგილი და ფასი საზოგადოებაში მწერალს თავიდან მისი მუხლის თვალით აქვს დანახული. სიცოცხლით სავსე მარგო ჯერ „თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებებოდა“, მერ კი, როდესაც ვაიგო მისი ვეკაცობის ფასი, „ქურდები ნელნელა გაცივდა, დანდა და დაძატარავდა“. მარგოსაც სულ მალე მოგებრდა „უცეხლო თეიმურაზიც, მისი მჩატე ნაზრევიც, მისი მუდმივი ფუსფუსი და საქვეყნო მოღვაწეობაც“.

თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც თავისი ცოლის საწოლშიც კი ხანზობარისა და მარკოსს პრობლემებით იყო გართული, ან ცხარედ ეკამათებოდა გუჩკოს, ლოდ-ჯორჯს, კლემანსოს თუ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს. ისეთი ალტაცებით შეეგება რევოლუციას, თითქოს ნატყრა შეუსრულდა და სამოთხის კარი გაეღო. მაგრამ სწორედ აქედან დაიწყო მისი უბედურებაც. ახალმა ცხოვრებამ მას ფრანგების ნაცვლად საქმე მოსთხოვა, რაც ხევისთავთა ნაშვირისათვის ისევე მიუწევდომელი იყო, როგორც მარგოსათვის ბედნიერებას მიცემა და მემკვიდრის ყოლა. იგი თანდათან დროწმუნდა, იმდენი ხნის ნანატრი და ნალოდინევი ცხოვრება მისი გასართობი და სათამაშო არ იყო, იგი თავისას მოითხოვდა.

თეიმურაზს აღარც ჯაყოს მიერ გაპარტახებული მამულები შერია, რაც ადრე არსებობის საშუალებას მაინც აძლევდა, განმეტლობაც იოლად შეაჩინა მოურავს და სულ მალე, როდესაც წიგნებიც შემოევიდა პურის ფულად, სასოწარკვეთით მორთო კვილი: „გვიშველეთ! დავიღუპეთ!“

„იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოევიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა, ვერ ჩამოგოჯა, ვერ მოიშორა, და თვითონაც იმ ლეშთან ცხოვრებას ვერსად გაეჭვა და ვერსად დაემალა“. მიხეილ ჯავახიშვილი თავის გმირს ასე ატარებს რომანის ბოლომდე კისერზე ჩამოკიდებულ აყროლებული ლეშით და ამ შემაზრენი შედარების დროდადრო გამოეხატებით მხატვრულად მიგვიანონებს იმ გარემოებაზე, რომ თეიმურაზ ხევისთავის საშველი ახალ ცხოვრებაში არსადა.

ერთხანს თეიმურაზი სასწაულებს ელოდა, მამულის დაბრუნების ოცნებით ცოცხლობდა. ამ იმედინაობაში „ნელნელა დაილიენენ და დაცარიელდნენ თეიმურაზის გულიც, იმედებიც, წიგნსაცაიციც და ბინაც“. ფეხქვეშ ნიადაგამოცილი თეიმურაზი სწრაფად დაეშვა უფსკრულისაკენ და ბოლოს იძულებული გახდა თავის მოურავს — ჯაყოს შეხიზნებოდა მეუღლითურთ. აქედან იწყება შემაძრწუნებელი სურათები თეიმურაზ ხევისთავის ზნეობრივი დაცემისა, როდესაც ნახვებზე ველური ჯაყო სახლ-კარისა და მამულის წართმევას არ აკმარებს და მის ცოლსაც, მშვენიერ მარგოსაც დაისაცურებს. მიხეილ ჯავახიშვილი დაუნდობლად ამხვს თავისი გმირის გონებრივ გამოფიტვას, სულიერ სიღატაკს, ზნეობრივ დაეცულობასა და ფიზიკურ დავრდომილებას. ამაზრენია ის ქვეყნები, როდესაც თეიმურაზი თავისი ცოლის ჯაყოს ხსობას ურიდებდა. შემდეგ კი მათ ქორწილს ესწრება და ყოფილი მეუღლესა და მოურავს შინამოსამასახურედ უღვება. თეიმურაზ ხევისთავს, დიდებული და ძლიერი გვარის ჩამომავალს ახლა „ბრინჯალ“ მონათლავენ, რადგან მსახურს ეს



სახელს უფრო შეეფერება. ამასაც მორჩილად იტანს ზნედაცემული ნაკაცარი და ნათავადარი. ამავე დროს კვლავ მაღალფარდოვნად მსჯელობს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ წარსულზე, მის ახლანდელ დაცემასა და უპროპაგანდისტობაზე.

„საწ... წყალი ქართლი... იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრეციანსა და დაყრუბულ ნაკაცარს, რომელსაც ქაჩისა და განძრევის შნოც აღარ აქვს“. — ოხრავს თეიმურაზი, მაგრამ იმას ვერ ამჩნევს, რომ თავის თვისებებს მიაწერს ერს, რომელიც ახალ, თავისუფალ შრომის ფერხელშია ჩამძვლი. მწერალი იქვე გვიხატავს სურათს შრომით დამაშვრალი და ხალისიანი განწყობით სავსე სოფლისა, რასაც მხოლოდ თეიმურაზი ვერ ხედავს. საქართველოს ბედ-იბლაზე დაფიქრებული ნაკაცარი, რომელსაც საკუთარი მეუღლისათვის ვერ მოეგვო და სამადლოდ გადმოგდებული პურიტა ირჩინდა თავს, „გულხელდაკრფილი იდგა და ისე გასცქეროდა დასავლეთს, თითქო თავის საარაკო საბედოს და სიცოცხლის ნატვრას იქიდან მოელოდა“.

თეიმურაზისა და ნახუცარი ივანეს ხანგრძლივი საუბრები ბევრწილად გვიხსნიან ნაკაცარის აბურღულ აზრებს და ღრმად გვარწმუნებენ, რომ ამ „წიგნის ჩრჩილს“, რომელიც კითხვით გაბეცებულა, მაინც ვერაფერი გაუგია საქართველოს ისტორიიდან და რაღა გასაკვირია, რომ მისი მომავლის არაფერი ესმოლეს. ერთ-ერთი საუბრის დასასრულს, როდესაც თეიმურაზი სულიერი სიმშვიდისა და სიხარულის დაბრუნებას ნატობს, ნახუცარი ივანე მწარე, მაგრამ სამართლიან სიტყვებს მიახლის ნაკაცარს:

„— მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმას სულითა და გულით, იმის ჰიროთა და სიხარულით, იმედითა და რწმენით. მე შენსავით განათლებული არა ვარ, ამიტომ ისტორიას და შეცნეურებას ვერ წააწვდები, მაგრამ ეს ცხოვრება შენჯე კარგად მესმის. ვინც იგი არ მიიღო, ცხოვრებამ არც ის მიიღო, შენც არ იცი, რა გინდა და რას ეპოტივები. ქართველი ხალხისათვის ისკეთე გინდა, მაგრამ იმავე დროს სწყუროდა და ცილს სწამებ. აღარაფერი ვაწამს: არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც ხალხის შემოქმედების უნარი, არც მისი მომავალი და სიცოცხლე, შენ ხალხს შენის ოთახიდან ჰხედავდი. ჩვენა ხალხი რომ გცნობოდა, ასეთს ცილს არ დასწყამებდი. შენ იმასაც ვერ ჰხედავ, რომ ძველი ლეშის მკვიერი ათასობით ამოვიდა ხალხის გულდან ახალი მუხნარი. ეს მუხნარი დღითიდღე იფურჩქნება და ძველ ჯაგანებს ალაგვს იქერინ. შენ კი ეს ახალი ბალი უღაბნოდ მივაჩნია“.

ნახუცარი ივანეს კარგად ესმის თეიმურაზის უბედურების საფუძველი, მაგრამ იმაში ვერ კიდევ ვერ დარწმუნებულა, რომ თეიმურაზს არ შეუძლია დაუბრუნდეს ხალხს და იმის ჰირო-

თა და სიხარულით იცხოვროს. თუმცა თეიმურაზს ახალი ცხოვრების პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მოაქვს თავი და ამით ამართლებს თავის უმოქმედობას, თითქოს ამით გამოხატავს თავის პროტესტსა და შეურიგებლობას, მაგრამ ეს მხოლოდ პოზაა. სინამდვილეში მას არფინის კეთება არ შეუძლია, სავსებით უუნარო ნაკაცარია და ახალ დროს უფრო იმიტომ ვერ ეგუება, რომ ახლა ძველებურად უბედობით ცხოვრება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა აეეთო, იშრომო, შექმნა, ეს კი თეიმურაზის ძალ-ღონეს აღემატება. ასე რომ, ამ „მაღალი იდეების“ გამოტანჯული კაცის პოზის იქით იმალება ცხოვრების ძალისაგან დაცლილი, დამშრალი, გამოფიტული ცოცხალი ლეში.

თეიმურაზი ხევისთავი ამიტომ ვერ შეისმენს ნახუცარს ივანეს სიტყვებს და ვერ ეზიარება იმ სიხარულს, რომელიც მშრომელ, შემოქმედ აღამიანს გააჩნია. ამიტომაც განწირული იგი ძილსა თუ ცხადში აგოდებულ გულზე ლოდოვით ედოს „აეროლებული ლეში, თავისი ბედის ხვედრი, განუყრელი ძმა და მეგობარი, რომელიც თეიმურაზს ალბათ სამარემდე მიჰყვება, კუბოშიც ზედ დააწვება და იქაურ სიცოცხლესაც მოუშმამებს, გაუმშამებს და აუყროლებს“.

ჯაყო ჯივამილი, ეს მეორე და განსხვავებული წყლული ერის სხეულზე, სოციალურად უფრო საყურადღებო ტიპია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში. თუ თეიმურაზი ხევისთავი ციხელ ლეშს წარმოადგენს და მას არც სიკეთის ქმნის უნარი აქვს და არც ბოროტებისა, ჯაყო თავისი ზნელი ძალითა და ენერჯით სოციალურად საშინო მოვლენაა საზოგადოებისათვის. იგი თეიმურაზის ანტიპოდი და მისი განათლებულ უმოქმედობას თავის გაუნათლებელ მტაცებულ მოქმედებას უპირისპირებს. თუ თეიმურაზს არა აქვს დროის გაგების უნარი, ჯაყო გრძნობს ყოველგვარ სიახლეს და თავის მოქმედებას მტაცებლის გამახვილებული ინსტიტუტ წარმართავს. ჯაყო ყოველთვის სარგებლობს ცხოვრების ვითარებით და მისი აქტიური ზუნება მხოლოდ ბოროტებისავედ ისწრაფვის. ჯაყო მუდამ ამა ქვეყნის ძლიერი ეტმასნება. ახალ ევითარებაში ჯაყო მშრომელთა კლასის წარმომადგენლად ასაღებს თავს და ერთხანს კიდევ ინარჩუნებს ძველი მოურავისა და მამასახლისის ფაქტიურ უფლებებს.

მთელი რომანი თეიმურაზისა და ჯაყოს დაპირისპირებაზეა აგებული. მწერალი განზრახ უსვამს ხაზს ამ ორი გმირის გარეგნულ თუ შინაგან კონტრასტულობას. ბნელი და უხეში ძალა, რომელსაც ჯაყო განასახიერებს, იმარჯვებს თეიმურაზისკენ უუნებელ და მორჩილ ბუნებაზე, რადგან პირველს ცხოვრების კონკრეტული ამოცანა აქვს, მეორეს კი ოდენ ფუჭი ოცნებები და ცხოვრების არარეალური შეგრძნება. მწერალმა ჯაყოს განზრახ გაათელინა ასე უმოწყალოდ თეიმურაზი, რადგან ძლიერის,

თუნდაც უხეშისა და ბოროტის, დაპირისპირება უნებისყოფისა და უენერგიოსთან მხოლოდ პირველის გამარჯვებით შეიძლება დასრულდეს. სწორედ ამ ბოროტი ძალის აღზევების მხატვრულად შესანიშნავი, მაგრამ ემოციურად შემაზრუნენ სურათია ხევისთავების ოჯახის ჯაყოს ხიზნობა, სადაც აღმიაწერი თემოყვარეობის, ზნეობის, სულის შერყენისა და შელახვის უკიდურესი ჩვენება ხდება. მიუხედავად ამ მხატვრულ გამაფრთხილისა, ეს ურთიერთობები რეალურ საფუძველზეა აგებული და ფსიქოლოგიურად მოტივირებული. მაგრამ მწერალი აქ არ ჩერდება და ბოროტების ამ ორივე კონტრასტული საწყისის ბედსაც მიგვიჩვენებს. არც თეიმურაზსა და არც ჯაყოს არ უწერია დიდი დღე ახალი ცხოვრების პირობებში. მებადურისა და მისი ცოლის არ იყოს, ჯაყოც უბრუნდება თავის დამტყვევლ ვარცხს, რადგან ძალა აღმართს ხნავს და ახალი ცხოვრების სულისკვეთებას თვით ჯაყოც ვერ ერევა. ასე ვერთიანად ხელმოკრულთ ვხედავთ რომანის ბოლოს თეიმურაზსაც და ჯაყოსაც, ხოლო მათი ნამამულარი კი ხალხის საყვარებელ ქვეულასოფლის სიკეთე და ძალა ახლა თვით მშრომელი გლეხობის ხელშია. და თუმცა წინააღმდეგობა მშრომელი გლეხობის განმასახიერებელი სხვა გმირები აქ ეპიზოდურად წარმოგვიდგებიან, ეს არა ჩქმალავს ავტორის ისტორიულად სწორ პოზიციას. ხოლო თუ რომანის მანძილზე ძირითადად თეიმურაზის, ჯაყოსა და მარკოს ხასიათებში ვერკვევით, ეს მწერლის ჩანაფიქრის თავისებურებაზე მეტყველებს და ჩრდილს არ აუქნებს ამ ელასტიკურ ძალის ნაწარმოებს. მწერლის ჩანაფიქრი და ამ რომანის პათოსი კი მხატვრული მხილვება.



რომანი „თეთრი საყელო“, რომელიც მწერალმა 1926 წელს გამოაქვეყნა, რთული ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული გახრება და გადაწყვეტა. თუმცა პრობლემის ამ სირთულემ სრულებითაც არ „დაამიძა“ ნაწარმოები. მიზელი ჯავახიშვილმა ციცილიზაციის, პროგრესის, ცხოვრების მდინარეების (თუნდაც ალავე მდელი, მაგრამ მაინც მდინარების), მისი განვითარების მიღება-არმიღების მეტად მწვავე, ფილოსოფიურად და პოლიტიკურად მდელვარე საკითხი პირობად მარტო, ცოცხალი სურათების დაპირისპირებით გადაჭრა და შექმნილ სავსებით არიდებოდა განყენებულ, თეორიულ მსჯელობასა თუ სენტენციებს.

თავის დროზე არც „თეთრ საყელო“ გაუგეს სწორად მწერალს. რატომღაც ამ რომანიდან სრულიად საწინააღმდეგო რამ ამოიკითხეს იმისა, რისი თქმაც მწერალს უნდოდა, და არა მარტო უნდოდა, კიდევაც თქვა. მიზელი ჯავახიშვილს სწორედ ცხოვრებიდან ვახდომის, მისი პროგრესის უარყოფის ტენდენცია მიაწერეს.

მწერალი ე. ბახტაძისადმი (ვინც პირველმა გამოთქვა ეს მცდარი მოსაზრება) მიწერილ წერილში იძულებული იყო თავად აღენიშნა „თეთრი საყელოში“ ჩადებული აზრი და სათქმელი. „თემატიკურად“ „თეთრი საყელოში“ ახალი არაფერია, — წერდა მ. ჯავახიშვილი. — ეს თემი — ქალაქში გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება — რუსის, სამსუნს, კელერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით განსხვავდები მათგან, რომ გმირი ისე ქალაქში დავაპირებ, ე. ი. კარჩავეტილობა დავმეცად და გამარჯვება კულტურას მივაქუთვინე“ (იხ. „მნათობი“ № 11-12, 1943 წელი, ე. ბახტაძისა და მ. ჯავახიშვილის მიმოწერა).

მიუხედავად მწერლის ამ აღსაზრებისა, მაინც არ დაუკერეს მას და დღესაც მკვლევართა და კრიტიკოსთა ერთ ნაწილს ღრმად სურს, რომ მ. ჯავახიშვილს სურვილი ეგება სხვა ქონდა, მაგრამ ფაქტიურად „თეთრი საყელოში“ ჩამორჩენილობის, უკულტურობის განმასახიერებელი გმირები რომანტიკულადაა დახატული, ამდენად პატრიარქალური მთის ბნელი ყოფა და ტრადიციები იდეალიზირებულია, ხოლო ქალაქი, ცივილიზაცია, რაც უნებისყოფი, შინაგანად ცარიელი ელიზბარის სახითაა წარმოდგენილი, ან კიდევ ცუქციებითაა დახასიათებული, რუსოსებურადაა უარყოფილი.

„თეთრი საყელო“ ასეთი უმართებულო შემდარება იმით უნდა აფსნათ, რომ მკვლევართა ერთმა ნაწილმა მცდარად გაიგო რომანის მთავარი გმირის ელიზბარის სახე. ამან კი განაპირობა ყველა სხვა შეცდომა. ელიზბარის გამოცხადება ინდივიდუალისტად, ან შინაგანად ცარიელ, უმოქმედო, გონებადახურულ ადამიანად უთუოდ მცდარია და რომანიდან ცალკეული ფრაზების მექანიკურ ამოგლეჯას უფრო ემყარება, ვიდრე მის კონცეფციასა და სულისკვეთებას.

წიკაურების მივარდნილ, ამ ქვეყნისაგან სავსებით მოწყვეტილ სოფელში სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ელიზბარი, რომელიც მოხიბლა შეურყენელი ბუნების სილამაზემ და სიმშვიდემ, ასე ფიქრობს:

„ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამოშფიტა, მოქანცა და ფულერო მყო. რაც მჭონდა და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დაეკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპების მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმწვევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მჭონდა და აღარაფერი არ შემჩრა. სული დამიკარიელდა და ვერაფრით ველარ ავავსე. ამიტომ იყო, რომ ჩემი ტანიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უტბობა გალხვა და გაინაბა. ისეთი საამური ბანგით ვარ გაუღუნოლი, რომ უძრავად თუნდ ერთ წელიწადს გაქვლებ, თუნდ სამუდამოდაც დაერჩები, ჩემი გუმიანი



ძალდატანებას ან საპატივებელ საბაზს ელოდებოდა“.

თუ მხოლოდ ელიზბარის ამ შინაგანი მონოლოგით ვიმსჯელებთ, მართლაც შეიძლება ზემოთაღნიშნული დასკვნების გამოტანა. მაგრამ ამით მხოლოდ იწყება ელიზბარის გაცნობა, მთელი რომანი კი სულ სხვანაირ, საპირისპირო ელიზბარს გვიხატავს. გმირის მიერ საკუთარი თავის ეს დახასიათება მწერალს იმისათვის სჭირდება, რომ ჩვენ დაევიჯროთ, გავიგოთ ელიზბარის გადაწყვეტილება დარჩენის მთაში, მოსწყდეს ქალაქს, ცოვილიზაციას, რაც მთავარია, თავის ცოლს ცუცქეპის, რომელმაც ქალბო ემანსიპაციის თავისებური, უკუღმართი გაგებით საერთოდ შეაძულა ელიზბარის ქალიც, ემანსიპაციაც, ცოვილიზაციაც და სიცოცხლეც. აი, ასეთ კრიზისულ მომენტში მოხვდება ელიზბარი მთაში, სადაც თითქოს ყველა პრობლემისგან თავისუფლდება და გასაკვირი აღარაა ის დიდლილი კაცის მონოლოგი. თან ეს უბრალოდ საბაბიკია, რომ გმირი ამ პატრიარქალურ თემში დარჩეს და, ამდენად, მწერალს საშუალება მიეცეს ცოცხალი სურათების დაპირისპირებით მივიყვანოს მთავარ სათქმელამდე, არ მიმართოს მსჯელობასა და თეორიული მოსაზრებების მშრალ დეკლარაციას.

ამ თავდაპირველი მონოლოგის გარდა, ელიზბარი მკითხველს წარსულდება ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღ ადამიანად, რომელსაც თავისი საქმე, მამულისათვის სასარგებლო საქმე აქვს. იგი ყარგი სპეციალისტი — გეოლოგია, მოწინავე და განათლებული ადამიანი, პროგრესული მიზნებითა და იდეალებით გამსჭვალული. სწორედ ამ გმირის თვალში ადარებენ მწერალი ძველ, პირველყოფილ დონეზე მდგარ სამყაროს დუნე, ერთფეროვან, გაყინულ ცხოვრებას თავნებურად ცოვილიზებული მსოფლიოს მშფოთვანი, რიტმიან, პროგრესის წყურვილით დაუმცხრალ მოქმედებასა და სულისკვეთებას. სწორედ ამ გმირის საშუალებით მივყავართ მას ერთადერთი სწორი დასკვნისაკენ.

თეთრი საყვლი და ჯაჭვის პერანგი ცივილიზაციისა და პატრიარქალუი სამყაროს სიმბოლოებია. ძველი, კარჩაკეტილი, პრიმიტიული საზოგადოება, ერთი შეხედვით, რომანტიკული ფერებითაა დახატული და თითქოს უფრო ჰუმანურ, ვიკასურ პრინციპებზეა დაფუძნებული. მაგრამ როდესაც ელიზბარი ხანგრძლივად დაყოფს ცივილიზებული სამყაროსაგან ამ გამოთქმულ სოფელში, დარწმუნდება, რომ მისი ჰუმანიზმი უფრო მოჩვენებითია, გარეგნულადაა ეფექტური, სინამდვილეში კი ქიშხობისა და ევრაგობის. სისასტიკისა და დაუნდობლობის დაუწერელი კანონები აქ კიდევ უფრო მძაფრად მოქმედებენ. მიუხედავად ამ თავდაპირველი რომანტიკული ელვარებისა, ელიზბარი თანდათან სულ უფრო ნათლად ხედავს ამ სოფლური იდილიის შიგნით მიმაღლ მთელ სირთულესა

და ქუქუს, ამიტომაც ისწრაფვის უკან, ქალაქისაკენ, ცივილიზაციისაკენ. ელიზბარს სწყურია მოქმედება, შრომა, მოღვაწეობა იმ სამყაროში, რომელიც პროგრესის გზაზე დგას. ელიზბარი რწმუნდება, რომ თეთრი საყვლის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება უაზრობაა, თვითმკვლელობაა. ასეთი მიზანდასახულების მატარებელი მხატვრული სახის გამოცხადება სულიერი ენერგიისაგან დაცლილი ადამიანის გამოხატულებად უნდა იქნა მცდარი.

მიხეილ ჯავახიშვილი პატრიარქალურ ყოფას რაღაც განყენებულ ცივილიზაციას კი არ უპირისპირებს, არამედ სრულიად კონკრეტულ პროგრესულ სამყაროს — სამკოთა სინამდვილეს. მთიულეში მას „წითელ ღემას“ უწოდებენ, მაგრამ სწორედ ამ სინამდვილის მიღების აუცილებლობაში გვარწმუნებს ავტორი და ეს მისი დიდი მოქალაქობრივი დამსახურებაა. ნუ დაგვაიწყებდა, რომ რომანი 1926 წლიდან დაწერილი, როდესაც ქართული მწერლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იდგა ახალი ცხოვრების პოზიციებზე, ბევრი რამ გაუგებარი და იკნებ უცხოც იყო მისთვის. იმ დროს ასეთი ნათელი და მოქალაქობრივად შემათული ნაწარმოების გამოქვეყნება მიხეილ ჯავახიშვილს დიდ დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ.

თავისი გმირის გადაწყვეტილება რომ შთამბეჭდავი იყოს, ხოლო საკუთარი ჩანაფიქრი შედარებით უფრო ძლიერად და სარწმუნოდ თქმული, მწერალი თავიდანვე შავი და თეთრი კონტრასტული ფერებით როდი ანსხვავებს იმ ორ სამყაროს, რომელთაც ერთმანეთს უპირისპირებს. პირიქით, იგი თითქოს უფრო მიზმიდევლად ხატავს იმ სამყაროს, რომლის უნაყოფობაშიც თანდათან სულ უფრო უშუალოდ და ძლიერად რწმუნდება ელიზბარი და ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილებით გაურბის კიდელ.

მთაში, ამ ქვეყნისაგან მოწყვეტულ სოფელში, „ყველანი და ყოველივე ზღაპრისა და ლეგენდის ბაღით შეხავსულა“. ელიზბარს გულწრფელად იტყვობს ის „ცოცხალი და შიშველი ბუნება“, რომელიც ხათუთას, კურხას, თუ საერთოდ „დაეღა და სისხლიანი“ ქალღმებისა და ვიკიების სახით წარმოუდგება. დიდი რომანტიკული შარავანდელითაა მოსილი ხათუთასა და ელიზბარის, მთაში ვიკიად მონათლულის, მიჯნურისა. ეს დიდი ვნებიან და სულიერი სიღაჭიზით სავსე სიყვარული უპირისპირდება ელიზბარისა და ცუცქეპის ქალაქურ სიყვარულს. ამით მწერალი უფროდ რომანტიკული მითის სასარგებლოდ ვანაწყობს მკითხველს. სწორედ ამის შემდეგ იწყება იმ შინაგანი წინააღმდეგობის, უსამართლობის, თვითნებობის, ევრაგობის გამოხატულება, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა იმოქმედოს ჩვენზე, რადგან ასე მოვიხიბლეთ ამ ერთი შეხედვით უხალის სამყაროთი. ნელ-ნელა ელიზბარს და მასთან ერთად მკითხველსაც თავს ამერბებს ათასგვარი ადამი,

ბევრწილად არაქმანური: მტრების მარჯვენის მოყვება, სისხლის ვუთავებელი ღვრა, ქალების არადაძინაური მოპარობა... მაგრამ ყველაზე მეტად აუტანელია მთაში გამეფებული უმოქმედობა. აქ არ იცნობენ არამეთუ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ელემენტარულ ჩვევებს ან წიგნებს, არამედ არ იციან დროის ანგარიშიც. მათ არ აინტერესებთ წელი და თვე, რიცხვი და საათი. ისინი, მართალია, ნადირობენ, შრომობენ, იღებენ, იზრებენ, ქაშობენ, მიჯნურობენ, მაგრამ სავსებით გამოთოშული არიან ვარემოსა და დროსაგან. ამდენად მათი მოქმედება, ფაქტურად უმოქმედობაა, მათი სიციცხლე, ფაქტურად სიცილია. აი ამიტომაც, რომ ელზბარს, რომელსაც თავდაპირველად „ნამდვილ სამოთხედ“ მოეჩვენა წიკლაურების სოფელი, ახლა კოვახეთად გადაეცემა იგი. ხოლო, როდესაც ხევსურების მთელი ოცნება ბატონიშვილის ტახტზე დაბრუნებას ვერ ვასცილდა, საბოლოოდ იგრძნო მათი გონების გამოფიტვა და სულის დამრევა. ოცნებისა და იდილიის ასეთი მსხვერპვის შედეგად იგრძნო ელიზბარმა, რომ თოკებით ყოფილა იმ ნაპირთან მიბმული, რომელსაც გამოუქცა და ვიღაც თურალაც სჭიმავს ამ თოკებს და კვლავ გადმისაყენ მთარეცხს. თეთრი საყელო ქაჭვის შერანგებ ბევრად უფრო ძლიერი გამოდგა. ამაში საბოლოოდ დარწმუნდა ელიზბარი და რომანის მთავარი სათქმელიც მის გამოსამშვიდობებელ სიტყვაშია, რომლითაც მიმართა წიკლაურებს:

— თქვენ შარშანაც მიშველეთ, მიძიმეთ და დედ-მამობა გამოიწიეთ. მაგრამ მე დამაიწყვდა, და არც თქვენ იცოდით, რომ მეორე დედაც მყავდა. ის დედა კი არა, ოკი წლის წინათ რომ დაეგრძობებ, არამედ მეორე, თქვენსა და ჩემზე უფრო ღივი, უკადრე, მარადული: ჩენი საერთო მშობელი, მშობელთ-მშობელი, უწლო და დაუსრულებელი. ის არის დედაჩემი, იგივე მამაჩემი, იგივე დაი, მამა, ბიძა და ყოველი ნათესავი ჩემი. ეხლა ის მშობელთ-მშობელი მეძახის, მიბრძანებს! გარდუვალა კანონი და უშლეველია ძალა მისი! ამიტომ მივდივარ, მიტომ ვუბრუნდები უძველი შვილი ჩემს ბარაქთან მშობელს — ბარს, ქალკს, ხალხს, ცხოვრებას და ნამდვილ მიწას. ქვეყნით ქალაქში მშობლარე ორთქლი და გახამებული საყელო, ჯადოსნური ელექტრონი და თეთრი საცვალი, ცოცხალი რჩინა და კბილის საწმენდი, წიგნი და რადიო, ქრონომეტრი და რენტგენი, სამონი და აბანო მელოდება. თქვენი კი აღარა მგერა, ჩემო უფიწყარხო: აღარც კუდიანი ოჩონინტე, აღარც თეიმურაზ ბატონიშვილი, არც ჯემალ-მუსხარადი, არც ფარსმან მეფე, არც დამნა და არც ფარი, არც კაიანი თოფი და აღარც მამახარა, არც იაპონია, აღარც ხინკალი და აღარც კუდიანთ წუხრა. ყველას უღრმესი საღამი და მადლობა: თქვენც და ოჩონინტესაც, თეიმურაზსაც და ხინკალსაც, ფარსმანსაც და ჩახუტსაც, კაიანი

თოფსაც და იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილსაც, ყველამ თავისი შესარულა და წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდებდა. მე კი ბარში და ქალაქში მომელის ჩენი მომავალი. მომელის და თოკით მიმათრევს, თოკით! ამ თოკის ბოლოს აქვე ეტოვებ. ყველაზე გვექნებათ მიბმული. მე იქიდან მოვწევი, თქვენ აქედან მომზიდვით. ვნახავთ ვინ გადსაწყვეს, თქვენ თუ ქალაქი? თუ ჩავითრით, ვცხონდებით. თუ მაჯობთ, ვაი ჩენი ბრალი! ვერც იაპონია გვიშველის მაშინ და ვერც ოჩონინტე, ვერც ხანჯალი აგვაყენებს და ვეღარც ფარსმანი გავაცაოცლებს. მაშ აგრე, კვირფასო მამებო, დედაბო, ძმებო და დედაბო. მშვიდობით და მადლობით!

ამას გარდა, თუ ჯერხასა და ელიზბარის უკანასკნელ საუბრასაც გავიხსენებთ, სავსებით განსაგები იქნება მწერლის სათქმელიცა და მისი განსახულობაც. ჯერხას „ჯანსაღი ველურობა“ ურჩენია „განათლებულ გადაგვარებას“, ხოლო ელიზბარი „თეთრი საყელოსა“ და „ჯიშის შენახვის“ ბედნიერი შერწყმის მომხრეა. ამის ერთადერთ მიზეზად უნდა აღვსაქმებოთ „ბოროტის ველზე“ მოქმედება მიანიჩა და არა „დათვის ბუნავში“ შექრამა და დამალვა.

მიხელო ჯავახიშვილმა ოციანი წლების დამლევს კიდევ ერთი რომანი გამოაქვეყნა — „გვივი შადური“. ეს უფრო სათავგადასავლო განზრის ნაწარმოებია, საინტერესო თავისი აგებულებით, სადაც რამდენიმე ერთმანეთისაგან დასუფილებული ნოველაა.

მიხელო ჯავახიშვილი სიუჟეტის ღივი ოსტატია. იგი ყოველთვის ახერხებს ისე საინტერესოდ და მძაფრად განავითაროს მოქმედება, რომ თავიდანვე დაიმორჩილოს, დაატყვევოს მკითხველი, სულმოუთქმელი წაყითხოს ნაწარმოები და ამით თავისი მთავარი სათქმელიც უთხრას. ეს ოსტატობა მწერლისა განსაკუთრებით თვალნათლივია „გვივი შადური“; თუმცა არც სხვა რომანებში და მოთხრობებშია ნაკლები საჩინო. აქაც, ისევე როგორც „ჯაყოს ხინგებში“ თუ ბევრ სხვა თავის ნაწარმოებში, მწერალი წარმავლ სამყაროს, ფეხქვეშ ნიადაგამოცლილ ნაკაცარებს გვიხატავს.

გივი შადურიც თავის თავს ნაკაცარს უწოდებს. ეს ეგებ მართლაც ასეა, მაგრამ მის სულოვრ დაცემას უფრო პირადი, ინტიმური ცხოვრების რღამა უღვევს საფუძვლად, ვიდრე საზოგადოებრივ-კლასობრივი. ისტორიული ქართველები სრულიად ლოკიკურად წაუღკვენ ბორისაგან მიწისა ემთა ვითარებისაგან მიხრწნილ საზოგადოებრივ ძალებს და ნაკაცარებად აქცევენ თეიმურაზ ხევისთავეს თუ „გივი შადურის“ ნოველათა გმირებს. მაგრამ ქართველი ზოგჯერ უსამართლოდ მიაყოლებს ხოლმე მათ ჩვეულებრივ. სანდო და კეთილ აღმანიებასაც, რომლებიც ნაკაცარებზე უკეთეს ხედრის იმსახურებენ. აი, სწორედ ასეთ აღმანიებს განსა-



ხიერებს გვიე შეადრიც—პირადი ინტრიგების, აღმამიწური სიმუხთლის, რევოლუციური ქართუხილებით ბორბად მოსარგებლუ პირთა მსხვერპლი, უდამაშულოდ დასჯილი არა ისტორიის, არამედ ანგარებით საესე აღმამინის განუკითხველი განაწენით.

საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესულ ძალებს ხშირად ეტმასნებთან ბორბტი, მედროვე აღმამიწები. ასეთი იყო ჭყყო. ასეთია ის პროტორიტი, რომელმაც ღამაში ცოლის გამო გასწორა გვიე შეადრიც, დაუნგზია ცხოვრება და ნაკიარად აქცია. მწერლის მახელი თვალ ცხოვრების ამ ბორბტებასაც ამწნეს და მისი მხატვრული აქცენტრირებით ამწხლს ამ საზოგადოებრივად საშიშ ძალას. თუმცა ახალი საზოგადოების ჭანსალი სხეული ვერ იგუებს ამ ხორცმეტებს და მით დიდი დღე არ უწერიათ, ისინი ახერხებენ ბორბტების ჩადნას და ამ ცხოვრებისეული ფაქტის მხატვრული ფიქსაციით მწერალი მრავალმნიშვნელოვანდ გვაფრთხილებს.

სწორედ გვიე შეადრის ნაამბობიდან ვიგებთ ჩვენ არა ერთ უცნაურ, მაგრამ მრავლისმთქმელ ისტორიას, ვეცნობით რევოლუციის ქარიშხლისაგან ხმელი ფოთლებივით მოწყვეტბილ და განწირულთა მორგეში ვადსარბლი პეტრე სკოლოწევაკრდნამეს, ყარამან ჭიქურაულს, სეხნია ლაჩიშვილს და სხვებს. მაგრამ სადაც კი გვიან არ არის, მაინც სიყვთე იმარჯვებს. ამბობთ, რომ ჭიქურაულებსა და ლაჩიშვილებს აყოლილი მარადი თავლედი, დენერალ თავლედიის ქალიშვილი, კეთილი ხალხის წყალობით ცხოვრების წუმედან კვლავ უბრუნდება აღმამიწურ ცხოვრებას. გვიე შეადრის თავისი თავის შველა აღარ შეუძლია, მაგრამ მარადის გაუწყვდის დამბარების ხელს, უთანაგრძნობს ამ უცნაურ ქალს, აპოწინებს ცხოვრებაში ბედნიერებითა და ოჯახური იდილით საესე სწორ გზას, ნათელი ფინალით მწერალი რადაც იმედის სხივსა სტოვებს იმ აღმამიწთა ცხოვრებაში, რომელთაც ბედმა—მღევარმა თუ ისტორიულმა ვითარებამ თავისი საბოლოო განაწენი არ გამოუტანა. ამგობრებო, ამით გვათავებ. — ამბობთ გვიე შეადრიც, — იგი სეადით დაიწყო და ბედნიერად დასრულდა. დამიჯრეთ, ისევე ეს სჯობია, ვიდრე სიცილით დაიწყო და ცრემლით გაათავო“.

ასეთია ამ ნაკიარის კეთილი გული და ძნელია მისი გულისთქმა არ გაიზარო, თუმცა გვიე შეადრის საყუთარი დანგრეული ცხოვრება ვერ აღუდგენია, მაინც ბევრი რამ დაეჯერება ცხოვრების მწარე გამოცდილებით ნაკარნახევი და ალალი გულით ნათქვამი. დაეჯერება ეს აღსარებები:

„მე უკვე ნაკიარი ვარ. წარსულმა მომატყუა, აწყო მაწვალებს, მომავალი მაწინებს და ასე დაედევარ ამქვეყნად, როგორც ქვრივი საფლავზე და, რადგან მიმავალი ვარ, ამიტომ ქრალს სირბილი მირჩენია, სირბილს — სიარულს, სიარულს — დგომას, დგომას — წოლას,

წოლას — ძილი, ძილს კი — სიყვდილი. თქვენს კი, ამირანებო, ესალა მიპქრით და ყველაფერს მიანგრეთ. რადაც ქქუსს თქვენს სისხლში, ვიდაც მღერის მაგ გულში, რადაც იწვის მაგ გულში, ფრთხილად, მზეკაბუტებო, ის ეილაც თუ რადაც არ დაადუმით, არ ჩააქრით, ბუს ფარშევანგი არ მოაყლიყვინეთ, და ესეც იყოველი სულიერი მოღუნებას— ისევე თავის მოყვლა სჯობია...“

ამ ნაკიარებზე და მათი ცხოვრების მწარე გამოცდილებაზე დაწერილი რომანივით მწერალი კვლავ უბრუნდება თავის მთავარ სახრუნავს და სათქმელს, — სულიერი სიმწხვევისა და მოქმედების აუცილებლობას გეიქდაგებს და გვიწერავს.

7.

მიხეილ ჭავჭავიშვილმა სიცოცხლის უჯანსაყელ წლებში დაამთავრა ორი ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“ და „ქალის ტვირთი“. საგულისხმო და მრავლისმთქმელი ფაქტია, რომ უჯანსაყელ რომანებში მწერალმა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, რევოლუციური გარდაქმნებისათვის ბრძოლის ისტორიული სურათები გააყოცლა და ამით თავისი შემოქმედება ახალი ინტერესებითა და სულისკვეთებით გაამდიდრა. თუ „არსენა მარაბდელი“ მან მეცბრამეტე საუქუნის პირველი ნახვევის გუბათა მომარბის ფართო პანორამა დაგვიხატა, „ქალის ტვირთი“ მეოცე საუქუნის პირველი წლების რევოლუციური ეპოქა ვაიხადა მხატვრული წარმოსახვის საგნად.

ამ რომანებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიხეილ ჭავჭავიშვილის შემოქმედებაში. აქ ნაოლად ჩანს მწერლის მიერ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვება. ხალხის რომლის წინა პლანზე წამოწევა, ისტორიული მოვლენების ქვრება მათი განვითარების პერსპექტივებით, წარსულის ფაქტების გაცოცლება და წარმოსახვა სოციალისტური იდილოლოგიის პოზიციებიდან, ინტერნაციონალისტური სულისკვეთება და მთელი რიგი სხვა მხარეები ამ ისტორიულ რომანებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთერთ პირველ ნიმუშებად აქცევს ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში.

სახალხო გმირის არსენა ოქლამშვილის ვაქაციური ბიოგრაფია და ჰუმანური ბუნება, მისი პრიმიტიული დიდსულოვნება და კეთილშობილება, მშრომელი გლეხების თანაგრძნობა, მეზობლი სული და შემართება ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მეცბრამეტე საუქუნეშივე იქცევა ქართველი მწერლების შეუწელებელ ყურადღებას. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ასე ძლიერად დაინტერესდა არსენას პიროვნებითა და ბიოგრაფიით. რევოლუციაში გამარჯვებულ ხალხს წარსული

ცხოვროვებიდან ყველაზე მეტად აინტერესებდა და იზიდავდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ფურცლები, რომლებიც ემსახურებოდა მის სულისკეთებას, ფიქრებსა და ზრახვებს, რომლებშიც ჩანდა გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისათვის ხალხის შეგნებისა და ფიქივის ისტორიული მომზადების პროცესი. საქართველოს ისტორიაში რევოლუციებისათვის ერთ-ერთი ყველაზე შორეული და რომანტიკული შარავანდელით მოსილი ფურცელი იყო არსენას ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამიტომაც მოხდა, რომ ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთი თავფურცელი არსენასზე დაწერილი და ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი პირველი საეტაპო მნიშვნელობის წარმოდგენა არსენასზე დაიდგა რუსთაველის თეატრში.

მიხეილ ჭავჭავიძე იწერებოდა „არსენა მარაბდელი“ — თვითონვე ახსენებს, თუ როგორ დაინტერესდა იგი ამ სახალხო გმირის ბედით:

„ცხადია, რომ არსენამ დიდი ზნეობრივი ძაღლის წყალობით მოიპოვა სახელი. მას სისხლით არ მოუღოვებია ვაჟაკობა... ვაჟაკობის ექულდა და ერთავარი სულერი კეთილშობილება — აი, რამ მოსცა ოქლავილის ხასიათს გასადგები... მეორეს მხრივ, არსენას დროშაზე პრიმიტიული და უძლიერესი სოციალური სიმართლე ეწერა — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წახდენდა!“ ამ ორ ბურჯზე წარმოიშვა და დამკვიდრა ოქლავილის უკვდავება და ამანვე გამოჰკვეთა მისი ტიპი“.

მიხეილ ჭავჭავიძელმა თავისი ვრცელი რომანის ფურცლებზე წარმოგვისაბა გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრება და მხატვრულად გაგვიცოცხლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სურათები. ქართველ ფეოდალთა მიერ მშრომელი გლეხობის არაადამიანურ ჩაგვრას რუსეთის იმპერიის სისასტიკეც ემატებოდა, ამან წარმოიშვა გლეხთა მოძრაობები, რომელსაც ისტორიულად ჰქონდა ადგილი იმ წლებში. ხოლო ამ მღელვარებებს მწერალმა დაუკავშირა არსენა ოქლავილის სახეც. არსენა გლეხთა განთავისუფლების იდეით აღტაცებული მებრძოლია და ამ სულისკვეთებით რაზმავს თავის გარშემო ძალადობისა და თემშილის გამო ტყეში გაჭირვებას მწერალმა დაუკავშირა არსენა ოქლავილის სახეც. არსენა გლეხთა განთავისუფლების იდეით აღტაცებული მებრძოლია და ამ სულისკვეთებით რაზმავს თავის გარშემო ძალადობისა და თემშილის გამო ტყეში გაჭირვებას მწერალმა დაუკავშირა არსენა ოქლავილის სახეც. არსენა გლეხთა განთავისუფლების იდეით აღტაცებული მებრძოლია და ამ სულისკვეთებით რაზმავს თავის გარშემო ძალადობისა და თემშილის გამო ტყეში გაჭირვებას მწერალმა დაუკავშირა არსენა ოქლავილის სახეც.

მიხეილ ჭავჭავიძელმა ამ რომანში დაგვიხატა კლასიკური სიძლიერის გმირები, ისინი მკითხველის დაგვიხატაში ღრმადა სტოგებენ კვალს და გვიხსნიან, ერთი მხრივ, ქართველ ფეოდალთა კლასობრივ ინტერესებსა და ამათ შეპირობებულ სისასტიკეს, ხოლო, მეორე მხრივ,

ქართველი გლეხების უფლებებო მდგომარეობასა და ამაყ სულს, ვაჟაკურ ბუნებას. ყველაზე უფრო რელიეფურად ეს ორი სამკვერო-სასიცოცხლო დაბიძიების მხარე რომანში წარმოდგენილია ზაალ ბრათაშვილისა და არსენას თავების სახით, თუმცა ამ ორივე მხარის სხვა ბევრ გამოხატველ სახესაც ვეცნობით.

„არსენა მარაბდელი“ ნათელი ისტორიული ტილოა, სადაც მწერალი არ ეძებს რაიმე ორიგინალურ კომპოზიციურ აგებულებას ან მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს მეტი შთაბეჭდვაობისათვის. ესაა შინაგანი ექსპრესიით საესე მოთხრობა არსენა ოქლავილისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებაზე. მკითხველის ყურადღებას იპყრობს სიუჟეტის განვითარება, ქართველი გლეხობის ცხოვრების მართალი სურათები. ამ ვრცელი ნაწარმოების უბრალოება, სისადავე კიდევ უფრო ნათელსა ხდის მწერლის სათქმელსა და მიზანდასახულობას.

რომანი „ქალის ტვირთი“ უფრო იმითაა საინტერესო, რომ მასში მწერალმა გაგვიცოცხლა რუსეთის პირველი რევოლუციის ბოშაქარი დღეები და შექმნა ქართველ რევოლუციონერთა საინტერესო მხატვრული სახეები, ეს რომანი უფროდ დიდი სიხალის დასაწყისი იყო მიხეილ ჭავჭავიძელის შემოქმედებისა. თუმცა „ქალის ტვირთი“ მხატვრულად ბევრად ჩამოუვარდება მწერლის სხვა რომანებს, მაინც ამაყარაა მისი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა თუ, კერძოდ, მიხეილ ჭავჭავიძელის შემოქმედების განვითარებისათვის, რადგან აქ ნათლად ჩანს ახალი ინტერესები, ახალი ხედვა, რევოლუციური სინამდვილით გატაცება. მწერალმა თბილი გრძნობითა და ამაყარა სიმპათიით დაგვიხატა მტკიცე ნებისყოფის, საქმისათვის თავდადება რევოლუციონერის ზურაბ გურგენიძის, მისი თანამებრძოლის და სულელები მეგობრის მათა დოვლათაშვილის მხატვრული სახეები, დაგვიხატა სულიერი დრამა ინტელიგენტი ქალიშვილის ქეთო ახატნელი, რომელსაც ვერ უპოვია თავისი ადგილი ცხოვრებაში და რევოლუციონერთა თანაგრძნობის დონეზე რჩება მხოლოდ.

მწერალს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა თავისი ერისათვის სთქმელი. ამას მოწმობს მისი ჩანაფიქრები და გეგმები. განსაკუთრებით იზიდავდა მას ახალი ცხოვრება თავისი დიდი აწმყოთი და მომავლით. აპირებდა კიდევ ოქტომბრის რევოლუციისათვის თანამებრძოლების თემზე ფართო ეპოური ტილოს შექმნას, მაგრამ ამის განხორციელება, სამწუხაროდ, არ დასცალდა. მიუხედავად ამისა, მიხეილ ჭავჭავიძელმა დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ხალხს. იგი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია და მისი რომანები და მოთხრობები მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში თავის ღირსეულ ადგილს იმსახურებენ.

ჩვეუბ მიხვედაძე

«ცოღვილი»

სიკვილი - სიცოცხლის პრობლემა, ცხოვრების კანონზომიერების ულოგიკო დარღვევა, ადამიანის ბედის კვლევა და მისი სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ფონი—იმდენად თვალსაჩინო და მათუნებელი საკითხებია, რომ მას ყველა დროის და ქვეყნის დიდმა ლიტერატურამ გაუღო ხარკი.

გ. გეგეშიძის მიერ „ცოღვილიში“ დასმული და გადაჭრილი პრობლემები იმდენად არის სადღესო და აქტუალური, რამდენადაც ყველა ეპოქისათვის სადღესო და აქტუალური პრობლემებია, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, აღეღვებს და ინტერესებს თუ არა ჩვენს ახალგაზრდობას ანალოგიური საკითხები, აქაც იგივეს ვუპასუხებთ; ეს საკითხები ყველა დროისა და ქვეყნის ახალგაზრდობას ინტერესებს. რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა „ცოღვილი“ ქართული რომანის, მისი თემებისა და ხასიათების ტრადიციული პერსპექტივა? უნდა ითქვას, „ცოღვილს“ ქართულ რომანისტიკაში უშუალო წინაპარი არ ჰყოლია.

ეს ახალი რომანი გარკვეულ ასპექტში არღვევს (მაგრამ არა ყოველთვის წარმატებით), რომანის ტრადიციულ, შაბლონურ სისტემას.

რომანის მთავარი მოქმედი პირის — ვამეხ გურამიშვილს ფსიქოანალიზი საკ-

მაოდ რთული ზიგზაგებით, ძლიერი დაეჭვებებით და ზოგჯერ პარადოქსალური აზრებითაც მიგვიყვანს იმ ქეშმარიტებამდე, რომელიც გ. გეგეშიძეს უნდოდა ეთქვა.

ვამეხს უბედური შემთხვევის გამო ძმა შემოაკვდა. რაოდენ საპატიოც არ უნდა იყოს ნიშნები, იგი ყველა პიროვნებისათვის (როგორ სულიერ სიმტკიცესაც არ უნდა ფლობდეს) უზარმაზარი ტრავმაა. მისმკვლელმა თავის სულიერ ავონიას ვერ გაუძლო და შემთხვევითობამ საბოლოოდ დაარღვია მისი სულიერი წონასწორობა.

ვამეხმა თითქოს დაკარგა ცხოვრებისათვის ყველაზე აუცილებელი რამ — სიცოცხლის რწმენა. მაგრამ ვამეხ გურამიშვილმა სხვა რწმენა იპოვა. ცოღვილმა დასტოვა საკუთარი ოჯახი და „სიკეთის ქნის“ ძნელ გზას დადგა. დადის იგი ქალაქად თუ სოფლად სიკეთისა და სათნოების ოჩოკოჩივით.

ვამეხის მსგავსი ხასიათი დასავლურ ლიტერატურაში ახალი არ არის. ამ ათიოდე წლის წინათ ამერიკაში გამოვიდა ორი რომანი: „ჯონ ადამის „გაიქეცი კურდღელი“ და სოლ ბელოუს „პერსონაჟი“. პირველი რომანის მთავარი პერსონაჟია გარი — პროვინციელი დონ-კიხოტი, კეთილშობილი ინტელიგენტი, ყოველგვარი მიზნისა და იდეა-

ლის გარეშე. მეორისა კი — მოზეს პერცოვი-თერმოატომური დროის მიმართ ურწმუნო თომა და ამავე დროს ღვთის წინაშე შუასაუკუნეობრივი შიშით შეპყრობილი. რაც უფრო მეტად ეცნობა იგი სამყაროს, მით უფრო რწმუნდება თავის უძლეურობაში და მით უფრო ღრმად იკეტება თავის შინაგან სამყაროში. მკითხველი ვაგვიგებს, რომ ეს მავალითები რაიმე სხვა განზრახვით არ მოგვიტანია, გვინდა აქვე დავსვათ კითხვა, რომელიც „ცოდვილი“ ვაცნობილ მკითხველს აუცილებლად დაეხედება: — იძლეოდა თუ არა ქართული სინამდვილე ასეთი ხასიათის შექმნის პირობებს, ხომ არ არის ვამეხი ლიტერატურიდან მოსული „გულდაწყვეტილი“ ახალგაზრდა?!

...ვამეხი პროფესიონალ პესიმისტად იქცა. ყოველგვარ ზომიერებას გადაცილებული მისი ფაუსტური უკმაყოფილება მკითხველისათვის საინტერესო არ იქნებოდა, რომ ახალგაზრდა მწერალს ცოდვილი არ დაეხატა თვალსაჩინოდ ავტონომიურ პიროვნებად, რომლის არსებაშიც საიმედოდაა შენახული დიდი შინაგანი პოტენცია, ბრძოლისა და თავგანწირვის უნარი.

იმის შემდეგ, რაც ცოდვილი საგარეუბნო მატარებელს ჩამორჩა და ურიათუბნის ახლოს, ერთ პროვინციულ ქალაქში დაიდო ბინა, იგი თავისი მელანქოლიური პიროვნებით და ზაფხულისათვის საკმაოდ უცნაური ჩაცმულობით, მაშინვე იპყრობს ქალაქის მკვიდრთა ყურადღებას. ქალაქისა, რომელიც თავისი ჩვეულებრივი, მოსაწყყენი, პროვინციული ცხოვრებით ცხოვრობს. აქ, ინტელიგენტობას მდგომარეობის მიხედვით ზომიერ და არა კულტურისა თუ მორალურ-ეთიკური ღირებუბების მიხედვით. ამ ქალაქში საოცრად სჭირდებათ მეირა. ურიათუბნის ახლოს კარგახანია გადაეჩვივნენ გოცებას. აქ არც ფეიხოიას ხის სანახავად ჩამოსული კაცისა უკვირთ და არც წვეროსანი ებრაელის თავგამოდ-

ბული მტკიცება იმის თაობაზე, თუ როგორ გააჩერა იაშალა ნაინმა მზე.

ვამეხ გურამიშვილის ყოველ ნაბიჯს განუწყვეტლივ თან დაჰყვება ავტორის კრიტიკული თვალი; ავტორის თხრობა და ვამეხ გურამიშვილის შინაგანი მონოლოგი ხშირად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან. „ცოდვილი“ ჩვენი აზრით, რომანი-მონოლოგია, სადაც მწერალი ისე დაწერილებით (ზოგჯერ მშრალი ლოგიკური ცნებებითაც კი). განსჯის და იკვლევს მოქმედ პირობას ცხოვრებას, რომ კრიტიკოსს სალაპარაკოს ძალიან ცოტას უტოვებს. სხვა საკითხია, არის თუ არა ყოველთვის საჭირო ეს გაუთავებელი გასამართლებანი ვამეხის მიერ ჩადენილი სიკეთის თუ ცოდვებისა. ეს გ. გეგეშიძის სტილია, სტილი კი ძირითადად მწერლის შემოქმედებითი პრინციპებიდან გამომდინარეობს და მას „ცოდვილი“ საკმაოდ დასაბუთებული გამართლება აქვს.

ვამეხს ცოდვებისგან განწმენდა კი არ სურდა, მას უნდოდა ეპოვნა თავისი არსებობის გამართლების მორალური საფუძველი, მაგრამ იგი ჰამლეტისებურად ტრაგიკული პიროვნება აღმოჩნდა, ბოლომდე დარჩა თავის „ცოდვის“ მონად.

ხოლო მწერალმა, რომ უფრო ვამეხებინა ვამეხის ენერგიული სვლა თვითუარყოფისაკენ, იგი მრავალბანიან ხასიათად, რთულ პიროვნებად აქცია. ვამეხი სრულებითაც არ არის ყველაფრისადმი გულგრილი — ეგოცენტრისტი. ცოდვილის დუალიზმს ღრმა სულიერი ფესვები და მრავალგვარი ახსნა გააჩნია.

ვამეხი ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღეებში კედლის საათის მონოტონურ კაკუნსაც მტკივნეულად აღიქვამს; ეჩვენება, რომ ეს რეკვა ავისმომასწავებელი რეკვაა. საკმაოდ ეგზოტიკურ გარემოში ცხოვრებასთან პირისპირ მდგომი ცოდვილი ყოველდღიურად ქმნის და აყალიბებს თავის „ფილოსოფიურ“ სისტემას. ვამეხ გურამიშვილის ფილო-

სოფიურ „რჩეულიდან“ ერთ ამონაწერს მოვიტანთ:

„იქნებ ყველაფერი რაღაც უცნაურ ილუზიას წარმოადგენს. ცნობენ დროც ხომ ისეთივე არაზუსტი ცნებაა, როგორც დასაწყისი და დასასრული, როგორც მიმართულება სამყაროში? დრომ არ იცის, რა არის ხანგრძლივობა, ის მუდმივია, თუმცა ჩვენთვის ის ხანგრძლივობის გამოხატველიცაა“.

მატებს თუ არა რაიმეს ზემოთმოტანილი ამონაწერი ვამეხის ბუნების კვლევას? ჩვენის აზრით ბევრს არაფერს.

რომანის მთავარი მორალური და რელიგიური პრობლემები ძირითადად სწორად არის გადაჭრილი, მაგრამ ერთი შეხედვით „ცოდვილის“ მორალური კონფლიქტი ზოგს შეიძლება პარადოქსალურად მოეჩვენოს. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ რომანში გარკვევით არ იგრძნობა ავტორის ტენდენცია. გ. გეგეშიძე სიმბათითურად არის განწყობილი თავისი გმირისადმი, და ეს ბუნებრივია, მაგრამ არსებობს რაღაც შუალედური ზღვარი, საიდანაც ავტორი უნდა გაემიჯნოს თავის პერსონაჟს. ეს გამიჯვნა კი „ცოდვილში“ გამოკვეთილი არ არის. ყოფაცხოვრებითა აფექტებმა და ვამეხის რაინდული თავგადასავლების ხატვამ ისე გაიტაცა რომანის ავტორი, რომ ზოგჯერ თავისი, როგორც შეუვალი მთხრობელის, პოზიციიდან უკან იხევს და უსაფუძვლო სიბრძნის მღალადებელ ცოდვილს ღიმილით უქნევს თავს.

ბოლოს კი, ილუზიების სამყაროზე მაინც იმარჯვებს ცხოვრების ლოგიკა. რომანის დასასრულს ვამეხ გურამიშვილი ილუპება. რომანის მთავარი მოქმედი პირის სიკვდილი ამ ბოლო დროს თითქოს მოღად იქცა. თავნობეზრებული ავტორები ზოგჯერ სრულიად დაუმსახურებლად, მხატვრული დასაბუთების გარეშე გზავნიან თავიანთ გმირს იმ ქვეყნად. ცოდვილის სიკვდილი კი ნაწარმოების დასაწყისიდანვე მზადდება, იგი რა უცნაურ პირობებშიც

არ უნდა მოხდეს — გამართლებულ სიკვდილია.

ვამეხმა შეიგნო, რომ ადამიანი, მიუხედავად თავისი ყველაზე ლამაზი ოცნებებისა, იმიტომაც არის ადამიანი, რომ მას არასოდეს არ ტოვებს არსებობისათვის მებრძოლი „საზოგადოებრივი ცხოველის“ პრაქტიკული თვისებები. ცოდვილმა გაიხსენა მაწანწალა მევიოლინე, რომლის ხელოვნება, ყველაზე უფრო ქველმოქმედური განწყობის დროსაც კი მიმართული იყო საარსებო წყაროს მოპოვებისაკენ. ვამეხ გურამიშვილმა ეს ყველაფერი სწორედ მაშინ გაიხსენა, როცა კლდის ქიმზე დაკიდებული სიკვდილს ებრძოდა და როცა ყველაზე უფრო სჭირდებოდა რწმენა საკუთარი ძალებისადმი.

და ცოდვილმა ეს ერთადერთი იმედიც დაკარგა. რეალურ სამყაროსთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფიც გაწყვიტა და მისთვის საოცრად ძნელი შეიქმნა დაბრუნებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას. ვამეხს მოეჩვენა, რომ იგი ზედმეტი იყო იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ასე ძალიან უყვარდა და ვისთვისაც ბედნიერების მოტანა სურდა. სულერთია, ცოდვილს მაინც ვერ გაუგებდნენ; ურიათუნებლებმა ისედაც ბევრი გაიღეს მის შემოსაბრუნებლად. ვამეხ გურამიშვილი დაიღუპა სწორედ მაშინ, როცა უნდა დაღუპულიყო.

გ. გეგეშიძე მშვენივრად ხსნის ცოდვილის სიკვდილს: „ვამეხი მაშინ მოკვდა, როცა დაკარგა რწმენა მალა ასვლისა. იგრძნო, ვერ ავიდოდა ამ კლდეზე. რადგან არავითარი სხვა ქვეყანა არ არსებობდა გარდა იმ ქვეყნისა, რომელიც დასტოვა ძირს“.

მიუხედავად ვამეხის სიცოცხლის წინასწარდაგეგმილი დასასრულისა, მიუხედავად იმ დიდი სულიერი ტკივილებისა, რომელსაც ცოდვილი ატარებს, ავტორმა თავისი გმირი უმწეო, შესაბრალებელ პიროვნებად კი არ დაგვიხატა, არამედ, ისეთი ძლიერი ფიზიკური თვისებების და არანაკლებ თვითმყოფადი ბუნების კაცად, რომელსაც მკით-

ხელი მხარდამხარ მიჰყვება, ხშირად თანაგრძნობას და სოლიდარობასაც უცხადებს.

ახალგაზრდა მწერლის კეშმარიტი გამარჯვებაა, რომ მან მკითხველისათვის საინტერესო გახადა კონკრეტულ მიზნებს და ადამიანურ ჩვეულებრივობას მოკლებული კაცი. გ. გეგეშიძეს ხომ ყოველთვის უჭირს ვამეხის დასაქმება: დილით, სახლიდან გამოსულმა ცოდვილმა, სრულებითაც არ იცის რა უნდა აკეთოს. მას საღამოთი იწინ მიბრუნების დიდი ხალისიც არ გააჩნია. პატარა, პროვინციულმა ქალაქმა ცოტა ხნით გაართო ფათურაკების მაძიებელი, სიკვდილმონყურებული ახალგაზრდა. მაგრამ ცხოვრების ორომტრიალში ვამეხის ჩასაბმელად ავტორმა ტრაფარეტულ ხერხებს — მრავალგზის ნაცად, მშვიდობიან გზას კი არ მიმართა, არამედ ცოდვილს ჩამოსვლისთანავე შეაგება მასზე არანაკლებ თავზეხელაღებული ადამიანები (შამილა და მისი მეგობრები), შეაგება დიდი და ძლიერი სიყვარული — ალისას სახით, დაახვედრა მეგობრის გამტანი გული და მარჯვენა (ძუკუ). მხოლოდ ასეთ გარემოს შეეძლო ვამეხის სულზე დიდი ზეგავლენა მოეხდინა.

ხომ არ აჯობებდა ავტორს მკითხველისათვის რომანის ბოლოს გაემხილა ვამეხის მიერ ჩადენილი ცოდვა. — მისი უცნაურობის მიზეზი? ვფიქრობთ აჯობებდა. ნაწარმოების შუა ნაწილში ფრჩხილების გახსნა (და მითუმეტეს, ვამეხის მიერ ძმის მოკვლის მეტად ყალბი, არადამაჯერებელი აღწერა) ინტერესს რამდენადმე ანელებს. მკითხველს ზოგჯერ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უჩნდება, თითქოს „ცოდვილი“ მეორე ნაწილია რომანისა, რომლის პირველ ნახევარში ყველაფერი მოხდა და რასაც ვკითხულობთ, მხოლოდ წინა ამბების ასნაგანმარტებიანი გაგრძელებაა. მკითხველის ამ გრძნობის გასაქარწყლებლად საკმარისი არ არის ვამეხის სახიფათო თავგადასავლების შეთხზვა (ხანძარი, სროლა ქუჩაში...).

ურიათუბანში ცხოვრობენ გ. გეგეშიძის მიერ საკმაოდ მართლად და ოსტატურად დახატული ადამიანები. მკითხველს დაამახსოვრდება ანტონი — მონეტიალურ ფილოსოფოსი, მერია — საბრალო და სასაცილომდე მუყაითი დენბილი, დრამწრის ხელმძღვანელი იასონი, გაბრაზებული შამილა, გაიძვერა ვახუშტი, ელამი ძუკუ — ეს მოუხეშავი და პირველყოფილი სათნობა, და რაც მთავარია ალისა, — უაღრესად საინტერესო და რთული ბუნების ქალი. რომანის დასაწყისში მკითხველს ერთი შეხედვით, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ალისა საკმაოდ ფუქსავატი, ვნებებს აყოლილი ქალია, რომელსაც ქალაქი დაყოფილი აქვს „ინტელიგენტურ“ მამაკაცებად (რომელნიც შეიძლება საყვარლად გაიხადო) და არაინტელიგენტურ ბიჭებად (რომელნიც უნდა გძულდეს). მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; სინამდვილეში კი გ. გეგეშიძემ ალისას ხასიათში კარგად შეაერთა სიყვარულით ანთებული ქალის უანგარო კდემა და არაჩვეულებრივი გამტანობა, ვაჟაკური სიმტკიცე და ქალურობა.

ავტორი თავს მოვალედ თვლის (და სწორადაც იქცევა), რომ ნაწარმოებში ახალი პერსონაჟის გამოჩენისთანავე, მოკლედ გვიამბოს მის ცხოვრებაზე, ოჯახურ წრეზე, გარემოზე, რომელმაც ჩამოაყალიბა მისი ხასიათი. უნდა ითქვას, რომ ეს მხატვრული არგუმენტირება „ცოდვილში“ დამაჯერებელია.

...ცოდვილი უფრო ჯიუტი (თუ უფრო ძლიერი) აღმოჩნდა, ვიდრე ალისას და შამილას ქალაქი. ვამეხმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე; რომანის დასასრულს უკვე აღარ დაჰყავს იასონს ავადმყოფებთან ალისა თავისი ველისიპედით, ლაზღანდარა ბიჭები აღარ აწვალენენ მერიას, არავის ემუქრება შამილა, ლეილა აღარაა გულგრილი ძუკუს მიმართ. აღარც ვახუშტის თვლიან პატიოსან და კულტურულ კაცად... და ეს ყველაფერი ვამეხის მეოხებით.

თუ თავისი პრობლემატიკით, ხასია-

თების განვითარებით, კომპოზიციური მთლიანობით და დაძაბული სიუჟეტით „ცოდვილი“ საინტერესო რომანია, საშაგეოროდ ნაწარმოების ენობრივი ქსოვილის, ლექსიკური არსენალის, სტილის სრულყოფის თვალსაზირსით იგი, ჩვენი აზრით, სულსაა.

რომანის პერსონაჟები ერთნაირად ან თითქმის ერთნაირად ლაპარაკობენ. საიდან მოგროვდა ერთად ამდენი მოწყენილი პიროვნება, რომელთაც გაუთავებლად შეუძლიათ ილაპარაკონ „სულზე“, „ქვეცნობიერ შეგრძნებებზე“, „სიკვდილზე“?

ბუნებრივია ვამეხის მიერ სულზე ლაპარაკი, ბუნებრივად ჩავთვალოთ ანტონის ასეთი შეგონებანიც: „აუცილებელია სხეულის მოთხოვნათა დათრგუნვა, რადგან ისინი ხელს უშლიან სულს, მხოლოდდამხოლოდ საკუთარი თავით იყოს გართული“.

იქნებ მარტო ვამეხი და ანტონი ლაპარაკობენ სულზე? ერთ მშვენიერ დღეს ლევანი (ექიმ კოწიას შვილი) გარკვევით აცხადებს:

„შთაბეჭდილება უდიდეს ზეგავლენას ახდენს სულზე, იგი მთლიანად ცვლის სულს“...

იქნებ მარტო ვამეხი, ანტონი და ლევანი ლაპარაკობენ სულზე?

„—მე არ მეშინია სიკვდილის — ამბობდა ალისა, — სიკვდილის მერეც შენი ვიქნები.“

— მე რომ შენზე აღრე მოკვდე? — იცინოდა ვამეხი.

— ეგ არ მოხდება.

— რომ მოხდეს?

— მაშინ შენ ჩემში დარჩები და ჩემში იცოცხლებ.

— როცა შენც მოკვდები?

— მაშინ ჩვენი სულები სადაც სივრცეში იპოვნიან ერთმანეთს და ერთად იქნებიან.

იქნებ მარტო ვამეხი, ანტონი, ლევანი და ალისა ლაპარაკობენ სულზე? აი,

ჩამოვიდა მიხა. იქნებ მიხამ მაინც დავკვასვენოს თავისმომაბეზრებელი „ფილოსოფიური კინკლაობიდან“? არა და არა.

„— რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ გასწვდები — თქვა მიხამ — მაგრამ რა ვითხრა იცი, ვამეხ? ყველაფერი, რასაც ჩვენი აღქმა წვდება თითქოს ხელშესახებად რეალურია და ამას არ უნდა გავეშვათ“.

ნუთუ ასე ილაპარაკებენ დიდი ხნის უნახავი, მოყვარული ძმები? ისე დიდია სურვილი მწერლისა, ყოველთვის პოლემიკურად მომართული ჰყავდეს თავისი პერსონაჟები, რომ იგი ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებს ამ ადამიანებს. „ცოდვილი“ არის ასეთი დეტალი: ვამეხისა და ძუკუს წინაშე ქუჩაში დგას მიუსაფარი, ორი დღის მშვიერი, სიცხიანი ანტონი, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება დახმარება. ვამეხი და ძუკუ კი მთელი სერიოზულობით იწყებენ კამათს ლოთობისა და მათხორობის წარმომშობ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებზე.

მსგავსი ადგილები გ. გეგეშიძის რომანში ცოტა როდია, მაგრამ უფრო მეტია მასში ქეშმარიტი მწერლის ხელით დაწერილი ადგილები, მართალი სიტუაციები, კოლორიტული პორტრეტები, დასამახსოვრებელი ხასიათები.

„ცოდვილის“ მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში აშკარად ჩანს, ჩვენი თანამედროვის რთული ბუნების კვლევის ტენდენცია. ხოლო ეს კვლევა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის დაკვირვებული თვალით, ძირითადად სწორი მეთოდებით წარმოებს.

ნუ გამოვუდგებით კამათს იმის შესახებ, შეძლო თუ არა გ. გეგეშიძემ რომანში დასმული ყველა კითხვისათვის სწორი პასუხის გაცემა. ჩვენ ვფიქრობთ, ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ასეთი რომანიც უნდა დაწერილიყო.



ქართული ფელეტონი 900-იან წლებში

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, საძულველი რეჟიმის დასამხობად მშრომელთა დარაზმეაში დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ, მისმა მებრძოლმა ჟანრმა ფელეტონმა. ქართული ფელეტონის განვითარების ისტორიაში 900-იანი წლები განსაკუთრებული მნიშვნელობის ეტაპს წარმოადგენს.

კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა პროლეტარიატის გაჩენა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა მოესპო ექსპლოატაცია, აფშენებინა ახალი საზოგადოება. უკმაყოფილება და პროტესტი პირველ ხანებში სტიქიურად ვლინდებოდა. 1872 წელს თბილისში, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში მოხდა პირველი დიდი გაფიცვა. მალე მას შეუერთდნენ რკინიგზელი მუშები. მოძრაობა სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ კი გაფიცვები და აჯანყებები მთელ რუსეთს მოედო.

სწორედ ამ მძაფრი და ქარიშხლიანი სოციალური ძვრების პერიოდში გამოჩნდა ქართული რევოლუციური ფელეტონი, რომლის პირველი ნიმუშების ავტორი გახდა მშრომელთა საყვარელი პოეტი იროდიონ ევდოშვილი. მისი მგზნებარე, მებრძოლი სტულისკვეთებით

გამსჭვალული სატირა დაუნდობლად ესხმოდა თავს და ამათრახებდა მუშათა მტრებს. მან „... პირველმა დახატა წარმოების მუშისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან გალტაკებული ადამიანის სახეები, მათი შეურიგებელი, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი მტრული სტულისკვეთება“ (ერ. ქარელიშვილი, „იროდიონ ევდოშვილი“, 1956, გვ. 95).

დიდია ირ. ევდოშვილის დამსახურება ქართული რევოლუციური ფელეტონის შექმნაში. მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ქართული ფელეტონის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელია. როდესაც ეცნობი პოეტის ბიოგრაფიას მოკლეს, მაგრამ ამდღევანდელს, უნებურად გიპყრობს დიდი პატივისცემის გრძნობა ამ ადამიანისადმი, რომელიც საკუთარ თავში ყოველთვის პოულობდა დიდ ენთუზიაზმს, მებრძოლურ ენს, შეექმნა შესანიშნავი, გამანადგურებელი სატირით გამსჭვალული ფელეტონები.

ირ. ევდოშვილის სატირული ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა 1900 წლიდან. „რევოლუციის მგზნებარე პოეტის კალამი საკმარისად მახვილი და სუსხიანი აღმოჩნდა სატირისა და იუმორის ჟანრშიც. ირ. ევდოშვილი

თავისი დროის — 90-იანი და 900-იანი წლების მეტად პოპულარული ფელეტონისტი იყო. თავის ფელეტონებს იგი უმთავრესად „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა“ (ლ. ასათიანი, „ლიტერატურული ნარკვევები და წერილები“, 1955, გვ. 260).

ირ. ევდოშვილის სატირა იყო მკაცრი, დაუნდობელი, გამანადგურებელი. მისი ფელეტონები მხარდაშპარ იბრძოდა ამბოხებულ მუშათა კლასთან ერთად.

ირ. ევდოშვილის ფელეტონების საილუსტრაციოდ საინტერესოა გავეცნოთ „იერიასი“ 1905 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნებულ „სადღეისო ტალღებს“.

„უკვე ყრუდ ისმის ზღვის წიაღიდან ზვირთების დუღუნი. ისინი აქეთ-იქით ირწყვიან, ატოკებენ ერთმანეთს, რომ შემდეგ საერთო ხმით დაიგრგვინონ, ამოხეტონ ზღვის ზედაპირი და მოშლილი გემი, რომელიც ძლივსა ამუშავენს მანქანას, მიღუწ-მიამტვრიონ.“

გემის უმთავრესი უფროსი შეკეტილია შიგნით ოთახში. მის ყურს ჩაზუზუნებს ქარიშხალი, ესმის გემის გვერდებზე ტალღების ცემა და თრთის შიშით.

მისი ხელქვეითნი, მისი დამქაშები, ნახშირის უმატებენ საორთქლე ქვაბს, სკიმავენ ანძას, საჭეს გამზეცებლები უსვამენ, მაგრამ გემი ძირს მიდის.

საკმარისია რამდენიმე მედგარი ზვირთი, რომ ის თავის მმართველ მოგზაურებში ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში.

...და აჰა, დგება ეს წუთიც.

კიბის სათავეში მოქცეულ ავაზაკებს უდგებათ განკითხვის დღე, და როგორც წელში ქვა-დარტყმული გველი, ისინი ისარს იგრძელებენ, ასველებენ შხამით. რომ თვით სამარეშაიაც ბოროტი გულით ჩავიდნენ.

ღიად, საშინელია მათი ბოლო, საშინელია მათი სიკვდილი!

იწყება დიდი ავაზაკების ჩაქოლვაც!“ ამ ავაზაკების ჩაქოლვაში აქტიურად მონაწილეობდა თვით ავტორიც.

ირ. ევდოშვილი თავის ფელე-

ტონებში სატირის მახვილით ესმოდა თავს სტოლიპინს, ვიტეს, გურკოს და მუშათა კლასის სხვა მტრებს. „მეოცე საუკუნის გარიყრაქზე თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობაში იგი უყოყმანოდ მუშათა კლასის მხარეზე დადგა, თბილისის დარაზმულ მუშათა დემონსტრაციებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა“ (შ. გოზალიშვილი, „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის“, 1963, გვ. 220).

1792 წელს ფრანგმა პოეტმა რუჟე დე ლილმა დაწერა „მარსელიოზა“. რევოლუციური სიმღერა, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში. პეტრე ლავროვის მიერ რუსულ ენაზე გადმოკეთებული „მარსელიოზას“ პირველი ქართული თარგმანი, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ბროლის“ 1902 წლის მეოთხე ნომერში, ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნოდა.

1905—1907 წლების რევოლუციურ პუბლიცისტიკაში ირ. ევდოშვილის შემოქმედებას, მის ფელეტონებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მქონე სხვა ფელეტონების ავტორებიც: ნ. აზიანი, ი. ეკალაძე, ნ. კურდღელაშვილი, თ. კიკვიძე და სხვები.

900-იანი წლების ქართულ რევოლუციურ პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებს. „მიუხედავად იმისა, რომ ამ მწერლისადმი მკვლევართა ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, გარკვეული გარემოების გამო მ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობა ჯერ სათანადოდ და სრულად შესწავლილი და შეფასებული არ არის. თუ მხატვრული შემოქმედება გაკვირთ მაინც განხილულია გ. ჯიბლაძის, შ. რადიანის, ს. ჭილაძის, დ. ბენაშვილის და სხვათა წიგნებში, სამაგიეროდ სრულიად შეუფასებელია მ. ჯავახიშვილის პუბ-

ლიცისტური მემკვიდრეობა, იგი ყამირის მდგომარეობაშია დღევანდლამდე“.
(ტ. კვანჭილაშვილი, „მ. ჯავახიშვილის აღრინდელი პუბლიცისტიკა“.)

ირკვევა, რომ მ. ჯავახიშვილს ნაყოფიერად უმუშავებია როგორც ფელეტონისტს და ამ მხრივ მრავალი საყურადღებო ნაწარმოები შეუქმნია. მიუხედავად სპეციალური რუბრიკის, — ფელეტონის უქონლობისა, მისი პუბლიცისტური წერილების საკმაოდ დიდი ნაწილი შესანიშნავ ფელეტონს წარმოადგენს და საესეებით აკმაყოფილებს ქართველისთვის დამახასიათებელ ყველა პირობას.

მ. ჯავახიშვილის საფელეტონო სტილის საილუსტრაციოდ მოკლედ მოვიყვანთ „ივერიაში“ 1905 წლის 7 მარტს გამოქვეყნებულ მასალას „გონიერი ზომიერება“, რომელიც „მ. აღ-ლის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა.

„ასი წლის განმავლობაში ჩვენს თავდაზნაურობას ოთხნაირი უფლება ჰქონდა: უფლება „ჩინ-მენდლების“ მიღებისა, უფლება მამულების დაგირაეებისა, გაკოტრებისა და მთელი ერის უფლების მითვისებისა.

ასი წლის განმავლობაში ჩვენი თავდაზნაურობა ამ უფლებით მართლაც რომ გულუხვად სარგებლობდა: მსახურობდა სამაგალითოდ, მსახურობდა ისე როგორც ნამდვილი მოხელე ბიუროკრატი და ერთგული მამულიშვილი. გამოჰიმნული იდგა, „ნაპრაევო და ნალეეოს“ სწავლობდა...

...ჩვენს თავდაზნაურობას მამულეების დაგირაეების უფლებაც ჰქონდა და ამ უფლებით საესეებით სარგებლობდა, და მართალი უნდა სთქვას კაცმა, თავის თანამდებობას ისეთის მხნეობითა და გულდასმით ასრულებდა, რომ მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

თავდაზნაურობას გაკოტრების უფლებაც ჰქონდა და კიდევაც სწრაფად გაიარა გრძელი გზა ამ უფლებით.

ასი წლის განმავლობაში თავდაზნაურობა სარგებლობდა კიდევ ერთი უფლებით. იმ უფლებით რომელიც იმას არ ეკუთვნოდა. ეს გახლავთ უფლება მთელის ერის სახელით ლაპარაკისა.

მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენი თავდაზნაურობა ქვეყანას ატყობინებდა, საქართველოში სამაგალითო სიწყნარე და მშვიდობიანობაა, ხალხი კმაყოფილი და მორჩილია, ჩვენი ქვეყანა ყვავის, მწიფდება და რთვლის მეტი აღარა უნდა რაო.

ჩვენ კი ამ არაკს ყურს ვუგდებდით და ვხედავდით, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში სიწყნარისა და მშვიდობიანობის მაგიერ მოძრაობა და ღელვა იწყებოდა; ვხედავდით რომ კმაყოფილებისა და მორჩილების მაგიერ ჩვენი ქვეყანა ვაოხრდა, ვალატაკდა, უღაბნოდ გადაიქცა...”

ასეთი დიდი ციტატა მ. ჯავახიშვილის წერილიდან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა მახვილი პოლიტიკური ფელეტონის შესანიშნავი ნიმუში, რომელშიც მკაცრი სატირული ტონით არის მხილებული ქართველი თავდაზნაურობის ერთი ნაწილის მახინჯი სახე, ხალხის ინტერესები პირად კეთილდღეობაზე რომ გაცვალა.

მ. ჯავახიშვილის ეს ფელეტონი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ 900-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის შესწავლა-გამომზეურება ქართველი ფელეტონისტების სიას ბევრი ახალი სახელით გაამდიდრებდა.

ქართულმა რევოლუციურმა ფელეტონმა თავი ისახელა ჩვენი ისტორიის ყველაზე მღელვარე ეპოქაში, ღირსეული როლი შეასრულა 1905—1907 წლების ქართულ ლიტერატურასა და არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, იქცა პოლიტიკური ბრძოლის ბასრ იარაღად, იგი აღაფრთოვანებდა ხალხს რევოლუციური ბრძოლისათვის.



გერმანიის გაცხადება

წიგნი სვანეთში

ახლახან გამოიცა გ. გულბანის წიგნი „ეს იყო მთაში“. სათაური მის მიზანდასახულებასა და შინაარსზე თითქმის ვერაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ წიგნის სარეკლამო ანოტაცია თავშივე გვაუწყებს, რომ „წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ ნარკვევს სვანეთის ისტორიიდან. მასში განხილულია სვანეთის საზოგადოებრივი წყობა და სოციალურ-ეკონომიური ვითარება გასული საუკუნის 70-იან წლებში, შიდაფეოდალური აშლილობა, განათლებისა და სამომავლო გზების მდგომარეობა, ბატონყმობის თავისებურებანი, სვანეთის რუსეთთან შეერთება, მისი პროგრესული მნიშვნელობა, სვანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და გლეხთა მღელვარება 1875 — 1876 წწ“ (გვ. 2).

როგორც ვხედავთ, „მონოგრაფიული ნარკვევის“ ქრონოლოგიური და თემატიკური ფარგლები, თუ მეტი არა, ვრცელია. ამავე დროს, ავტორისავე განცხადებით, ნაშრომი „განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის“ (გვ. 2).

ამ განცხადებას მოსდევს წინასიტყვაობა, სადაც ავტორი თავისი ნაშრომის ქრონოლოგიურ და თემატიკურ საზღვრებს უკვე ძლიერ ავიწროებს: „წინამდებარე ნაშრომის მიზანს, — წერს

გ. გულბანი, — წარმოადგენს სვანეთის გასული საუკუნის 70—80-იანი წლების ისტორიის შესწავლა“ (გვ. 6).

ნაშრომის გულდასმით გაცნობა კი გვიჩვენებს, რომ ის თემატიკურად და შინაარსობრივად გაცილებით უფრო შეზღუდულია არა მარტო ამ სარეკლამო განცხადებასთან შედარებით, არამედ იმასთანაც, რასაც „წინასიტყვაობა“ გვთავაზობს. საქმარისიაა შევნიშნოთ, რომ ნარკვევი არსებითად მხოლოდ ე. წ. „თავისუფალ სვანეთს“ შეეხება.

XIX საუკუნის სვანეთის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას მრავალი მკვლევარი, მოხელე თუ მოგზაური შეხებია. მათ შორის ზოგიერთს სწორი მოსაზრებაც გამოუთქვამს, ზოგიერთს იმეამინდელი სვანეთის ცხოვრების სინამდვილე დაუმახინჯებია კიდევ. ამიტომაც, რომ სვანეთის აღნიშნული ხანის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება დღემდე არაა ჯეროვანი საბუთიანობითა და სისრულით გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, თუმცა საამისოდ მომზადებულია გარკვეული წინაპირობები. ამ საკითხზე უკვე ვრცელი და მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მრავალი ფაქტი აღწერილ-დადგენილია, შესაფერისი საარქივო მასალების ნაწილი გამოცემულია. ვფიქრობთ, ქართული საბჭოური ისტორი-

როგორაფის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მკითხველს სრული საფუძველი გააჩნია ელოდეს მაღალ თეორიულ და აკადემიურ დონეზე შესრულებულ ისტორიულ გამოკვლევებს, სადაც დაძლეული იქნება შესაბამისი საკითხების ირგვლივ ლიტერატურაში არსებული მეთოდოლოგიური, ასევე ფაქტობრივი შეცდომები და შესასწავლი მოვლენა სასურველი სისრულითა და სიზუსტით დასურათდება.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ გ. გულბანის ნაშრომს — „ეს მოხდა მთაში“, სამწუხაროდ შეუსაბამობათა მოწმე გავხდებით. ირკვევა, რომ ავტორმა სათანადოდ ვერ გაართვა თავი საკვლევ პრობლემას და მკითხველს მდარე ნაშრომი მიაწოდა. ჩვენ აქ შორს წაგვიყვანდა ნაშრომში შემჩნეული ყოველგვარი შეცდომის, გაუგებრობის ან უზუსტობის ჩამოთვლა, ამიტომ შევცხებით მხოლოდ რამდენიმეს.

უპირველეს ყოვლისა, თვალში მოგხვდება ავტორის დამოკიდებულება სვანეთზე არსებული ლიტერატურისა და წყაროებისადმი. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ე. ვაბლიანის, გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ს. ესაძის, ს. ავალიანის, ნ. რეხვიაშვილის, შ. ჩხეტიას, ა. რობაქიძის, რ. კანდელაკის და სხვათა მონოგრაფიულ ნაშრომებს, თუ გამოკვლევებს, რომლებშიც გაშუქებულია სვანეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხი. დასახელებულ მკვლევართა ნაშრომების ნაწილი შესაფერისი ფაქტების მეცნიერულ ინტერპრეტაციას შეიცავს, ნაწილიც — ასევე საგულისხმოდ განმარტავდებელ დასკვნებს. უფრო მეტიც: გ. გულბანი თავისი ნაშრომის შესავალში დამსახურებული ქება-დიდებათა იხსენიებს ბესარიონ ნიყარაძის ნაშრომებს, თუმცა მათ ჯეროვნად არ იყენებს. შესავალში მითითებულია, რომ „მისი (ე. ონიანის, გ. ვასვიანის) საკანდიდატო დისერტაცია „თავისუფალი სვანეთის გლეხთა აჯან-

ყება 1875 — 1876 წლებში“, შეიძლება ითქვას **ერთადერთია** (ხაზგასმა ჩვენია. გ. ვასვიანი), რომელიც საარქივო მასალებისა და გამოქვეყნებული ლიტერატურის საფუძველზე მეცნიერულად აშუქებს მრავალ საკითხს სვანეთის ისტორიიდან“ (გვ. 4 — 5). მოსალოდნელი იყო, რომ გ. გულბანი დაეყრდნობოდა ნაშრომს, რომელსაც ესოდენ მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საკმარისია შევნიშნოთ, რომ 1875 — 1876 წლების გლეხთა მოძრაობას სვანეთში, რაც ე. ონიანის კვლევის დედაარსია, გ. გულბანმა სრულიად საწინააღმდეგო შეფასება მისცა (როგორც სათაურიდანაც ჩანს, ე. ონიანმა 1875 — 1876 წლების გლეხთა მოძრაობას უწოდა „სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875 — 1876 წწ“, ხოლო გ. გულბანმა — მღელვარება და სხვ.)

გ. გულბანი სათანადოდ ვერ აფასებს გამოჩენილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის ფრიად საყურადღებო გამოკვლევას («Сванетия»..., 1864, Тифлис). აქედან მას მხოლოდ სვანეთის გეოგრაფიული გარემოს დახასიათება მოაქვს და არა სოციალური ურთიერთობის ის ღრმამეცნიერული ანალიზი, რომლის გათვალისწინების შემთხვევაშიც იგი აიციდნდა ქვემოთ აღნიშნულ უხეშ მეთოდოლოგიურ და ფაქტობრივ შეცდომებს.

ნაშრომში სათანადოდ არაა გამოყენებული ალ. კოჭლავაშვილის ვრცელი პუბლიკაცია „გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წწ“ („საისტორიო მოამბე“ I, თბ. 1945 წ., გვ. 129—209), თუმცა იგი ძვირფასა და მდიდარ მასალებს შეიცავს სვანეთში 1875 — 1876-იან წლებში გლეხთა მოძრაობის შესახებ.

ვფიქრობ ნაშრომის „ეს იყო მთაში“ სტრუქტურაც მცდარ წინამძღვარზეა დამყარებული: ჯერ ერთი, ავტორი პირველ თავში ეხება „თავისუფალი სვანეთის ვითარებას გასული საუკუნის 70-იან წლებში“, შემდეგ კი უკან ბრუნდ-



მა და განიხილავს სვანეთის შეერთებას რუსეთთან (იხ. მეორე თავის სათაური); მეორე, ზოგიერთი თავის სახელწოდება, ისევე როგორც მთელი წიგნის, არ შეესაბამება მის შინაარსს, ასე მაგ., პირველი თავის სათაურია „თავისუფალი სვანეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარება გასული საუკუნის 70-იან წლებში“, თუმცა აქ მხოლოდ ერთი წინადადება შეეხება სოციალურ ურთიერთობას „თავისუფალ“ სვანეთში. სამაგიეროდ აქ ავტორი, მკითხველსათვის მოულოდნელად, ეხება ქვემო სვანეთის გლეხთა მდგომარეობას. ზედაპირულია და მცდარიც (როგორც ქვემოთ დავინახავთ) ავტორის მსჯელობა „თავისუფალი“ სვანეთის სამეურნეო და კულტურულ ვითარებაზე და სხვ. ერთგვარ უხერხულობას იწვევს ისიც, რომ სოფ. ხალდეს სამეურნეო ცხოვრების დახასიათება ამ თავში კი არაა მოცემული, არამედ გადატანილია იქ, სადაც სხვა საკითხი, ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ. „ხალდეს სისხლიანი ტრაგედია“, განხილული.

მეორე თავია „სვანეთის შეერთება რუსეთთან“. სინამდვილეში აქ განხილულია არა იმდენად „სვანეთის შეერთება“, რამდენადაც სვანეთის სამთავროს გაუქმება, აგრეთვე „თავისუფალი“ სვანეთის საზოგადოებრივი წყობილება და 1875 წლის აჯანყების მიზეზები.

მესამე თავის სათაურია „1875 წლის მღელვარება სვანეთში“. ამ მოვლენას ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია აფასებს როგორც „გლეხთა აჯანყებას სვანეთში 1875—1876 წლებში“ (ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 93; გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, თბ., 1932, გვ. 129; ალ. კოკლავაშვილი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წწ. საისტორიო მოამბე, I, თბ., 1945, გვ. 129; ვ. ონიანი, საკანდიდატო დისერტაცია — სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875—1876 წწ. და სხვა.). ჩანს

ავტორი არ იზიარებს ამ შეფასებას. თუმცა წიგნში მოტანილი (აღრეც ცნობილი) მასალებიდან აშკარაა, რომ ეს იყო არა მღელვარება, არამედ შეიარაღებული აჯანყება. სვანეთის ამ აჯანყების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის აღწერა (ხშირად დეტალურიც), სხვას რომ თავი დაეანებოთ, ხომ მოვლენის თვითმხილველმა, ბ. ნიქარაძემ დაგვიტოვა. გ. გულბანმა კი 1875—1876 წლების აჯანყება მისი არსის სწორად გადმოცემის ნაცვლად მონათლა ასე: „ეს იყო მთაში“ ან „მღელვარება სვანეთში“. უფრო მეტიც, გ. გულბანი სარეცენზიო ნაშრომში თვით ხალდეს 1876 წლის მოვლენასაც კი არ აძლევს რამდენადმე ზუსტ განსაზღვრას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნაშრომის სტრუქტურა არასწორია. სათაური, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება მის შინაარსს და, რაც მთავარია, სათაურშია გატანილი მოვლენების მცდარი ავტორისეული გაგება-შეფასება.

ჩვენი აზრით, ნაშრომი მცდარ მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს ემყარება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როცა ავტორი ახასიათებს გასული საუკუნის 70-იანი წლების „თავისუფალი“ სვანეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ბუნებას. თითქოს დაუჭერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ გ. გულბანის აზრით: „მართალია, თავისუფალ სვანეთს არ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ის მაინც იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული საქართველოში, რომელსაც ჰქონდა გვაროვნული წყობილება, თვით მართველობა...“ (გვ. 133, ხაზგასმა ჩვენია — გ. გასვიანი.)

როგორ, რანაირად, ან რაზე დაყრდნობით მივიდა ავტორი ასეთ დასკვნამდე ჩვენთვის გაუგებარია, სხვათა შორის, გ. გულბანს იმდენად სჯერა XIX საუკუნის 70-იანი წლების „თავისუფალ“ სვანეთში გვაროვნული წყობილების არსებობა, რომ იგი იქ იმხანად გაჩაღებული ანტიცარისტული აჯანყე-

ბის დამარცხების ერთ-ერთ მიზეზადაც მიაჩნია. გ. გულბანის თვალსაზრისით, გასულ საუკუნეში სადაღდშქელიანო და სადაღიანო სვანეთში ფეოდალიზმია, ხოლო „თავისუფალი“ სვანეთში გვაროვნული წყობილებაა. გ. გულბანი ცდილობს რა თავს მოგვახეიოს ასეთი ვერსია, საჭიროდ არ თვლის ერთი წინადადებით მაინც აუწყოს მკითხველს, თუ რას ემყარება, მისი აზრით, სვანეთის სხვადასხვა მხარის განვითარების დონის ესოდენ დიდი განსხვავებულობა. ვინც ოდნავ მაინც ჩაუკვირდება საქმის არსს, ჩაწვდება იმდროინდელი სვანეთის ცხოვრების განვითარების დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს, დაინახავს, რომ განვითარების მხრივ არსებითი განსხვავება არ არსებობს მოცემული ხანის სვანეთის ნაწილებს შორის. არსებითი განსხვავება არაა მეურნეობის წესში, აღებმიცემობაში, ხალხურ ხელოვნებასა და შემოქმედებაში, ზნეჩვეულებებსა და ადათ-წესებში და სხვ., ე. ი. მატერიალური დოვლათის წარმოების წესში, ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაში.

გასული საუკუნის „თავისუფალი“ სვანეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ნამდვილ დონესა და გ. გულბანის მიერ თავსმოხვეულ „გვაროვნულ“ წყობილებას შორის იმდენად თვალსაჩინო განსხვავებაა, რომ ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება, ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რამდენადმე უხერხულადაც მიგვაჩნია. მაგრამ მაინც საჭიროდ ვთვლით სარეცენზიო ნაშრომის ავტორს მოვავგონოთ აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები, სადაც მთელი სიზუსტითაა დახასიათებული ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, სვანეთის განვითარების ნამდვილ დონესა და მეორე მხრივ, ჩვენს ცნობა-ცოდნას შორის — „სვანთა ჩამორჩენილობასა და სვანეთის პირველყოფილურობის შესახებ“. გამოჩენილი მეცნიერი სვანეთის ისტორიის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით უსკამდა

ხაზს ჩვენს ისტორიულ (განსაკუთრებით ეთნოგრაფიულ) ლიტერატურაში არსებულ შეუთანხმებლობას: „ერთის მხრით სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა: მსოფლიოში განთქმული „მითი“ სვანეთის („კოლხეთი“) სიმღიდრის შესახებ, მის სამეურნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წესები (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ხით-ხურობის განსაკვივრებელი ნიმუშები, ქვით-ხურობის საერთო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის მკედლობა და სამკაულთა ოქრომკედლობა, უაღრესად განვითარებული ფერწერა, ზოლო, მეორეს მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის პირველყოფილობის შესახებ“ (ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ვაზ. „მებრძოლი“ № 155, 156, 1964, 29 დეკემბერი).

სვანეთის ისტორიის შესწავლაში ამგვარი შეუსაბამობის დატოვება ნ. ბერძენიშვილს შეუწყნარებლად მიაჩნდა: „დამეთანხმებით, — განაგრძობდა იგი, — საკითხის აგრე დატოვება საბჭოური ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა (იქვე). ნ. ბერძენიშვილის ამ მოთხოვნის საფუძვლიანობას ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს სარეცენზიო ნაშრომი, რომელიც ზემოდასახელებული შეუსაბამობის უახლესი ნიმუშია.

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი ნაკლია დროისათვის ანგარიშგაუწყებლობა. აი მგალითიც: ცდილობს რა დაასაბუთოს „თავისუფალი“ სვანეთში გვაროვნული წყობილების არსებობა XIX საუკუნის მთელ მანძილზე, გ.

გულბანი წერს: „ქვეყანას კვლავ სახალხო კრება და მის მიერ არჩეული 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო განაგებდა ძველი ადათების მიხედვით. ასეთ ადათებს, მითუმეტეს მთაში, დიდი ძალა ჰქონდა XIX საუკუნის მთელ მანძილზე“ (გვ. 28). ამ ციტატის დიდი ნაწილი ავტორს მოტანილი აქვს, არც მეტი, არც ნაკლები, ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნის გეოგრაფოს-ისტორიკოსის სტრაბონის თხზულებიდან (თ. ყუბჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 126). ეს რომ ასეა, ჩანს სხვა ფაქტიდანაც. გ. გულბანი ახასიათებს რა რუსეთთან შეერთების დროის სვანეთის ურთიერთობას მეზობლებთან წერს: „ისინი (სვანები — გ. ვასვიანი) აღემატებიან მეზობელ ტომებს და ბატონობენ მათზე“ (გვ. 21). ეს, XIX საუკუნის სვანეთისათვის საცხებით წარმოუდგენელი რამ, ასევე სტრაბონიდანაა ხელოვნურად გადმოტანილი (იქვე). როგორც ვხედავთ გ. გულბანისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს დროს, ეპოქათა ცვალებადობას, ამიტომ იგი XIX საუკუნის სვანეთს გულდამშვიდებული ახასიათებს ჩვენს წელთაღრიცხვამდელი თხზულების მიხედვით.

თუ რამდენად კანონზომიერია სტრაბონის ცნობების გადმოტანა XIX საუკუნის სინამდვილის დასასურათებლად, განსაჯოს თვით მკითხველმა.

გ. გულბანი, ერთის მხრივ, ცდილობს დაასაბუთოს XIX საუკუნის მანძილზე „თავისუფალ“ სვანეთში გვაროვნული წყობილების, სახალხო კრებისა და 300 კაცისაგან შემდგარი გვაროვნული საბჭოს არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, წერს: „წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით სვანეთის ამ ყველაზე თავისუფალ მხარეშიაც კი გამრავლდა აზნაურების რიცხვი. 70-იან წლებში თავისუფალ სვანეთში აზნაურებად იხსენიებიან: ქურდიანები, დევდარიანები, იოსელიანები, ჯფარიძეები და უოროლიანები“ (გვ. 33. ხაზგასმა ჩვენია—გ. ვასვიანი ამასთან ერთად, ავტორი ხაზს უსვამს

„თავისუფალ“ სვანეთში აზნაურთა დიდ უფლებებს: „მართალია, — წერს გ. გულბანი, — სხვადასხვა გვარის აზნაურები სხვადასხვა უფლებებით სარგებლობდნენ თავიანთი გლეხების მიმართ, მაგრამ საერთოდ მათი უფლებები საკმაოდ დიდი იყო: გლეხი ვალდებული იყო აზნაურისათვის ძღვენი მიერთმია, დაეპატიებინა, ხლებოდა მგზავრობისას, გაჰყოლოდა ომში და ა. შ. (გვ. 33. ხაზგასმა ჩვენია—გ. ვასვიანი).

სარეცენზიო ნაშრომიდან მოტანილი ეს ორი უკანასკნელი ციტატა ერთბაშად აქარწყლებს ავტორისავე მტკიცებას „თავისუფალ“ სვანეთში გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ. ნუთუ ავტორი ერთხელ მაინც არ ჩაუფიქრდა თავისსავე, უკიდურესად ერთმანეთის საწინააღმდეგო მსჯელობებს: თუ XIX საუკუნის მთელ მანძილზე „თავისუფალ“ სვანეთს სახალხო კრება, 300 კაცისაგან შემდგარი გვაროვნული საბჭო და ბელადები განაკვებდნენ (როგორც ამას ავტორი აღნიშნავს), მაშინ ვინ დააწესებდა აზნაურის წოდებას, საიდან გამრავლდებოდნენ ისინი, ან რა გზით მოიპოვებდნენ საკმაოდ დიდ უფლებებს გლეხების მიმართ? ნუთუ ავტორს მიაჩნია, რომ აზნაურის წოდებას სახალხო კრება, ან 300 კაცისაგან შემდგარი გვაროვნული საბჭო აწესებდა? ასეთივე გაუგებრობაზეა აკვებული გ. გულბანის განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთთან შეერთების პერიოდში „სვანები აღემატებოდნენ მეზობელ ტომებს და ბატონობდნენ მათზე“. გაუგებარია XIX საუკუნეში რომელი ტომები ჰყავს ავტორს მხედველობაში, ან რომელ ტომზე გაბატონებულად მიაჩნია სვანები?

ავტორი ცდილობს, რა დაასაბუთოს „თავისუფალი“ სვანეთის გვაროვნულობა, სამწუხაროდ, უშუალოდ სვანეთის სინამდვილის უკოდინარობასაც ამქვავნებს. იგი წერს: სვანეთის სოფლები „ზშირად ერთი გვარის ადამიანებით იყო დასახლებული. ყოველი გვარი დიდ ოჯახებად იყოფოდა“ (გვ. 27) სი-

ნამდვილეში, იმდროინდელ აღწერათა მასალები ნათლად გვიჩვენებს, რომ სვანეთში XIX საუკუნის მანძილზე თითქმის არ არსებობდა ისეთი სოფელი, თუნდაც 5-6 კომლიანი დასახლებული პუნქტი, რომელშიც მხოლოდ ერთი გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ. ასე მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძის 1860 წლის აღწერით, ლატალში ცხოვრობდა 68 კომლი — 19 სხვადასხვა გვარი: (D. Bakradze, «Svanetia», გვ. 79, 80), ლენჯერში 50 კომლი — 13 გვარი, მესტიაში 69 კომლი — 13 გვარი (იქვე, გვ. 96), მულაზში 82 კომლი — 26-ზე მეტი გვარი (იქვე, გვ. 100), წვირშიში 28 კომლი—7-ზე მეტი გვარი (იქვე გვ. 109), სოფ. ნაკიფარში 11 კომლი — 4 გვარი (იქვე გვ. 111). ხალდეში—16 კომლი—4 გვარი (იქვე გვ. 114). ასეთი სურათი იყო მთელ ბალსზემო სვანეთში. უფრო მეტიც, არა თუ XIX საუკუნეში, არამედ XIII საუკუნის სვანეთშიც კი ყოველ სოფელში უამრავი სხვადასხვა გვარის მოსახლეობაა, ბევრად უფრო მეტი რაოდენობისა, ვიდრე თუნდაც დღეს „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“ (იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941, გვ. 117—160).

ამრიგად, ცხადია, რომ ამათა გ. გულბანის ცდა დაამტკიცოს „თავისუფალ“ სვანეთში გვაროვნული წყობილების არსებობა მცხოვრებთა ე. წ. გვაროვნულ-თემობრივი ჯგუფური დასახლების პრინციპით.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია სუბიექტივისტური მიდგომა ისტორიული მოვლენების ახსნისადმი. ასე მაგალითად, მისი ლოგიკით, ისეთი მოვლენა, როგორცაა სვანეთის და სამეგრელოს სამთავროების გაუქმება, აიხსნება უბრალოდ უფრო პოლიკონიკ უსლარის პიროვნული მისწრაფებითა და მოქმედებით, ვიდრე მეფის მთავრობის პოლიტიკით (იხ. გვ. 23). ავტორის ამგვარივე მოსაზრებით, სვანეთის სამთავროს გა-

უქმების ერთ-ერთი მიზეზი თ. დადეშქელიანია (გვ. 31), კიდევ მეტი, გ. გულბანმა დაიჩნა იმის დასაბუთება, რომ თითქოს 1875—1876 წლების აჯანყება იმავით თ. დადეშქელიანის პროვოკაციულ გამოსვლას და ინიციატივას გამოეწვიოს. აღნიშნულის დასაბუთებლად გ. გულბანს საკუთარი გამოწვინის გარდა („იგი (დადეშქელიანი) ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა“, გვ. 31), არ მოაქვს რაიმე ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი საბუთი, რომელიც თ. დადეშქელიანს აჯანყების გამჩალებლად მიიჩნევდა; ამის მიუხედავად, დაბეჭივებით დაასკვნის: „დადეშქელიანის პროვოკაციულმა გამოსვლამ მიზანს მიაღწია“... (გვ. 50), ე. ი. აჯანყება გამოიწვიათ.

გ. გულბანი აღნიშნავს რა პატარა სოფელ ხალდეს აჯანყებულთა სიმარტოვეს მეფის დამსჯელი ძალის წინაშე, მიუთითებს: „ესეც რომ არ იყოს, აჯანყებულები თავიანთ სოფელში გამარჯვების მოპოვების შემდეგ არ გადასულან შეტევაზე, ისინი თავდაცვისათვის ემზადებოდნენ, ხოლო, როგორც მარქსიზმი გვასწავლის, აჯანყების დროს თავდაცვა დამარცხებას ნიშნავს. რადგან აჯანყება დაწყებულია, უნდა იბრძოლო მთელი ძალით, აუცილებლად შეტევაზე გადახვიდე, სწორედ ეს ვერ შეძლეს ხალდეს აჯანყებულებმა და ამიტომ იგი განწირული იყო დამარცხებისათვის“ (გვ. 106, ხაზგასმა ჩვენია, გ. ვასვანი).

ნუთუ მართლა შეიძლება ვინმემ იტყოს, რომ აჯანყებულ ხალდეს, იმ კონკრეტულ ვითარებაში, მთელი სვანეთის დარაზმვა და მეფის ჯარის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა იხსნიდა დამარცხებისაგან?

კონკრეტულ-ისტორიული ვითარების და დაპირისპირებულ ძალთა თანაფარდობის სრულმა ანგარიშგაუწეველობამ მიიყვანა ავტორი ასეთ მცდარ დასკვნამდე: „1875 წელს, როცა შეკრებილი იყო მთელი თავისუფალი სვანეთის რამდენი-

მე ათასი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, თავისუფლად შეეძლოთ დაეცვათ საკუთარი საზღვრები“ (გვ. 134, ხაზგასმა ჩვენია, გ. ვასვიანი). „...მაგრამ, — განაგრძობს გ. გულბანი, — სწორედ აქ იხინათა თავი აჯანყებულთა ბელადების გულბრყვილობამ...“ (იქვე). თურმე ნუ იტყვივით და, გულბრყვილობა რომ არ გამოეჩინათ მეთაურებს, „თავისუფალ“ სვანეთს ადვილად შეეძლო გამკლავებოდა მეფის მთავრობის ჯარს. დაეუშვათ, აჯანყებულები მართლაც გაუმკლავდებოდნენ ერთ სამხედრო ექსპედიციას; ნუთუ ავტორი ფიქრობს, რომ ამით დამთავრდებოდა მეფის მთავრობის შეტევა? არ შეიძლება არ აღინიშნოს ნაშრომის ავტორის ზვიადი დამოკიდებულება აჯანყების მეთაურთა, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბელადების“ მიმართ.

„ბელადები“ ყოფილან „სუსტნი პოლიტიკაში“. აქ არ ღირს იმაზე დავა. მართლა არსებობდნენ თუ არა ასეთი „ბელადები“, განვმარტოთ საკითხის მეორე მხარე — ავტორის მრავალჯნის განცხადებანი „ბელადების გულბრყვილობის“ შესახებ. ნუთუ გულბრყვილობაზე მეტყველებს აჯანყების მოთავეთა, ვთქვათ, ყასბულათ შერვაშიძის გამოსვლები და მისი მართლაცდაცხარე პაექრობა მთავრობის ექსპედიციის მესვეურებთან ცაგერსა და სვანეთში. ეს გამოსვლები და დიალოგი მკჭრემეტყველების, გონებაშახვილობისა და გამჭრიახობის ნიმუშებია, რომელიც სათუთად შემოგვინახა, არა მარტო წერილობითმა წყაროებმა (ბესარიონ ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 175 — 183, ეგნ. ვაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 95 — 102), არამედ ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამაც.

გ. გულბანი კიდევ უფრო დიდ ბრალდებას უყენებს აჯანყების მეთაურებს. მისი აზრით, 1875 წელს აჯანყებული ხალხი დამშვიდდა „...გუბერნატორმა დაიბარა ხელმძღვანელები (აჯანყების ხელმძღვანელები. გ. ვასვიანი.) და ურ-

ჩია მათ ვაჰყოლოდნენ ქუთაისში...“ დაც ისინი მიიღებდნენ დიდძალ საჩუქრებს. აჯანყების თორმეტმა მონაწილემ ირწმუნა გუბერნატორის გულწრფელობა და წინადადება მიიღო...“ (გვ. 82 ხაზგასმა ჩვენია. გ. ვასვიანი.) გ. გულბანი მეორე ადგილას კვლავ წერს, რომ 1875 წელს აჯანყებულთა დამშვიდების შემდეგ „მალაფეევმა თავისთან დაიბარა აჯანყების მოთავეები და ისინიც გამოცხადდნენ (გარდა 4 კაცისა). მან ყველას (რიცხვით 12 კაცი) სთხოვა ქუთაისში გაყოლა, რათა სათანადოდ დაესაჩუქრებინა. მათაც ირწმუნეს გუბერნატორის სიტყვა და ნებაყოფლობით გაჰყენენ ქუთაისში, სადაც ყველანი ციხეებში ჩაკეტეს“ (გვ. 134, ხაზგასმა ჩვენია, გ. გულბანი). აი რა გულბრყვილონი ყოფილან! მაგრამ ამ მტკიცებას არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან, — რაც შემდეგში მდგომარეობს: აჯანყების მოთავენი დამსჯელმა ექსპედიციამ და ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ძალით დააკავე სვანეთში და, როგორც დამნაშავენი, შეპყრობილი წაიყვანა ქუთაისში. დანარჩენი ოთხი მოთავე, რომლებიც ვერ დააპატიმრეს, სასტიკ დევნას განიცდიდნენ. მაგალითად: აჯანყების 12 მოთავე ჯერ კიდევ ადგილზე ჰყავდა დაკავებული, როდესაც ერთ-ერთი მოთავეს გირგვილიანის შესაპყრობად მალაფეევმა ლატალში გაგზავნა სპეციალური სამხედრო რაზმი, რომელმაც მხოლოდ მაშინ შეძლო გირგვილიანის შეპყრობა, როდესაც დააპატიმრა მისი ცოლ-შვილი და ვადაწვა სოფლის რამდენიმე მოსახლე (ვიცე-გუბერნატორ მალაფეევის მოხსენება მეფის ნაცვლისადმი—საისტორიო მოამბე, I, გვ. 147; ბესარიონ ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 191). ნუთუ ავტორს მართლაც სჯერა, რომ ამ ფაქტის შემდეგ აჯანყების მეთაურები ირწმუნებდნენ მალაფეევის სიტყვას, ნებაყოფლობით გაყვებოდნენ ქუთაისში?

როგორც ზემოთ დავინახეთ, ავტორი 1875 — 1876 წლებში სვანეთში გა-

ზავნილი ექსპედიციის მესვეურებს რატომღაც „რუსეთის იმპერიის გამოცდილ სარღლებად“ ნათლავს. ესენი იყვნენ ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი, გენერალი ციტოვიჩი, მაზრის უფროსი გრინევსკი და სხვ. ყოველ შემთხვევაში დღემდე ეს პიროვნებები სხვას არავის ჩაუთვლია არამც თუ გამოცდილ, არამედ ჩვეულებრივ სარღლებადაც.

ავტორის მტკიცებით, „თავისუფალი“ სვანეთი რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებელი იყო XIX საუკუნის 70-იან წლებში. მეფის რუსეთმა სამოციან წლებში, — წერს ავტორი, — თავისუფალი სვანეთი ვერ დაუმორჩილა თავის მმართველობას (გვ. 49). შემდეგ: „მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა რუსეთის მონარქია ამ პატარა კუთხის დასამორჩილებლად, ... — მაგრამ არ იქნა და სვანეთში მისი ძალაუფლება ვერ დაამყარა, მთიელთა წინააღმდეგობა ვერ გატეხა, ვერ შექმნა რუსული მმართველობის ორგანოები...“ (გვ. 33). კიდევ მეტი, ავტორის აზრით, 1875 — 76 წლებში „თავისუფალი“ სვანეთი „დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია საქართველოში“ (გვ. 133). გ. გულბანი კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის მოსახრებას და წერს: 1875 — 76 წლებში რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული როგორც ქვემო, ისე სადაღმშქელიანო სვანეთს. „ასეთ ვითარებაში, — განაგრძობს იგი, — ცხადია, რუსეთის მონარქია ვერ მოითმენდა თავისუფალი სვანეთის დამოუკიდებელ არსებობას...“ (გვ. 133).

ცნობილია, რომ მეფის მთავრობამ იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანა ჯერ ქვემო სვანეთი (სამეგრელოს სამთავროსთან ერთად), ხოლო 1832 — 1834 წლებში სადაღმშქელიანო სვანეთი (Сим. Эсадзе. Историческая записка об упр. Кавказом, т. I. Тифл., 1907; В. Маевский «Кутаисская губерния»... прил. № 5, Тифл., 1896, გვ. 58—63). გ. გაბლიანი, „ქველი და ახალი სვანეთი“, თბ., 1925, გვ. 73—74, მისივე „თავისუფალი სვანეთი“, თბ., 1927,

გვ. 32—33). რაც შეეხება „თავისუფალ“ სვანეთს, ის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა 1847—1853 წლებში. ბალსზენო სვანეთის („თავისუფალი“ სვანეთის) შეყვანა იმპერიის შემადგენლობაში საბოლოოდ გადაწყდა ვორონცოვის მოღვაწეობის დროს (Акты арх. ком. Т. X., გვ. 248, იქვე Т. XI, გვ. 942 — Отношение Кн. Воронцова к Чепнишеву от 9 ноября 1847 г.)

1847 წელს „თავისუფალი“ სვანეთში შეიქმნა მულახ-იფარის საბოქაულო (რომელშიც არ შედიოდა მხოლოდ ლატალი და ლენჯერი). მართალია, 1849 წელს დროებით გაუქმდა ეს საბოქაულო, მაგრამ 1853 წლიდან ხელმეორედ ჩამოყალიბდა სვანეთის საბოქაულო („თავისუფალი“ სვანეთის შემადგენლობით), რომელიც დაუმორჩილდა რუსეთის მმართველობას, სადაღმშქელიანო სამთავროს გაუქმების შემდეგ 1859 წელს ზემო სვანეთი გარდაიქმნა ერთ საბოქაულოდ. რუსული მმართველობის სისტემის განსამტკიცებლად საბოქაულოს ცენტრში — ბეჩოში ხანგრძლივი ვადით სამხედრო ასეული იქნა ჩაყენებული. 1869 წლიდან „თავისუფალი“ სვანეთის მოსახლეობას დაედო 1 მ. 30 კაბ. საკომლო გადასახადი, ხოლო ცოტა უფრო გვიან გამოცხადდა სააქციზო გადასახადი არაყსა და თამბაქოზე.

„თავისუფალი“ სვანეთი რომ 1875 წლისათვის რეალურადაა რუსეთის მფლობელობაში და რომ აქ რუსული მმართველობის სისტემა და გადასახადებიც არსებობს, ამაზე მკაფიოდ მეტყველებენ არა მარტო მეფის მოხელეთა ხელიდან გამოსული სათანადო პირველადი საარქივო დოკუმენტები, არამედ სვანეთის აჯანყების მოთავეთა ცნობილი გამოსვლები. მოვლემინოთ თუნდაც ყ. შერვაშიძეს. იგი 1875 წელს ხალხის წინაშე აცხადებდა: „ჩვენ ხომ იმას არ ვეუბნებთ მთავრობას, რომ თქვენს ხელში ყოფნა არ გვინდაო... — შემდეგ კი განაგრძობს — მისი (მთავრობის) ყოველივე მოთხოვნილება ავასრულებთ,

გამოგზავნა მღვდლები — დავიყენეთ. დანიშნა ბოქალები — მივიღეთ, სოფლის მოხელეები აბრჩიეთო — დავუჭერეთ და ბოლოს ექვს აბაზ უზალთუნიც ბეგარად დავიდევით... ეს ბეგარა კი — ძლიერ გამიკვირდა“ (ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 176). აჯანყების დროისათვის „თავისუფალი“ სვანეთის რუსეთის მფლობელობაში რეალურად არსებობა დღემდე არავის ვაუხდია სადაოდ, გარდა გ. გულბანიისა, რომელსაც ეჩვენება, რომ ამ დროს „თავისუფალი სვანეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია“ და ის იბრძვის ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ავტორის ასეთი დასკვნების წინააღმდეგ ლაპარაკობენ თვით სარეცენზიო წიგნშივე მოტანილი (აქამდეც ცნობილი) მასალებიც.


ნარკვევში დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომებიც, რომელთა შორის აქ მხოლოდ ორიოდეს დავასახელებთ: 1. ავტორი წერს, რომ კალის საზოგადოებაში, რომელშიც ხალდეც შედიოდა, ოჯახი „ექვსი სულისაგან შედგებოდა“ (გვ. 85). იმავე გვერდზე მეორე ადგილას იუწყება, რომ სოფ. ხალდეში ცხოვრობდა „17 ოჯახი — 120 მამაკაცი“ (იქვე). გამოდის, რომ საშუალოდ ოჯახში შვიდი მამაკაცი, მაშინ როდესაც მისივე აღნიშვნით ოჯახი მთლიანად ექვსი სულისაგან შედგებოდა. ქვემოთ (გვ. 99) ავტორს უკვე აღარ ახსოვს თავისი ნათქვამი (იმის შესახებ, რომ ხალდეში 120 მამაკაცი ცხოვრობდა) და სქოლიოში შენიშნავს: 100 მამაკაცი სულ არ იყო სოფ. ხალდეშიო (გვ. 99).

2. „ოჯახი, — წერს გ. გულბანი, — რომელიც 6 სულისაგან შედგებოდა და კალის საზოგადოებაში საშუალო მოსახლედ ითვლებოდა, ყოველწლიურად თესდა 4 კვილოლა (ავტორის გან-

მარტებით კვილოლა სამი ფუთია, გვ. 85) ხორბალს, 20 კვილოლა ქერს, ერთ კვილოლა წითელ ქერს“ (გვ. 85). ნუთუ სვანეთის ვითარებაზე ნათელი წარმოდგენის მქონე ადამიანმა შეიძლება დაიჭეროს, რომ 6 სულისაგან შემდგარი საშუალო გლეხის ოჯახი, სვანეთში, ისიც 5 ქცევა მიწაზე, დათესავდა 75 ფუთ მარცვლეულს? ასეთი კურიოზული შეცდომისაგან ავტორი თავს დაიზღვევდა, რომ ამ მონაცემების მოტანისას მას ამავე წიგნში მე-8 გვერდზე მოტანილ ვ. ტეპცოვის ცხრილში ჩაეხედა. ტეპცოვის მონაცემების მიხედვით კალის საზოგადოებაში 64 ოჯახი (В. Тепцов, Сванетия, сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, отд. I, Тифл., 1890, გვ. 24). მთლიანად თესავდა 300 ფუთ ქერს (იქვე, გვ. 22). ავტორის ჩვენების მიხედვით ამაზე მეტს თითქოს ხუთი ოჯახი თესავდა. გ. გულბანი ირწმუნება, რომ იმავე კალის საზოგადოებაში ოჯახი, რომელიც საშუალოდ 75 ფუთ მარცვლეულს თესავდა, მოიწევდა 198 ფუთს — „ეს იყო, — წერს გულბანი, — 6 ადამიანის სარჩო მთელი წლის განმავლობაში, ე. ი. ყოველ სულზე 33 ფუთი მარცვალი მოდიოდა“ (გვ. 85 — 86). ეს მაშინ, როცა იმავე ვ. ტეპცოვის ჩვენებით კალის საზოგადოებაში ერთ სულზე საშუალოდ მოდიოდა 10 ფუთი მარცვლეული. გ. გულბანი, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ ყოველ სულზე საშუალოდ 33 ფუთი მარცვლეული მოდიოდა წელიწადში, მეორე მხრივ კი აღნიშნავს, რომ სვანები განიცდიდნენ მარცვლეულის მძიმე ნაკლებობას, ზოლო დანაკლისის ინახლაურებდნენ მისი გარედან შემოტანით, ბალახეულობით, მონადირეობით და სხვა.

ვფიქრობ, გ. გულბანი მეტი გულისყურით რომ მოკიდებოდა ნაშრომს, იგი დაზღვეული იქნებოდა აღნიშნული ხარვეზებისაგან.





პედიკინ მაჭუკაძე

ეპიკთელი მამლუქები

(ახალი საარქივო მასალების მიხედვით)

XVIII საუკუნის II ნახევარში არაბული აღმოსავლეთის უმთავრეს ქვეყნებში (ეგვიპტესა და ერაყში) განმგებელნიცა და თავკაცნიც ძირითადად ქართველი მამლუქები იყვნენ. სწორედ ამითაა გამოწვეული მამლუქებისადმი ქართული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი, რამაც თავის მხრივ განაპირობა საკითხისადმი ჩვენი მკვლევარების ყურადღება.

ერაყელ მამლუქებს საგანგებო ნარკვევები და წერილები უძღვნეს: აკად. გ. ლეონიძემ, გ. ბეი-მამიკონიანმა და ბ. სილაგაძემ. არც ეგვიპტელი მამლუქები დარჩენილან უყურადღებოდ — ამ საკითხისადმი მიძღვნილია: ბ. სილაგაძის, გ. ბეი-მამიკონიანის, შ. კურდღელაშვილის, ა. ცამციშვილის, დ. ჯანელიძის, გ. მთაწმინდელის სტატიები და წერილები, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

ხსენებულმა მკვლევარებმა შეკრიბეს უცხოურ საისტორიო ლიტერატურაში მიმოხეული ძნელად ხელმისაწვდომი ცნობები და ჩვენს ფართო მკითხველს მიაწოდეს, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ მამლუქების შესახებ საარქივო მასალას თითქმის არავინ შეხებია (გარდა დ. ჯანე-

ლიძისა), ამიტომ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის მამლუქების როლი იმ ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ (ამ მხრივ საკითხის მართებული დაყენებით გამოირჩევა ბ. სილაგაძისა და გ. ბეი-მამიკონიანის შრომები) და არც მამლუქების საქართველოსთან ურთიერთობა. კიდევ მეტი: საბუთების გამოუვლინებლობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მამლუქების საქართველოსთან ურთიერთობის საკითხში ზოგიერთი მკვლევარი ისტორიული სინამდვილის საწინააღმდეგო დასკვნებადმეც კი მიდის.

ჩვენი წერილის მიზანია ქართველ მკითხველს მიაწოდოს რამდენიმე ახალი ცნობა საქართველოსა და რუსეთთან მამლუქების ურთიერთობიდან ავტორის მიერ გამოვლინებული საარქივო საბუთების საფუძველზე, რომელთა გამოყენების კვალი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ ჩანს. იქნებ ამ წერილში მოტანილმა მასალამ ზოგიერთ მცდარ დებულებათა შემდგომ გაღრმავებას ბოლო დიდოს და საისტორიო დოკუმენტების ძიებისა და კრიტიკული დამოკიდებულების ინტერესი გაზარდოს.

საკითხი რომ ნათელი გახდეს, საჭი-

როა მოკლედ მაინც შევეხოთ ლიტერატურას ეგვიპტელ მამლუქთა (ერაყელ მამლუქებზე არსებულ ლიტერატურას ჩვენ აქ არ ვეხებით) შესახებ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეგვიპტელ მამლუქთა ისტორიის შესახებ ზემოთ დასახელებულ ავტორთა შრომებიდან, ჩვენს საკვლევ პერიოდს (XVIII საუკუნის 80-იან წლებს) ყველა როდი ეხება. ამიტომ ჩვენ არც ამ შრომებზე შევჩერდებით.

ჩვენს საკვლევ საკითხს პირველად (1959 წელს) შ. კურდღელაშვილი და დ. ჯანელიძე შეეხნენ, პირველი ზოგადად, მეორე — საგანგებოდ. ორივე ავტორის ნაშრომს დადებით მხარეებთან ერთად სერიოზული ხარვეზებიც აქვს. შ. კურდღელაშვილის სტატია „მამლუქობა და საქართველო“ მეტისმეტად ზოგადია, ხანჯრძლივი ისტორიული მონაკვეთის მიმოხილვის ცდაა, თანაც წყარო არსად მითითებული არაა; ჩვენს საკვლევ პერიოდზე (XVIII საუკუნის 80-იან წლებზე) ავტორს კონკრეტულად თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი და ჩვენც მასზე არ შევჩერდებით, რომ მასში ფაქტები არ იყოს დამახინჯებული და ავტორი პრინციპული ხასიათის სადავო (შეიძლება პირდაპირ გვეთქვას: მცდარ) დებულებას არ გვთავაზობდეს. შ. კურდღელაშვილი მკითხველს არწმუნებს, თითქოს მამლუქობამ უბედურება მოუტანა საქართველოს და ეგვიპტეს.

შ. კურდღელაშვილი ეხება მამლუქების მიერ ორგანიზებულ ეგვიპტის სახელმწიფო ხელისუფლების წყობას და წერს: „...ეგვიპტელი მამლუქების ვიწრო სამხედრო კორპორაცია უცხო ქვეყანაში თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად და თავისი შეიარაღებული რაზმების შესავსებად კაიროს, დამასკოს, ბაღდადისა და სტამბულის ბაზრებზე ხალისით იძენდნენ თავიანთ თანამემამულე ქართველ ჭაბუკებს...“

გარდა ამისა, ეგვიპტისა და ერაყის გამგებელი ქართველი მამლუქები ხშირად სამშობლოდან იბარებდნენ თავი-

ანთ ნათესავებს და მახლობლებს და მათთან დარჩენას სთავაზობდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ მე-18 საუკუნის დამლევს ეგვიპტის გამგებელმა მამლუქმა იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა ეგვიპტეში დიბარა თავისი ძმა ბასილა შინჯიკაშვილი და სიძე გოგია ბერუაშვილი. იბრაჰიმის თანამებრძოლმა მამლუქმა სულეიმან ტარბაისიძემაც მიიწვია ეგვიპტეში თავისი ახლო ნათესავები. ერაყის მამლუქმა განმგებელმა და უდ მანვეელიშვილ-ბოჩალაშვილმა მე-19 საუკუნის დამდეგს ბაღდადში დაიბარა თავისი ძმები შიო და დიმიტრი და ერთ-ერთი მათგანი ქ. ბასრას ქალაქის თავდაც დანიშნა“ (შ. კურდღელაშვილი, მამლუქობა და საქართველო, ეურნალი „დროშა“, 1959, № 8. გვ. 17-18).

შემდეგ ავტორი მიუთითებს ფაქტზე, რომ აღმოსავლეთის ბაზრებზე ქართველი ტყვეები ძვირად ფასობდნენ და გადადის დასკვნებზე: „...მახლობელ აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში მამლუქთა ინსტიტუტის წარმოქმნამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ფეოდალურ საქართველოს“ (იქვე).

„შუასაუკუნეების იმ ძნელბედობის დროს, როდესაც თავისი ეროვნული თვითმყოფლობის შესანარჩუნებლად ქართველ ხალხს თურქეთის, სპარსეთისა და ლეკიანობის წინააღმდეგ უხდებოდა გამუდმებული ხმლის ტრიალი, საქართველოდან ყოველწლიურად ათასობით ყმაჭაბუკის გაყვანა-გატაცება და ეგვიპტესა და ერაყში მათი გამამლუქება, არსებითად, ქართველ ხალხს ფიზიკური მოსპობისა და გადაშენების სავსებით რეალური საფრთხის წინაშე აყენებდა“ (იქვე).

შემდეგ ავტორი გადადის მამლუქების, როგორც უცხო ძალის უარყოფითი როლის აღნიშვნაზე ეგვიპტის ისტორიაში და დასკვნის:

„...მამლუქობა იმ ორმხრივად ბასრ შუბს წარმოადგენდა, რომლის ერთი წვერი ქართველი ხალხის გულსა ჰკმირავდა, ხოლო მეორე წვერი ეგვიპტელი ხალხისას“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ავტორი აყენებს დიდ პრობლემას, ამ დიდ პრობლემაზე მსჯელობა ჩვენ ისევ მოგვიხდება, მაგრამ აქაც გვესურს ზოგიერთი რამ წინასწარ განვაცხადოთ.

ჯერ ერთი, ავტორის მიერ მოტანილი არცერთი ფაქტიური მონაცემი მისი დებულების სასარგებლოდ არ მეტყველებს, აბრამ შინჯიკაშვილის მიერ დაბარებული ძმა (ბასილა) და სიძე (გოგია ბერუაშვილი), როგორც მკითხველი ჩვენი წერილიდან დანიხავს, ეგვიპტეში არ დაჩინილან — ისინი საჩუქრებითა და სოფლისათვის ეკლესიის ასაშენებლად 200 ოქროთი გამოისტუმრეს; სულემან ტარბაიძის ძმა გაბრიელი საგანგებო პატივით იქნა საქართველოში გამოისტუმრებული, როგორც ეს ჩვენი წერილიდანვე ჩანს.

მამლუქები თვითონ აძლევენ სახარჯოს, სამგზავრო ბარათს და საქართველოში ისტუმრებდნენ ტყვეებს. ამ თავიანთ დამსახურებას ისინი ერეკლესთან გაგზავნილ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდნენ.

რაც შეეხება დაუდ ბეგის საქციელს, აკად. გ. ლეონიძის გამოკვლევით ცნობილია, რომ მან თავისი ოჯახის წევრები ორბეულიანთა ყმობიდან გამოისყიდა („დროშა“, 1954 წ. № 3).

მეორე, შ. კურდღელაშვილის წერილს ძალაუნებურად ისეთ დასკვნამდე მიყავს მკითხველი, „თითქოს ქართველი მამლუქები რომ არ ყოფილიყვნენ, ტყვეების მტაცებლობა არ იქნებოდა საქართველოში და მთელი უბედურების მიზეზიც ეს ყოფილა. როგორც ჩანს, პატივცემული მკვლევარისათვის საქმის ნამდვილი ვითარება უცნობი ყოფილა. საქართველოდან გატაცებული ტყვეები ძირითადად ყირიმსა და თურქეთში ზედებოდნენ. ხოლო მთელი უბედურების მიზეზი იყო სამხედრო-ფეოდალური თურქეთი. არაბულ ქვეყნებში ტყვეები სწორედ იმიტომ ფასობდა ძვირად, რომ მათი ძალიან მცირე ნაწილი აღწევდა ეგვიპტემდე, ხოლო თუ ეგვიპტელი მამლუქი, გუშინდელი გლე-

ხი — თავის თანატომელის მონობიდან გამოსყიდვას ამჯობინებდა და ცოტა მეტს გადაიხდიდა, რომ იგი ნახევრად თავისუფალი მიინც გაეხადა, ეს არავის უნდა გაუკვირდეს. აი რატომ ფასობდა იქ მეტად ქართველი ტყვეები.

ახალციხესა და ფოთში თურქი ვაჭრები იმიტომ კი არ დაძრწოდნენ რომ ეგვიპტის მამლუქთა რიგები შეეცსოთ — არამედ თათარი და თურქი ფეოდალების პარამხანებისა და თურქეთის იანიჩართა რიგების გასამრავლებლად. ამჯერად ჩვენს განკარგულებაშია ათასობით დოკუმენტი, როგორც ტყვის მტაცებლობის, ისე თურქეთის პოლიტიკის თაობაზე, რომლებიც, ალბათ, იხილავენ მზის სინათლეს და დავა უფრო იოლი იქნება. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ: თურქეთიდან ქართველი ტყვეების დახსნა იმდენად რთული საქმე იყო, რომ ნშირად მხარეები შეთანხმებული ტრაქტატებიდანაც კი უკან იხევდნენ, ან პირში წყალს იგუბებდნენ.

ჩვენ ვერც ეგვიპტის ისტორიაში მამლუქობის როლის შეფასებაში დავეთანხმებით პატ. შ. კურდღელაშვილს, მაგრამ ამ საკითხზე მართებული შენიშვნა აქვს გაკეთებული ბ. სილაგაძეს და სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ.

რაც შეეხება დ. ჯანელიძის ნარკვევს, იგი მეტად საყურადღებოა. ავტორის დამსახურება ისაა, რომ არსებითად მან შემოიტანა პირველად საარქივო მასალა მამლუქების ისტორიის საკითხების გაშუქებისას; წერილში არა ერთი საყურადღებო ცნობაა მოტანილი რუსეთის არქივებში დაცული საბუთებიდან. მაგრამ შრომა უნაკლო როდია. ავტორი შემოფარგლულა რუსეთის ალექსანდრიელი კონსულის ბარონ ტონუსის მოხსენებებით (ბულგაკოვის მოხსენებები, ძირითადად, ტონუსის მოხსენებებზეა აგებული) და იმიტომ ნაშრომში ეგვიპტელი მამლუქების საქართველოსთან ურთიერთობის ნამდვილი სურათი ვერაა წარმოდგენილი. ავტორი მიუთითებს აჯანყებული მამლუქების რუსეთ-

თან ურთიერთობის ფაქტზე („...რუსეთის ალექსანდრიელ კონსულს ბარონ ტონუსს — წერს დ. ჯანელიძე, — ქაიროს აჯანყებულ ბეიებთან ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა და შიკრიკად ვინმე ოფიცერს, გვარად კაქკაჭიშვილს იყენებდა“ (დ. ჯანელიძე, მამლუქთა ბრძოლის ისტორიიდან, ჟურნალი „ცისკარი“, 1959 წ. № 6. გვ. 146). ავტორი იმასაც კი აღნიშნავს, „რომ ბეიებს კონსულ ტონუსისათვის 1786 წლის შუახანებში წერილი გაუგზავნიათ და რუსეთის ქვეშევრდომობა უთხოვიათ“, მაგრამ მასალის ცალმხრივობას ავტორი შეცდომაში შეუყვანია; სინამდვილეს არ შეეფერება ცნობა, თითქოს „ტონუსს ეს ამბავი (რუსეთის მფარველობაში მიღების თხოვნა — ვ. მ.), თავისი გაუფრთხილებლობით, საფრანგეთის კონსულისათვის გაუნდვიაო“ (იქვე). რუსეთის კონსულმა სულ სხვა რამ გაანდო საფრანგეთის კონსულს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. წერილში სხვა ფაქტიური უზუსტობანიც გვხვდება, როგორც ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს. ვარდა ამისა, ავტორი აშკარად მცდარ დასკვნამდე მიდის, როცა წერს: „სირცხვილეულმა კაფუდან-ფაშამ თითქოს იმით მოიკლა ჯაგრი, რომ შეიპყრო რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ტონუსი, რომელიც ბეიებს თანაუგრძნობდა, და სტამბოლს წამოყვანა დაუპირაო“ (იქვე, გვ. 151). ბარონ ტონუსზე ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ: ბარონმა ტონუსმა ნამდვილად ჩაშალა აჯანყებული ეგვიპტელი მამლუქების რუსეთთან დაახლოვების საქმე — არც თითონ ჩავიდა ქაიროში, არც ბეგების წარმომადგენელი მ. კაქკაჭიშვილი გაუშვა დროზე კონსტანტინოპოლში ბულგაკოვთან, არ იკისრა შუამდგომლობა კაპუდან ფაშასა და ბეგებს შორის, ვასცა ბეგების საიდუმლო, არასწორ ინფორმაციებს აწვდიდა რუსეთის მთავრობას მამლუქების შესახებ, ხოლო თავისი დამოკიდებულება თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი მამ-

ლუქებისადმი, 1786 წლის 9 ივლისს გაგზავნილ მოხსენებაში ასე ჩამოაყალიბა: «По вышеписанному соблаговолите предусмотреть ваше превосходительство—წერდა ტონუსი ბულგაკოვს— состояние мое в Александрии и что в место облебления приезд капитана-наши произвол двоиную горесть, на случай бже сохрани ево неудачи, что мне делать нижеаише прошу неоставит наставлением в споснии себя какой непредвидимости» (АВПР, ф. Сп. России с Турцией 1786 г., д. 675, лл. 15—16).

რა თქმა უნდა, კაცი, რომელიც ფიქრობდა ბეგების წინააღმდეგ მებრძოლ კაპუდან-ფაშას მარცხის შემთხვევაში რა მეშველებაო, „ბეიების თანამგრძობი“ ვერ იქნებოდა. მცდარ დებულებამდე მისვლა მთლიანად ავტორის დაუდევრობის ბრალი როდია, იგი მასალის ცალმხრივობითაცაა განპირობებული.

* * *

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მრავალ მასალას ვითვალისწინებთ, მაგრამ ძირითადად ვემყარებით იმ ოფიცერ კაქკაჭიშვილის მასალებს, რომლის შესახებ დ. ჯანელიძე წერდა: „სამწუხაროდ, დაწვრილებით ცნობებს ამ კაქკაჭიშვილის სადაურობისა და ეგვიპტეში მისი მოხვედრის შესახებ ჯერჯერობით ვერ ვაწვდით მკითხველს — ეს მომავლის საქმეაო“ (დას. შრომა, გვ. 146). დ. ჯანელიძე გულახდილად აღიარებს, რომ კაქკაჭიშვილის საქმიანობას არ იცნობს, მაგრამ როგორც მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, იგი არც ალექსანდრიაში რუსეთის საკონსულოს საქმიანობასა და არც რუსეთის კონსტანტინოპოლის საელჩოს მასალებს იცნობს საფუძვლიანად, თორემ რუსეთის ალექსანდრიელი კონსული მამლუქებთან ურთიერთობაში შუაყავად ოფიცერ კაქკაჭიშვილს იყენებდაო, არ დაწერდა. როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, საქმე გვაქვს საწინააღმდეგო ამბებთან — ბეგებმა სცადეს მ. კაქკაჭიშვილის გამოყენება შუაყავად კონსულთან, მაგრამ კონსულმა ეს არ

ისურვა, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ.

წინასწარვე უნდა განვაცხადოთ, რომ მ. კაჭკაჭიშვილის მიერ მოწოდებულ ცნობებს, როგორც ერეკლე II და მამულუქების ნდობით აღჭურვილი კაცის ცნობებს, ვერც ერთი სხვა დღემდე ცნობილი იმდროინდელი წყარო ვერ შეედრება საქმის ნამდვილი ვითარების დასადგენად.

ვინ იყო კაჭკაჭიშვილი? ან როგორ მოხვდა იგი ეგვიპტეში? თვითონ კაჭკაჭიშვილი რუსეთში თავად პოტიომკინისადმი წარდგენილ მოხსენებებს ასე აწერს ხელს: „საქართველოს არტილერიის პორუჩიკი მაქსიმ კაჭკაჭოვი“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ფ. 15), დ. 192, პ. 17).

მამულუქი ბეგების წერილებში იგი მანუჩარ კაჭკაჭიშვილადაა მოხსენებული. აბრამ შინჯიკაშვილი (იბრემ ბეგი) 1786 წლის 10 აპრილს წერდა ერეკლეს: „მერმე თქვენი წიგნი მოგვივიდა მანუჩარ კაჭკაჭიშვილის ხელითაო“. (ЦГАВА, Госархив, разр. XI (ფ. 11), დ. 948, პ. 56). ხოლო სულეიმან ალა ანაფი 1786 წლის 10 აპრილს წერდა ერეკლე II: „მერმე მანუჩარ კაჭკაჭიშვილის ხელითა წიგნის წყალობა გექნანთ და მოგვითხეთ, დიდათ მადლობელი გახლავართო“ (იქვე გვ. 55) ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ გვიანდელ (1797 წლის) საბუთებში მოხსენებულია მაქსიმე და მანუჩარი, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ კაჭკაჭიშვილი საქართველოში გამოგზავნილ საბუთს ხელს აწერს როგორც მანუჩარი, ხოლო საქართველოდან მას რუსეთში მიმართავენ, როგორც „მაქსიმ პავლოვიჩს“.

რა თქმა უნდა, აქ ორი სხვადასხვა პირი კი არ იგულისხმება, არამედ ერთი და იგივე. რუსეთში ჩასული მანუჩარ კაჭკაჭიშვილი „მაქსიმ კაჭკაჭოვად“ ან „მაქსიმ პავლოვიჩად“ ქცეულა. ეს XVIII საუკუნეში ჩვეულებრივი ამბავი იყო და მასზე აღარ შევჩერდებით.

1787 წლის 10 მაისს თავ. გრ. პოტიომკინისადმი წარდგენილ მოხსენებაში მაქსიმე კაჭკაჭოვი (მანუჩარ კაჭკაჭიშვი-

ლი) წერდა: „1785 წელს აგვისტოს 21 დაღეს მის მეფობის სიმაღლეს (ერეკლე II ვ. მ.) დავეთხოვეთ საქართველოდან, რომ მისირს (ეგვიპტეს — ვ. მ.) წავიდე ჩემის ბიძის სანახავად; ვთხოვეთ მოწყალება მის სიმაღლეს (ერეკლე II — ვ. მ.) და ვვიბოძა რეკამანდაფის წიგნები სატმბოლს (სტამბოლს — ვ. მ.) მყოფს ელჩი უფლის იაკობ ივანჩი ბულღაკოვათანა ჩვენზედ თანა მადებობისა და მისირს ბეგებთანა, რომელიც მეგობარნი არიან მეფისა შიზ-ბელადი იბრემ ბეგთან და მურად ბეგთან და ამით ქვემოთ ჩინებულთ ბეგებთანა“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ფ. 15), დ. 192, პ. 19). 1785 წლის აგვისტოში თბილისიდან წასული მ. კაჭკაჭიშვილი, იმავე წლის ნოემბერში კონსტანტინოპოლში ჩასულა. რუსეთის ელჩის ი. ბულგაკოვის მიერ 1785 წლის 16(26) ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან პეტერბურგში გაგზავნილ რელაციას დართული აქვს კონსტანტინოპოლის ამბების ყოველდღიური ჩანაწერები, სადაც 1785 წლის 2 ნოემბერს მომხდარი ამბების აღწერისას ნათქვამია: «Прибыл... из Грузии чрез Таганрок царя Ираклия артиллерию поручик Максим Качкачев, едущий в Каир для свидания с своими родственниками» (АВПР, ф. Сп. Росени с Турцией, 1785 г., д. 659, л. 38 об.).

მ. კაჭკაჭოვის ტაგანროგის გზით წასვლა აუცილებელი იყო ახალციხის ფაშის მტრული პოზიციის გამო. რაც შეეხება ბიძის თუ ნათესავების სანახავად წასვლის მოხსენებას, ეს მხოლოდ საბაბი იყო. ამ საკითხზე ქვემოთ. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით გაცოფებულმა თურქეთმა მთელი მაჰმადიანური სამყარო აღმუნდრა ერეკლეს. საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი ახალციხის ფაშა იყო. ახალციხის გზით რომ თურქეთისაკენ გამგზავრება არ შეიძლებოდა, ეს არა მარტო აქ იცოდნენ, ეგვიპტეშიც კი შეუთვლიათ: 1785 წლის 3 ივლისს კონსტანტინოპოლში სა-

ქართველოდან მიუღიით ვინმე სოლომონ აზნაუროვის წერილი ვინმე ქართველ არტილერის „ჩორბაის“ სახელზე თხოვნით — გადაეგზავნათ ეს წერილი კაიროში იბრემ ბეგისათვის (აბრამ შინჯიაშვილისათვის). წერილი კონსტანტინოპოლში გაუხსნიათ, წაუკითხავთ და შემდეგ გაუგზავნათ კაიროში. წერილში დაწვრილებით ყოფილა აღწერილი საქართველოს ამბები: ლეკებთან ბრძოლა, განჯის ხანთან ურთიერთობა, პოლკოვნიკ ტამარას ირანში გამგზავრების ამბავი, ერეკლეს სურამში ყოფნა ჭარბით; ისიც კი ყოფილა აღნიშნული, რომ პოლკ. ტამარამ წერილი გაუგზავნა ახალციხის ფაშას — რუსეთსა და თურქეთს შორის მეგობრობა მოითხოვს, ახალციხიდან ლეკების თავდასხმა საქართველოზე არ დაუშვართო და სხვ. წერილით რჩევას აძლევდნენ იბრემ ბეგს (აბრამ შინჯიაშვილს) — თუ ვინმე კაიროდან საქართველოში წამოსვლას დააპირებს, წამოვიდეს ბაღდადის (ბაღდადში სულეიმან დიდი და ქართველი მამლუქები ბატონობდნენ) ან ყირიმის (რუსეთის) გზით; ხოლო ერზრუმის, ახალციხის, ყარსის და ბაიაზეთის გზა საშიშიაო (АВПР, ф. Сн. Росени с Турцией, 1785 г., д. 654, лл. 100—101).

თავ. გ. პოტიომკინისადმი წარდგენილ იმავე მოხსენებაში მ. კაჭკაჭიშვილი წერს: „1786 წლის იანვრის მიუღიით მისირში. ბიძა ჩვენი მიცვალილიყო. მეფის ნაბოძები წიგნები ბეგებს მივართვით. დიდის სიყვარულით მიღეს. იბრემ ბეგმა თავის სარაში (სასახლეში — ვ. მ.) სადგომი გაიბოძა და ყოველი ამბავი უმაღლესის კარისა (რუსეთის — ვ. მ.) დიდის სიყვარულით მოიკითხეს და საქართველოსი რუსეთის საფარველ ქვეშ შესვლისთვის დიად მხიარულ ჰყვეს.

რადგან სცნეს ბეგებმა მის სიმაღლის (ერეკლე II—ვ. მ.) რეკამნდაცის წიგნითა, რომ მეფისა (ერეკლე II—ვ. მ.) ერთგული მონა ვახლივართ, იბრემ და მურად ბეგმა საიდუმლოთ გვიხმეს და

დამაფიცეს, თავანთი გულის განძრავს ხულობა გამოგვიცხადეს“ (ЦГАДА, Госархив. разд. XV (ф. 15), д. 192, л. 19).

მ. კაჭკაჭიშვილი კაიროში 1786 წლის იანვრიდან იმავე წლის აპრილის შუა რიცხვებამდე დარჩენილა. 1786 წლის 10 აპრილითაა დათარიღებული მამლუქი ბეგების წერილები ერეკლე მეფისადმი, რომლებიც მ. კაჭკაჭიშვილმა ჩაიტანა რუსეთში (ЦГАДА, Госархив. разр. XI (ф. 11), д. 948, лл. 55-56).

ვინ არიან ეს ბეგები, რომელთანაც ურთიერთობა აქვს მ. კაჭკაჭიშვილს და ერეკლე მეფეს? ან როგორია ეს ურთიერთობა?

ცნობილ ქართველ მეცნიერს, ერეკლე II შვილიშვილს იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ აღნიშნული აქვს, რომ თურქეთის სულთანმა სულეიმანმა დაიპყრო ეგვიპტე; დაყო საბეგებოდ და ხარკი დააკისრა მას, ხოლო სულთანს ემსახურებოდნენ „ბეგები“. რომელთა შორის უპირველესი ბეგი იყო „უკანასკნელთა დროებათა შინა მარტყოფელი კახელი შინჯიაშვილი აბრამა, იბრემ ბეგად წოდებული და ემორჩილებოდნენ მისრელნი (ეგვიპტელნი — ვ. მ.) და სხვანი ადგილნი და აგრეთვე ისხდნენ კუალად კახეთიდან და იმერეთიდან დაკარგული ტყვეები ბეგებად, ქეშობებად (პროვინციის მმართველებად ვ. მ.) რომელსა შინა განწესდა მსჯულად, თუ არა ტყვე ქართველთაგანი სხვა ვერდა მიიღებდა ბეგობას“... (ციტირებულია გ. ბეი-მამიკონიანის შრომის მიხედვით იხ. „მნათობი“, 1957 წ. № 9. გვ. 125).

იოანე ბატონიშვილის ცნობა, როგორც განათლებული თანამედროვესი და სამეფო ოჯახის წევრისა, უთუოდ სარწმუნოა და ანგარიშგასაწევი.

მოსკოვში ძველი აქტების სახელმწიფო არქივში, მ. კაჭკაჭიშვილის მიერ პოტიომკინისადმი 1787 წელს 10 მაისს წარდგენილი ზემოაღნიშნული მოხსენების გვერდით, არის ეგვიპტელი ბეგების სია, რომელიც იმავე მოხსენებ-

ბის ხელითა ნაწერი და არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მ. კაჭკაჭიშვილის ავტოგრაფია. ამდენად, სია 1787 წლის მათისია შედგენილი და 1786 წლის იანვარ-აპრილის (მ. კაჭკაჭიშვილის კაიროში ყოფნის) ვითარების ამსახვლია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მისირ(ი)ს ბეგებ(ი)ს სათვალავი, რომელიც უკუმდგარნი არიან(ნ) და კა(ი)ტ(ა)ნ ფაშას ებძვიან, იბრემ ბეგისა და მურად ბეგის კამანდი... ამის ქავემოთა საწერი: შიხ ბელადი იბრემ ბეგი — ქართველი, მურად ბეგი — ქართველი, სულემიან ბეგი — ქართველი, მუსტაფა ბეგი ემირ ჰკი—ქართველი, პატარა იბრემ ბეგი — ქართველი, ქილარჩი აჰმად ბეგი — ქართველი, ლაჩინბეგი — ქართველი, აშახარ ოსმან ბეგი—ქართველი, ჯიუტ უსეინ ბეგი — ქართველი, მუსტაფა ბეგი სილხტარი — ქართველი, დიდი ევი ბეგი — ქართველი, თახტავი ასან ბეგი — ქართველი, ყასუმ ბეგი — რუსი, აბდურამან ბეგი ბულდანი (რუშინელი ან მოლდაველი ვ. მ.), პატარა ევი ბეგი — ჩერქეზი, ელფი მაჰმად ბეგი, — ჩერქეზი, ჩარლავი ოსმან ბეგი — აბაზა (აფხაზი ან ადიღურ-ჩერქეზული ტომი აბაზა, ვ. მ.), იპია მაჰმად ბეგი — ჩაჩანი.

ეს ზემო მოხსენებული თავარამეტი ბეგი, სულ ერთ(ი)ს კაცის ნაყ(ი)დნი არიან, რომა ამათი ერთმანეთს მოშორება არ იქნება, ეს კანონი აქვსთ დადებული“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15), д. 192, л. 2).

როგორც მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, თურქების წინააღმდეგ მებრძოლი 18 ეგვიპტელი ბეგიდან 12 ქართველია და, რაც მთავარია, ქართველია მათი თავკაცი — „შიხ ბელადი“ (შეიხ-ულ ბელედი) — ქვეყნის გამგებელი.

იოანე ბატონიშვილის ცნობა ამ საბუთით დასტურდება, თუმცა მასში კორექტივი შეაქვს — ბეგებს შორის სხვა ერის შვილებიც ყოფილა.

სიაში მოხსენებული იბრემ ბეგი, რომელიც თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში მეთაურობდა ეგვიპტის

განმათავისუფლებელ მოძრაობას, იოანე ბატონიშვილის მიერ მოხსენებულ მარტყოფელი გლეხი აბრამ შინჯიაშვილია. იბრემ ბეგის ბრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის კარგადაა ცნობილი ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში, მაგრამ მისი ვინაობა არ იციან და ჩერქეზად აცხადებენ, რაზედაც სამართლიანად მიუთითებს გ. ბეიმამიკონიანმა და დ. ჯანელიძემ.

იბრემ ბეგის ქართველობა და მარტყოფლობა დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავო აღარაა, მაგრამ მისი ბიოგრაფია და საქართველოსთან ურთიერთობა კვლავ ბურუსით მოცული რჩება. ამიტომ აქვე მოვიტანთ რამდენიმე საბუთს, რომლებიც ნაწილობრივ მაინც შეავსებენ ხარვეზს.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დატულია საეკლესიო სასამართლოს მიერ 1790 წლის 26 ივლისს გამოტანილი განაჩენი, რომელიც 1795 წლის 6 აგვისტოს დაუმტყიცებია ერეკლე II და ბექვდიც დაუსვაშს. განაჩენი გამოუტანიათ იმის გამო, რომ რუსთავის ეპისკოპოსს (XIII საუკუნიდან, რუსთავის დანგრევის შემდეგ, რუსთავის ეპისკოპოსები იხსდნენ მარტყოფში, მაგრამ წინანდებურად, „რუსთველად“ იწოდებოდნენ) კირილეს, ბოდბელად განწესების შემდეგ თან წაუღია ღვთაების ეკლესიის ქონება, იმ საბაბით, რომ ორი წლით მივიდვარო შემდეგ კირილე ბოდბეში დარჩენილა და იქვე გარდაცვლილა. კირილეს გარდაცვალების შემდეგ რუსთავის ახალ ეპისკოპოსს სტეფანეს სასამართლოში საქმე აღუძრავს რუსთავის საეპისკოპოსოს ქონების ბოდბედან მარტყოფში დაბრუნების თაობაზე. განაჩენში დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ გაცვეს კირილეს მიერ ღვთაების ეკლესიიდან წაღებული ქონება. მაგრამ ჩვენ განაჩენიდან მხოლოდ იმ ნაწილს მოვიტანთ, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება.

1790 წლის 26 ივლისს გამოტანილ განაჩენში ნათქვამია: „მისირელს (ეგვიპ-

ტის — ვ. მ.) იბრეიმ ბეგს მარტყოფში ეკლესიის აღსაშენებლად ორმოცდართხის თუმნის ოქრო რომ. გამოუგზავნია, თორმეტი წელიწადია (1790—12—1778 წ.). ამ თეთრის საქმე გამოვიკითხეთ და შევიტყუეთ რომ ეკლესია არ აღშენებულა და თეთრიც ადვილსვე არის. ჩამოვაყვანინეთ იმ ბეგის ძმა შინჯიაშვილი ბასილა და ვკითხეთ და იმან საშინელის ღ-ის სახელის ფიცით ასე ადგვიარა: „მე რომ მოველ იბრეიმ ბეგმა მკითხაო, ისევ გომურის ეკლესიამი ჰსწირვენ მარტყოფსა, თუ სხუა გააკეთესო; მე მოვახსენე: არა, ზემოთ რომ წ-ის ნიკოლაოსის ეკლესია არის იქ ჰსწირვენ მეთქი. და მიბრძანა: დედაჩემს ხომ იქ ასულა არ შაუძლიან და რა უნდა ქნასო. მას უკან მკითხა რუსთუელი ვინ არისო. მე მოვახსენე ენისელთ მოურავის შვილი კირილე არის მეთქი. მერე მიბრძანა: მე გავგზავნი ცოტას რასმე თეთრსა ეკლესიისათვის, რომ ეკლესია ააშენონო, და გამოატანა ჩემს სიძეს ბერუაშვილს გოვიას ორასი ოქრო, რ-ლიც კირილე რუსთუელს მიერთვა: მე ამის მოწამე ვარო წე-ღ-ისა“. ამ ოქროების საქმე კიდევაც გამოვიძიეთ მოქალაქეთაგან და რუსთვლის მსახურთა სამღუდლოთა და საეროთაგან და მათგანაც შევიტყუეთ, რომ იქიდან მოსული თეთრი სარგებლით გაუცია კირილს და დამწვარის გარდა, დღესაც ჰსჩანს ამ თეთრისა ორმოცდა ათის თუმნის თამასუქი ერთი, რომელიც მესანთლე ზურაბასაგან არის აღებული; კიდევ თავნისა და სარგებლისაგან ამდგარი ათი თუმანი, რომელიც ისანია გარდუეკეტაშვილსა აქვს; კიდევ ერთი ოქროს სარალუჯი თვლებიანი და კიდევ ამ თეთრის სარგებელი ცხრა თუმანი ნეტარ ხსენებულს კირილე ბოდბელს მოწყალეობასა და ქუელის საქმეზედ საიდუმლოდ დაუხარავს, რ-ლსაც ზურაბა მესანთლე ჰმოწმობს და უნახავსცა. ამას აღარ გამოვეკიდენით და დავიდუმეთ“ (საქ. ცენტრალური არქივი, ფონდი 1448. დოკ. № 3788), ალბათ საინტერესოა, რა უქნეს

შინჯიაშვილის მიერ გამოგზავნილ ფულს. როგორც ჩანს, აღნიშნული თანხა შემდეგ უნდა მიეღო და გამოეყენებია რუსთავის ახალ ეპისკოპოსს ეკლესიის ასაშენებლად. მართლაც, სოფ. მარტყოფის ახლანდელი ეკლესიის აგება საეპისკოპოსოს ქონების მაძიებელს სტეფანე რუსთველს დაუმთავრებია 1810 წელს. ცხადია, მას უნდა გამოეყენებია ა. შინჯიაშვილის სოლიდური შეწირულება, მაგრამ სამშენებლო წარწერაში; როგორც ისტორიკოსმა, მარტყოფის მკვიდრმა ა. მათიაშვილმა მაცნობა, მხოლოდ სტეფანე რუსთველი იხსენიება, როგორც აღმშენებელი, შემომწირველზე. არაფერი ყოფილა ნათქვამი. ძნელია იმის თქმა, ეს სტეფანე რუსთველის დაუდევრობა იყო თუ გამაჰმადიანებული ბეგის სურვილი — არ გაეცათ მისი საიდუმლო, რომ ეგვიპტეში მაჰმადიანებს ამრეზილად არ დაეწყოთ მისთვის ყურება. ჩვენს ხელთ არსებული საბუთები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო ამ უკანასკნელს უჭერს მხარს.

მოტანილი ტექსტიდან ჩანს: პირველი, აბრამ შინჯიაშვილს მარტყოფის ეკლესიის ასაშენებლად ფული 1778 წელს გამოუგზავნია, რაკი ვანაჩენის გამოტანის დროს (1790 წლის 26 ივლისს) ფული 12 წლის გამოგზავნილი ყოფილა; მეორე, სადაო არაა, რომ სწორედ 1778 წელს ყოფილან ეგვიპტეში აბრამ შინჯიაშვილის ძმა ბასილა შინჯიაშვილი და სიძე გოგია ბერუაშვილი; მესამე, აბრამი მოზრდილი გაუტაცნიათ მარტყოფიდან, რაკი მას ასე კარგად ახსოვდა მარტყოფის სალოცავების მდგომარეობა და სოფლის მდებარეობა; ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ აბრამ შინჯიაშვილი XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც ეგვიპტის გამათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ჩანს, იგი XVIII საუკ. 40—50-იან წლ. მიჯნაზე უნდა დაბადებულიყო, ხოლო მისი ტყვედ გატაცება 60-იანი წლების დასაწყისში უნდა მომხდარიყო; მეოთხე, ჩვენ სხვა საბუთებსაც მო-

ვიტანთ, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ გამაჰმადიანებული ქართველი ქრისტიანად დარჩენილა და ქართული ეკლესიების აშენებაზე ზრუნავს; და ბოლოს, რაკი 1778 წელს ა. შინჯიკაშვილი უკვე ბეგია და მატერიალურად არტუხ ხელმოკლე, იგი ტყვედ გატაცების შემდეგ მალე უნდა მოხვედრილიყო ეგვიპტელ მამულქებს შორის, რომ ამ დროისათვის თავის გამოჩენა და მამულქთა სამხედრო კორპორაციაში დაწინაურება მოუხსნია.

რაც შეეხება ა. შინჯიკაშვილის ტყვედ გატაცების გზას, XVIII საუკუნის 50-60 წლებში თურქეთისა და სპარსელების მარტყოფში შეჭრა გამორიცხულია, ხოლო ლეკები თურქეთის მონათა ბაზრებს უკავშირდებოდნენ ახალციხისა და ყირიმის გზით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მ. კაჭკაჭიშვილის მოხსენებიდან ერეკლეს წერილები ბეგებმა „დიდის სიყვარულით მიიღეს“, მეფის ერთგულ მსახურს ბეგმა საკუთარ სასახლეში მისცა ბინა. რაკი დარწმუნდნენ ბეგები, რომ მ. კაჭკაჭიშვილი ერეკლეს ერთგული იყო, „საიღუმლოთ იხმეს“, დააფიცეს და „თავიანთი გულის განზრახულობა“ გამოუცხადეს, რაც აშკარად მეტყველებს ერეკლესა და მამულქ ბეგებს შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობაზე. ამაზე კი დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით.

ბეგების საქართველოსთან ურთიერთობაზე კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს მ. კაჭკაჭიშვილის მეორე მოხსენება.

მ. კაჭკაჭიშვილი პირველ მოხსენებაში აღნიშნავს, ბეგების განზრახვას უფრო სრულად მეორე წერილით მოგახსენებთო, და მართლაც, თავ. პოტიომკინისათვის იმავე 1787 წლის 10 მაისით დათარიღებულ მეორე მოხსენებაში წერს: „მისიის (ეგვიპტის — ვ. მ.) ბეგებს შეწოის მის იმპერატორობის უდიდესობა (ეკატერინე II — ვ. მ.), რომ ეგვიპტელნი ხონთქრის ყმობიდან გათავისუფლდნენ, ამ მიზეზით უადვი-

ლეს არს, რომ ყოველნი ეგვიპტის დიდი კაცნი და ლაშკარნი ქართლიდგან ტყვეთ მიყვანილნი და უნებურათ გათათრებულნი არიან და ყოველს ჟამს მოწადენი არიან რა დრო გზა ჰპოვონ, რომ ქრისტიანობა ეღირსოსთ, დიად მრავალთა დიდაცობა დასთმეს და დიდის შეჭირებებითა მისრეთიდგან (ეგვიპტიდან — ვ. მ.) წარმოვიდნენ(6) ქართლშია გლეხკაცობას სჯერდებოიანო“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ფ. 15), д. 192, л. 18). ქვემოთ მ. კაჭკაჭიშვილი განაგრძობს: „თავით ეგვიპტის მოსახლე ფალსა(?) უნებურათ უჭირავსთ მაჰმადის სარწმუნოვება, ქრისტიანობისგან ძალათ არიან დათათრებულნი, კიდევ მრავალი ქრისტიანთ ნიშნები მათში იპოვებოიან, თუ მიფარვით მღვდელი ჰპოვეს ყმარწვილს მოანათვლინებენ, ღორის ხორცს აშკარ(ა) სჭაშენ, რა ბეგებს დრო და ჟამი მიეცეს უადვილესათ მოიქცევიან“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ეგვიპტეში უკვე დიდკაცად ქცეულთაც კი ქართველობა არ დაუკარგავთ და ქართული მიწის ძალა მშობლიური მხარისაკენ ეწეოდა. რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ეგვიპტელ ბეგებს ნათესავებთან და ერეკლე მეფესთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ ან ქართული ეკლესიების აშენებაზე ეზრუნათ.

მოსკოვის არქივში მ. კაჭკაჭიშვილის მიერ ვრ. პოტიომკინისათვის წარდგენილი მოხსენებებისა და თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებული ბეგების სიის გარდა აღმოჩნდა ორი დოკუმენტიც, რომელთაც საგარეო პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი რუსეთში, მ. კაჭკაჭიშვილისათვის თავისებური მოწმობა უნდა ყოფილიყო, რომლითაც მას რუსეთის მთავრობა უნდა დაერწმუნებინა, ერეკლე II და ეგვიპტელ ბეგებს შორის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა არსებობსო, თორემ სხვა მხრივ ამ დოკუმენტების რუსეთში ჩატანას აზრი არ ჰქონდა.

პირველი დოკუმენტი ა. შინჯიკაშვი-



ლის წერილია ერეკლე მეფისადმი, რომელიც დათარიღებულია 1786 წლის 10 აპრილით. აბრამ შინჯიკაშვილი წერს: „ჩ. თქვენის სიკეთის და კარგისთ ყოფანის დიდათ მადომე და მონ(ა)ტრე მისირის (ეგვიპტის—ვ. მ.) შიხ ბელადი იბრე(ი)მ ბეგი მოკითხვასა და თქვენის ამაღლებულ(ი)ს თავის საკადრის მოკითხვას მოვახსენებთ. მერმე თქვენი წიგნი მოგვევიდა მანუჩარ კაქკაქსიშვილის ხელითა, დიდათ მადლობელი ვახლივართ, რომ თქვენს წიგნსა და ამბ(ა)ვს არ გვაკლებთ. მერმე ამ(ა)ს მოგახსენებთ და ჩვენი სავედრებელი ეს არის თქვენს წინაშე, რომ ჩვე(ნ)ს მამის დას შვილის სულეიმან აღას შუა მადეგელნი ვართ თქვენთანა, რომ ამის ძმა კანუტის შვილი ივანე ავალიანთ მეით(ა)რი ივანეს შავილის სოლომონის ყმა ვახლავსთ, ვგესმა, რომ ძალასა და უსამართლოს ატანს. ამ სოლომონის ყმობიდან გამოიყვანოთ თავის მამულ-დედუღითა და თქვენი სახასო ყმათ ვახ(ა)დლოთ დიდათ მადლობელი ვახლდები. ამ(ი)ს მავიერი სამსახური ჩვენც უმეტესათ გვიბძანით, ვიცით. თქვენის კეთილი მოწყალეობ(ი)ს(ა)გან, რომ ჩვენს შუამდგომლობას და წერილს მი(ი)ღებთ, ამასთვის კადნიერ(ა)თ მოგწერთ ვითხოვთ წყალობას, რომ თქვენი წიგნი და ამბავი არ დაგვაკლოთ“ (ЦГАДА, Госархив, разр. XI (ф. 11). д. 948. л. 56). საბუთს დასმული აქვს მურის ბეჭედი არაბული წარწერით.

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, იგი სულეიმან ალა ანაფის გამოუგზავნია ერეკლე მეფესთან, იმავე 1786 წლის 10 აპრილს. წერილში ვკითხულობთ: „ჩ. თქვენის ამაღლებულის და ბედ(ი)ერს ტახტისა სიმდაბლით მოკითხვასა, სამსახურს დიდად ნატარსა (ნანატრსა—ვ. მ.) მოვახსენებთ თქვენი მონა სულეიმან ალა ანაფი. მერმე მანუჩარ კაქკაქსიშვილის ხელითა წიგნის წყალობა გექნანთ და მოგვეკითხეთ. დიდათ მადლობელი ვახლივართ ჩვენის მოკითხვისათვისა. ჩვენც საბედნიეროთ გვაგამსახუროსთ. ვიცით, რომ ჩვენი მოწყალეობით

ბაძანდებით. მერმე ჩავენი სათხოვარი ეს არს თქვენ წინაშე, თუ რომ წყალობას მოიღებდეთ ჩვენი ძმა კანუტის შვილი ივანე, ავალიანთ მეითარის შვილი სოლომონის ყმა ვახლ(ა)ვსთ, ვავესმის, რომ დიდად უსამართლოთ სადმე იმსახურებდ ჩვენს ძმასა, რომ ვაძლებს ილაჯი აღარ აქვს. ამ წყალობას ვითხოვთ, რომ მავ ქავეყანიდამა არ დაკარგონ ჩვენის ხათარსათვისა (ხათრისათვის—ვ. მ.), თუ ამ მოწყლებას მ(ო)იღებთ და მაგათის ყმობიდან გამოიყვანთ და თქვენის სახ(ა)სო ყმათ დასწერთ თავის მამულ-დედუღითა, რომ საქრსტიანოდამ არ დაიკარგოს ჩვენც ღ-თის და თქვენის დოვლ(ა)თითა მაგის მავერს სამსახურს შევიძალებთ, რომ ვადვიხ(ა)დლოთ. მართალი არს ახლო კი არ ვახლივართ, რომ ჩვენი სამსახური თქვენმა კეთილმა თავმან ნახოს, მაგრამ ამ ქვეყანაშია ან თქვენის წიგნითა და ან თქვე(ნ)ი ბაძანებითა მოსულან, ჩემის მეტი საქმისა გამა(რიგე), ყურს მიმგდები არვინ ვახლებიათ, ან ამ მისირიდა(მ) ამთოვი ტუყე მოღის სულ წიგნის ამრთმევი (და სახა)რჯოს მომცემი და გამამგზავნელი ჩვენა ვართ, (თორემ ერთს ტაყვეს აქამდე არ გამოუშვებენ, თუნდ (იკით)ხეთ და მოგხსენდებათ ჩვენი სამსახური, თორემ ეს (თქვე)ნი ერთგული ყმა მანუჩარც გეახლებათ და პირით (თვით) მოგახსენებს ჩვენს ერთგულებასა. ვითხოვთ (თქვენ)ის მოწყალეობისგანა, რომ ამ საქმის უარი არ გავიბ(ძანოთ)“ (იქვე. 55).

მოტანილი დოკუმენტებით ირკვევა ვინაობა კიდევ ერთი მამულქის — სულეიმან ალა ანაფისა, იგი ყოფილა აბრამ შინჯიკაშვილის მამიდაშვილი, გვარად კანუტაშვილი (სოლომონ ივანეს ძე ავალიანის, თუ ავალიშვილის ყმის, ივანე კანუტაშვილის ძმა). გარდა ამისა, მოტანილი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ ერეკლე II და ეგვიპტის მამულქ ბეგებს შორის ადგილი ჰქონდა ხშირ საქმიან მიმოწერას, მათ შორის მკიდრო მეგობრული ურთიერთობა ყოფილა დამყარებული. მამულქები სამშობლოში დაბრუნების მოსურ-

ნე ტყვეებს დიდი რაოდენობით ისტუმრებდნენ სამშობლოში, აძლევდნენ საზრდოს, გზაში სახარჯოს და სარეკომენდაციო წერილებს. არც ამის თაობაზე გვქონდა რაიმე ცნობა დღემდე. ცხადი ხდება, თუ რამდენად ქვეშაირი ყოფილა იოანე ბატონიშვილის ცნობა და რამდენად უსაფუძვლოა შ. კურდღელაშვილის მოსაზრება, რომლითაც მამლუქობა საქართველოს დაქვევის მიზეზადაა გამოცხადებული.

მამლუქობა თავისთავად უბედურება იყო, იგი საქართველოს უბედურების შედეგი იყო და არა მიზეზი. ამასთან, მამლუქობა დასაღუპად განწირული ადამიანების არსებობისათვის ბრძოლის თავისებური საშუალება იყო. მამლუქები გლეხები იყვნენ, რომელთაც მონობიდან თავის გამოსყიდვა არ შეეძლოთ, ხოლო თუ გლეხი მამაკობით მოახერხებდა მონობისათვის თავის დაღწევას, მას გაუმძღარი ფეოდალი. ილახს უწყვეტდა და აიძულებდა გადაკარგულიყო. შემთხვევით როდი სწერდნენ ერეკლეს ევგებიტიდან ივანე კანუტაშვილი დაიწავით, არ გადაიკარგოს.

ჩვენს მიერ მოტანილ სიაში მეორეა და დოკუმენტებშიც ხშირად იბრუნებენ ბეგის გვერდით იხსენიება ვინმე მურად ბეგი. მისი ქართველობა სადაოდ იყო მიჩნეული. დ. ჯანელიძე წერს: „გამონაკლისს შეადგენს ამურატ ბეი, რომლის ქართველობის პირდაპირი წყარო ხელთ არა გვაქვს“ („ცისკარი“, 1959, № 6). გ. ბეი-მამიკონიანი ა. შინჯიკაშვილის თანამებრძოლ, ყველაზე გავლენიან ბეგზე — მურადზე წერს: „პირველი მათგანი (იბრეიმი — ვ. მ.) შემოწმებით კახელი აღმოჩნდა. ამიტომ იბადება სრულიად საფუძვლიანი ეჭვი: მეორეც (მურადიც ვ. მ.) ქართველი ხომ არ იყო“ („მნათობი“, 1957, № 9, გვ. 129) და ქვემოთ მოაქვს დელაპორტის ცნობა, რომ მან „ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდა“ (იქვე). რა თქმა უნდა, სწორია გ. ბეი-მამიკონიანის ვარაუდი, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ სიაში მეორე ადგილზე ზის — „მურადბეგი —

ქართველი“. რაც შეეხება დ. ჯანელიძის მიერ ნახსენებ „ამურატ-ბეის“, აქ საქმე გვაქვს სახელის უბრალო დამახინჯებასთან, უნდა იყოს „მურადი“ (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი ავტორი ხმარობს ტერმინს „ბეი“, ჩვენ ვამჯობინებთ გვეხმარა ტერმინი „ბეგი“ როგორც ეს XVIII საუკუნის ქართულ დოკუმენტებში გვხვდება). „ამურატი“ XVIII საუკუნის არც სხვა დოკუმენტებში გვხვდება.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ სიაში მესამე რიგი (იბრეიმისა და მურადის შემდეგ) უჭირავს „სულეიმან ბეგ-ქართველს“. ეს უკანასკნელი უნდა იყოს სულეიმან ტარბაიძე და არა სულეიმან ალა ანაფი, კანუტაშვილი (ავალიანთ ყმის ივანე კანუტაშვილის ძმა, აბრამ შინჯიკაშვილის მამიდაშვილი). ამას უცილობელს ხდის შემდეგი გარემოება: სულეიმან ალა რომ ბეგი ყოფილიყო, წერილსაც ასე მოაწერდა ხელს, ხოლო მ. კაკუკაშვილი, რომელიც სამ თვეზე მეტი იყო ქაიროში, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა — ბეგად მოიხსენიებდა.

რაც შეეხება სულეიმან ტარბაიძეს, მასზე საყურადღებო ცნობა გამოაქვეყნა დ. ჯანელიძემ. იგი წერდა, გაბრიელ ტარბაიძე, სულეიმან ბეგის ძმა, თავადი იყო, „ეს გაბრიელი ერეკლე მეფის მდივანი ყოფილა“ („ცისკარი“ 1959, № 6, გვ. 143) ჩვენ საგანგებოდ გადავსინჯეთ ჩვენი ხელნაწერები და იმ დოკუმენტებში, რომელთაც დ. ჯანელიძე იმოწმებს, ტარბაიძე საერთოდ ხსენებული არაა (შდრ. (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1786 г., л. 668, л. 34), გაბრიელ ტარბაიძე სხვა დოკუმენტებში ხშირადაა მოხსენიებული თავადად, მაგრამ ერეკლეს მდივნობაზე ლაპარაკი არსად არაა. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს. მ. კაკუკაშვილი სულეიმან ბეგზე არ ჩერდება თავის მოხსენებაში, მხოლოდ ორ ქართველ ბეგს (იბრეიმსა და მურადს) იხსენიებს, როგორც ყველაზე გავლენიანთა, რაკი რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას ეხებოდა, რუსი — „ყასუმ ბეგი“ —

ბანშუტელი კახაკთა ატამანის შვილიც მოიხსენია, რომელიც იბრემსა და მურადს დიდათ მიაწინათო. ასე რომ, გასაგები მიზეზების გამო სულეიმან ბეგი ტარბაიძე მ. კაჭკაჭიშვილის მოხსენებებში ვეღარ მოხვდა.

რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ბარონი ტონუსი კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს ბულგაკოვს 1785 წლის 22 დეკემბერს წერდა:

«Подноситель сего грузинской князь Гавриель Тарбаидзе, родной брат бей Солимана, прибывшей ко мне с Каира с писмом брата своего просящим отправить его с моим паспортом в Грузию с нарочным от стороны моей для безопасности человека которой бы и ответ доставил комне к отсылки к беоу о благополучном его брата прибытии свое отечество...» (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1786 г., д. 668, л. 30). 1786 წლის 28 იანვარს (8 თებერვალს) ბულგაკოვი ტონუსს საპასუხოდ აცნობებდა: «Грузинской князь Гавриель Тарбаидзе брат Каирского бей Солимана и племянник бей Ибрагима сюда благополучно прибыл, и ожидает весны для продолжения пути своего чрез Тавриду в Грузию» (იქვე, 31—32). ასე რომ სულეიმან ბეგი გაბრიელ ტარბაიდის ძმა ყოფილა და აბრამ შინჯიკაშვილის ნათესავი («племянник»).

გაბრიელ ტარბაიძე მთელი 2 თვე დარჩენილა კონსტანტინოპოლში. ბულგაკოვის მიერ 1786 წლის 1(12) აპრილს კონსტანტინოპოლიდან პეტერბურგში გაგზავნილი რელაციისათვის დართულ ჩანაწერებში მოხსენებულია, რომ 13 მარტს სევასტოპოლისაკენ გავიდა გემი, რომლითაც «поехал для возвращения в Грузию приехавший из Каира (9 января) тамошняго Сулейман-бей брат Гавриель Тарбаидзе» (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1786 г., д. 670, л. 37).

გაბრიელ ტარბაიდის კონსტანტინოპოლში შეჩერება ზღვაზე ნაოსნობის შეფერხების მიზეზით მომხდარა. კონსტანტინოპოლის 1786 წლის თებერვლის

ამბების ჩანაწერებში, რომელიც რუსეთის საელჩოს გაუკეთებია, 21 თებერვლის ამბების გადმოცემისას ნათქვამია:

«Из Александрии прибыло отправленное венецианское судно... на оном же судне прислан нарочной от Сулейман-бей с письмом к находящемся здесь, во ожидании открытия черноморского кораблеплавания, брату его Гавриелу Тарбаидзе (9 генваря) и с пакетом к Г. Посланнику Булгакову от генерального консула Барона Тонуса» (АВПР, ф. Сп. России с Турцией, д. 669, л. 6—7).

1786 წლის თებერვალში გაბრიელ ტარბაიძე შეხვედრია თურქეთში ყველაზე გავლენიან პირს, საზღვაო ძალების უფროსს, რომელიც წარმომართის საქართველოდან იყო. რუსეთის საელჩოს ჩანაწერებში 25 თებერვლის ამბების გადმოცემისას ვკითხულობთ:

«Гавриель Тарбаидзе (21 февраля) рекомендованной письмом от брата своего Каирского Сулейман-бей к капитан-паше, зделал ему на сие днях визиту, будучи представлен его хазнадарем¹, имеющим в

1 კაპიტან-ფაშას ხაზინადარი ოსმალეთის დიდი ვეზირის იუსუფ ფაშას ძმა იყო. დ. ჯანელიძეს იუსუფ-ფაშა კაპიტან ფაშას მიერ აღზევებულად მიაჩნია (შე. «ცისკარი», 1959, № 6, გვ. 147). ვფიქრობ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, რადგან 1786 წელს (დასაწყისში) ოსმალეთში ორი დიდი ვეზირი ჩანს — ალი-ფაშა და იუსუფ-ფაშა, ორივე წარმომართით ქართველი და, შეიძლება, გაუგებრობა ამით იყო გამოწვეული.

1785 წლის 20 მარტს დიდი ვეზირის თანამდებობიდან გადააყენეს ხალიფ ფაშა და მის ნაცვლად დანიშნეს ოჩაკოვის კიორ (ბრუტაინი) ალი-ფაშა, კაჟდან ფაშას ალი ფაშას დანიშვნის საქმეში მართლაც დიდი როლი ეკუთვნოდა. ბულგაკოვი ალი-ფაშას ასე ახასიათებს:

«Человек грубый, кровожаждущий, неведжа, неприятел имяни христианского, от роду имеет от 65 — до 70 лет, родился в Грузин» (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1785 г. д. 652, л. 4).

მეორე მოხსენებაში ბულგაკოვი წერს: «Новый везир имел выезд в Константинополь 28 апреля... он имеет не меньше 70 лет отроду, подслеповат, почему и прозван Киор-пашею или

Грузии мать, сестру и брата. По словам его принят он был адмиралом отменно ласково и вел с ним разговор на грузинском диалекте, которой сажалея — что он не взял у него в дом квартиры и ведя речь свою до нынешняго положения Грузии, изъявил також сожаление свое об остуде возпоследовавшей между Портою и царем Ираклием по поводу прорытой в Анане вере дороги и принятия к себе в область Российских войск.

На что Тарбаисидзе ответственал что дорога прорыта и аюски введены не для какого худого намерения против Порты, но единственно для заграждения себя от неприятелей, как то лезгин, безпрерывно Грузию набегали опустошающих и персян, и что к остуде есть главным виновником Ахалцихской Сулейман-паша, чинящей в таможем краю инт-

слепым... ростом мал; походит на простолюдина; неопрятень... кровожаждущ, ибо в жизни своей собственными руками перерубил до четырехта голов. Сие редкая качества увенчаны тем, что он ни читать ни писать не умеет... в прочем великий богомolec и весь день проводит в молитвах» (АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1785 г., д. 653, л. 1—3).

1786 წლის თებერვლიდან დიდი ვეზირის თანამდებობა დაიკავა ისევ ქართველმა იუსუფ-ფაშამ, რომელიც ადრე ტყვე ყოფილა. მისი არჩევის მიზეზი გამხდარა არა კაბუდან ფაშა, როგორც ჩანელიძე წერს, არამედ ვეზირის დაი, რომელიც სულთანის პარამხანაში ყოფილა. ხოლო კიორ ალი-ფაშა იზმილის სერასკიარად გაუგზავნა და საზრდოთ სალიონიკოს ოლქი მიუციათ. ასეთია ბულგაკოვის 1786 წლის 1(12) თებერვლის რელაციის მოკლე შინაარსი (АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1786 г. д. 668, л. 1—13). კაბუდან ფაშას ხაზინადარი სწორედ ამ ახალი ვეზირის იუსუფ-ფაშას ძმა იყო. მ. კაკუკიშვილი 1787 წლის 10 მაისს გრ. პოტიომკინს მოახსენებდა: «ზემო მოხსენებული ოსმალთა განძარხულობა ახლა რომ ვეზირი არს იუსუფ ფაშა, მევის ძმა ახლავს ხაზინადართა კაპიტან ფაშასა, რომ ახ(ა)ლს გაათარებელი არს და გულით კიდევა ქართლში წასვლა უნდა. სული იმან გამოიციხა აღეკსანდარსა, რაც კაპიტან ფაშასა სწადიან» (ЦГАДА, разр. XV (ф. 15), д. 192. л. 17).

რი, а сюда неосновательные доношения. На что капитан-паша сказал, что с божею помощью все приведено будет во успокоение и дружба с царем Ираклием по прежнему возстановится, и мы де теперь ожидаем возвращения посланного от Порты в Ахалцих курьера, оттуда де за несколько времени пред сим получены были известии, что бывшая здесь лезгинскаго Агмад-хана не кто из пребывающих теперь в Ахалцике знаменитых лезгинских старшин Кара-Хаджи-Мегмед поссоряс пистолетним выстрелом до смерти убил, приписуя ему в вину, что он сюда приезжал обогатится, а он с подчиненными своими кров проливал. Наконец спрашивая у Тарбаисидзе, каким путем намеряется он возвратится в отечество свое, и узнав, что то исполнить чрез Россию, предлагал буде желает турецкими областями ехать, он придасть к нему одного надежнаго из своих из чегодарей, которой выпроводит его безопасно до границы Грузинской на что он удовольствовался принести ему только свою благодарность, и с тем от него вышел.

По описанию Капитан-пашинскому своих родственников и места рождения, является он точно из Грузии сыном жившаго там в горах некоего армянина, где и по ныне армянское селение находится» (АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1786 г., д. 669, лл. 9—11).

ვიღრე ზემოთ მოტანილი საყურადღებო საბუთის ანალიზს შევეუდგებოდეთ, აქვე უნდა მოვიტანოთ იმავე საელჩოს მიერ ამ საკითხზე 1786 წლის 4 მარტის ვაკეთებული დამატებითი ჩანაწერი:

«К вышесказанному (25 февраля) о роде капитана-пашинском присовокупляется здесь еще следующее объяснение, поданное от Габриела Тарбаисидзе, что капитан паша по собственному своему признанию родился во владениях царя Ираклия (к коему с помянутым Тарбаисидзе отправляет от себя письмо) в местечке Пшагели (д. გვრიტიშვილის მოწმობით XVIII საუკუნეში არაგვის ბეობაში სომეხები სახლობდნენ მხოლოდ სა-

კუთრივ დუშეთსა და ანანურში—ვ. მ.)
лежащем в кавказских горах на не-
скольکو дней езды от Моздока и за
5 часов от Душети. При отъезде
своём (что возносилось в его ма-
лолетстве) оставил он там отца,
мать и дядю пустынноика, и просил
оного Тарбаицидзе, буде отец его
жив отыскать и сюда прислать, ко-
торого награда обратно в отечест-
во отправить. По мнению сего гру-
зинца капитан паша должен быть
природою из армян» (АВПР, ф. Сп.
России с Турцией, 1786 г., д. 669, лл.
31—32).

აქ მოტანილი მასალებით არ ჩანს,
როდის წავიდა გაბრიელ ტარბაისიძე
(თუ ტარბაიძე) ეგვიპტეში თავის ძმას-
თან სულეიმან ბეგთან. მ. კაქკაჭიშვი-
ლის მოხსენებიდან ზემოთ მოტანილი
ერთი ადგილი „საქართველოს რუსეთის
საფარქვეშ შესვლისათვის დიად მხია-
რულ ჰყვეს“ ბეგებმათ (ЦГАДА, Гос-
архив, разр. XV (ф. 15), д. 192, л.
19) გვაფიქრებინებს, რომ 1786 წლის იან-
ვარში, როცა გაბრიელ ტარბაისიძე კაი-
როდან ახალი დაბრუნებული იყო გიორ-
გიევსკის ტრაქტატის ამბავი კაიროში არ
სცოდნიათ. მაშასადამე გაბრიელი 1783
წლის ივნისამდე უნდა წასულიყო ეგ-
ვიპტეში. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაბრი-
ელის მსჯელობა კაპუდან ფაშასთან
ერეკლეს პოლიტიკისა და ახალციხის
ფაშის პოზიციის შესახებ გვაფიქრებინ-
ებს, რომ იგი 1784 წელზე ადრე არ
უნდა იყოს წასული. თუმცა გამორიც-
ხულიც არაა, რომ მას ყველაფერი კონ-
სტანტინოპოლშივე გაეგო.

დასაშვებია ისიც, რომ საქართველოს
ამბები მას გაეგო ალექსანდრიაში მაინც
1785 წლის ბოლოს, რადგან, კონსტან-
ტინოპოლის რუსული საელჩოს ჩანაწე-
რების მიხედვით, 3 ივლისს კონსტანტი-
ნოპოლში მიუღიათ წერილი ვინმე ქარ-
თველის სულეიმან აზნაუროვისა, რომე-
ლიც თხოულობდა წერილი კაიროში იბ-
რემ ბეგს გაუგზავნეთო. ეს წერილი გა-
უსხსნიათ და შემდეგ გაუგზავნიათ კაი-
როში. წერილში დაწვრილებითაა გად-
მოცემული საქართველოს ვითარება და

იბრემ ბეგს რჩევას აძლევენ—თუ ვინმე
ეგვიპტიდან წამოვა; ბაღდადის ან ყირი-
მის გზით გამოგზავნეთ, ახალციხე, ერ-
ზრუმ-ყარსის და ბაიაზეთის გზა საში-
შიაო. (АВПР, ф. Сп. России с Тур-
цией, 1785 г., д. 654, л. 100—101).

თუმცა ჯერჯერობით დაბეჯითებით
არაფრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ გაბ-
რიელ ტარბაისიძე უბრალო „ყოვენი-
რად“ კი არა, ეგვიპტეში ერეკლეს მიერ
საგანგებოდ მივლენილ დიპლომატად
გვესახება, რომელიც კაიროდან მომავა-
ლი ხმელთაშუა ზღვაში უნდა შეცილე-
ბოდა კაიროში მიმავალ ერეკლე მეფის
მეორე დიპლომატს მანუჩარ კაქკაჭი-
შვილს (1786 წლის 9 იანვარს გაბრიე-
ლი კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა, ხო-
ლო იმავე წლის იანვარში მანუჩარი კა-
იროში ჩავიდა). გ. ტარბაიძის საქმიანო-
ბა სათანადო შესწავლას მოითხოვს.

ასეთია ის ძუნწი ცნობები, რომლე-
ბიც მამულე ბეგებისა და მათი საქარ-
თველოსთან ურთიერთობის შესახებ
მოგვეპოვება.

* * *

1786 წლის იანვარში, როგორც ზე-
მოთ აღინიშნა, მ. კაქკაჭიშვილი ეგვიპ-
ტეში ჩავიდა, სადაც იბრემ და მურად
ბეგებმა, როგორც ერეკლე II ერთგული
კაცი, კარგად მიიღეს, საქართველოს რუ-
სეთის მფარველობაში შესვლით გაიხა-
რეს, დააფიცეს და საიდუმლოც გაან-
დევს. ბეგების საიდუმლო ყოფილა შემ-
დეგი: „ბეგების წადილი ეს არის, —
მოახსენებდა მ. კაქკაჭიშვილი თავად
პოტიომკინს 1787 წლის 10 მაისს—თუ
მის იმპერატორობის უდიდესობა (რუ-
სეთის ხელმწიფე — ვ. მ.) ჩვენზედ (ბე-
გებზე — ვ. მ.) წყალობას მოიღებდეს,
შეგვეწეოდეს, რომ ზონთქარს ყმობი-
დგან ვავთავისუფალდეთ და როგორც
საქართველო ეყმო რუსეთის ტახტსა,
აგრეთვე ჩვენც გვიბოძოს ტიტული და
გვირგვინი მეფობისა, გულმოდგინებით
თანამადებნი არიან (ბეგები — ვ. მ.)
ამ საქმისთვისო“ (ЦГАДА, Госархив.
разр. XV (ф. 15), д. 192, л. 19).

ბეგებს გადაწყვეტიათ რუსეთის მფარველობაში შესვლა და მ. კაპკაჭიშვილისთვის შუამდგომლობა უთხოვიათ, მაგრამ რაკი მას რუსეთის მთავრობის რწმუნება არ ჰქონდა, ურჩევია ბეგებისათვის დაკავშირებოდნენ რუსეთის კონსულს ალექსანდრიაში ბარონ ტონუსს (იქვე გვ. 19).

მ. კაპკაჭიშვილის რჩევა ბეგებს დაუჭერებიათ, 15 თებერვალს მიუწერიათ, მაგრამ დაპირების მიუხედავად კონსული კაიროში არ ჩასულა. „კიდევ მეორეთ მისწერა წიგნი, — წერს მ. კაპკაჭიშვილი, — ჩვენც მივწერეთ, რომ ამისთან(ა) საქმე არს საჭირო და ჩქარა ამოხმანდეთ. პასუხი მოეწერა, რომ კონსტანტინოპოლიდან ფეშქაშებს ველითო და ამისთვის ვერ ვეახელითო. მისწერა იბრემ ბეგმა — მე შენი ფეშქაში არ მინდა, ჩვენ თვითან მრავალს გაჩუქებთო. რა ეს მესამე წიგნი მიუვიდათ დიდათ ეწყინ(ა)თ და პასუხიც აღარ მოსწერა ბეგებსა, ცარელი კაცი ამოვიდა ბეგებთან“ (იქვე).

იბრემ ბეგი დარწმუნდა, რომ რუსეთის კონსული ალექსანდრიაში სურვილს არ იჩენდა მასთან ურთიერთობის დასამყარებლად და გადაწყვიტა რუსეთის სამეფო კარისათვის მიეწერა, მაგრამ შეშინებია, ვაი თუ რუსეთმაც უარი გვითხრას და თურქეთმა ეს ამბავი შეიტყოსო. „რა ბეგებმა სცნეს, — მოახსენებდა მ. კაპკაჭიშვილი პოტიომკინს, — რომ ეს საქმე კონცლს არ ნებაეს, მერმე მოინდომეს, რომ უმაღლეს კარს არზისა მორთმევა და ქართულისა ენითა დასწერეს არზი ყოველი თავანთი განძრ(ა)ხულობა, რომ მის იმპერატორობის უდიდესობას მოართვან. მერე შერიდთ, არამც თუ ეს საქმე კონცლმა რომ არ მი(ი)ლო, არც უმაღლეს(ს)მა კარმა შეგვისმინოს და სულთანის კარს გამოცხადდეთ და ყოველი მუსურმანი ჩვენი მტერი შეიქნან; ამ მიზეზით ვეღარ გაბედეს ამ წიგნზედ ხელის მოწერა და წერილი ჩვენთან დარჩა: რომ თქვენს უგანათლებულესისათვის მოგ-

ვირთმეგვია, მათს განძრახულობას მოგახსენებთ“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ბეგებს კონსულთან დაკავშირების ბედი გადაწურულად მიუჩნევიათ, რაც შემთხვევითი არ იყო. რუსეთის საკონსულო ალექსანდრიაში 1785 წლის ივლისიდან არსებობდა, იგი თურქეთთან 1784 წლის სავაჭრო ტრაქტატის ძალით შეიქმნა. რუსეთის პირველი კონსული ალექსანდრიაში ვინმე ბარონი ტონუსი იყო, ხოლო საკონსულოს პირველი დრაგომანი ვილაც არაბული და თურქული ენების მცოდნე ქართველი კრინერი. საკონსულოს დეფინების უმაღლეს ბეგებმა მოითხოვეს ტონუსის კაიროში გამოცხადება. ტონუსმა რუსეთის მთავრობას თხოვა, საჩუქრები გამომიგზავნეთ, ხელდაუშვენივლი კაიროში ვერ წავალო. მთავრობა პასუხს აგვიანებდა, 1785 წლის 15, 22 და 30 დეკემბერს ბულგაკოვთან გაგზავნილ წერილებში ტონუსი კვლავ ითხოვდა საჩუქრები გამომიგზავნეთ, ისე კაიროში ვერ წავალ, კაიროში ჩემი ჩუსვლელობით განაწყენებული ბეგები გვავიწროებენ და საკონსულოსათვის რიგანი ბინაც კი არ მომცესო; საცოდავ მდგომარეობაში ვარო, საჩუქრების ვარეშე კაიროში წასვლა მეშინიაო (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1786 г. д. 668, лл. 30—31, 34—37). 1786 წლის 28 იანვარს (8 თებერვალს) საბასუხო წერილით ბულგაკოვი უდასტურებდა ტონუსს წერილების მიღებას და აცნობებდა: რაც ჩემზე იყო დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მთავრობის პასუხი ჯერაც არ მიმიღია. ისევ გავაგზავნე თხოვნა და შენი უკანასკნელი წერილები, გ. ტარბაიძეს თავის ძმასთან და თავის ნათესავ ბეგებთან წერილი მივაწერიე, იგი შენ გაქებს და ეს უთუოდ დახმარებას გავიწყვსო (იქვე 31—32). ხოლო რუსეთის მთავრობისათვის 1786 წლის 1/12 თებერვალს გაგზავნილ რელაციაში ბულგაკოვი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრიიდან მიღებულ ტონუსის წერილებს გიგზავნიითო და ასკვნიდა:

«Из оных (ტონუსის წერილებიდან— ვ. მ.) высочайше усмотрите, что для дел не только полезно но и нужно ему (ტონუსს—ვ. მ.) побывать в Каире, где по всем моим посторонним известиям беи нам много благоприятствуют и грубость их ответа может быть основана на желание скрыть пред народом таковое свое разположение... осмеливаюсь просить высочайшего решения» (АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1786 г., д. 667, л. 25).

ბულგაკოვის დასკვნა სავსებით სწორი იყო, ბეგები განგებ იჩენდნენ უხეშობას, რაკი რუსეთთან ურთიერთობის ფართო გეგმები ჰქონდათ და ტონუსსაც კაიროში უსაჩუქრებოდ ჩასვლით არავითარი საფრთხე არ ელოდა.

ასე რომ ტონუსს ტყუილად ჰქონდა შიში კაიროში ჩასვლისა, ხოლო ბეგებს ამის გამო საფუძვლიანი ეჭვი აღძრათ.

რაკი კონსულის კაიროში ჩასვლის იმედი არ იყო, მ. კაჭკაჭიშვილს იბრეიმ ბეგისათვის სამშობლოში გაშვების ნება უთხოვია და გამოუშვიათ კიდეც (უნდა იყოს 1786 წლის აპრილი, რადგან ერეკლესთან გამოგზავნილი წერილები 1786 წლის 10 აპრილითაა დათარიღებული). მაგრამ შემდეგ გზიდან დაუბრუნებიათ და ახალი დავალება მიუციათ: „რადგან ველარ გაბედეს ბეგებმა (მიწერა) წიგნისა, — წერს მ. კაჭკაჭიშვილი, — დავეთხოვეთ, რომ ქართლში წასვლისთვის და გვიბოძა იბრეიმ ბეგმა შეფესთანა მაგერი წიგნი თათრულათა დაწერილი და წამოვედით კაიროდგანა; მესამეს დაღეს ყასუმ ბეგის კაცი დამეწია და უკანვე კაირს დამაბრუნეს; ვეახელით ყასუმ ბეგსა. ასე გვიბძანა, რომ იბრეიმ ბეგმა დაგიბარათო. იმ საღამოს ვეახელით ყასუმბეგი და მე დიდს იბრეიმ ბეგასა. ორი წიგნი მიბოძა, ერთი კონცლთანა და ერთი სტანბოლს მინისტართანა და აგრეთვე ყასუმ ბეგმა ორი წიგნი — ერთი კონცლთან და ერთი მინისტართან“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15), д. 192, лл. 19—20).

ამ წერილების ტექსტი ვერ მივაკვლიეთ. გამორიცხული არაა, რომ ისინი კონსულმა მოსპო. მაგრამ როგორც მ. კაჭკაჭიშვილის მოხსენებიდან ჩანს, ისინი მ. კაჭკაჭიშვილისათვის მხოლოდ რწმუნების სიგელები ყოფილა: „კონცლთან მიწერილი წიგნი: ჩვენ იბრეიმ ბეგი ვითხოვთ წაყლობას, რომ ამ წიგნის მომრთმევი მაქსიმ კაჭკაჭოვი გამოაცხადოთ კონსტანდინოპოლს მინისტრთანა, რომ ჩვენი გამოგზავნილი არს და ჩვენს საქმეს ყოველს პირათ მოახსენებს. აგრეთვე ყასუმ ბეგამა მოსწერა. იბრეიმ ბეგის წიგნი უფალს ბულღაკოვთანა ვითხოვთ ამ წაყლობას, რომ ეს მაქსიმ კაჭკაჭოვი გეახლებათ და ყოველს ჩვენას ამბავსა პირათ მოგახსენებსთ, რომელი ჩავენ წიგნათა მოწერა არ შეგვეწედა“ (იქვე). როგორც ვხედავთ, ბულგაკოვს წერს იბრეიმ ბეგი, რომ წერილში ყველაფრის დაწერა არ შეგვეძლო და მ. კაჭკაჭიშვილის სიტყვას ენდეთო.

გარდა ამისა, იბრეიმ ბეგს უთხოვია ბულგაკოვისათვის მ. კაჭკაჭიშვილი ეგვიპტეში კონსულად დაენიშნათ: „დიდათ გვსურს რუსეთ(ის) გაცნობა და მოახლოება, ამისათვის ვითხოვთ რომ კონცლათა განწესდეს ჩავენთანა, რომ ჩვენის ქვეყნისა არს და ჩვენი ენა იციოს“ (იქვე).

1786 წლის 20 აპრილს, იბრეიმ ბეგის წერილებითა და გამცილებლებით მ. კაჭკაჭიშვილი ალექსანდრიაში ჩასულა.

ბარონმა ტონუსმა მ. კაჭკაჭიშვილი უგულოდ მიიღო და კონსტანტინოპოლში გასტუმრების ნაცვლად ბულგაკოვთან გადასაცემი წერილი წაართვა და დააკავა: „დიად უნებურათ მიგვიღო — მოახსენებდა მ. კაჭკაჭიშვილი თავ. პოტიომკინს, — და გავიბძანა გავზავნიო. მიბძანა რომა მინისტართან კი არა გაქვს ბეგებისგან წიგნებო. გამოუტყხადე იბრეიმ ბეგის წიგნი. წამართო და აღარ მომცა. ავდეგი ხელმეორეთ წიგნი მიეწერე, მაგრამ წიგნში კი არ დაუწერე თუ თქვენი წიგნი კონცლმა წამართო, მიეწერე წყალში ჩამივიარდა,

ვითხოვთ წყალობას, რომ მეორე წიგნი გვიბოძოთ. მაშინვე დაეწერათ სხვა წიგნი მინისტართანა და გამოეგზავნათ; ამასობაში ერთმა თვემ გაიარა; რომა კონცლმა არ იქნება ჩემი სატნოლს გამოგზავნა, მივწერე წიგნი ბეგსა, რომ კონცლს არ ნებავს ვაგზავნა ჩემი. წიგნი მოსწერეს კონცლს, თუ არ გნებავს მაგ წიგნების ვაგზავნა ვითხოვთ წყალობას, რომ ჩვენი წიგნებები ისევე ჩვენ გამოგვიგზავნო. მიბაძანა კონცლმა ახლავე მისწერე წიგნი ბეგებსა, რომ კონცლი მაგზავნისო, თორემ ახლა ჯინჯილს შეგეყრი და გემში დაგაბამო; შენ ვინდა რომ ორს სახემწიფოშია შფოთი ჩამოავდოვო. ასე შემაშინა, უნებურათ მივწერეთ, რაც კონცლმა გვიბაძანა. ბეგის გამოტნებულმა კაცმა ნახა, რომ კონცლი არ მიშვებს, აიღო ის 2000 ოქრო და წავიდა კაირსა“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, რუსეთის კონსული აფერხებს მამულქი ბეგების კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩთან ურთიერთობის დამყარების საქმეს. კონსულის განცხადება ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას ერიდება. მართლაც, ამ დროს რუსეთის წარმომადგენელს თურქეთის სავაზლო ეგვიპტის აჯანყებულ ბეგებთან ურთიერთობისას სიფრთხილე მართებდა, რადგან ყირიმის შეერთებითა (1783 წ.) და გეორგიევსკის ტრაქტატით აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლით (1783) რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო. ახალციხის ფაშა, ლეკთა ბელადები, ყირიმის დინასტიის წარმომადგენლები და ფანატიკურად განწყობილი მუსულმანური წრეები თურქეთის მთავრობას რუსეთთან ომისაკენ უბიძგებდნენ. ამიტომ რუსეთის მთავრობა ყოველმხრივ ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის შემდგომ გაუარესებას, მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთის მთავრობასთან საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათ-

ვის, მაგრამ რუსეთის კონსულის საქციელი, თუნდაც იგი, ამ ეტაპზე, მისი ბედანტობითა და დიპლომატიაში გამოუცდლობით იყოს გაპირობებული, მაინც დანაშაული იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ შემდეგ კონსული კიდევ უფრო შორს წავიდა.

გარდა ამისა, საყურადღებოა ერთი გარემოებაც, მ. კაპკაჭიშვილი რომ ბეგებს უმაღლეს კონსულის საქციელს (წერილი წყალში ჩამივარდაო), ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ამით უთუოდ იგი ცდილობს არ გააფუტოს ბეგების ურთიერთობა რუსეთთან, რაც საქართველოს ინტერესებით უნდა იყოს ნაკარანხები.

ამასობაში ალექსანდრიაში მოვიდა თურქეთის საზღვაო ძალები აჯანყებული ბეგების დასასჯელად. 1786 წლის ივნისში იბრემ ბეგმა სცადა კიდევ ერთხელ მიემართა რუსეთის კონსულისათვის, რომ რუსეთის მთავრობის პასუხის მიხედვით მოქმედების გეგმა დაემუშავებინა და შუაქაცად მ. კაპკაჭიშვილი გამოიყენა, მაგრამ ამჯერად ბარონ ტონუსის საქციელი კიდევ უფრო უცნაური გამოდგა: „ინისის პირველსა,— მოახსენებდა მ. კაპკაჭიშვილი თავ. გ. პოტიომკინს 1787 წლის 10 მაისს, — საომარი ხომალდები მოვიდა ელქს(ანდრია)სა. ეს რომ ბეგებმა შეიტყვეს იბრემ ბეგსა თავის დის წული სულეიმან ალა ანაფი და ორი ქეშიბი გამოეგზავნა მოვ(ი)დნენ ალექს(ანდრია)ზედა ახლო სოფელშია და კურ(ი)ერი გამოეგზავნათ, დავებარებინეთ, წავედით. ასე მითხრა, რომ ბეგებმა საიდუმლოთ შემოუთვალეს კონცლსაო, რომ თუ ვიცოდეთ, რომ რუსეთის უდიდესობა ჩვენ შეგვეწევა, ორსა და სამს წელიწადს ჩვე(ნ) შეგვიძლია ოსმალუს პასუხის მიცემაო, თუ არა და არ შეგვბმითო. ბეგების წადილი ეს იყო, თუ რუსეთ(ი)სგანა იმედი ჰქონოდათ, რომ ჩამოვიდნენ უეცრათ ალექს(ან)დარს და ოსმალუს საომარი გემები დაიჭირონ და იმარგვლი გარეშემო შეჰკრან, შემამსვლელი შემოვიდეს

და აქედამ არავინ გაუშვან და რაც ოს-
მალუს გემი შემოვიდეს ლიმანშია, და-
იჭირონ და აგრეთვე კაპიტან ფაშაც
რომ მოვა უკან გაბრუნებას ვედარ შე-
იძლებს და დაიჭირონ და უთუოდ ამ
საქმესაც ასრულებდნენ. მოვედი კონ-
ცლთან და ბეგების დაბარებული ეს
ამბავი მოვ(ა)ხსენე. შემიტყუა ერთს
ოღაშია და კარები დამიკეტა, სამი დაღე
ვარეთა არ გამომიშვა, მერმე მანამ ფი-
ცი არ გამომართვა, მრავალი ამისთანა
საქმე მოილო ჩემზედა“ (ჩქვე).

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს,
ბეგებს კარგად სცოდნიათ, რომ რუსეთ-
თურქეთის ომი მოსალოდნელი იყო
(ერთი წლის შემდეგ ომი დაიწყო კი-
დეც). ამიტომ კონსულის საქციელის
მიუხედავად მტკიცედ იდგნენ რუსე-
თის ორიენტაციაზე.

1786 წლის 25 ივნისს თვით თურქე-
თის საზღვაო ძალების სარდალი კაპუ-
დან-ფაშა (ადმირალი) მოვიდა ალექსან-
დრიაში (ეს კაპუდან-ფაშა ზემოთ ხსე-
ნებული დუშელი გლეხი იყო, ტარბაი-
ძეს რომ აბარებდა მშობლები მომინა-
ხეო). ამჯერად ბეგებმა სცადეს რუსე-
თის კონსულის შუაქაცად გამოყენება,
მაგრამ ბარონ ტონუსის საქციელმა ყო-
ველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: „ივ-
ნისის 25 კაპიტან ფაშა მოვიდა ალექ-
ს(ან)დრიაში, — წერს მ. კაჭკაჭიშვი-
ლი, — ივლისის 9 წავიდა ლაშკრითა
ნილის ბოღაზის შესაკრავათა როზეთსა,
რომ ბეგებისგან ერიდებოდათ. ფაშის
მოსვლა რომ შეიტყვეს ბეგებმა ს(ა)ი-
დუმლოთა წიგნი მოსწერეს კონცლსა,
რომ ვითხოვთ წაყლობას რომა გაისარ-
ჯოთ და შენეულათ მიხვიდეთ კაპიტან
ფაშასთან და ჩვენში შერიგება ჩამოაგ-
დოთ და რას(ა)ც თხოულაობს გად(ა)-
უკვეთოთ და ამობძანდეთ კაიხსა. ჩვენს
უკანასკნელს პერანგს გავყიდით და
პირნათლად მოგაბარებთ და თქვენც გე-
მსახურებით. ამისთვის თქვენს გწერთ,
რომ ჩვენის დაბადების ქვეყნისა პატ-
რონი და შემწე რუსეთი არს და ჩვენც
სხვას სახელმწიფოს გაცნობა არ გავინ-
და, ამისთვის თქვენ გვედრებით. ერ-

თი წიგნიცა ჩემთვის მოეწერათ და კონ-
ცლმა არ მიჩვენა: ეს წიგნი რომ მოუ-
ვიდა კონცლსა მაშინვე წაიღო, ფრან-
ცუცის კონცლს უჩვენადა კოპიაც მის-
ცა და ფრანცუცის კონცლმა ასე ურჩი-
ვა, რომ ეს წიგნი წაიღე მაჭაქაში (სა-
სამართლოში — ვ. მ.) ყადას გამოუც-
ხადეო. და ის ფაშას მისწერსო და ფა-
შა თითონ შემოგვხვეწებო. სწორედ
დაიჯერა და სასამართლოში გამოაცხ(ა)-
და ეს წიგნი. ფრანცის კანცლმა მაშინ-
ვე კურ(ი)ერ(ი)ს ხელითა ამ წიგნის კო-
პია ერთი კაპიტან ფაშას გაუგზავნა და
ბეგების ლაჩარობა შეატყობინა, დი-
დათ მადრ(ი)ელი გახდა და თავის ლაშ-
კარს გამოუცხ(ა)და და მესამეს დღეს
ბეგებზედ გაილაშქრა; მეორე კოპია
ბეგებს გაუგზავნა კაიხსა. თქვენმა მე-
გობარმა რუსის კონცლმა სიკეთის მა-
გ(ი)ერათა თქვენი წიგნი ქავეყანასა გა-
მოუცხადაო, თორემ კაპიტან ფაშას შე-
რიგება უნდოდა თქვენიო. ასე მოატყუ-
ილა (ЦГАДА, Госархив, разр. XV
(ფ. 15), д. 192, лл. 19—20).

რუსეთის კონსულის საქციელი, თუნ-
დაც სიბრძნით იყოს გამოწვეული, რუ-
სეთის სახელმწიფოებრივი ინტერესე-
ბის თვალსაზრისით აშკარა დანაშაული
იყო. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის
ყველაზე დაძაბულ მომენტში თურქეთ-
ში რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგების
მთავარი ორგანიზატორის — საფრანგე-
თის დიპლომატიისათვის ასე ბრმა დან-
დობა, თურქეთის წინააღმდეგ მებრძო-
ლი ძალის — ეგვიპტელი ბეგების წინა-
დადების უგულვებელყოფა და მისი რუ-
სეთის მთავრობისათვის დროულად არ
ცნობება, სულ სხვაგვარ კვალიფიკაცი-
ას მოითხოვს, მაგრამ პირდაპირი სა-
ბუთების მოძიებამდე, საბოლოოდ დას-
კვნისაგან თავს ვიკავებთ.

ჩვენ საგანგებოთ ვეძიეთ, რას აცნო-
ბებდა ამის შესახებ ბარონი ტონუსი
რუსეთის მთავრობას და აღმოჩნდა მე-
ტად უცნაური დოკუმენტი.

1786 წლის 9 ივლისს ბარონ ტონუსს
ალექსანდრიიდან ბულგაკოვისათვის კო-

ნსტანტინოპოლში გაუგზავნია მოხსენება, სადაც ვკითხულობთ:

«Капитан-паша прибыл в Александрию 25 прошедшего июня в полдень... бей весьма сожалеют, что не разрешили консулов до прибытия капитана-паши в Александрию, и обещаются сие исполнить по окончании какова либо с капитан-пашею решения, что во всем Александрии между народом явно гласятся, предпочитают виновность мне больше других консулов, и ежель правда, что якобы и сами консулы оправдая себя полагают жалобы их суще с подрыва моею произшедшими, по елику в бытность их чрез долгое время в Александрии до приезде моего, всегда царствовала спокойствие и дружба с беями, а зделал де я сие для того, чтобы по истреблении беев покорыствоваться подарками данными на презент им от высочайшаго российскийского двора, которые удержавши у себя не зделал визиту беям. Его без сумнение по здешнему месту произзайти может но к крайнему сожалеению дойти откудова к нем сие измишленно нет способа нет...» (АВПР, ф. Сп. России с Турцией, 1786 г., д. 675, лл. 15—16).

როგორც ვხედავთ, ბარონი ტონუსი რუსეთის ელჩს საქმის ნამდვილ ვითარებას როდი აცნობს. იგი მთელი უბედურების მიზეზად იმას აცხადებს, რომ მთავრობამ საჩუქრები არ გამოუგზავნა, ამიტომ კაიროში ვერ წავიდა და ბეგები მას თითქოს საჩუქრების გადაამალვას აბრალეზდნენ. იქვე ქვემოთ ბარონი ტონუსი ბულგაკოვს წერს:

«По вышеописанному соблаговолите предусмотреть ваше превосходительство, состояние мое в Александрии и что в место облегчения приезд капитана-паши произвел двойную горесть, на случаи боже сохрани ево неудачи, что мне делат нижайше прошу не оставить наставлением в спасении себя какой непредвидимости» (იქვე, 17).

ზემოაღნიშნულის შემდეგ უსაფუძვლოდ გვეჩვენება დ. ჯანელიძის განცხადებები: „რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ტონუსი... ბეიებს თანაუგზავნობდაო“... ან კიდევ, რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ბეგებთან ურთიერთობისას „შიკრიკად ვინმე ოფიცერს, გვარად კაქკაჭიშვილს იყენებდაო“.

თურქეთის სარდალმა ისარგებლა ტონუსის ინფორმაციით და დაუყოვნებლივ დაძრა ჯარები აჯანყებული ბეგების წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა. მ. კაქკაჭიშვილი იმავე მოხსენებაში ქვემოთ განაგრძობს: „ბეგებმა უომრათ და(ა)ნებეს კაირი კაპ(ო)ტ(ა)ნ ფაშასა და წავიდნენ ჯირჯას და სეიდასა. პირველ გაუსია ფაშამა ნილზედალოტკეებით ლაშკარი ბეგებსა და გაიტყუეს მაშარალზედ ოსმალუს ლაშკარი, ასე ამოუწყვიტეს, რომ ათას სამასი კაცი და(ა)კლდათ და ლოტკეებიც მრავალი დარჩათ; მეორეთ ვასია მაშარალზედა ორი ფაშა ლაშკრით და ზეით არზადამა, ვაგცეული ბეგებიც მოვიდნენ და ერას დღეს ორგნითავე გაიმარჯვეს ბეგებმა, რომ შვიდი ათასი კაცი მოკლეს; ჯიდავი ჰასან ბეგი დაიკარგა. ისმელი ბეგი დაჭრილი ხუთასი კაცით კა(ო)რს მოვიდა და ფაშებიც გამოქცეულნი მოვიდნენ, მაშინვე ჩემთვის კაცი გამოეგზავნათ, დავებარებინეთ, რომ ელუს არამზედ (იერუსალში — ვ. მ.) წამოდიო. ელუს არემს სალოცავათ დავებოხვეთ კონცლსა და არ გამიშვა, შვიდი თვე საკანდარის შემინახა“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15). д. 192, л. 19—20).

როგორც ვხედავთ, ტონუსმა განგებდა კავა ვ. კაქკაჭიშვილი 7 თვე (1786 წლის აპრილის ბოლოდან დეკემბრამდე) ალექსანდრიაში, რომ რუსეთში მისი საქციელი ცნობილი არ გამხდარიყო. მ. კაქკაჭიშვილი მიმხვდარა, ტონუსი რუსეთში არ გამიშვებოს და ფიცი მიუცია — რუსეთში არ წავალ, ჩემს ქვეყანაში წავალ: „მერე შევაფიცე რომ ჩემს ქვეყანას მინდა წავიდე, დამითხოვა“ (იქვე). მაგრამ ერეკლეს დიპლომატს მაინც უცდია ხელცარიელი არ ჩამოსულიყო ბულგაკოვთან კონსტანტინოპოლში და საკონსულოს თანამშრომლებს

ზისათვის მიუძღვრება: „ეს საქმე დიანდარალმანას (ალბათ დრაგომანს, ვილაც ქართველს კრინერს — ვ. მ.) მოვ(ა)ხსენე, რომ კონცლს არ ნებავს ბეგების საქმე მინისტართან მიწერა და კანცლარმაც გაშინჯა და ამ საქმეების მოწმობის წიგნი მოსწერა უფალს ბულაკოვსა (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15), л. 192, лл. 19—20).

1787 წლის იანვარში მ. კაჭკაჭიშვილი კონსტანტინოპოლში ჩავიდა და ბულაკოვს საქმის ვითარება გააცნო, ბეგების წერილიც გადასცა, მაგრამ უკვე გვიან იყო — წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა. ბულაკოვს მაინც ურჩევია მ. კაჭკაჭიშვილისათვის ცოტა დამიცადეო. ამ უკანასკნელსაც უცდია, მაგრამ ორი თვის შემდეგ შეშინებია კიდევ რაიმე უბედურებას არ გადავეყარო და კონსტანტინოპოლი დაუტოვებია: „1787 წელს იანვარში — წერს მ. კაჭკაჭიშვილი პოტიომკინისათვის წარდგენილ მოხსენებაში — ვეახელით უფალს ბულაკოვს და ბეგების მოწერილი წიგნები და დარღამნისა მივართვი. რომ იბრემ ბეგისა წიგნი ქართულათ (ჩვენ საგანგებოდ ვეძიეთ იბრემ ბეგის ქართული წერილი, მაგრამ ვერ ვიპოვეთ — ვ. მ.). იყო, რომ უფალმა ლაშკაროვმა (სერგი ლაზარეს ძე ლაშქარევი, XVIII საუკუნის ცნობილი დიპლომატი, ქართველი იყო, ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთს გადასახლებულის შთამომავალი — ვ. მ.) გადაუთარგმნა. მიბძანა, რომ ცოტა ხანს მომიცადეო და გზას მოგცემო. ორი თვე უცადე, ვნახე რომ ამ საქმეს (რ)თულათა ვეიდებოდა; მეც შემერიდა რომ ერთს განსაცდელში არ ჩავარდე“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15), л. 192, л. 20).

დაახლოებით 1787 წლის მარტში (1786 წლის იანვრიდან ორი თვის შემდეგ) მ. კაჭკაჭიშვილს კონსტანტინოპოლი დაუტოვებია, ხოლო 1787 წლის მაისში იგი რუსეთში იყო და 10 მაისით დათარიღებული მოხსენებები წარუდგინა თავად გ. პოტიომკინს. კონსტანტინოპოლიდან იგი ყირიმ-ტავანროვის

გზით უნდა წამოსულიყო, სხვა გზა სახიფათო იყო, ეს ამბავი კარგად იცოდა (ტავანროგზე გავლით იმგზავრა ეგვიპტისკენ), ეს კარგად იცოდნენ კონსტანტინოპოლშიც, რაც ჩვენ ზემოთ ვგვქონდა აღნიშნული. მაგრამ გამოსარკვევი რჩება: მ. კაჭკაჭიშვილი ჩამოვიდა თბილისში და შემდეგ სასწრაფოდ გავზავნა ერეკლემ ინფორმაციებით პოტიომკინთან, თუ თითონვე პირდაპირ პოტიომკინთან გაემგზავრა.

პოტიომკინთან მ. კაჭკაჭიშვილი რომ ერეკლეს დაუკითხავად ვერ გამოცხადდებოდა, ეჭვის შეტანა არ შეიძლება შემდეგი გარემოების გამო. 1786 წლის იანვარ-აპრილში, როცა მ. კაჭკაჭიშვილი კაიროში იყო, ბეგებს მისთვის გაუცვნიათ ეთიოპიის წარმომადგენელი. ეს უკანასკნელი დაინტერესებულა მ. კაჭკაჭიშვილის მონათხრობით რუსეთის შესახებ. ეთიოპიის რეზიდენტს ეს ამბავი უცნობებია თავის მთავრობისათვის და ბრძანება მიუღია მ. კაჭკაჭიშვილი ეთიოპიაში გამოგზავნეთო. მ. კაჭკაჭიშვილს უარი განუცხადებია. პოტიომკინისადმი წარდგენილ მეორე მოხსენებაში მ. კაჭკაჭიშვილი წერს: „პარხიტენთმა (ეთიოპიის რეზიდენტმა — ვ. მ.) ჩვენი მოხსენებული რუსეთისა ამბავი სრულად მისწერა თავის კემწიფის კარხედა. ეს ბაძანება მოუვიდა: თუ რუ(ს)ის კაცი იყოს და ჩვენს ქვეყანას წამოსვლა ნებევდეს გამოისტუმრეთ, რომ დიდათ ვესურსთ ჩვენც მეგობრობა რუსეთისაო, რომ ჩვენი წიგნი და კაცი წაიყვანოს თანა და უმაღლეს კარს მიართოსო, დიდათ ვესურდა წასვლა, იმისთანას უცხოსა ქუეყნისა ნახვა, მაგრამ ჩვენის მეფისაგან (ერეკლე მეორისაგან — ვ. მ.) ბაძანება რომ არა მაქონდა, ამის მიზეზით ვერ გავბედეთ“ (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ф. 15), л. 192, л. 17—18).

როგორც ვხედავთ, მ. კაჭკაჭიშვილს ეთიოპიაში წასვლა, სურვილის მიუხედავად, ვერ გაუბედავს იმიტომ, რომ ერეკლეს ნებართვა არ ჰქონია. ისმება კითხვა: როგორღა ვაბედა მან კონსტან-

ტინოპოლიდან პოტიომკინთან (ალბათ კრემენჩუგში ან პეტერბურგში) წასვლა? კიდევ უფრო უცნაურია ის ამბავი, რომ როცა პოტიომკინმა წინადადება მისცა მ. კაჭკაჭიშვილის ეთიოპიაში წასვლის თაობაზე, იგი უმაღლეს დეთანხმდა: „რადგან მოწადე ბაძანდება თქვენი უგანათლებულესობა და გვიბაძანებსთ აბაშისტანს (ეთიოპია — ვ. მ.) წასვლასა დიად მზიარულის გულითა მონ(ა)ტრენი გახლავართ“ (ЦГАДА, Госархив разр. XI (ф. II). д. 948, л. 53). ამას მოყვება კონკრეტული გეგმები, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

რა თქმა უნდა, მ. კაჭკაჭიშვილი ან საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და ერეკლეს იგი სასწრაფოდ გაეგზავნა რუსეთში, ან წინასწარვე უნდა ჰქონოდა სათანადო ნებართვა ერეკლესაგან. ეს მოსაზრება არ შეიძლება საეჭვო იყოს.

საყურადღებოა მეორე გარემოებაც — ბიძის სანახავად ეგვიპტეში წასული კაცი დიდ სარისკო სახელმწიფოებრივ საქმეებში ერევა, თავგამოდებით იბრძვის ეგვიპტის გამათავისუფლებელი მოძრაობის რუსეთთან დაკავშირებისათვის; იმასაც კი აკეთებს, რომ ბეგებს უმაღლეს რუსეთის კონსულის საქციელს, რათა აჯანყებულ ბეგებს რუსეთზე გული არ აუცრუოს და სხვ.

ჩვენ არც ის ამბავი მიგვაჩნია შემთხვევითად, რომ ბეგების წერილი ერეკლესადმი, რომელიც ვილაც გლეხის (კანუტაშვილის) ავალიანთ ყმობიდან გამოყვანისა და სახასო ყმაღქცევის საქმეს ეხება, პოტიომკინთან წარდგენილ მოხსენებების გვერდით აღმოჩნდა. ჩვენ იგი მ. კაჭკაჭიშვილისათვის მოწმობად მიგვაჩნია იმის დასადასტურებლად, რომ ბეგებს ერეკლესთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ — სხვა საბუთის წამოღება თურქეთის გზით არ შეიძლებოდა.

განა შეიძლება ყველაფერი ეს რიგითი ოფიცრის საკუთარ ნაბიჯებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ამ ამბებს ერეკლეს ვუკავშირებთ, თუმცა

იგი ოფიციალურად არსად ჩანს. მაგრამ ეს შემთხვევითი როდია.

საქმის ნამდვილი ვითარება ჩვენ ასე წარმოგვიდგება: 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით გაცოფებულმა თურქეთმა აშკარა ომის წამოწყება ვერ გაბედა, მაგრამ საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სახანოები და დაღესტნელები წამოუსია. რუსეთიდან გამოგზავნილი ორი ბატალიონი საქმეს ვერ შევლოდა (ომარ ხანმა 1785 წელს მოაოხრა საქართველოს რაიონები), დამატებით ჯარის გამოგზავნაზე რუსეთი თავს იკავებდა, რადგან აღარ სურდა უციდურესობამდე მიყვანა ისედაც დაძაბული ურთიერთობა თურქეთთან და მოლაპარაკების გზით ფიქრობდა საქმის მოგვარებას. ერეკლეს გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით რუსეთის თანხმობის გარეშე უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების ნება არ ჰქონდა, მაგრამ ერეკლე გულზელდაკრფილი არ დარჩენილა. მას უცდია აღედგინა ძველი ურთიერთობა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებთან და დაეკავშირებინა ისინი რუსეთთან, რათა სხვა უბანზე ყურადღების გადატანით შეენელებია თურქეთის აქტივობა კავკასიაში.

პოტიომკინთან და ბულგაკოვთან რომ აცხადებს მ. კაჭკაჭიშვილი ბიძის სანახავად ვიყავი ეგვიპტეშიო, ეს თავისი მისიის დაფარვის მიზნით უნდა კეთდებოდეს. ანალოგია ყოველთვის არ გამოდგება, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატის მოქმედების პერიოდში (1783—1798 წწ.) რუსეთის დიპლომატიას ერეკლეს დამოუკიდებელი, რუსეთისაგან ფარულად გადადგმული ნაბიჯები არა ერთგზის აქვს შენიშნული და, როგორც ჩანს, ეს ნაბიჯი მეტისმეტად კონსპირაციის გამო გამოუმჯღავნებელი დარჩენია.

ასეთ ნაბიჯებს ქართული დიპლომატია ადრეც მიმართავდა. ასე მაგალითად, 1760 წელს თეიმურაზ II რუსეთის საზღვარზე მისვლისას შეატყო.



რომ მას პეტერბურგში ჩასვლის ნებართვას ადვილად არ მისცემდნენ, ამიტომ 1760 წლის ივნისში თხოვა ყიზლარის კომენდანტს და ასტრახანის გუბერნატორს თავ. შ. ტუსიშვილი გაუშვით პეტერბურგში ნათესავების სანახავად. „ნათესავების სანახავად“ პეტერბურგში ჩასულმა შ. ტუსიშვილმა მოახერხა რუსეთის კანცლერთან შეხვედრა და რუსეთის მთავრობას ადრინდელი გადაწყვეტილება შეაცვლევინა — თეიმურაზი პეტერბურგში გაუშვეს (АВПР, ф. Сп. России с Грузией 1760 г., д. 1, лл. 1—294). ან კიდევ, იმავე თეიმურაზ II უკრაინაში ქართულ კოლონიასთან კავშირის დამყარების მიზნით 1760 წლის სექტემბერში ასტრახანიდან პოლტავაში გაგზავნა თავ. თურქესტანიშვილი; იგი, უკან დაბრუნებისას, რაკი სამგზავრო ხარჯები სჭირდებოდა, აცხადებდა: თეიმურაზის ამაღის წევრი ვარ, მეფის ნებართვით ნათესავების სანახავად წავედიო; რუსეთის საგარეო კოლეგიამ უპასუხა: მეფის ამაღის სიაში არა ხართ და ვერაფერს მოგცემთო; რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, თავ. თურქესტანიშვილმა მეორე მოხსენებაში დაწერა — „მეფემ გამგზავნაო“ და დასტურად უკრაინიდან თეიმურაზ მეორისათვის გამოგზავნილი ერთი წერილიც წარადგინა (АВПР, ф. Сп. России с Грузией, 1762—1763 г., д. 3 л. 1—20). რა თქმა უნდა, მას სხვა წერილებიც ექნებოდა. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ „ნათესავების სანახავად“ წასვლა, ქვეყნის თავისებური ვითარების გამო, ქართველ დიპლომატებს ხშირად უხდებოდათ XVIII საუკუნის II ნახევარში და აქ უჩვეულო არაფერია.

მთელი უბედურება ისაა, რომ ქართველი დიპლომატიის ისტორიის შესწავლა მეორე მხარისათვის წარდგენილი საბუთებით ვეზიდება, ხოლო მეორე მხარეს ჩვეულებრივ იმას აცნობებენ, რასაც საჭიროდ ხედავენ. თუ რაიმე ვიციით ქართველი დიპლომატების მაქინაციის შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაბიჯი „ჩავარდა“ — მეორე

მხარემ გაიგო. დღეს, რაკი ჩვენი სახელმწიფო არქივები არ შემოგვრჩა, ასეთი „ჩავარდნები“ (მაგ. გარსევან ჭავჭავაძისა და სხვ.) ნაწილობრივ მაინც გვანიშნებენ ქართული დიპლომატიის ბურუსით მოცულ მხარეზე და ერთგვარად ასუსტებენ XVIII საუკუნის ქართველ დიპლომატთა აუგად მხსენებელთა პოზიციებს. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

1787 წლის მაისში, როგორც აღინიშნა, მ. კაქკაჭიშვილი რუსეთში იყო და პოტიომკინთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. 10 მაისს მან პოტიომკინს 2 მოხსენება წარუდგინა. ჩვენს მიერ ვრცლად კომენტირებული პირველი მოხსენებით, როგორც ეს ცხადი იყო, პოტიომკინს აცნობდა ბეგების მტკიცე გადაწყვეტილებას რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, ტონუსის საქციელს და დასასრულ წერდა: „ამის მიზეზსა თქვენს უგანათლებულესობას პირათა მოვასხენებთ, თქვენის უგანათლებულესობის მეტი საქართველოს კრებულისა შემბრაღლ და ყურ(ი)ს მიმდღებთ არავინა გყავს პატრონი“ (ИГАДА, Государхив, разр. XV (ф. 15), д. 192, л. 20).

მ. კაქკაჭიშვილი აქ პირდაპირ აცხადებს, რომ იგი ქართველობისათვის იბრძვის (ქართველობა აქ ფართოდაა წარმოდგენილი და მამლუქებსაც მოიცავს) და პოტიომკინს მიმართავს, რომელსაც ამჯერად საქართველოს საქმეები აქვს მინდობილი, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ იგი მარტო არაა.

მ. კაქკაჭიშვილის მეორე მოხსენება, რომელიც ისევე 1787 წლის 10 მაისს წარუდგენია პოტიომკინისათვის, უფრო ზოგადია, მაგრამ აქ მეტი გარკვეულობითაა ხაზგასმული მისი სურვილი თურქეთის იმპერიის შემუსვრისა და ქართველობის დახსნისა, აქვეა გამოქვეყნებული თურქეთის სულთნისა და საფრანგეთის დიპლომატის საიდუმლო გეგმები. მ. კაქკაჭიშვილი წერს: „ვითხოვთ თქვენის უგანათლებულესობისგან, რომ ჩვენი ნანახი და შეტყობილი საქმენი მოიხსენიოთ, რომელი... რუსე-



თის იმპერი(ი)ს შეს(ა)მატნი საქმენ(ი) ცენათ უსწარფალესს მოვ(ა)ხსენოთ, რომელი ქაშიერათ გამოს(ა)ყენებულან არიანო“ (იქვე, 18).

მ. კაჭკაჭიშვილის მოსაზრებანი შეიძლებოდა შემდეგი ძირითადი დებულებების სახით ჩამოგვეყალიბებინა:

პირველი, მ. კაჭკაჭიშვილი ასაბუთებს, რომ ეგვიპტის განთავისუფლებას აადვილებს იქ ქართული ელემენტების არსებობა: „პირველ ამ საქმისათვის გვედრებით, რომელი თქვენის უგანათლებულესობისათვის მოგვისხენებია: მისირის ბეგებს შე(ე)წიოს მის იმპერატორობის უდიდესობა, რომ ეგვიპტელნი ხონთქრის ყმობილდქან ვათავისუფლდნენ, ამ მიზეზით უადვილეს არს, რომ ყოველნი ეგვიპტის დიდიკაცი და ლაშკარნი ქართლიდგ(ა)ნ ტყვეთ მიყვანილნი და უნებურათ გათათრებულნი არიან და ყოველს ქამს მოწადენი არიან რა დრო გზა ჰპოვონ რომ ქრისტიანობა ეღირსოსთ, დიად მრავალთა დიდკაცობა დასთმეს და დიდის შეჭირვებითა მისრეთ(ი)დგან (ეგვიპტიდან ვ. მ.) წამოვიდნენ(ნ) ქართლშია გლუხკაცობას ჯერდებიან. თვით ეგვიპტის მოს(ა)ხლუ ფალსა (ფელახსა? — ვ. მ.) უნებურათ უჭირავსთ მაჰმადის სარწმუნოვება, ქრისტიანობისაგან ძალათ არიან დათათრებულნი, კიდევ მრავალი ქრისტიანთ ნიშნები მათში იპოვებიან, თუ მიფარვით მღვდელი ჰპოვეს ყმარწვილს მონ(ა)თვლინებენ, ღორის ხორცს აშკარ(ა)თ სჭამენ, რა ბეგებს დრო და ქაში მიეცეს უადვილესათ მოიქცევიან“ (იქვე).

მეორე, მ. კაჭკაჭიშვილი უმტკიცებს პოტიომკინს, რომ ეგვიპტის განთავისუფლებას მოყვება ბალკანეთის და მცირე აზიის ქრისტიანული მოსახლეობის გამათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა და ოსმალეთის იმპერიის დასუსტება: „რა ეგვიპტელნი სულთანს წაუვლენ ყმობილდგან და სამეფო რიგნი დაუნწესდებათ ოსმალთ ალა და სახემწიფო შუა გაეყოფათ, და ოსმალთ დიდ საიმიდლოთ ეგულებათ გაჭირვულს დლი-

სთვი(ს) მისირი და არაბია, თუ დროთ გაუჭირდესთ მისირს შემგარდნენ. თუ მისირი და ბარბარია ოსმალთ დაიჭირეს და გაამაგრესთ, როგორც განძრახულობა აქვსთ, დროთ კიდევ გაძლიანდებიან, რომ ქრისტიანობას ავნონ. რა ეგვიპტელნი გათავისუფლდებიან(ნ) ქრისტიანთ კრებულნი დიაუმრავლესნი შემოიკრიბებიან ან(ა)ტოლი(ი)დგან, სირი(ი)დამ, ალბანიდამ, ბერძენთ სარწმუნოვებისათვის მოგროვდებიან(ნ) და მრავალნიც ოსმალთაგან შეწუხებულნი სარწმუნოვებისთვის. ჰინდოველთ და აფრიკელთ ვაჭრობას გზა გაეხსნებათ, დიდ ვაჭრობაში შევლენ და მრავალს საქონლითა გამოიდრდებიან(ნ) როგორც ძველთაგან ყოფილან, რა ამ სიმდიდრეში შევლენ, ლაშკარს გაძრივლებენ და მოახლოვეს ოსმალთა მრავალს მამულებს ჩამო(ა)რთმევენ, მალარიბელთა და აღჯარინელთა დიდათ დამცრობენ, როგორც ამას წინათ ალი ბეგმა, ასე დაიპყრო აღჯარია, რომ მის უკანასკნელს ბრძანებას წინ ვერ აღუდგებიან“ (იქვე).

მესამე, რომ ეგვიპტის განთავისუფლებას მოყვება გამათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში, მით უმეტეს საბრძოლველად მზად არის ბალდათის მბრძანებელი სულეიმან ფაშა, რომელსაც 4 ათასი ქართველისაგან შემდგარი მხედრობა ყავსო: „და ერთობ ბარბარელინი მოსწყდებიან ოსმალთ ყმობისაგან, აგრეთვე სირია და ელუსარემის მხარე და ბალდად ბაბილონი; რომ ამ ქაში ბალდადის ფაშა სულეიმან ხალიფა ქართველი გახლავსთ, ოთხი ათასი ქართველის ტყვენი ახლავს, სულ თავის ნაყიდი მაზათ, თავის სარაიაშიგან, ყოველთვის მოლოდინი აქვს ოსმალთ უბედურობაში შემთხვევის, რომ გათავისუფლება სწადს და აგრეთვე მაქელნი და იამანელნი, სულთანის ბძანებას აღარს ისმენენ და არც ჯიდაში ფაშ(ა)სა სომენ“ (იქვე).

შემდეგ მ. კაჭკაჭიშვილი გადადის თურქეთისა და საფრანგეთს საიდუმლო შეთანხმებისა და მათი მზაკვრული გეგ-

მების მხილებაზე, რომელიც მ. კაკაჭი-
შვილს ალექსანდრიაში შეუტყვია თურ-
ქეთის დიდი ვეზირის იუსუფ ფაშას
ძმის მეშვეობით. ეს უკანასკნელი ახა-
ლი გამაჰმადიანებული ყოფილა და გუ-
ლი საქართველოსკენ უწევდა.

თურქეთის და საფრანგეთის გეგმები
ასეთი ყოფილა:

პირველი, მოსპონ მამლუქი ბეგები
და ეგვიპტე საფაშოდ აქციონ, რათა
რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში,
რასაც ყოველ წუთს ელიან, თავიდან
აიცილონ ეგვიპტის რუსეთის მხარეზე
გამოსვლა. ამისი საშიშროება საქარ-
თველოს რუსეთის მფარველობაში შეს-
ვლის შემდეგ გაზრდილა ეგვიპტელი
ბეგების ქართული წარმოშობის გამო:
„ფრანცელთ მინისტრთ თანამდებობი-
თა, ოსმალთ წადილი ეს არს, მისირში
ბეგები ამოაგდონ, რომა დიდათ ერი-
დებათ, დროთ აღიბეგსავით არ უკუ-
გვიდგენნო, რუსეთის იმპერიას ყოველ
ჟამს ეფიქრებათ ომის გამოცხადების-
გან, რომ ეგვიპტის ბეგნი უკუგვიდგე-
ბიან, რუსეთთან გაერთდებიან; პირ-
ველ, ერთის სარწმუნოვებისნი არიან
და მეორე, რომ საქართველო რუსეთის
საფარველს ქვეშე არს და ამ მიზეზით
ბეგნი მოინდომებენ გაერთებასა, მა-
ნამ ჟამი აქვსთ ცდილობს ოსმალნი და
უომრათაც არ(ი)ან, რომ ბეგობა ამო-
აგდონ მისირიდამა.

დიდისა მოწადინებით ებძვის სულ-
თან ეგვიპტელთ; რა ბეგობა ამოაგდონ
მათი წადილი ეს არს, რომ ექვს საფა-
შოდ გაყონ, გარშემო სამძღვარებზედა
დასც(ან) და კაირს ქალაქში შეიდი ენ-
გიჩარის ოჯახი ვაკეთონ, როგორც
ქველთაგან სულთან სალიმს გაუნწყესე-
ბია. ერთობ მისირის ლაშქარნი ამ ოჯა-
ხებიდგან განწყესდეს, მარტო უფლო-
ბა ლაშქარზედ არავის შესწყევდეს. ვა-
კირს (კაიროს — ვ. მ.) ქალაქში ფაშა არ
დაჯდეს, ექვსმა მოხელემა იბატონოს,
პირველ შიხ ისლამი (შეიხულ ისლა-
მი — ვ. მ.), მეორე ყალი, მესამე შაჰრ
აფენდი და სამი მოხელეც სულთანის კა-
რიდამა დაჯდეს და წელსა და წელს გა-

მოიცვალოს. ამ ექვს კაცს ჰქონდეს
უფლობა ქალაქზედა და ყოველი მისი-
რ(ი)ს შემოს(ა)ვალი ხაზინა. ამ ექვსის-
კაცის ხელითა ფაშებს და მოხელეთა
ყოველს თავის ულუფა მიეცესთ. ფა-
შებს სამძღვარათ შენახვის მეტი არც
ლაშქარზედა და არც ხაზინაზედა უფა-
ლობა რ ჰქონდესთ“ (იქვე).

მეორე, თურქეთის მთავრობა საფ-
რანგეთის დიპლომატას თანამოქმედე-
ბისათვის განსაკუთრებულ შეღავათებს
აღუთქვამს ეგვიპტისა და წითელი
ზღვის სავაჭრო გზაზე: „რა ეს ზემო-
მოსხენებული საქმე დასრულონ, დაჰ-
პირებიან ოსმალნი ფრანც(ი)ელთ გზის
მიცემასა და წითელს ზღავაზედა, რომ
მარტო ფრანციელთ ხომალდმა იაროს,
ჰნდოვეთიდამა საქონელი მოიტანონ,
ყოველი ვაჭრობასა სუესის პარსტინზე-
და; ამ პირობას უთქმენ, თუ ეგვიპ-
ტელთ არაბმა ძალითა ფრანცელთაგან
წართოს, რამე, ხონთქრის ხაზინიდა(ნ)
უზღონ“ (იქვე).

მესამე, თურქეთის მთავრობას გან-
ზრახული ჰქონია, ეგვიპტის დამორჩი-
ლების შემდეგ წითელ ზღვაზე სამხედ-
რო საზღვაო ბაზების შექმნა და მეზობე-
ლი ქვეყნების დამორჩილება: „მეორე
წადილი ესა აქვსთ ოსმალთა: რომ მი-
სირში სუესის პარსტინზედ აღმირალ-
სტვა გა(ა)კეთონ და წითელს ზღვაში
საომარი ხომალდები შეინახონ და გარ-
შემო წითელის ზღავსა ვინცა ვინ ხონ-
თქარს წინააღმდეგი გამოჩნდეს მისი-
რიდაქანი დაიმონონ“ (იქვე).

რამდენდაც თურქეთის დაპყრობი-
თი გეგმები წითელი ზღვის რაიონს ეხე-
ბოდა, მ. კაკაჭიშვილი აცნობებს თავ.
პოტიომკინს, რომ ახლახან გაძლიერდა
ეთიოპიის სამეფო, სადაც გატარებულ
იქნა რეფორმებიო, რომ „იბრეიმ ბეგს
დიდი მეგობრობა აქვს აბაშის მეფეს-
თანა, ყოველთვის მოვიგითა მისართმე-
ვით ერთმანეთს“ მოიკითხავენ ხოლმეო,
რომ კაიროში „იბრეიმ ბეგის ბძანებით
აბაშის პარზიტენტანი (რეზიდენტანი—
ვ. მ.) მეგობრობა დავიწყევით“, რუსე-
თის ამბები გავაცანით, დაინტერესდა.

ჩემი ნაამბობი თავის მთავრობას აცნობა, შემდეგ ეთიოპიიდან შემოთვალეს—თუ ჩვენს ქვეყანაში წამოსვლა ნებადღეს გამოისტუმრეთო, ჩვენ რუსეთთან მეგობრობა გვსურსო, ჩვენი წიგნი და კაცი წაიყვანოს თანა და უმაღლეს კარს მიაართოს, ძალიან მსურდა უცხო ქვეყანაში წასვლა, მაგრამ ერეკლე მეფისაგან ნება არ მქონდა და ვერ გავბედო (იქვე, 17, 18).

შემდეგ მ. კაჭკაჭიშვილი გადადის კონკრეტულ წინადადებაზე, რომ თუ რუსეთი ეთიოპიას მცირე დახმარებას აღმოუჩენს, მომძლავრებული ეთიოპიის სახით ეგვიპტეს მტკიცე ზურგი შეეკმნება—ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველადო, ამასთან, რაკი თურქეთის ზურგს უკან საფრანგეთი დგას, მიზანშეწონილია რუსეთი ინგლისს დაუკავშირდესო, ხოლო ეს საქმე რუსეთისათვის უსარგებლო როდი იქნებაო: „მის იმპერატორობის უდიდესობა მიღებდეს წაყლობას აბაშელთ ზედა და მეგობრობას გამოუცხადებდეს და მცირეს საქმითა შეეწვეოდეს, რომ არტელერი(ი)ს გამწყობი ოსტატნი უბოძოს, ამთონი რომა ზარბაზნები ჩამოუსხას და გასროლა ასწ(ა)ვლოს, დიდას ძალს მოიმატებენ. შესწევთ რომ ცოტას უამშია წითელის ზადვის გარემო ქვეყნები დაიჭირონ და ეგვიპტელთ მესამძვრე შეიქნან და ოსმალთა მრავალი ძალა და ქვეყანა წაერთმევათ და რუსეთის სახელი ყოველს აფრიკაში და აზიაში უმაღლეს(ა)თ გაითქმის, სცნობენ ძალიერებასა ისეთს უშორეს ქვეყანაშია და აფრიკაში ქრისტიანობა გაძლიერდება, დროთ რუსეთისთვის შესამატი იქნებიან, თუ ინებებს მის იმპერატორობის უდიდესობა და ინგლიზის კონპანიასა გაიერთებს ამ საქმეში ამ მიზეზით, რომ უახლოვეს არიან აბაშზედა და ეგვიპტეზედა, მათი შესწევს ძალა და იარაღნი ყოველთვის მზადა აქვსთ. ბუნბაიდა ამ ერის თვეზედ მოვა ანგლისის გემები, დიდათაც მაწადე იქნება ინგლისის კონპანია ამ საქმისათვის“ (იქვე გვ. 17).

დასასრულ, მ. კაჭკაჭიშვილი დასძენს,

რომ რუსეთის დახმარება ეგვიპტისა და ეთიოპიისადმი უშედეგოდ არ დარჩება, ეს ორი ქვეყანა სამავიერო სიკეთეს ეცდებიან, ხოლო რუსეთს წითელი ზღვა — ეგვიპტის გზით ინდოეთიდან შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ უმოკლესი გზა გაეხსნება, რაც რუსეთის საგარეო ვაჭრობას ვააფართოებს: „რადგან ამ სიკეთეს მხოლილებს მათ ზედან უმაღლესი კარი ეს ორი სამეფო ყოველთვის მოწადე იქნება სამსახურს და მაგ(ი)ერს სიკეთის მიგებასა; შესწევს რუსეთსა პინდისტიანას ქვეყნების აღება, როგორც ანგლისელთ აქვსთ, აგრეთვე დიდ ვაჭართა ხომალდების საქმება და პინდოველთ საქონლისა მოტანა რუსეთშია და ვაჭართ გამდიდრება. ინებებს უმაღლესი კარი ბანდარი ბუშერზედ პარსტიანის საქმებას, რომ ასტარბათს კასპის ზღვით აშტარხანას მოვა. და თუ ინებებს წითელს ზღვაზედა მისირს მოტანას უფრო უახლოვეს იქნება შავს ზღვაზედან ყირიმს გამოიტანს საქონელსა“ (იქვე).

მ. კაჭკაჭიშვილი წარმოგვიდგება როგორც თავისი ეპოქის შესანიშნავი მზვერავი და ბრწყინვალე ქართველი დიპლომატი, რომელიც ჩინებულად ერეკვეთ მაშინდელი მსოფლიოს უმთავრეს საერთაშორისო პრობლემებში.

ჩვენ თითქმის ორი ათეული წელი გვიხდება დაკვირვება XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთის დიპლომატიის საქმიანობაზე უშუალოდ საარქივო საბუთებში და ქართული დიპლომატიების საქმიანობიდან ასე შემთხვევით მიკვლეული მასალებიც კი სრულ უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ერეკლე II დაზვერვა და მისი დიპლომატები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ რუსეთისას, ამ უკანასკნელს კი ამ დარგში დიდი შტატი გააჩნდა და საკმაო სახსრები ჰქონდა დაბანდებული.

რაც უფრო მეტს ეცნობი ამგვარ საქმეებს, მით უფრო რწმუნდები რამდენად უსაფუძვლო იყო ზ. ავალიშვილისა და სხვების მიერ XVIII საუკუნის ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების აუ-



გად მოხსენიება — ევროპულ დიპლომატიკაში ჩაუხედავობაზე ყოყინი. ქართველებმა ყველაფერი კარგად იცოდნენ, მაგრამ მართო ცოდნა საქმეს როდი შევლოდა — ძალა იყო საჭირო. ამიტომ იყო რომ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, ზოგჯერ, წყალში ჩაყარდნის კაცით, ხავსაც კი ეკიდებოდნენ და ამაში მართალი იყვნენ.

მ. კაჭკაჭიშვილის მოხსენებების გაცნობის შემდეგ ვერც თავ. პოტიომკინს გადაუწყვეტია ეგვიპტის გამათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირება, რაკი იქ თურქეთის ჯარებს უკვე აშკარა ომი ჰქონდათ გაჩაღებული, რადგან რუსეთი ამ დროს თურქეთთან ისევ მოლაპარაკებას აწარმოებდა. ამიტომ თავ. პოტიომკინს გადაუწყვეტია მ. კაჭკაჭიშვილის ეთიოპიაში გაგზავნა, რაზედაც ეს უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმებია, თუმცა პოტიომკინს განუცხადებია, რომ მ. კაჭკაჭიშვილის მგზავრობა ეთიოპიაში თურქეთიდან ფარულად უნდა მომხდარიყო. მ. კაჭკაჭიშვილი წერდა: „თქვენმა უგანათლებულესობამ რომ გვიძინა მოს(ა)რიდებელი არს ოსმალთაგან, თუ შეიტყვეს ეწყინებათ; დიად საწორე არს ჩემო მოწყალევე, მაგრამ ოსმალნი ამისთანას საქმეში დიად ბრმანი არიან, ასე რომა დღეს მიეც ერთი რუბალი, და ზვალ ათი წარ(ა)თვი არას ინაღლის, ამასთანას საქმეს მათი დიდი კაცნი არ გამოჩხრეკს რომ მოიძიოს; და ამაშის მხარესა სულ არაბნი •რიან... და არც აგრე დაბმულნი არიან სულთანის ბრძანებაზელო“ (ЦГАДА, Госархив, разр. XI (ф. 11), л. 948, л. 53).

ვარდა ამისა, მ. კაჭკაჭიშვილს თავისი მისიის წარმატების პირობად მიაჩნია შემდეგი გარემოებანი: 1) მას ამ საქმეში საკმაო გამოცდილება ჰქონდა; 2) იგი ეგვიპტის ბეგებთან კარგ ურთიერთობაში იყო, მაგრამ თუ ძველი ბეგები დამარცხებული აღმოჩნდა, მაინც ვინმე იქნება ახალი ბეგი ქართველთაგანი, რომელთანაც საერთო ენის გამოჩნდა; 3) ეთიოპიის რეზიდენტი

კიროში მას კარგად იცნობდა, მაგრამ თუ არც ის დახვდებოდა, შეეძლო კოტეხის პატრიარქს დაკავშირებოდა და წერილს მიაწვრინებდა ეთიოპიაში, სადაც მას უკვე იცნობდნენ და გზაში კაცს შეაგებებენ (იქვე).

მოხსენებაში დაწვრილებითაა აღწერილი ეთიოპიისაკენ მიმავალი გზები და მათი თავისებურებანი, მოქმედების კონკრეტული პროგრამა — როგორი საშუალებით დაუკავშირდება იგი რუსეთს (იქვე).

რაკი რუსეთის მთავრობა მ. კაჭკაჭიშვილს ეგვიპტეზე არაფერს ავალბდა (ეგვიპტის საკითხი კი მთავარი იყო ერეკლე — კაჭკაჭიშვილის პროგრამაში), მან მაინც გადაუტარა პოტიომკინს: „თუ ბეგებთან კომისია (დავალბა ვ. მ.) რამე გავიძინებდა და მშვიდობით ეპოვებ, აბაშის საქმეც უადვილესი არს, ჩემი წასვლაცა და მდღგან ელჩის გამოგზავნა და პასუხიო“ (იქვე).

მ. კაჭკაჭიშვილის ეს უკანასკნელი მოხსენება უთარილოა, მაგრამ შინაარსი სადავოს არ ხდის, რომ იგი 1787 წლის მის-აგვისტოშია შედგენილი (10 მისის წარდგენილი მოხსენების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს აგვისტოს ბოლოსა — აგვისტოს ბოლოს თურქებმა ზავი დაარღვიეს და მათთან მოსარიდებელი არაფერი იყო).

მიუხედავად იმისა, რომ მ. კაჭკაჭიშვილის ეთიოპიაში გაგზავნის საქმე გადაწყვეტილი იყო, თურქეთთან ომის დაწყებას იგი შეუფერხებია და 1788 წლის ივნისში მ. კაჭკაჭიშვილს ქ. ელიზავეტგრადში (ახლ. კიროვოგრადი) ვხვდავთ პოტიომკინის ბანაკში, ყველასაგან მივიწყებულს, სარჩო-საბადებელს მოკლებულს და ვალბში მყოფს. იგი პოტიომკინის კანცელარიის უფროსს, ვასილ სტეფანეს ძე პოპოვს დახმარებას თხოვს და წერს:

„ჩვენ სამკვიდროზედაც შორსა ვართ... ეს ექვსი თვე არს დარახტირდამ (ტრაქტირიდან — ვ. მ.) ვცხოვრობდი, ახლა დრიხტირშიაც აღარ მაძლევენ. არსად ილაჯი არა მაქვს ამის შემდგომადო“.

(ЦГАДА, Госархив, разр. XI (ფ. 11), დ. 948, პ. 83). ასე რომ რუსეთ-თურქეთის ომის წამოწყებას ეს გადაწყვეტილი საქმეც ჩაუშლია, რომელიც ასე თუ ისე იმედს აძლევდა მ. კაჭკაჭიშვილს ეგვიპტელ მამულეებს ისევ დაკავშირებოდა. ეს შემთხვევითი როლია, რუსეთი წინა ომის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში დამარჯვებული ხალხების ჩაბმა გარკვეულ სირთულეს ქმნიდა ევროპის დიპლომატიის მტრული პოზიციის გამო, ამიტომ არა თუ ბეგებს, იმერეთსაც უარი უთხრეს ომში მონაწილეობაზე, რომ მრვეალ მაგიდასთან დამატებითი სიძნელეები არ შექმნილიყო.

თურქეთის ძლიერების შემუსვრის ფართო გეგმა, რომელსაც მ. კაჭკაჭიშვილი რუსეთის მთავრობას თავაზობდა, თურქეთის იმპერიის საშინაო და საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზს ემყარებოდა. მისი მიზანი ქართველობის გამოხსნა იყო და მ. კაჭკაჭიშვილი პოტიომკინს მიმართავდა, რადგან პოტიომკინის (რუსეთის) „მეტი საქართველოს კრებულისა შემბრალებ და

ყურს მიმგდები არავინა“ ეგულებოდა (ЦГАДА, Госархив, разр. XV (ფ. 15), დ. 192, პ. 19—20). ამიტომ ევედრებოდა ეგვიპტე დაიხსენიო. ეთიოპია ამ საქმეში დამხმარე იყო.

ეს გეგმა ერეკლე II და აბრამ შინჯიაშვილის შემუშავებული უნდა ყოფილიყო, მ. კაჭკაჭიშვილი აქ მხოლოდ შუამავლად შეიძლებოდა წარმოვიდგინოთ.

თურქეთის ძლიერების შემუსვრის ეს ფართო გეგმა, რომელიც ჩვენს წინაპრებს XVIII საუკუნის 80-იან წლებში შემუშავებიათ, ჯერ ჩვენს ისტორიოგრაფიაში შესწავლის საგანი არ გამხდარა (ეს საკითხი არც დასმულა), თუმცა ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან მასში მთავარი როლი დაკისრებული ჰქონდა არა გეგმის შემმუშავებელს (მათ სათანადო ძალები არ გააჩნდათ), არამედ უცხო ძალას (რუსეთს), მაგრამ იგი მიუთითებს, რომ ჩვენს წინაპრებს რა არ უღონიათ, რათა ოსმალთა საფრთხისაგან ქართველობა ეხსნათ და სამშვიდობოს გამოეყვანათ. ამიტომ იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.



დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი

XI-XII საუკუნეები ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მიხედვით ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს.

XI-XII სს. ძლიერი ცენტრალიზებული საქართველოს უაღრესად განვითარებული ეკონომიკა მოწინავე ქართული პოლიტიკური მოძღვრებების რეალურ ბაზისს შეადგენს. დაქუცმაცებულ ფეოდალურ სამთავროებზე ამაღლებული სამეფო ხელისუფლება, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების შესაბამისად ამუშავებს ორიგინალურ პოლიტიკურ მოძღვრებებს. ეს პოლიტიკური მოძღვრებანი მიზნად ისახავენ ფეოდალური ურთიერთობების დაცვა-განმტკიცებას და გამოხატავენ განვითარებული ფეოდალური ეკონომიკის წიაღში ჩასახული და მომძლავრებული „მესამე წოდების“ ინტერესებს. სწორედ ამიტომ განსაზღვრავენ თავისი შინაარსით XI-XII სს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური მოძღვრებანი აღრინდელი რენესანსის იდეოლოგიას. ამ იდეოლოგიის წარმომადგენლები: მეფეები, მინისტრები, პოეტები, მხატვრები და საერო წარმომავლის სხვა მოღ-

ვაწენი, რომლებმაც პოლიტიკური იდეოლოგიისა და აზროვნების სარბიელზე შესცვალეს რელიგიური სქოლასტიკის მესვეურნი: ბერები, მეუღაბნოები, განდეგილები, ეპისკოპოსები და სხვ. მოითხოვეს ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას და სამეფო ხელისუფლების შეუზღუდელობას.

XI-XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების შედეგად ჩამოყალიბდა აღრინდელი რენესანსის პოლიტიკური იდეები და თეორიები, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ დავით აღმაშენებლის მოძღვრების საფუძველს შეადგენს. ფეოდალიზმის ეპოქის დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე დავით აღმაშენებელი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ძველს რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113—1125) იწყებდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას, საბერძნეთში ალექსი კომნენს (1081—1112) უჭირდა ძალაუფლების შენარჩუნება, ინგლისში ჰენრის I-ის ცდას (1100—1135), შეექმნა ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, შედეგი არ მოჰყოლია, გერმანიაში ძლიერი სახელმწიფო ხე-

ლისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში მსხვილ ფეოდალებთან დამარცხებული ჰენრიხ V (1106—1125) იძულებული ხდება 1122 წელს კომპრომისული ხელშეკრულება დადოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური დაქუცმაცებულიობის პერიოდი ბატონობს. საფრანგეთის მეფე ლუი VI (1108—1137), რომელიც დამოუკიდებლად ვერ მართავს ქვეყანას, რადგან იძულებულია სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გაუნაწილოს თავის ფაქტიურ თანამმართველს აბატ სუვერს, მხოლოდ იმას ახერხებს, რომ იმორჩილებს ზოგიერთ ფეოდალს სამეფო დომენის შიგნით.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა თაობაზე ჩვენამდე მოღწეულ ძირითად ისტორიულ წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცნობი ავტორის თხზულებას „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 1103 წლის რუს-ურბნისის კრების დადგენილებას და ამავე კრების მიერ მიღებულ სამადლობელ ქებათა-ქებას დავით აღმაშენებლისადმი, 1123 წელს შოთ-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძს, 1125 წელს გარდაცვალების წინ მემკვიდრეებისადმი დატოვებულ ანდერძსა და XII საუკუნის უბრწყინვალეს ლიტერატურულ ძეგლს „გალობანი სინანულისანი“. ამ წყაროებიდან მხოლოდ ერთადერთი „გალობანი სინანულისანი“ უნდა იყოს უშუალოდ დავით აღმაშენებლის მიერ შესრულებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული წყაროებიც სრულად გამოგვეცემენ სახელმწიფოებრივი ქართული მეფის აზრის სიღრმესა და სიდიადეს, რადგან ისინი შედგენილია დავით აღმაშენებლის ბრძანებით, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიხედვით.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღიარებული, არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის თანმიმდევრულ გადმოცემას, მისი ავტორი ყოველგვარი ქრონოლოგიის გარეშე აღ-

წერს დავით აღმაშენებლის ეპოქის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების ფრაგმენტებს. ძეგლის ტექსტის დაწვრილებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად დავადგინოთ ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ანონიმი ავტორი თავისი თხზულებისათვის პოლიტიკური მოვლენების შერჩევასა. ძეგლის უმთავრესი ნაწილი ეხება დავით აღმაშენებლის პიროვნებას და იმ მეთოდებისა და ხერხების დახასიათებას, რომელსაც იყენებდა იგი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისას. ეკუთვნის არ არის, თხზულების ავტორი ცდილობს თავისი ეპოქის მეცნიერების განვითარების დონის მიხედვით შეისწავლოს და შეაფასოს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ისტორიული წყაროების ზოგადი შეფასებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურება: უპირველეს ყოვლისა, ჩვენამდე მოღწეული სხვა ისტორიულ წყაროებისაგან განსხვავებით, ყველა ამ ძირითად წყაროს წითელი ზოლივით გასდევს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებების უმთავრესი საკვანძო დებულებანი და ცნებანი; ამასთანავე ეს ნაწარმოებები შედგენილია მისი მეფობის სხვადასხვა პერიოდში, რაც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ სიზუსტით გავადგენოთ თვალი დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, რომელსაც თავისი შინაარსით რთული და მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს.

დავით აღმაშენებლის და მომდევნო ეპოქის ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ მის მიერ განხორციელებული ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმებით (იხ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1966 წ.), რაც მიზნად ისახავ-

და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, დავით აღმაშენებელი არა მარტო XI-XII საუკუნეების მეფეთა შორის ერთ-ერთი ნიჭიერი და უნარიანი მეფეა, არამედ ფეოდალიზმის ეპოქის დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნეცაა. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა რა XI-XII საუკუნეების საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიისათვის ფეოდალიზმის მმართველობის თითქმის უცნობი ფორმა — აბსოლუტიზმი და მეცნიერულ საწყისებზე დააბაზუთა მისი უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით. აკად. ს. ჯანაშიას სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში, როდესაც აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი არა მარტო ერთგული გმირი, არამედ „...სახელმწიფო მოღვაწეცაა, რომელმაც შექმნა ნათელ, ორიგინალურ პოლიტიკურ დაწესებულებათა სტრუქტურა ფეოდალიზმის ზოგად ისტორიის“ (კ. გამსახურდია, დავით აღმაშენებელი (ბოლოსიტყვაობა აკად. ს. ჯანაშიასი), მოსკოვი, 1945 წ., გვ. 349).

დავით აღმაშენებელი თავის სწავლულ რაზმთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იყენებდა მეცნიერებას სახელმწიფოს შესახებ, რაც, თავის მხრივ, ემყარებოდა წინა ეპოქების ცნობილ მეფეთა პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებას. აქი საგანგებოდ აღნიშნავს დავითის ისტორიკოსი: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთემცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემცნებანი, პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხუელნი წინაგანსაკრძალეხლად სახედ არა შემოთხუნეს და არა მოეტყარნეს, ვითარცა იტყჳს სოლომონ, ვითარმედ: „იცნის ქეცულებანი ჟამთანი, აღქსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“, — არათუმ-

ცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნანდვლვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მადლად, ვითარ ვერვინ სხუამან? (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 350—351).

დავით აღმაშენებელს, როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს, დიდად განსწავლულ მეფესა და ფეოდალიზმის ეპოქის დიდ თეორეტიკოსს, თანამედროვენი აღარებდნენ ანტიკური ეპოქის ცნობილ მეფეებსა და ფილოსოფოსებს. ისტორიკოსს დავით აღმაშენებელი მიაჩნია მსოფლიო მასშტაბის ისეთ დიდ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ფეოდალიზმის ეკონომიური წყობილების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მმართველობის ახალი სისტემის შემოღებისა და დანერგვისათვის, მაგრამ დავით აღმაშენებელს, რომ „სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უადრესნი სხუათა ქებულთანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 359).

დავით აღმაშენებელმა მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მიძიმე და შეუპოვარი ბრძოლის პროცესში დიდი სახელმწიფოებრივი რეფორმების (საეკლესიო, სამხედრო, სახელმწიფო და ა. შ.) შედეგად შესძლო საქართველოს გაერთიანება და მისი ავტორიტეტის ამაღლება კავკასიის ხალხებში. ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია და ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნა და შენარჩუნება სამხედრო ძლიერების განმტკიცებასთან ერთად მოითხოვდა ფეოდალური საქართველოს, ამ ახალი ფორმის პოლიტიკური ორგანიზაციის და სამეფო ხელისუფლების, იდეოლოგიის შემუშავებას. „ცხადია, რომ რაც უფრო და უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა საქართველოს მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შე-

ურყველი ნიდაგი მოვბოვებინათ, იმიტომ რომ ქართველ მეფეებს... თავიანთი ძლიერებისა და ხელისუფლების განსამტკიცებლად აზნაურებთან უზღებოდან ბრძოლა... ამ გამწვავებული ბრძოლის მოსაგებად მართო მკლავ— ხმლის ძალა არ კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929, გვ. 116—117).

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ადამიანთა გონებაზე განუყოფლად ბატონობს რელიგია და სწორედ ამიტომ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ადამიანის გონება პასუხს ზებუნებრივ მოვლენებში ეძებს. შუა საუკუნეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის ასეთი გაბატონებული მდგომარეობის გამო ყველა ქვეყანაში შეიქმნა „მოძღვრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის რაღაც ღვთაებრივი, ზებუნებრივი რამ, რომ ეს არის ერთგვარი ძალა, რომლითაც ცხოვრობდა კაცობრიობა და რომელიც აძლევს ან მისცემს ადამიანებს, შეიცავს ისეთ რამეს, რაც ადამიანისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ მიეცა მას გარედან, რომ ეს არის ღვთაებრივი წარმოშობის ძალა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 29, გვ. 554).

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრება, ისევე როგორც შუა საუკუნეების ეპოქის ყველა ცნობილი მოაზროვნის პოლიტიკური მოძღვრებანი, ვერ ასცდა ფეოდალიზმის ეპოქის საერთო მოვლენას სახელმწიფოს წარმოშობისა და არსის საკითხების განსაზღვრაში. მართლმორწმუნე მეფეს, დავით აღმაშენებელს ღრმად სწავს, რომ ღმერთი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, მისი ნებით ხდება სამეფო ტახტზე მეფეთა ასვლა და სამეფოთა დამხობა, ღმერთი ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას. შუა საუკუნეებში გაბატონებული შეხედულებისამებრ დავით აღმაშენებლი-

სათვის ღმერთი არის დაუსაბამო და უსასრულო, იგი აძლევს ადამიანებს გონებას, ცნობიერებასა და მხედველობას. 1123 წელს შიო-შღვიძის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძში დავით აღმაშენებელი აღნიშნავს: „პირველად შენ, დაუსაბამო და დაუსრულებლო ღმერთო, მიაწიე რისხვა, შენი დაუსრულებლად მის ზედა... გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოკერ ყავ იგი, ღმერთო“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 18).

ღმერთია შემქმნელი ყოველივე არსებულისა, მაგრამ იგი სიკვდილის მომავლინებელიცაა. შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკური მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია, დავით აღმაშენებელსაც არ მიაჩნია თავი უცოდველად. მაგრამ თავისი დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების სამართლიანობასა და უძლეველობაში დარწმუნებულს სწავს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი იხსნის მას ამქვეყნიური ცოდვებისაგან. „ვინათგან მსთუადმან წყალობად, და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა, და წყალობითა სიყვარულისა თჳსისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩუენნა მიუწდომელნი ქველისმოქმედებანი, რომელთათჳს ყოვლად უმადლოი ესე, ჯერისაებრ ვერ-მმადლობელიცა არა მომიძახა და არა დააცადა ჩუეულებითი წყალობაჲ დღესდღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმდე და ურცხუთაგან ერთი მიზუნად თბრობისავე მივსცე თბრობასა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 12).

რადგანაც ყოველივე არსებული ღვთაებრივი წარმოშობისაა, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგი დავით აღმაშენებელი ფეოდალური დაქუცმაცებულიობის დაძლევის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და სამეფო

ხელისუფლების ავტორიტეტის ამოღების მიზნით თავის ამ ზოგად ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მოსაზრებას მოხერხებულად იყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი მტკიცებით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი გადასცემს მეფეებს სახელმწიფოებს მართვა-გამგებობისათვის, მაგრამ ამავე დროს იგი უმაღლესი მეფეთა-მეფე და ამქვეყნიური გამგებელია. თავისი 1123 წლის ანდერჰში დავით აღმაშენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ღმერთისაგან აქვს მას მინიჭებული სამეფო ხელისუფლება. „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თჳსითა რაათამე განგებითა არა-უღირს-მჩენელმა შარავანდსა შინა პატოხანსა უპატოებისა ჩემისმან, აქათგანვე აღიღო ჳელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა. და თვთ მეფე-მეფეთა იქმოდა საქირველთა უჭირველად“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 12). ზუსტად ასეთივე აზრია გამოთქმული დავით აღმაშენებლის მეორე შრომაში „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც მართლმორწმუნე მეფე ასე მიმართავს ღმერთს: „ბუნებითსა რაა პორფირსა თვთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდენი მარწმუნენ“ (თ. ყორღანია, ქრონიკები, II, ტფილისი, 1898 წ. გვ. 104). დავით აღმაშენებლის აზრით, მეფენი მხოლოდ ღვთის ნებით ხელმძღვანელობენ, ამიტომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, ყოვლისშემძლე ღმერთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს.

ღვთაებრივი წარმოშობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მეთაური—მეფე თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მოქმედებს ღვთის სახელით. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების სიგელ-გუჯრების და სხვა ისტორიული დოკუმენტების შინაარსის გადმოცემაში მისი შემდგენელი საგანგებოდ მიუთითებენ ღმერთზე. ამ

მხრივ გამოჩაყლის არც დავით აღმაშენებლის ეპოქა შეადგენს. დავით აღმაშენებლისდროინდელი ყველა დოკუმენტი თითქმის ერთნაირად იწყება: „ქ: სახელითა ღვთისათა დავითისაგან, ნებითა და ღვთისათა აფხაზთა, ქართულთა, რანთა და კახთა მეფისა“. თუ რამდენად ღრმად იყო დარწმუნებული დავით აღმაშენებელი, რომ ღმერთი არა მარტო განაგებს სამეფო ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობას, არამედ ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას, აჰას ცხადყოფს მისი 1123 წლის ანდერძი შიო-შვიმის მონასტრისადმი. 1123 წელს შირვანზე გალაშქრების მძიმე დღეების წინ, სამხედრო სამზადისისა და თადარიგით გამოწვეული მოუცლევობის მიუხედავად, დავით აღმაშენებელი პოულობს დროს ეწვიოს წმინდა შიოს მონასტრს და შესთხოვოს ღმერთს ვერაგ მტერზე გამარჯვება. „[ნ]ებითა ღმერთისაითა მე, დავითს მიწყეის. ეამსა ჩემსა შარვან [სა ზედა] გა[ნმა] რთვისასა შევევდრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ მიერ აღშენებული [და]სრულებულად; და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 12).

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია არსებითად განსაზღვრავს დავით აღმაშენებლის მოსაზრებებს საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. დავით აღმაშენებლის რწმენით, ეკლესიები და მონასტრები რწმენით, ეკლესიები და მონასტრები ეფოდალურ საზოგადოებაში ის უმთავრესი პოლიტიკური დაწესებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეშევრდომთა სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს. ამიტომ ეკლესიები და მონასტრები უშაბავლესია ღმერთსა და ქვეშევრდომებს შორის. მაგრამ ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგიის დავით აღმაშენებლის აზრით, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სასულიერო ხელისუფლება საერო ხე-



ლისუფლებზე მალა დგას. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ საერო ხელისუფლება, რომელსაც მეფე ახორციელებს, ღვთაებრივი წარმოშობისაა, იგი გამოხატავს ღვთის ნებას და მოქმედებს მისი სახელით. ამის გამო ღვთის ნების გამომხატველი საერო ხელისუფლება სასულიერო ხელისუფლებაზე არა მარტო მალა უნდა იდგეს, არამედ უნდა ერეოდეს საეკლესიო ხელისუფლების საქმეში და ღვთის ნების შესაბამისად აწესრიგებდეს. დავით აღმაშენებლის მხოლოდ ამ პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა აიხსნას ჯერ ერთი, 1103 წელს სამეფო ხელისუფლების მიერ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც მიზნად ისახავდა თურქ-სელჩუკთა ბატონობით ქართველთა შორის შერყეული ზნეობის აღდგენასა და მეორე, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობის შეერთება, რითაც პრაქტიკულად განხორციელდა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარების იდეა.

დავით აღმაშენებლის მიერ ფეოდალურ საქართველოში განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განსაზღვრულია მის პოლიტიკურ მოძღვრებათა მწყობრი და თანმიმდევრული სისტემით. დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებაში საერო ხელისუფლების უმაღლესობის იდეა ფეოდალიზმის მმართველობის მანამდე უცნობი ფორმის — აბსოლუტიზმის პრინციპამდეა აყვანილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ამ მეტად ახალ და თავისებურ მხარეზე პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა. იგი აღნიშნავს, რომ ფეოდალური „საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გადამერთეს, ხოლო მის უფლებას ზე-

ციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929, გვ. 123).

მართლაც, ფეოდალურ საქართველოში აბსოლუტიზმის იდეები ფართოდ ვრცელდება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ ლმობიერი და სუსტი ნებისყოფის მქონე მეფის, გიორგი მეორის დროს, ამ იდეებმა პრაქტიკული განხორციელება ვერ ჰპოვა. მხოლოდ მტკიცე ნებისყოფისა და დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭის მქონე დავით აღმაშენებლის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილ მრავალჯეროვან სახელმწიფოში გახდა შესაძლებელი ფეოდალიზმის მმართველობის განსაზღვრული ფორმის — აბსოლუტიზმის პრინციპების მიხედვით სახელმწიფოებრივი წყობილების გარდამქნა და აბსოლუტიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის საბოლოოდ შემუშავება.

დავით აღმაშენებელმა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმების განხორციელების შედეგად შექმნა აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მმართველობის მტკიცე სისტემა, რომლის მექანიზმი რთულია არა მარტო თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული დაწესებულებების ქსელით, არამედ ამ მექანიზმის შემადგენელი ორგანოების ფუნქციებითაც. აბსოლუტიური სახელმწიფოს მრავალფეროვანი ორგანოების ამ ფუნქციების შესახებ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა სრულიად თანმიმდევრული მოძღვრება, რომელიც შემოგვინახა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებამ. დავითის მემ-



ტიანე წერს: „ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა ჰყრობანი, ნაპირთა ჰირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მკედართა განწესებანი, საერო შიშნი, საწელოთა და საბჭოთა სჯანი, საქურჭლოთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევეანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებულთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაყითხავთა შესატყვისნი ნოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955. გვ. 351).

დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას აბსოლუტიზმის იდეებით ხელმძღვანელობს. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საშუალებით იგი აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ღვთაებრივი წარმოშობის სამეფო ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მრავალეროვანი ცენტრალიზებული ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას. დავითის აბსოლუტიზმური იდეები შესანიშნავად აქვს გადმოცემული თავის თხზულებაში მის ისტორიკოსს:

„რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთსა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა“ (იქვე), ე. ი. სამეფო ხელისუფლების მოვალეობანი უფსკრულსა ჰგავს, და ვინ უგუნური იქნება ამ უფსკრულის ძირი იპოვნოს და სიღრმე გაზომოს. აბსოლუტიზმური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას, დავით აღმაშენებლის მემკვიდრე უძირო უფსკ-

რულს ადარებს და ამ შესანიშნავ მხატვრული შედარებით მოკლედ და ლაკონურად ახასიათებს აბსოლუტიზმის პოლიტიკურ მოძღვრებას.

აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნის იდეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რენესანსის ეპოქაში ჩაისახა. მან თავისი გამოხატულება ჰპოვა XIV საუკუნის დიდი მოაზროვნეების ნ. მაკიაველის, ჟან ბოდენის და სხვ. პოლიტიკურ მოძღვრებებში. მაგრამ აბსოლუტიზმის იდეები განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო პრაქტიკულად გვიან განხორციელდა, როდესაც ფეოდალიზმის ეპოქაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა და ჩამოყალიბება. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი შეიცავს რენესანსის მთავარ პოლიტიკურ მოთხოვნას — ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას. აბსოლუტიზმის იდეების შემუშავება ფეოდალურ საქართველოში დაიწყო ბაგრატ მესამის მეფობიდან, ხოლო სრულ განვითარებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრაქტიკულ განხორციელებას დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მიაღწია. აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ეროვნულმა თავისებურებებმა განსაზღვრა, ამიტომ მისი ხასიათი ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სოციალურ-პოლიტიკური გარემოებებით უნდა აიხსნას. ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, რჯულ-შემწყნარებლობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა, წინა ეპოქების განათლებულ მხედართმთავართა და მეფეთა გამოცდილებისა და სახელმწიფოს მართვის შესახებ მეცნიერების გათვალისწინება, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიური მიმართუ-

ლებების წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შექმნა და ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა. ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და საგარეო და საშინაო ურთიერთობაში პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული წარმოშობის უარყოფა და ნიჟისა და პირადი უნარის მიხედვით აღამიანთა დაფასება, აი ის ძირითადი თავისებურებანი, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობისას. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ნ. ურბნელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს თვითმპყრობელობის იდეამ ფეოდალურ საქართველოში შემოაღწია ბიზანტიიდან, რომელსაც ქვეყანა მჭიდროდ დაუახლოვდა არაბთა ბატონობის ეპოქაში (ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო (ყურნ. „მოამბე“, 1894 წ., № 1, გვ. 28). მართლაც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოები მონარქის შეუზღუდველი უფლებებით არსებობდნენ არა მარტო ბიზანტიაში, არამედ უფრო ადრე ძველს ბაბილონში, ეგვიპტეში და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ეს სახელმწიფოები თავისი ფორმით ტირანიას უფრო წააგავდა, ვიდრე მონარქიას. ამ მხრივ გამოჩენილის არც ბიზანტია წარმოადგენდა (ანა კომნინა, ალექსიდა, მოსკოვი, 1965, გვ. 9.). დავით აღმაშენებლის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით მრავალეროვან ცენტრალიზებულ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში შექმნილ ფეოდალიზმის მმართველობის ამ ახალ ფორმას კი განათლებული აბსოლუტიზმის ხასიათი ჰქონდა.

დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის იდეოლოგი და დამცველია, ამიტომ სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მას მონარქია მიაჩნია, თუმცა დავით აღმაშენებლის დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ანალიზი მხოლოდ იმა-

ზე მიუთითებს, რომ იგი იცნობს ფეოდალური სახელმწიფოს სხვა ფორმასაც. კერძოდ, ტირანიასა და რესპუბლიკურ წყობილებას. დამახასიათებელია, რომ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპურ ფორმას ფეოდალიზმის ეპოქაში ყველგან მონარქია წარმოადგენს. ფეოდალური საზოგადოება, რომლის ეკონომიური საფუძველი მიწაზე კერძო საკუთრებაა, თავისი კლასობრივი ინტერესების განხორციელების ყველაზე მისაღებ ფორმად, რა თქმა უნდა, მონარქიულ წყობილებას მიიჩნევს. საქმე ის არის, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში საზოგადოების პოლიტიკური ძლიერების საფუძველს მიწაზე კერძო საკუთრება განსაზღვრავს, ვისაც მეტი მიწა გააჩნია იგი მეტი პოლიტიკური ძლიერების მქონეა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ფეოდალურ საზოგადოებაში სოფლის ბატონობა ქალაქზე და ფეოდალური სახელმწიფოების ის აგრესიული პოლიტიკაც, რომელიც სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებას ისახავდა მიზნად. მართალია, ფეოდალიზმის ეპოქაში გვხვდება სახელმწიფოს სხვა ფორმაც, კერძოდ, რესპუბლიკურ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს ფორმა, მაგრამ მისი წარმოშობა ყველგან, სადაც იგი არსებობდა, გამოიწვია არა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური ბაზისის განმსაზღვრელმა ურთიერთობებმა, არამედ მხოლოდ ანტიფეოდალური ელემენტების გაჩენამ.

ამის გამო დავით აღმაშენებელი, როგორც ფეოდალიზმის იდეოლოგი, უპირატესობას სახელმწიფოს მონარქიულ ფორმას ანიჭებს. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ დიდი ისტორიული მისია, რომელიც ღმერთმა ფეოდალურ საქართველოს დააკისრა, კავკასიის ხალხების განთავისუფლება უცხოელ მოძალადეთა ბატონობისაგან, მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა და განვითარება, შესაძლებელია



მხოლოდ ცენტრალიზებული მონარქიული წყობილების არსებობის პირობებში. დავით აღმაშენებელი ვერ ითმენს თავის შვიქნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მონარქიისაგან განსხვავებულ და რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებულ თავისუფალ ფეოდალურ ქალაქებს და მძიმე, მაგრამ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს თბილისის წინააღმდეგ, სადაც, ჯაფარიძეების დინასტიის განდევნისა და ამოწყვეტის შემდეგ აღმაშენებლის მიერ მის დაპყრობამდე, არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რესპუბლიკური წყობილება მეფობდა.

დავით აღმაშენებელი მეგვიდრეობითი მონარქიის მომხრეა. გარდაცვალების წინ, 1125 წელს შედგენილი ანდერძით დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლებას გადასცემს თავის უფროს ვაჟიშვილს დემეტრეს და რჩევას აძლევს იმ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების თაობაზე, რომელიც მან შეიმუშავა წლების განმავლობაში. დავით აღმაშენებელი წერს: აწ შკლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოველითურთ საუკუნოდ ჩემთს და მისთს და მომავალთა ჩემთათს; რომელნი მიმიცემიან, მისგან ნურას მოაკლებს. და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან უმკვდრონი და უმამულონი, მათგანნიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოსმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერილთა და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლულად“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 20). ამავე ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ, მართალია, დავით აღმაშენებელი უფროს შვილს დემეტრეს უტოვებს სამეფო ტახტს, მაგრამ ტახტის მეგვიდრეოთა წრიდან არ გამოირიცხავს არც მეორე შვილს ვახტანგს, რომელიც დავით აღმაშენებლის გარდაცვალებისას მცირეწლოვანი იყო. ამ ანდერძში ნათქვამია: „და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისაათა, რათა ძმად მისი გაზარდოს. და თუ ინე-

ბოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუა ტა; შემდგომად მისა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა, და დაათა მისთა პატივ-სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 19).

დავით აღმაშენებელი თვლის, რომ მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანიტი, მართლმსაჯული და ქვეშევრდომთა მოწყალე. განათლებული აბსოლუტიზმის ამ ნიშნების მიხედვით დავით აღმაშენებელი მონარქიის ანსხვავებს ტირანიისაგან. მისი აზრით, ტირანთა გულქვაობა, სისასტიკე, შეუბრალებლობა და ძალადობა არღვევს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის პრინციპებს, ამიტომ ღმერთი ტირანებს ყოველთვის მიაგებს სამაგიეროს. დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს მოწვეულ რუმის-ურბნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ ღმერთმა „გულციხელობასა და ფარაოხსა, და უსახურებასა მეგვპტელთასა: უცხოთა მძლავრებათათს უცხოა მიეგო მისაგებელი“ (თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 56). თუ გავითვალისწინებთ, რომ „მძლავრი“ ძველ ქართულში ნიშნავს ტირანს, დესპოტს, მაშინ ცხადი გახდება, რომ სახელმწიფოს სხვა ფორმათა შორის დავით აღმაშენებელს ტირანია ყველაზე უარეს ფორმად მიაჩნია.

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, მიმართული ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ცალკეულ სამთავროებზე სამეფო ხელისუფლების ამაღლებისაკენ, ძირითადად განსაზღვრავს მის სამართლებრივ შეხედულებებს, რომელსაც თავისი დროისათვის უაღრესად პროგრესული ხასიათი ჰქონდა. დავით აღმაშენებელი იმისათვის, რომ აამაღლოს დაქუცმაცებულ ფეოდალურ სამთავროებზე გაბატონებული სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი და ხაზი გაუსვას სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების უპირატესობას ფეოდალური დაქუცმაცე-

ბულობის დროს არსებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით, იყენებს ბუნებითი სამართლის პროგრესულ მოძღვრებას. 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილებისა და XII საუკუნის ლიტერატურულ შედეგარში „გალობანი სინანულისანი“ მოცემულია დავით აღმაშენებლის ბუნებითი სამართლის მოძღვრების მწყობრი და თანმიმდევრული სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური საქართველოს სამართლის ისტორიაში ბუნებითი სამართლის მოძღვრება სრულებით შეუსწავლელია. თუმცა მისი არსებობის შესახებ ზოგადი მითითება პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა, მაგრამ ეს მოკლე მითითება საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომელიც შეისწავლის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოწინავე და ორიგინალურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ შეხედულებებს, გამოხატულება ჰპოვოს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით წარმოშობილმა ბუნებითი სამართლის მოძღვრების არსებობის ფაქტმა ზოგადად.

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს სამკატეგორიად ჰყოფს: ბუნებითი, ღვთაებრივი და დადებითი. თავის „გალობანი სინანულისანი“¹, რომელიც შეიცავს მართლმორწმუნე დავით აღმაშენებლის აღსარებას ღვთის მიმართ მის მიერ ჩადენილი საქმეების თაობაზე და ზოგჯერ უმართებულო თვითბრალდებებსაც, იგი აღნიშნავს, რომ მან თითქოს ფეხქვეშ გათეა და არ შეასრულა არა მარტო ბუნებითი სამართლის, არამედ ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებიც და დაემონა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ხორციელი, ამქვეყნიური გატაცებებისა და ინტერესების მიხედვით დადგენილ სამართალს. „სჯულნი დავთრგუნენ წიგნისა და ახალი ბუნებითი, და კუალად სხუად სჯულისა შენისა მოწამე, სჯული ბუნებისა კორცთაჲსა, და კორცთა სჯულსა დავემონე“ (თ. ჟორდანი,

ქრონიკები, II, გვ. 105). დავით აღმაშენებლისათვის ბუნებითი სამართლის ნორმებს სხვა სამართლის ნორმებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია. ბუნებითი სამართალი გამოხატავს იმ შემოქმედის ნებას, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანებს მიუჩინა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად შემოქმედმა, ე. ი. „არა არსისაგან არსებად მომყვანებულმან ღმერთმან“, ადამიანებს დაუწესა სამართალი, რომელიც ემყარება მხოლოდ შემოქმედის ნებას და განსაზღვრავს ადამიანთა ბუნებას.

მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ შემოქმედის მიერ მათთვის მოწყობილ სამოთხეში, თანდათანობით დაარღვიეს და არ შეასრულეს შემოქმედის ნების გამოხატველი ბუნებითი სამართლის ნორმები. „გარნა ვინაჲთგან მან, ნივთად თვთ მფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინა უკუმოდ საღთოჲსა ნებისა იქუმი, რის გამო „შურითა ეშმაკისათა და განმცდელობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი. ძელისა მისგან ცხოვრებისა და სამოთხისა და ღთისა, სიბოროტისათჳს ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი. ბევრეულთა ვნებათა და ძვრთა მიერ უფლებულ იქმნა“ (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 56). სწორედ ამის შემდეგ ყველა ადამიანი ამ ქვეყანაზე ცოდვილია. დავით აღმაშენებლის აზრით შემოქმედმა ადამიანებს ამ შეცოდებისათვის მრავალი სასჯელი მოუვლინა, მაგრამ ამ სასჯელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. „გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა: ვინა თუ მტანჯველობითთა და საშინელებათა ანუ ქველის მოქმედებითთა სიტკბობათაგანი: რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვენს (იქვე, გვ. 57).

ამრიგად, დავით აღმაშენებლის აზრით, შემოქმედის ნების გამოხატველი ბუნებითი სამართლის ნორმებში მოცე-

მული ქვეყის წესები აღამიანებმა ფეხ-ქვეშ გათელეს, შემოქმედმა მათ ამ შეცოდებისათვის მრავალგზის მოუვლინა წარღვნა, მაგრამ ამით აღამიანები ვერ დაუმორჩილა ბუნებითი სამართლის ნორმებს, ამ ნორმების მოთხოვნები კვლავ გაუგებარი დარჩა აღამიანებისათვის. სწორედ „ამისთვის თვთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი. და თანა არსი ღთისა მამისა სიტყუაჲ, რომელი დასაბამად იყო. და ღთისა თანა იყო, და მარადის იყო: მოვიდა ხატისა თვისისა. და უბრწუნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლთა. ქეშმარიტებით და საკუთრად ღთისა-მშობელისა მარადის ქალწულისათა. კორცნი შეიმოსნა კორცთათვის. და სულსა გონიერსა და სიტყუაჲსა შეეზავა სულისათვის ჩემისა (ჩუჭცნისაღ?)“, მსგავსითა მსგავსსა განწმედად“ (იქვე). ამრიგად, შემოქმედმა უკანასკნელ ღონეს მიმართა და აღამიანებს თავისი ნების საქადაგებლად მოუვლინა ღმერთი აღამიანის სახით, რომელიც არის შემოქმედის ხატი. ქრისტე მოვიდა ამ ქვეყანაზე, როგორც აღამიანი „მსგავსითა მსგავსსა განწმედად“ და „ამისთვის იქმნა განკაცებაჲ ღთისაჲ“ რომ შემოქმედის მიერ მოვლინებული ღმერთი თავის მოწაფეებთან ერთად „განეფინნეს რა კიდეთა ქუჭ ყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმერთობისაჲ, მახვლითა სულისაჲთა მოჭრეს. და ცეცხლითა სარწმუნოებისაჲთა მოწუჭს: და ერთუნითა ჯუარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“. (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 57). შემოქმედის მიერ მოვლინილმა ღმერთმა მთელს ქვეყანაზე „წარავლინა ათთორმეტნი მოწაფენი თვისნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა“ და ისინი შეუდგნენ ქადაგებას მათი მომავლინებულის ინტერესთა შესაბამისად. ღმერთი და მისი მოწაფეები ასწავლიდნენ აღამიანებს ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთმანეთთან და აგრეთვე ბუნების მოვლენებთან ურთიერთობის წესებს, რომელთა ერთობლიობა, და-

ვით აღმაშენებლის აზრით, შეადგენს ღვთაებრივ სამართალს. ღვთაებრივი სამართალი მისი შეხედულებით არის სამართლის მეორე სახე.

ბუნებითი და ღვთაებრივი სამართლის გარდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედებს აგრეთვე დაღებითი, პოზიტიური სამართლის ნორმები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ. ეს სამართლებრივი ნორმები უნდა გამოხატვდნენ ბუნებითი სამართლის ნორმებს, ისევე როგორც ამ უკანასკნელს შეესაბამება ღვთაებრივი სამართალი. ღვთაებრივი სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც დადგენილია საეკლესიო ხელისუფლების მიერ და გადმოცემულია წერილობითი სახით საღვთო წიგნებში, პოზიტიური სამართალი საერო ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დაღებითი სამართლის ნორმები საშფო ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავს, დავით აღმაშენებელი მიუთითებს, რომ მისი შინაარსი ღვთის ნებით არის განსაზღვრული იმ უბრალო მიზეზით, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური იდეოლოგიის თანახმად დაღებითი სამართლის ნორმების დამდგენი საშფო ხელისუფლება თვით არის ღვთაებრივი წარმოშობისა. დავით აღმაშენებლის შესახებ რუს-ურბნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ შემოქმედის მიერ მოვლინებულმა ღმერთმა შეაერთა ქრისტიანენი და სწორედ ღმერთს „კეთილად ებაძვა შურსა ჩუჭნიცა ესე გვრგვოსანნი: მრჩობლ მარჯუწენ და შეყუარებული. გვრგვნი [თავისაჲ] და სასურველი ძე დავით“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 61). შუა საუკუნეების იშვიათ ძეგლში „ვალობანი სინანულისანი“, დავით აღმაშენებელი თვითონ გადმოგვცემს, რომ საშფო ხელისუფლება ღმერთისაგან აქვს მინიჭებული. დავით აღმაშენებელი მუხლმოდრეკილი ღმერთსა „წმობს აღსარებასა“ და მიმართავს „ხატსა თვისსა მამსგავსე... ბუ-

ნებისა რა პრეფერსა თვთ მფლობელობასთან მეფობისა შარავანდენი ვარწმუნენ“ (იქვე, გვ. 104).

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ მიხედვით ვიხილავთ მისი პოლიტიკური მოძღვრების სხვა შემადგენელ ნაწილებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ნაწარმოების მეტად თავისებური და ორიგინალური შინაარსი. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი არის არა მარტო ძლიერი ნებრისყოფისა და მტერთათვის შიშის მომგვრელი მეფეა, არამედ რჯულშემწყნარებელი, მართლმსაჯული, ქვრივთა და ღარიბთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი, თავისი დროის დიდი ჰუმანისტი ფილოსოფოსი. „გალობანი სინანულისანი“ მასში ჩამოყალიბებული თვითბრალდებებით, ქრისტიანული საეკლესიო სევდით განსაზღვრული მსოფლმხედველობის გამოხატველია და ცოდვებისაგან სულის განწმენდისა და ხორცის უარყოფის რელიგიურ მოძღვრებას ემყარება. ამ მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდება ანალოგიური ეპარსის რელიგიური წიგნებისაგან, მათ შორის ანდრია კრეტელის „დიდი კანონის“ და ბიბლიური სოლომონის „ეკლესიასტესა“ და „ქებათა-ქებასაგანაც“.

მიუხედავად ამ თავისებურებისა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანუ-

ლისანი“ შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ფეოდალური საქართველოს მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტის, არამედ დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური მოძღვრებების დღემდე შეუსწავლელი ბევრი საკითხის შესახებაც.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა სისტემაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომელიც ძლიერ ცენტრალიზებულ მრავალეროვან სახელმწიფოში მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების თეორიულ საფუძველს შეადგენს. ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შედეგად ცალკეულ სამთავროებზე ამაღლებული სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის განსამტკიცებლად დავით აღმაშენებელი მისი ინიციატივით განხორციელებულ ღონისძიებებს აბსოლუტური ფეოდალური მონარქიის შესაქმნელად შემოქმედის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის გამოხატულებად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებლის აბსოლუტისტური სამეფო ხელისუფლება და მისი შესაბამისი იდეები შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში უაღრესად პროგრესული და ახალი იყო.



„ქოსკარის“ ფოსტაქონი

პლატონ ბელია

საჭირო განმარტება

უურნალ „ცისკარის“ გასული წლის მეთორმეტე და ამა წლის პირველ ნომრებში დაიბეჭდა გენო ქელბაქიანის მოგონება ტერენტი გრანელზე. — „ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“. მოგონების ავტორი საინტერესოდ, სიყვარულით მოგვეთხრობს პოეტის დღემდე უცნობი მართლაცდა იდუმალებით მოცული ცხოვრების ბევრ ეპიზოდს. მაგრამ ჩვენს მიზანს როდი შეადგენს ამ მოგონების ღირსება-ნაკლოვანებებზე ლაპარაკი. მკითხველს მხოლოდ ერთ-ერთ ადგილს შევახსენებთ: „სილოვანი (ხუნდაძე — პ. ბ.) დიდი სიხარულით შეხვდა ტერენტის (გრანელს — პ. ბ.), მოხუცი გადახვია, ცრემლიც კი მოერია. მეტად გულთბილი საუბარი გაიმართა. სილოვანი ჩიოდა, რომ მას ჩაგრავენ, ჯერ კიდევ რევოლუციამდელი დროიდან არ უბეჭდავენ ლექსებს...“

— იმდენად დამამცირებს, რომ ჩემი ერთი ლექსი დაბეჭდეს ქართული ენის სახელმძღვანელოში, ხოლო მოაწერეს სხვისი ფსევდონიმი — ჭალადიდელი.

— რომელი ლექსი, ბატონო სილოვან?

— „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ — ასე იწყებოდა ჩემი ლექსი. ალბათ, წაიკითხავდით.

— რას ბრძანებთ! ეს ლექსი აბა რომელმა ჩვენთაგანმა არ იცის.

— რა შუაში იყო ჭალადიდელი! გა-

ნა გვარი ლექსის ღირსებას დაამცირებდა? — გულისტკივილით თქვა მოხუცმა („ცისკარი“, 1967 წ., № 1. გვ. 125).

სილოვან ხუნდაძის ნათქვამიდან გამოდის, რომ დასახელებული ლექსი მისია, მაგრამ ის გოგებაშვილს ჭალადიდელის ფსევდონიმი შეუტანია თავის სახელმძღვანელოში და ამ დღიდან მოყოლებული გრძელდება ეს შეცდომა.

სხვათა შორის, ამ ლექსზე 1912 წელს ასევე განაცხადა ხანშიშესულმა პოეტმა სტეფანე ძიმისტარიშვილმაც (კორტოხამ). იონა მეუნარგაასადმი მიწერილ ერთ თავის წერილში იგი წერდა: „ლექსი „მოგონება“ ან იგივე „დედის დარბეზა“ — ჩემია, მაგრამ მისიაკუთრა ჭალადიდელმა“ (იხ. ზუგდი. სახ. ისტ-ეთნოგ. მუზ. შრომები. ტ. I, 1947 წ. გვ. 242-243), მაგრამ ეს ვერ დაასაბუთა და მეუნარგაიამაც ეს განცხადება სინამდვილედ არ მიიჩნია. ძიმისტარიშვილის ნათქვამში რომ სიმართლის ნიშანწყალი არ არის, ეს შემდეგ მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმაც დაამტკიცა და ამიტომ მასზე სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია (იხ. დასახ. შრომები გვ. 287-288).

როგორც ვხედავთ, ჭალადიდელის საქვეყნოდ ცნობილი ლექსი „მოგონება“ ორმა პოეტმა (ძიმისტარიშვილმა და ხუნდაძემ) მისიაკუთრა, ორივემ მოხუცებულობის დროს(!). საკითხავია, თუ

დასახელებული ლექსი მათი იყო, სად იყვნენ მანამდე, რატომ თავის დროზე არ განაცხადეს პროტესტი? ან რატომ არ შეიტანეს თავიანთ თხზულებათა კრებულებში? ამაზე დასკვნის გამოტანა მკითხველისათვის მიგვიჩნდება, შესაძლოა, თავის დროზე მათაც ჰქონდათ „მოგონების“ მსგავსი ლექსები დაწერილი, რომელიც არსად დაბეჭდილა, და ხანშიშესულებმა შემდეგ ჰალადიდელის ლექსი საკუთრად მიიჩნიეს. ყველაფერ ამას თავი რომ დავანებოთ, შეუძლებელია ხუნდაძე მივიჩნიოთ „მოგონების“ ავტორად, რადგან ეს ლექსი რომ პირველად დაიბეჭდა, იგი (ხუნდაძე) რვა წლის იყო, ჯერ კიდევ არ სწავლობდა სკოლაში (დაიბადა 1860 წელს) და განაგებდა „შეძლო ასეთი ლექსის დაწერა? რა თქმა უნდა, არა.

ეს ასეა, მაგრამ არის თუ არა ამ ლექსის ავტორი გ. ჰალადიდელი?

ლექსი, რომელიც იწყება სიტყვებით — „მახსოვს პირველად სასწავლებელში...“, ე. ი. იგივე „მოგონება“, ჯერ კიდევ 1869 წელს დაბეჭდა ჰალადიდელმა გაზეთებში („დროება“ № 27 და „სასაფლო გაზეთი“ № 11). ეს ლექსი შემდეგ შეტანილი იქნა მისი თხზულებათა კრებულის ყველა (1913, 1940, 1947 და 1965 წლის) გამოცემაში.

დასახელებული ლექსის ავტორი რომ ჰალადიდელია და არა ვინმე სხვა, ამას ამტკიცებს ლექსში ჩართული ავტობიოგრაფიული მინიშნებაც. ლექსში ნათქვამია: „ჯერ „ანი“ მკითხეს და მერე „ნარი“... ამ „ანში“ და „ნარში“ კი ქარაგმულად ნათქვამია პოეტის სატრფო ანასტასია ნიკოლაძეზე, რომელიც მისი პოეტური შთაგონების წყაროც იყო.

ახლა ვნახოთ, რომელი ლექსი დაიბეჭდა სასკოლო სახელმძღვანელოებში. — გ. ჰალადიდელის „მოგონება“, თუ ვინმე სხვისი და მას განზრახ მოაწერეს ფსევდონიმი — ჰალადიდელი. მტკიცება არ უნდა, რომ ლექსი, რომელიც

იწყება სიტყვებით „მახსოვს პირველად სასწავლებელში“... არის „მოგონების“ შემოკლებული ვარიანტი. მაგრამ როგორ განჩნდა ეს შემოკლებული ვარიანტი? ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილი თავისი სახელმძღვანელოების ყოველ გამოცემას ხელახლა ამუშავებდა და ხეწდა, აღმჯობესებდა. როგორც გაირკვა, მას მოსწონებია ჰალადიდელის ლექსი „მოგონება“ და განუზრახავს მისი შეტანა „ბუნების კარში“, მაგრამ სიდიდის გამო ავტორისათვის უთხოვია, შეემცირებინა. ჰალადიდელს გოგებაშვილის თხოვნა მიუღია, „დროებაში“ დაბეჭდილი ტექსტი შემცირებია, დაუყვანია 28 სტრიქონამდე (ამოუღია მე-5-12 და 34-44-ე სტრიქონები), ზოგ ადგილას ცალკეული სიტყვებიც შეუცვლია და ახალი ვარიანტი უსათაუროდ გადაუცია გოგებაშვილისათვის (ავტობიოგრაფი ინახება ზუგდ. სახ. ისტორ. ეთნოგ. მუზეუმში, ფონდი-6, ხელნაწ. 3). ეს ვარიანტი ჩვენ დაბეჭდილი გვაქვს ჰალადიდელის თხზულებათა კრებულის 1965 წლის გამოცემის „შენიშვნებში“ (გვ. 249-250). გოგებაშვილმა კი „ბუნების კარში“ შეიტანა 1876 წლის გამოცემაში სათაურით „მოგონება“ და 1912 წლის გამოცემაში სათაურით „დედის დარობება“. სხვათა შორის, ეს უქანასკნელი დასათაურება გოგებაშვილისაა (ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი — „ერთი საკითხი ი. გოგებაშვილის მოღვაწეობიდან“, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1964 წ., № 4).

შესაძლებელია, მსგავსი განცხადებები სხვებთანაც ჰქონდათ გაკეთებული სტ. ძიმისტარიშვილს და სილ. ხუნდაძეს, შესაძლებელია, რაიმე მოგონების მომავალმა ავტორმა კიდევ გამოიყენოს მათი ეს ნათქვამი და სადაო გახდეს ამ საყოველთაოდ ცნობილ ლექსის ავტორის ვინაობის საკითხი. ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ ეს განმარტება.





უიწყაჟსი

ოქოოგეპერი სეგვირო დეჟენიჟენ გეჟეჟისი

ალექსანდრე აბაჟელი — გემარჯვებათა ვხედვებ მწვერებულეზს 3 33

პროზა დე პოეზიი

ოტიი იოსელიანი — იყო ერთი ქალი (რომანი. დასასრული)	4
მეღეა კახიიე — ლექსები	45
შალვა ამისულაშვილი — ორი ლექსი	46
ნოდარ კეჟელიიე — მიწვრი (მოთხრობა)	48
ანოორ აბულაშვილი — მთამსვლელი (ლექსი)	54
იზა ორჯონიიიიე — ლექსები	56
მურმან ჯგუზურიი — ლექსები	59

იხელი თარგმენები

ალექსანდრე კუპრინი — ჯადო, კირველი გემვლელი (მოთხრობები. თარგმნა ვახტანგ ქლენტიე) 61

ნერილები


გიორგი კალანდარიი — ოქროს ფრინველი	70
ფილიიე ბერიიე — მხატვრული ფერისცვალეზა	79
იაღვიბა რომანოვიკაიი — ის უნდო გიგლეროღა, სტარტველოვი	85
გურამ გვარდფიითელი — მიხილი ჯავახიშვილი (დასასრული)	88
რეჟო მიშველაიე — „ცოღვილი“	102
ელუარდ სიხარულიიე — ქართული ფელეტონი 900-იან წლები	107
პერიონი ბასიიანი — ფიზნი სვანეთი	110

მეხნიერეზა

ვალერიან მავარაიე — ეგვიპტელი გემლუქები	119
მხატვან აბაჟიიე — დავით აღმაშენებლის კოლიტიკური მოქლვებანი	146

„მისკრის“ ფოსვიანი

კლათონ ბულია — სავირო ბანმარბეზა



გარეკანი დე ტიტული ელგეჟა ამაშუკელის, ქურნალი გაათორბა თენგიზ ხამსონაქემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის უმოსული მისალეზი ავტორებს არ დეუბრუნებებთ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პროსპ. № 91.

ბელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მგ მდივინის — 5-08-86, ბანკოფილემეზის: კოეიის დე პროზის, კრიტიკის დე ზიზლიტორების — 5-08-85, კულტურის დე ხელმძღვანელის 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII 67 წ. ფიზიკურ ფორმათა რეოდენობა 10. პირობით ფორმათა რეოდენობა 13,7. შეკვ. № 2211. უე 06993. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 14 100.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ԹՅԵՂ ԵՐ ՅԵՅ.

3 913 6



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

И Н Д Е К С 76236